





ასწლოვანი მუხა



# სილსაქი



910

## შინაარსი

### პოეზია

ბაბაი გეჭაძე — საახალწლო	28
ბარიელ ჭანტუაძე — ციკლიდან: „ღამით რადიომიმღებთან“	52
გიქინა მინდაძე — ლექსები	64
ტაგუ მუხარინი — ლექსები	79
იუსტინას მარცინიავიჩუსი — პუბლიცისტური პოემა, გაგრძელება	123

### პროზა

გიორგი კეჭელაძე — მეოთხეტი წარი. რომანი	3
თენგიზ გოგოლაძე — კაცი კაცია. რომანი	30
პარმენ ლორია — ძეგლი უკვდავებისა. მოთხრობა	58
ვალერიან ჩაჭურიანი — მთების სიზმარი. მოთხრობა	66
მვანთილ ფეიგიანი — ჯარისკაცი, შვილი ჯარისკაცისა. მოთხრობა, გაგრძელება	97

# 1

იანვარი


## 1965

გამომცემლობა

„ლიტერატურა და ხელოვნება“

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შურობი

საქართველოს ალკა ც. კ-ს და მწერალთა კავშირის ორგანო



# მთორბეჭე ჭკრი

რომანი

თავი პირველი

არგი ღერეფანში დავტოვე და კარი შევალე. გამგემ თავი ჩელა ასწია და შემათვლიერა. მოხუცი კაცი იყო, ტანადი და მსუქანი. წინ წახრილი იჯდა და თითქმის მთელ მაგიდას ფარავდა. მე ნახევრად ღია კართან ვიდექი და მოხუცს სათვალეზე დავყურებდი.

— შენც ცალკე გინდა? — ხმადაბლა მკითხა მან.

— სულ ერთია, — მივუგე მე და გავიღიმე.

მოხუცმა სათვალე შუბლზე აიწია და ამხედ-დამხედა.

— ასე გეთქვა, — მითხრა გახარებულმა, — ყველა ცალკე ოთახს ითხოვს. ყველას ცალკე როგორ დააბინებებ?

მერე პასპორტი გამომართვა, რამდენჯერმე გადაფურცლა, სქელ რვეულში რალაც-რალაცები ჩაიწერა და ჩაილაპარაკა:

— ასე არ სჯობია? მარტო მოგწყინდება კიდევ კაცს. ხომ ასეა?

— დიახ, ასეა, — დავუდასტურე მე.

გამგე აღდა და ღერეფანში გავიდა.

მეც გავყევი. წამით ჩემი ზურგჩანთა და ჩემოდანი შეათვლიერა, კიბის თავში რომ იდო. დაღლილი კაცის მძიმე ნაბიჯით გამიძღვა წინ. ერთ-ერთი ოთახის კარი შეაღო და ზღურბლზე შეჩერდა. ოთახში სამი საწოლი, პატარა კომოდი, ერთი დიდი მაგიდა და კარადა იდგა.

— ეს ორი დაკავებულია... აბანოში არიან წასული. შენ აქ დაწვები,— მიმითითა იმ საწოლზე, კართან ყველაზე ახლოს რომ იდგა.

ოთახში შევედი. თვალს არ ვაცილებდი რბილ, სუფთა ლოგინს. თითქმის მთელი დამის უძინარი ვიყავი. მიწოდდა, გამგე მალე წასულიყო, რომ ტანსაცმელი გამომეცვალა და დამესვენა. მაგრამ იგი სულაც არ ჩქარობდა. ოთახში შემოვიდა, მკლავზე ხელი მომიკიდა და ღმილით მკითხა:

— ვაჟა ხომ?..

— დიახ, ვაჟა დოლიძე.

— ზაფხულობით აქ ბევრი ჩამოდის, ზოგი გოგირდის აბანოებში, ზოგი ასე,

შენსავით, დასათვლიერებლად. აქ მამა და შვილი დავაბინავე. მთელი საათი მეხვეწებოდა ის კაცი, ცალკე ოთახი მომეცი, ხმაურს ვერ ვიტანო. არ მქონდა და რა მიმეცა.

მივხვდი, რატომაც მეუბნებოდა, გა-  
მეცინა.

— არ ვიხმარებ...  
— ასე, ჩემო ვაჟა, — გამგემ გაიღიმა და გავიდა.

მაშინვე აბაზანაში შევევარდი. მერე ტანზე გამოვიცვალე და დაღლილობა-  
მაც ერთბაშად გამოიარა. დერეფანში გამოვედი და კიბეზე თითქმის სირბი-  
ლით დავეშვი.

სასტუმროს უკან სტადიონი იყო. ერთ კართან ოთხი ბიჭი დავინახე. ბიჭები ჩაცვტქულიყვენ და ბურთს ბერავდ-  
ნენ. მერე ბურთი მოედანზე ისროლეს და თვითონაც გამოჰყვენ. ერთმანეთი-  
საგან ათიოდე ნაბიჯის დაშორებით დარბოდნენ, ბურთს შეუჩერებლივ ურ-  
ტყამდნენ და ასე განუწყვეტლივ ხაზავ-  
დნენ მოედანზე ოთხკუთხედებს. შემ-  
დეგ ერთი მათგანი კარში ჩადგა, დანარ-  
ჩენებში საჯარიმო მოედანზე დარბოდ-  
ნენ, ერთმანეთს ბურთს აწოდებდნენ და  
ზედისზედ გაჰქონდათ კარში.

სალამოდებოდა. გრძელ მერხზე ვი-  
ჯექი და მათ თამაშს თვალს ვადევნებ-  
დი. ერთბაშად მეც მომინდა ბურთის  
თამაში. წამოდექი და ის იყო, მათეც  
უნდა წავსულიყავი, რომ აივანზე ზუ-  
რიკო დავინახე. ეს ბიჭი იმ შენობაში  
ცხოვრობდა, რომლის მეორე სართულ-  
ზე სასტუმრო იყო. დღეს გაცეცანი ავ-  
ტობუსში. მთელს დაბაში იგი ჩემი პირ-  
ველი და ჯერჯერობით ერთადერთი  
ნაცნობი იყო. ზურიკომ დამინახა, გა-  
მიღიმა და ჩემკენ გამოემართა.

— ემზადებიან, — მითხრა მან ახ-  
ლოს რომ მოვიდა, თან მოედანს თვალს  
არ აცილებდა, — დღეს ერთმანეთს ვე-  
ჯობებით.

— მსაჯი გყავთ? — ვკითხე მე.

— მსაჯი რად გვინდა? ვისაც თამაში  
არ მოუწევს, მას ვნიშნავთ ხოლმე,  
ნაწყენი რომ არ დარჩეს.

— მე ვიმსაჯებ, — ვუთხარი ზური-  
კოს, — წავიდეთ!

მან წამით შინ შეირბინა ჩამოვსე-  
წამომეწია. კართან მერხზე ჩამოვსე-  
დით. ბიჭებმა რომ დავგინახეს, თამაშს  
თავი ანებეს და ჩემთან მოვიდნენ. მე  
დიდი ამბით გავეცანი მათ, ზურიკოს  
მეგობარი გახლავართ-მეთქი. შევატყვე,  
ზურიკოს ეს ძალიან ესიამოვნა. წელში  
გასწორდა და ბიჭებს თვალი ამაყად  
მოავლო. „თქვენც გყავთ უფროსი მე-  
გობარი?“ ამბობდნენ მისი თვალები.  
მინდოდა მისთვის კიდევ უფრო მესი-  
ამოვებინა და ფეხბურთზე დავიწყე ლა-  
პარაკი.

— ყველაზე დიდი სტადიონი ბრაზი-  
ლიაშია, — წამომცდა ბოლოს.

— ვიცით, — სთქვა ერთმა გულგრი-  
ლად და ბიჭებს მიუბრუნდა, — რეზო  
მასწავლებელმაც ხომ გვიამბო.

— ეს რამდენი ხანია წაქითხული  
მაქვს, — წამოიძახა მეორემ.

ზურიკოს არ ესიამოვნა, ჩემმა ნათ-  
ქვამმა ვერაინ რომ ვერ გააკვირვა.  
მაგრამ მე უფრო დიდი საიდუმლოც  
ვიციოდი და ახლა ის გავამხილე:

— დედამიწაზე თერთმეტი მილიონი  
ფეხბურთელია.

ეს მართლაც არ სცოდნოდათ და  
გაოცებით შემომხედეს. ზურიკოს თვა-  
ლებში აშკარად გაიფლავა სიხარულმა.

— მართლა? — იკითხა ერთმა.

— ზუსტი ცნობაა, — ვუთხარი მე.

— უჰ, ბევრი ყოფილა, — სთქვა ზუ-  
რიკომ.

— ძალიან ბევრია. მართო მეკარეა  
ერთი მილიონი.

ამასობაში ორივე გუნდმა მოიყარა  
თავი და თამაში დავიწყეთ. მე მსაჯად  
დავდექი. მოედანზე დავრბოდი და  
წამდაუწუმ ვუსტვენდი, რადგან მეჩვე-  
ნებოდა, რომ ფეხბურთელები ყოველ  
წუთს არღვევდნენ თამაშის წესს. მალე  
შეეჩვიევენ ამ სტვენას და აღარაფერს  
მიჯერებდნენ. მშვილად განაგრძობდნენ  
თამაშს, თითქოს არაფერიც არ გავგო-  
ნოთ. მერე მივხვდი, რომ მე თვითონ  
დამვიწყნოდა ზოგი წესი. თუმცა შეიძ-  
ლება არც არასოდეს ვიცოდი, რადგან



ჩემი კლასის გუნდში მუდამ სათადა-  
რივო მოთამაშე ვიყავი. ფეხბურთის  
თამაშით მაინცადამაინც არც სტუდენ-  
ტობის დროს ვიკლავდი თავს.

მსაჯობა მალე მომბეზრდა და ზური-  
კოს გუნდში მეკარეს დავდექი, სას-  
ტენი კი ძველ მეკარეს ჩავაბარე. მან  
ისეთი თვალით გადმოიხედა, მივხვდი,  
ნასიამოვნები არ დარჩენილა. სამი  
ბურთი ზედიზედ რომ გაიტანეს, მეკა-  
რეს თვალები სასოწარკვეთილებით აეც-  
სო, მუცელატკივბულივით იგრიხებოდა  
და იფურთხებოდა. დავუძახე, მოდი,  
ისევე კარში ჩადექი-მეთქი და წამოვედი.

ცულ გუნებაზე ვიყავი. დაბაში უმიზ-  
ნოდ ვიხეტილავ და სასტუმროში გვიან  
დავბრუნდი. ოთახში სიბნელე იყო.  
ხელის ფათურით მოვძებნე ღილაკი და  
თითი დავაჭირე.

მამა და შვილი ლოგინში იწვნენ. სი-  
ნათლის ანთებისთანავე საწოლში წრია-  
ლი დაიწყეს და ბოლოს თავზე საბნები  
წაიხურეს. არ მეძინებოდა და არც სი-  
ნათლის ჩაქრობას ვაპირებდი. ფანჯა-  
რასთან მოხუცი კაცი იწვა. იგი უკმა-  
ყოფილოდ ბუზღუნებდა რაღაცას.  
დროდადრო საბანს გადაიხდიდა და შე-  
მომიბღვერდა. ბიჭი კი ასე, თხუთმეტი-  
ოდე წლის იქნებოდა. მან მალე გადა-  
იძრო თავზე საბანი, თვალები მოჭუტა  
და ასე დამიწყო თვალღებება. მერე გა-  
მიღიმა და მოხუცზე რაღაც მანიშნა,  
ბუზღუნე იცის, მაგრამ არა უშავს,  
ყურს ნუ უგდებო, ალბათ ამის თქმა  
უნდოდა.

მაგიდაზე ჭადრაკის დაფა იდო. და-  
ფაზე ფიგურები ელაგა. მაგიდასთან ახ-  
ლოს მივედი და დაფას დავხედე. წამით  
შევნიშნე, რომ ბიჭი გახარებული მა-  
დევნებდა თვალს. ბოლოს ჩურჩულით  
მკითხა:

- თამაში იცით?
- ვიცი, — მივუხე მე.
- ვითამაშოთ.
- როგორც გინდა.

ბიჭი საწოლიდან წამოვარდა. შარ-  
ვალს სწრაფად იცვამდა და თან ფი-  
გურებს ალაგებდა. მოხუცმა საბნიდან  
თავი გამოჰყო და საწოლიდან წამოიწია.

— დაწეკი ახლავე! — უბრძანა ბიჭს.  
— კარგი რა, მამა...  
— დაწეკი, რომ გეუბნები!

ბიჭმა შუბლი შეიკმუნა და გაჯავ-  
რებულმა ბუზღუნე დაიწყო.

— ჰასან, დაწეკი-მეთქი!  
— გაზეტს ჩამოვფარებ, — სთქვა  
ჰასანამ, მაგიდაზე შეხტა და ნათურას  
წაებოტინა, — სულ არ შეგაწუხებს სი-  
ნათლე.

— არა, — სთქვა მოხუცმა, — დილა-  
მდე არ გაათავებოთ დავას. არ ვიცი  
შენი ხასიათი?

— გარეთ გავიტანოთ, — ხმადაბლა  
მითხრა ჰასანამ, — ან პირსაბანში. იქ  
მაგიდაცაა.

— აღარ მინდა, — ვუთხარი მე, —  
ხვალ ვითამაშოთ.

ბიჭს სახე მოედრუბლა. ერთ ხანს და-  
ლონებული მიყურებდა. მერე აუჩქა-  
რებლად გაიხადა შარვალი, ლოგინში  
ჩაწვა და საბანი თავზე წაიხურა.

ლოგინი გავშალე, ტანზე გავიხადე  
და სინათლე ჩავაქრე. ძილი კარგახანს  
არ მომეკარა. ზურიკო გამახსენდა. ის  
თამაში ალბათ წააგეს და თანაც ჩემი  
მიზეზით. კარგად კი ვასიამოვნე ჩემს  
პირველ ნაცნობს. რაში მომეპრიანა იმ  
თითის სიგრძე ბიჭებთან თავის გაყად-  
რება? მეკარე რომ არ დავმდგარი-  
ყავი, კიდევ ვი. ახლა რა თვალით უნდა  
შევხედო ზურიკოს ან მის ამხანაგებს?  
მერე ჰასანაზე ვფიქრობდი. კარგი ბიჭი  
ჩანს. ვინავე, რომ ჭადრაკი არ ვეთა-  
მამე. ალბათ თავის თავს ეთამაშებოდა  
და მამამისმა მიატოვებინა, სინათლე  
ჩააქრეო...

სანამ დამეძინებოდა, მხოლოდ ზური-  
კოზე, ჰასანაზე და იმ უცნაურ მოხუც-  
ზე ვფიქრობდი, ფანჯარასთან რომ  
იწვა და საწოლს წამდაუწუმ აჭრიალებ-  
და. სიზმრად კი სულ სხვა რამ ვნახე.  
თითქოს ჩემს მეგობრებთან, მზიასთან  
და ვაჟასთან ერთად სადღაც მივდიო-  
დი. კუბეში ვისხედით, ერთმანეთს სა-  
ხეში შევეყურებდით და ვლუმდით. მატა-

გიორგი კეჭელაძე  
მეთორმეტე წარი

რებელი კი მიჰქროდა, უკუნი ღამე იყო და მატარებელი გრუხუნით მიაპობდა სიბნელეს. ჩვენ კი ვლუმდით. ერთმანეთს სახეში შევეყურებდით და ისე გვიძიძიდა ხმის ამოდება, თითქოს ის იყო სამუდამოდ უნდა გაყრილიყო ჩვენი გზები. ბოლოს ვილაცამ სთქვა:

— ეს... ეს ხომ სხვა მატარებელია...

ახლა უკვე შემფოთებული შევეყურებდით ერთმანეთს და მაინც ვლუმდით. მატარებელი კი შეუჩერებლად მიჰქროდა და მივეყავდით იქით, საითაც არც ერთი არ ვაპირებდით წასვლას...

ერთ უსიამოვნებას ხშირად მოსდევს ხოლმე მეორე, თითქოს გზა გაუქვალსო; როგორც მასწავლებლებმა იციან ორიანის დაწერის დროს: პირველ ორიანზე ყოყმანობენ, ერთმანეთს ეკითხებიან, რამდენჯერმე ჩააწებენ კალამს მელანში, მეორეს კი უფრო თავისუფლად, ხელის ერთი მოსმით წერენ.

ბავშვობაში ცემა-ტყემა სულაც არ ყოფილა ჩემთვის უცხო ხილი. შინ თითქმის ყოველდღე თვალბდალურჯებული ვბრუნდებოდი. საოცარი ის იყო, რომ ჩხუბის წამოწყება რატომღაც მუდამ მე მიხდებოდა. ჩხუბში ჩემს მოწინააღმდეგეს ყოველთვის მე ვიწვევდი. სულ ასე მიწყობდნენ საქმეს, რადიან მათ რომ გამოვეწვიე, შეიძლება შემშინებოდა და გავპარულიყავი. ყოველდღე იმართებოდა ასეთი საინტერესო ორთაბრძოლა. ყველაზე თავშესაქცევი მაინც ჩვენი ჩხუბის ფინალი იყო ხოლმე. როგორც კი შეატყობდნენ სეკუნდანტები, რომ საკმაოდ ბლომად მომხვდა მუშტი და ის იყო სერიოზულად უნდა გავბრაზებულიყავი, მაშინვე ჩხუბს შეწყვეტდნენ. ეშინოდათ, ერთ მშვენიერ დღეს არ მომბიზრებოდა ყოველივე ეს და ამგვარი სერიის გამართვაზე უარი არ მეთქვა. ჩხუბს შეგვაწყვეტინებდნენ და ერთმანეთის გადაკოცნას გვავალბებდნენ. გამოგიტყდებით, ეს არც თუ ისე მსიამოვნებდა. საბედნიეროდ, დღეს მაინც ავციდი ამ უსარგებლო ხვეწნაკოცნას.

მდინარის პირას ვიწექი და მზეს ვეფიციხებოდი. უეცრად აფეთქების ხმა

გაისმა და ჰაერში წყლის სვეტები ავარდა. დავინახე, როგორ გადახტნენ წყალში ტრუსებისამარა ბიჭები. სამინივე წყნენ. გამალებით, ისროდნენ თევზებს ნაპირზე. ქვევით ვიდექი და ვხედავდი, როგორ მიჰქონდა წყალს დახოცილი თევზი, ძალიან დიდები და ძალიან პატარებიც — თითქმის ლიფსიტები; ყველას დაჰერას ბიჭები ვერ ასწრებდნენ. ბუჩქნარი მოკლეზე გადავჭერი და იქით გავიქეცი, საითაც ბიჭები თევზს ისროდნენ. მალე ტანსაცმელი დავინახე. ტანსაცმლის გვერდით ასაფეთქებლად გამზადებული რამდენიმე ბოთლი იდო. ბოთლებთან მივედი, სწრაფად ამოვაკაღე ფისტონები და წყალში გადავუძახე.

ბიჭებმა დამინახეს. შემინებულებმა წამით მიიხედ-მოიხედეს, მერე წყლიდან ამოცვივდნენ და მომვარდნენ.

— რას აკეთებ! — დამიყვირა ერთმა.

შევეყურებდი მათ გაბრაზებულ სახეებს და მეღიშებოდა. ნელ-ნელა მიახლოვდებოდნენ. მერე ერთმა ხელი მოიქნია და მუშტი ნიკაპზე მომარტყა. შევტორტმანდი. მაშინვე მეორეც მომხვდა. ცოტა ხნის შემდეგ სათვალავიც ამერია. ვაშმაგებით დამიშინეს მუშტები. წამოდგომა დავაპირე და წამოვიწიე, მაგრამ ნახევრადაც არ ვიყავი წამომდგარი, რომ ერთმა მათგანმა სახეში წიხლი ჩამარტყა. თვალთ დამიბნელდა და სახეზე ხელები მივიფარე.

— ეყოფა, — ჩამესმა ვილაციის ხმა.

— ეყოფა, — გაიმეორა მეორემ და თითქოს უნდა თავის ნათქვამში დარწმუნდესო, კარგად დამაკვირდა.

მერე საჩქაროდ აკრიფეს ნაპირზე ამოყრილი თევზი, ტანსაცმელს ხელი სტაცეს და გაიქენენ.

ფეხზე რომ წამოვდექი და იქაურობა მოვათვალიერე, შიგამჩნიე, რომ ჩემს ირგვლივ ისევ ბლომად ეყარა დახოცილი თევზი...

მაიხც რა მძიმე მუშტები ჰქონდათ იმ ლწირაყებს. ჯერ უღვაშიც არ ამოსალოოათ და ისეთი მძიმე მუშტები კი ჰქონდათ.

დღეს რაიონის ცენტრში ვიყავი.

პატარა ქალაქი, დაბიდან ოცდაათი კილომეტრით არის დაშორებული. წიგნის მაღაზიები მოვიარე და რამდენიმე წიგნი ვიყიდე კიდეც. მერე ქუჩებში ვინებთალე. ესეც მალე მომბეზრდა და ავტობუსების სადგურში წავიდი. ავტობუსის გასვლამდე მთელი ორი საათი იყო. იქვე მერხზე ჩამოვჯექი და დროის მოსაკლავად წიგნის ფურცვლა დავიწყე. ამ დროს ვილაკამ მხარზე ხელი დამადო. ავიხედე და ერთი ჩემი ნაცნობი დავინახე, სტუდენტალაქში ვხვდებოდი ხანდახან. არც გვარი მახსოვდა მისი, არც სახელი. ჩემი თანაკურსელი გოგონა მოსწონდა და იმის ხატოვით გამეცნო. ეგონა, ხელს შევუწყობდი, მაგრამ არაფერი გამოგვივიდა. გოგოს მისი დანახვაც არ უნდოდა.

— ვაჟა ხარ? — წამოიძახა გახარებული, — სად არ შეხვდები კაცს!

ხელი ჩამომართვა და გადამოკცნა.

— აქ რამ მოგიყვანა? — მკითხა მერე.

— შენ თვითონ რას აკეთებ აქ?

— ვმუშაობ, პროკურორის თანაშემწე ვარ.

— კარგი საქმეა, — ვუთხარი მე და უეცრად მისი სახელიც გამახსენდა, შალვა ერქვა.

შალვამ ხელი გამომდო.

— წამო, ლუდი დავლიოთ და ვისაუბროთ. რამდენი ხანია, არ მინახიხარ...

ქუჩა გადავჭერით და ლუდხანაში შევედით.

ლუდხანაში ტევა არ იყო. შალვა სალაროსთან მივიდა და ჟეტონებით ჯიბე გამოიტენა. მერე, როგორც იქნა, ჭიქებიც ჩავიგდეთ ხელში და ავტობოტთან რიგი დავიჭირეთ.

— შენ სად მუშაობ? — მკითხა შალვამ.

— ჯერ არსად, — მივუგე ყოყმანით, — ისე ვარ.

— ხომ დაამთავრე უნივერსიტეტი?

— როგორ არა, წელს დავამთავრე.

— კარგი გოგონები სწავლობდნენ თქვენთან.

— ის გათხოვდა, — წამომცდა რატომღაც.

— ვიცი, — გაიღიმა შალვამ, — სტუდენტული ვიყავი, ნეტა რა მომწონდა, მისი ბოლოს კი დაუჯდა ჭკუაში ჩემი წინადადება, მაგრამ ვერ მივართვი!

ტრაბახს ჰვავდა, მაგრამ წაუყურე: ძალიან კი აწვალა იმ გოგომ. ერთი წლის განმავლობაში ისე ჩამოახმო, მეცოდებოდა ხოლმე, რომ დავინახავდი. განა მართლა მიყვარს, უბრალოდ მომწონსო, ამბობდა; მაგრამ მშვენიერად ვატყობდი, რა დღეშიც იყო. ვუხსენებდი თუ არა მის სახელს; ხმა აუკანკალდებოდა და ბავშვივით აიღეწებოდა.

— ძალიან კი მოსწონდი ჩემს თანაკურსელებს, — ვუთხარი მე.

ტყუილი ვთქვი, რადგან მისი უღბლო სიყვარული გამახსენდა და მინდოდა რითიმე მესიამოვნებინა.

— მართლა? — შალვამ გაიღიმა და შეთხელეზულ ქოჩორზე ხელი გადაისვა. — მცვივა ეს ოხერი, — სთქვა და ქოჩორზე დამაკვირდა, — შენ არ გცვივა?..

— მე არა...

შალვას თითქოს ეწყინა.

— ჰო, მაინცადამაინც არც მე მცვივა, ისე, ცოტ-ცოტა.

— არ გაგცვივა, ნუ გეშინია.

— მართლა მაქებდნენ შენი თანაკურსელები?

— ძალიან გაქებდნენ.

— შენც ძალიან გაქებდნენ, — სთქვა შალვამ, — ბრწყინვალედ იცის ინგლისური. მოთხრობებსაც თარგმნისო... არ გაგანაწილეს სადმე?

ამ დროს ჩვენი რიგიც მოვიდა. ჭიქები ავავაეთ და წინ დავიდგით.

— აქვე, დაბაში, — მივუგე მე, — ინგლისური ენის მასწავლებლად...

— რას ამბობ?

— დედას გეფიცები.

— მერე მიდიხარ?

— სექტემბრიდან უკვე მასწავლებლობას შევუდგები.

შალვამ გამოცდილი გამომძიებლის მომუნსხავი მზერა მომაპყრო. ერთ ხანს

გიორგი კეჭალმაძე  
მეთორმეტე ხარი



ასე მათვლიერა. მერე ვიგრძენი, როგორ შევებრალები. კათხა დადო, ხელი მხარზე მომიტათუნა და ხმადაბლა მითხრა:

— მასწავლებლობა ბევრი არაფერია, მაგრამ შენ ჰქვიანი კაცი ხარ, მალე ალბათ დირექტორი გახდები.

ამასობაში კათხები დავცალეთ და ისევ დავიკავეთ რიგი ავტომატთან.

— კაცი წინ უნდა მიდიოდეს, — განაგრძო შალვამ, — აუცილებლად უნდა გახდე დირექტორი.

— თავს მოვიკლავ, — ვუთხარი მე, — რამდენიმე თვეში დირექტორი რომ არ გახდები.

— უნდა ეცადო, ცხოვრება ბრძოლაა... ჰო, მართლა, ასე აღრე რამ ჩამოგიყვანა. აკი ოც ავვისტომდე თავისუფალი ხარ.

— ცხოვრება ბრძოლაა, — ვუთხარი მე, — წარმატებით რომ იბრძოლო, კარგი მზვერავებიც უნდა გყავდეს... ამჟამად მეც დაზვერვაზე ვარ.

— ო, ეს მომწონს, კარგია, კარგია, — შალვამ ისევ დააპირა ჩემთან მოსვლა და მხარზე ხელის მოთათუნება, მაგრამ ვიღაც წინ გადაედობა და ამ განზრახვაზე ხელი ჩაიქნია. ისევ დავცალეთ კათხები.

— მართლა პროკურორის თანაშემწე ხარ? — შევეკითხე მე.

— ჰო, ჯერჯერობით.

— პროკურორი უნდა გახდე, — ვუთხარი და მოხერხებული შემთხვევა აღარ დამიკარგავს, ღონივრად დავკარი მხარზე ხელი, — აუცილებლად უნდა გახდე პროკურორი.


— კაცი წინ უნდა მიდიოდეს, — სთქვა შალვამ და მხარზე დაიხედა, ლუდიანი ხელი ხომ არ შემამშრალაო, — ისე ცხოვრებას რა ფასი აქვს.

— ისე კაპიკია ცხოვრების ფასი.

როგორც იქნა, გაგვითავდა ყეტონები. შალვამ შემომხედა, ისევ ხომ არ ავიდოთო.

— არა, მეტი აღარ შემიძლია, — ვუთხარი და ამის უტყუარ საბუთად ხელი მუცელზე დავიდე, მთლად გაჭყეპილი ვარ-მეთქი.

ლუდხანიდან გამოვედით.

— ო, რა ამინდია, კაცო! —  ბით წამოიძახა შალვამ.

— საუცხოო ამინდია, — მივუგე მე.

— ჩუმად, — სთქვა უცებ და სადაც იდგა, იქვე გაშეშა. ჩვენს გვერდით მაღალმა, სქელმა კაცმა ჩაიარა. შალვა ჩემკენ გადმოიხარა და ჩურჩულით მითხრა, პროკურორიაო.

— რატომ არ მოგესალმა?

დღეს უკვე შეგხვდით ერთმანეთსო, მითხრა, მერე ბოდიში მოიხადა, გადაუღებელი საქმე მაქვს, უნდა დავეწიოთ. მეც გამაცანი-მეთქი, ვუთხარი. ამაზე ცოტა შეყოყმანდა, მაგრამ უარის თქმა გაუჭირდა. მერე სთქვა:

— წამო მაშინ, ჩქარა დავეწიოთ.

პროკურორს ზედ ხიდთან წამოვეწიეთ. შალვა მისკენ გაემართა და რომ შენიშნა, პროკურორმა დამინახაო, გაიღიმა და აღტაცებით აღმოხდა:

— რა ამინდია, ბატონო გრიგოლ, რა დიდებულები ამინდია!

— კარგია, — სთქვა გრიგოლმა.

— შესანიშნავი მოსავალი იქნება წელს, — განაგრძო შალვამ, — თქვენ როგორ ფიქრობთ, ბატონო გრიგოლ?

— იქნება, — მოწყალედ სთქვა პროკურორმა.

— იცნობდეთ, ეს ახალგაზრდა პედაგოგია. შესანიშნავად ფლობს ინგლისურს, ფრანგულს, გერმანულს, ესპანურს, იტალიურს...

პროკურორმა ხელი ჩამომართვა და ყურადღებით შემათვლიერა.

— სად მუშაობთ?

— საშუალო სკოლაში, ინგლისური ენის მასწავლებლად.

— კარგია, — სთქვა პროკურორმა და ეჭვით შეგავლო თვალის ჯერ მე და მერე თავის თანაშემწეს.

— უპატრავად, — ვთქვი და საათს დავხედე, — ავტობუსს უნდა მივუსწრო, კარგად ბრძანდებოდეთ.

— კარგად, — სთქვა გრიგოლმა და ხელი ჯიბეში ჩაიყო.

— ნახვამდის, — მითხრა შალვამ და მანაც მარჯვენა ხელი ჯიბეში ჩაიყო.

ნახევრად გაწვდილი ხელი გაშეშებულ-  
ლი დამრჩა. მაშინვე გამოვბრუნდი.

ჩემს ოთახში აქარლები ცხოვრო-  
ბენ. მოხუცი რევმატიზმით ყოფილა  
ავად, აბანოზე სამკურნალოდ ჩამო-  
სულა და ჰასანაც თან წამოუყვანია.  
მოხუცი დაღამებისთანავე წვება და  
სინათლე ჭირის დღესავით ევაჯვრება.  
ლოგინში წრიალებს, ბორავებს. საბანს  
თავზე წაიხურავს, მაგრამ დაცხება და  
მკლე ისევ გადაიხდის. მერე ბუზლუნს  
იწყებს და ბოლოს მოურიდებელ ლან-  
ძღვაზე გადადის.

ჰასანას სულ ჭადრაკი უჭირავს ხელ-  
ში და ფეხდაფეხ დამდეგს, მესამე თან-  
რიგი მაქვსო, მეუბნება; ვერ იქნა,  
ღირსეულ პარტნიორს ვერ ვეთამაშეთ.  
ვგრძობოდი, მეც მომიგებდა და აზიტომ  
მასთან თამაშს თავს ვარიდებდი. ბო-  
ლოს მაინც თავისი გაიტანა და მი-  
ძულა მეთამაშა. მალე წაავაგე. ჰასანას  
ჯერ გაეხარა. მერე დაღონდა, ფიგურ-  
ები კოლოფში ჩაჰყარა და ჩემოდანში  
შეინახა. აღბათ სამუდამოდ დაჰკარგა  
ღირსეულ მეტოქესთან შეხვედრის იმე-  
დი. თუმცა მე მაინც ძალიან ვუყვარ-  
ვარ. ყოველ შემთხვევაში, წამითაც არ  
მცილდება; სულ მიმტკიცებს, ერთი  
ბიძაშვილი მყავს, ძალიან წაგავავს და  
ისიც ყოველთვის ასე მელაპარაკებაო.

დღესაც, როგორც იქნა, გავებარე,  
ქუჩაში გამოვედი და სასადილოსაკენ  
გავემართე.

სასადილო დაბის ცენტრშია, საერთო  
საცხოვრებლის გვერდით. მოპირდაპირე  
მხარეს საპარკმახერო და გაზეთის  
კოსკია.

მაგიდასთან ვიჯექი და ვსადილობდი.  
ჩემს გვერდით დაბალი, სქელი კაცი  
იჯდა და სწრაფად აცარიელებდა წვნი-  
ანით სავსე თეფშს. კაცს კომბინეზონი  
და ჩექმები ეცვა. ტანზე ნავთის სუნი  
ასდიოდა. როგორც ეტყობოდა, ნავთის  
გამყიდველი უნდა ყოფილიყო. ამ დროს  
სასადილოში პარკმახერი შემოვიდა,  
ყურადღებით მოათვალიერა იქაურობა  
და თავისუფალი მაგიდა რომ ვერ დაი-  
ნახა, ჩვენთან მოვიდა.

— რაა, პავლია, — მიმართა ჩემს  
გვერდით მჯდომს, — სულ ნავთის სუ-  
ნით რომ ხარ გაყენითილი? მაგნიტულ  
გაზრდას მაინც ნუ გაუფუჭებ ჭამის  
მადას.

პავლიამ ჭამა შესწყვიტა და ტანზე  
დაიხედა.

— რა ვქნა, კაცო, მართლა უხერხუ-  
ლია, მაგრამ მაგისთვის ახლა ტანსაც-  
მელს ხომ ვერ გამოვიცვლი...

თან ისე შემომხედა, თითქოს ბოდიშს  
იხდისო. მეც შევხედე და გავუღიმე  
ნიშნად იმისა, რომ ნავთის სუნი სულაც  
არ მაწუხებდა. პარკმახერი ჩვენს მა-  
გიდასთან აპირებდა დაჯდომას, მაგრამ  
ამ დროს გვერდით მაგიდიდან ვიღაც  
აღდა და მაშინვე იქით გაემართა, თან  
ოფიციალტ ქალს დაუძახა:

— ჩქარა, ანიკო, ხედავ, რამდენი კა-  
ცი მელოდება?

ქალმა საპარკმახეროსაკენ გაიხედა.  
იქ, გრძელ მერხზე ორი ბიჭი იჯდა.  
ისინი მოუსვენრად აცეცებდნენ თვა-  
ლებს და რაღაცაზე ვაცხარებით კამა-  
თობდნენ.

— დაიცდიან, — სთქვა ანიკომ და  
ბუფეტისაკენ გაემართა. ახალგაზრდა,  
ტანადი ქალი იყო.

— რა ლამაზია! — ჩურჩულით სთქვა  
მენავთემ და შემომხედა, — ცოტა თავ-  
ქარიანი რომ არ იყოს...

არაფერი მითქვამს. ანიკომ პარკმა-  
ხერს კერძი მიუტანა და ჩვენთან მო-  
ვიდა. მე მანეთიანი გავუწოდე და წა-  
მოვდექი.

მერე ქუჩაში გამოვედი, გაზეთის  
კოსკისაკენ გავემართე, სარკმელთან  
მივედი და ჯიბე მოვიჩხრიკე. ამ დროს  
კოსკს საშუალო ტანის კაცი მოუახ-  
ლოვდა. მას თეთრი, ტოტებგანიერი  
შარვალი და ასეთივე ფერის ხალათი  
ეცვა.

— ო, სალამა, პარტიკულულო მას-  
წავლებლო, — სთქვა გაზეთის გამ-  
ყიდველმა. მან სარკმლიდან ხელი გა-

გოორგი კეჭაღმაძე  
მეთორმეტე წარი

მოჰყო და მასწავლებელს მოწიწებით ჩამოართვა.

— გამარჯობა, ვანო, — მიესალმა მასწავლებელიც, კიოსკი მოათვალიერა, რამდენიმე ჟურნალს ხელიც შეახო და ზოლოს სთქვა: — გაზეთები მომეცი!

— ახლავე, ბატონო ანტონ.

გაზეთები პატარ-პატარა შეკვრად ეწყო თაროზე. ვანომ ყოველი შეკვრიდან აუჩქარებლად გამოაძრო თითო გაზეთი და მასწავლებელს მიაწოდა.

— ინებეთ, ბატონო...

ანტონმა გაზეთები გამოართვა და ფული მიუთვალა. მერე იქვე შეუღბა კითხვას.

— დაამთავრეთ სასწავლო წელი?

— დავამთავრეთ, — მიუგო ანტონმა და გაზეთი გაშალა.

— არსად მიბრძანდებით დასასვენებლად?

— წავალ სადმე ოციოდე დღით.

მასწავლებელმა მეორე გაზეთი გაშალა და ახლალა დამინახა. სარკმელს მოსცილდა. შემდეგ ნელა, კოჭლობით გაემართა საპარკიმანეროსაკენ. სარკმელთან მივედი და თაროს მძიმედ დავეყრდენი. მერე გაზეთები მოვათვალიერე.

— გამარჯობა, ვანო ბიძია, — ვთქვი ცოტა მოგვიანებით.

— გაგიმარჯოს.

კიოსკი ერთხელ კიდევ მოვათვალიერე. ერთ-ორ ჟურნალსაც შევახე ხელი და თაროზე ათკაპიკიანი დავდე. ვანო დამაკვირდა, გაზეთები გამოაძრო და გადმომიწყო. მერე ისევ დამაკვირდა და მკითხა:

— ვერ გიცანი რაღაც...

— ვერც მე...

— ჰოო, — ვანო ჩაფიქრდა, თითქოს რაღაცას იხსენებსო.

— ვიცნობდეთ ერთმანეთს, — ვუთხარი და ხელი გავუწოდე, — ვაჟა მქვია.

— ვანო, — სთქვა მან და ხელი ჩამომართვა.

— ვანო ბიძია, „საბჭოთა ეკრანს“ შემინახავ?

ეს ისე ვთხოვე, დასაახლოებლად,

თორემ ვიცოდი, ჩემს თხოვნას მაშინვე დაიფიქრებდა. ეს კი მქონდა მაინც მხოლოდ. თბილისში ყველა ვიწროსა და ჩამოვივლიდი და თითო თხოვნას ყველა გამყიდველს ვუტოვებდი. ზოგს „ფეხბურთის“ შენახვას ვთხოვდი, ზოგს — „ოგონიოკის“, ზოგს „სმენის“; დიდი ამბით დამპირდებოდნენ. ზოგჯერ იქვე გადმომიწობდნენ, აგერა მაქვს, წაილე, რამდენიც გინდაო, რაზედაც თავაზიანად უარს ვეტყობი, ემ არა, შემდეგი ნომერი-მეთქი. მერე კი, ხელმეორედ რომ ჩამოვივლიდი, სწორედ ის შესახებებული ნომერი დამხვდებოდა გაყიდული.

— კი, კაცო, — მითხრა ვანომ, — ეგ რა დიდი საქმეა.

— „ფეხბურთიც“.

— მაგაზე გაწყენინებ?

— ის კაცი მართლა მასწავლებელია?

— კი, პედაგოგია.

— რას ასწავლის?

— რუსულს.

— ჰოო, იმიტომ მიეცი იმდენი რუსული გაზეთი?

— სულ რუსულ ჟურნალ-გაზეთებს კითხულობს.

— კარგად იყავით.

— ნახვამდის.

ანტონს იმ დღეს ერთხელ კიდევ შევხვდი. გოგირდის აბანოსთან ხიღზე იდგა, ხელში სიგარეტი ეჭირა და სრესდა. თან მდინარეს დასცქეროდა. გვერდით რომ ჩავუარე, შემაჩერა:

— ასანთი ხომ არ გაქვთ?

— არა, არ ვეწევი.

ანტონმა სიგარეტის სრესა განაგრძო. არც მე მივდიოდი. ერთ ხანს ვლუმბდით. მერე ვკითხე:

— ბატონო ანტონ, თქვენ მასწავლებელი ბრძანდებით?

გაოცებით შემოხედა. მერე თავი უსიტყვოდ დამიქნია.

— რას ასწავლით?

— რუსულ ენას.

მერე კარგა ხანს ვიდექით ხიღზე და ხმას არ ვიღებდით. ხიდის მოაჯირს



დავეყრდენი და წყალს დავაკვირდი. წყალი წმინდა იყო. მდინარე ნელი ჩხრიალით მიედინებოდა. ალაგ-ალაგ პატარა თევზები მოსჩანდნენ. ანტონმა შემომხედა და რომ შემატყო, წასვლას არ აპირებდა, მითხრა:

— წამოდი, გავიაროთ.

— გავიაროთ, — მივუგე გახარებულმა.

ხიდზე გავედით. აბანოებს ჩავუარეთ და კვლავ ნაპირისაკენ გავუხვეეთ. ანტონი წინ მიაბიჯებდა. კოჭლობდა. ხელში ისევ სიგარეტს აწვალებდა. ცოტა ხნის შემდეგ მომიბრუნდა და მითხრა:

— იქ, ყანაში გლეხები არიან. იმათ ექნებათ ასანთი.

გაზ განვაგრძეთ. სიმინდის ყანაში შევედით და გლეხებისაკენ გავემართეთ. ოციოდე ნაბიჯზე რომ მივუახლოვდით, მაშინდა შევამჩნიეთ, რომ ისინი სუფრას უსხდნენ. ანტონი შეყოყმანდა. მერე უკან გამობრუნდა.

გლეხებმა დაინახეს და დაუძახეს:

— ბატონო ანტონ! ბატონო ანტონ!

— გავებით, — სთქვა მან და აშკარად დაიტყო წყენა, — მოუშობა დაუშობავრებით და ახლა პურმარაილობენ.

მე სულაც არ მწყენია, რომ გლეხები სუფრაზე გვეპატიებოდნენ.

— ბატონო ანტონ! — მოისმა ისევ.

— მივიდეთ, — მითხრა ანტონმა და ზელი ჩაიქნია, — ისეთი ხალხია, თუ არ დაგვათვრეს, არ გამოგვიშვებენ.

სუფრას ოთხნი უსხდნენ. ერთი მოხუცი იყო, გამხდარი და სუფთად წვერგაპარსული. თათრულად მოერთხა ფეხი. უშველებელი დოქი გვერდზე მოედგა, გვიყურებდა და კმაყოფილი იღიმებოდა. მეორეს, შუახნის, შავგვრემან კაცს ვაწკიპარტებული უღვაში ყურებამდე წვდებოდა. ისიც ჩვენ შემოგვყურებდა და შეთხლებულ თმაზე ზელს ისვამდა. მესამე მისი ძმა უნდა ყოფილიყო. სულ მას ჰგავდა. ეს იყო მხოლოდ, უღვაში არ ჰქონდა. მეოთხეს შევხედდი თუ არა, მაშინვე ვიცანი. ერთი იმათგანი იყო, გუშინ მდინარეზე რომ ვნახე. სულ ახალგაზრდა სჩანდა:

დიდი-დიდი ჩვიდმეტი წლისა ყოფილიყო. სახეზე შევატყვე, არც მას ვასკირებდია ჩემი ცნობა. შემხედა თუ არა, გაწითლდა და თავი დახარა. მერე მგონი, თავი არც აუწევია, არც არაფრისთვის დაუქარებია ხელი სუფრაზე.

— სალამი, — სთქვა ანტონმა და დაჯდა.

— გამარჯობათ! — მივესალმე მეც და სუფრა ყურადღებით მოვათვალიერე: ბლომად ეწყო ქართული პური, მოხარული თევზი, ქათამი, ყველი. უღვაშიანმა ჭიქები მოაგროვა და წინ დაგვიწყო, რომ ჯარიმა დაგველია. ჯარიმას ნუ დაგვაღვევინებთო, შეეხვეწა ანტონი. მეც ვანიშნე ხელით, ჯარიმა ნამეტანი იქნება-მეთქი. უარმა არ ვაჭრა. ჭიქები დაგვაცლევინეს. მშვენიერი ღვინო იყო. მაღიანად ვილუკებოდი და თანდათან ჩინებულ გუნებაზე ვდგებოდი. გლეხები ჩვენი მისვლისას უკვე შეზარხოშებულნი იყვნენ, ახლა კი უფრო მოეკიდათ ღვინო. ჩვენც მალე შევთვევით.

— რა გემრიელი თევზია! — წამოვიძახე ალტაცებულმა, — ალბათ ამ ყმაწვილის დაჭერილია. პირდაპირ გაოცებული ვარ, ისე მარჯვედ იჭერენ აქ ხელით თევზს.

ამ სიტყვების გაგონებაზე ბიჭმა, როგორც იქნა, თავი ასწია და თვალები დამიბრიალა, თუ კრინტი დაგიძრავს, უარეს დღეს დაგაყენებო.

— ზოგი კი რა უნამუსოდ ანადგურებს ამ ჩვენს სახალხო სიმდიდრეს, — განვაგრძე მე, — გუშინ, მაგალითად... შთაბეჭდილების შესამოწმებლად ბიჭს გადავხედე. მის თვალებში ახლა მუდარა დაღვინახე.

— ჰო, რა იყო გუშინ? — მითხრა მოხუცმა, — განაგრძე...

— ისეთი არაფერი, — მივუგე მე, — მგონი ვიღაცამ წყალში ლალუმი ააფეთქა.

უღვაშიანი ანტონს მიუბრუნდა, გავაცანი ეს ახალგაზრდა კაციო. ანტონმა

გოორგი კეჭალმაძე  
მეთორმეტე ზარი

მოკლედ დამახასიათა, კარგი ახალგაზრდააო. მერე გაიცინა და მხარზე ხელი დამკრა.

— ვინ ხარ შენ, ბიძიკო? — მკითხა მოხუცმა და მარცხენა ყურის ბიბილო ხელით წინ წამოსწია, ხმამალა მითხაროო. ჩამოსული კაცი ვარ-მეთქი, მიგუგე ყოყმანით.

— სამკურნალოდ? — იკითხა ულვაშინმა, — რევემატიზმი ხომ არ გაქვს?

— არა, რაღაც ამ ბოლო დროს კუჭი მაწუხებს-მეთქი. კუჭსაც უხდება ჩვენი აბანობიო, ჩაურთო მოხუცის ძმამ და კეფა მოიფხანა. უკვე ისე იყო მთვრალი, თვალები ებლიტებოდა.

— რა დროს შენი კუჭია, — მითხრა ულვაშინმა, — ღვინო გიყვარს ალბათ.

— როგორ არა, — მივუგე მე, — ღვინოსთვის ჭკუას ვკარგავ. მამაჩემიც არ მიყვარს ღვინოსავით.

— მამაჩემი არ მიყვარსო?! — წამოიძახა უცებ ულვაშინის ძმამ ისე, რომ გული კინადამ გადამიტრიალდა, მერე თვალები დამიბრიალა, — არ მიყვარსო?

— კარგი, კაცო, დაწყნარდი, — დაუყვავა ანტონმა, — უყვარს, აბა რა.

— მამაჩემი სიცოცხლეს მირჩევნია, — სთქვა ულვაშინის ძმამ და ხელი მკერდზე დაირტყა, მერე მუშტი მიწაზე დააბრაგუნა, — მამაჩემი ამ მიწასავით მიყვარს. აი, ეს მიწა მამაჩემი; ხსოვნა იყოს!

— ხსოვნა იყოს, — ვუთხარი გულაჩუყებულმა.

— ჩვენს მიწას გაუმარჯოს, — სთქვა უცებ მოხუცმა, — ამ ყანას გაუმარჯოს!

დაისხა და სწრაფად გამოცალა. გაუმარჯოსო, გაიმეორეს სხვებმაც და მათაც დასცალეს ჭიქები.

— ჩვენს საყვარელ მიწას გაუმარჯოს! — წამოვიძახე მაშინვე, თან ჭიქას ორივე ხელი ვტაცე, — მე გავიყვებით მიყვარს მიწა, ეს ყანაც მიყვარს, ეს სიმინდიც, მამაჩემს სიცოცხლეს ურჩევნია მიწა და მეც მთლად მას დავემსგავსე.

ჭიქა რომ დავცალე, გრძნობა უფრო მომერია. ერთი გამხმარი, მოზრდილი

გოროხი ავიღე და მკერდზე მივიკარო მოხუცმა ხელი მომკიდა, ბიძიკო, ნემსი ტანი არც სიყვარული ვარგავს მათსა და ვაგიყვებო.

— ბევრი უკლია ვითომ ვაგიყვებას? — იკითხა ულვაშინმა და თანაგრძნობით გადმომხედა.

ბოლოს წამოვდექით და ერთმანეთს დავემშვიდობეთ. მე ვერასგზით ვერ გავიხსენე, ღამე სად უნდა გამეთია და ანტონმა თავის ბინაზე წამიყვანა. საწოლზე პირალმა გავიშხლართე და ჭერმაც მაშინვე ტრიალი დაიწყო. კედლებიც ტორტმანებდნენ. სანამ დამეძინებოდა, ყველაფერი ტრიალებდა, იმსხვრეოდა, ირწეოდა და ელვის სისწრაფით მიექანებოდა საღდაც სიბნელეში. შუალამე იყო, რომ გამომეღვიძა. საშინლად მწყუროდა. პირი ისე გამშრობოდა, ენა ნაფოტივით ეხახუნებოდა სასას. მერე ისევე ჩამეძინა და მესიზმრა, ვითომ ავდექი, სურა მოვძებნე და წყალი დავლიე. გაშმაგებული ვესამდი წყალს და წყურვილი მაინც ვერ მოვიკალი. სიზმარშივე ვივარძენი, რომ თუ არ გამოვიღვიძებდი და ნამდივლად არ დავლევდი წყალს, ვერაფერი მიშველიდა. წამოვდექი და მაგიდაზე ხელი მოვავათურე. ხელში ჯერ ხმელი გოროხი მომხვდა, მერე — სურა.

წყურვილი რომ მოვიკალი და ლოგინში ჩავწექი, დიდხანს ვფიქრობდი, რატომ უნდა ყოფილიყო მაგიდაზე გოროხი. იგი რაღაცას მაგონებდა და ვერასგზით ვერ მომეგონებინა, რას. ბოლოს, როგორც იქნა, გამახსენდა: გოროხი მე წამოვიღე, ყანიდან წამოვიღე. ერთი ძირი სიმინდი მოვთხარე და ისიც თან წამოვიღე. ნეტავი დავკარგე ის სიმინდი, თუ აქ დევს სადმე? ახლა იმაზე დავფიქრდი, მიყვარდა თუ არა მიწა. შეიძლება თუ არა გიყვარდეს კაცს მიწა ისე, რომ ხმელი გოროხი გულში ჩაიკრა? შეიძლება თუ არა?

შეიძლება, დავასკვნენ შემდეგ, ნამდვილად შეიძლება. მამაჩემია ასეთი კაცი. დიან, სწორედ მამაჩემია ასეთი. რამდენჯერ შევესწარი: ხელებით ეალერსებოდა ბალახს, სარეველასაც კი; ეფე-

რებოდა მიწას და ჩურჩხულბდა: „შენი ჭირიმე, შენი ჭირიმე...“ თითებით თხრიდა მიწას და ილიმებოდა, თვალები ბედნიერებით ევსებოდა, ტალახიც კი უყვარდა, წითელი, წებოიანი, გულის გამაწვრილებელი ტალახი, ჩემს სოფელში რომ იცის ხოლმე. იმ ტალახით შორსაა განთქმული ჩემი პატარა სოფელი. ვინც არ უნდა შეგხედოს, მაშინვე გამოიცნობს ტალახის მიხედვით, სადაურიცა ხარ. ჩემს ძმას კი ჭირივით ეჯავრება ტალახი. მას ასფალტი უყვარს, სუფთა ასფალტი. ჩემს ძმას ქალაქი უყვარს, სუფთად დაგვილი ქუჩები, გაკრიალებული და გაკაშკაშებული მაღაზიები, ვიტრინები, კინოთეატრები; ჩემი ძმა მუდამ ქალაქში გაქცევაზე ოცნებობს. და უცებ მივხვდი, რომ მე მართლაც ვგავდი მამაჩემს. შეილებიდან მხოლოდ მე ვგავდი მას.

ჰასანას მამამ უკვე შეგვაჩვია ადრე დაძინებას. დაღამდება თუ არა, შუქს აქრობს. სიბნელეში რაღა გაგვაძლებინებს; ჩვენც ვწვებით და ცოტა ხნის შემდეგ გვეძინება კიდევ. ერთ ხანს მე და ჰასანა საუბრით ვირთობდით თავს. მალე მამამისმა ესეც ავვიკრძალა; თქვენს ლაპარაკზე მეღვიძება და შემდეგ აღარ მეძინებო. ჩვენ ჩურჩხულზე გადავედით. აქაც მალე წაგვასწრო „ღანაშაულზე“. ბოლოს ჰასანამ ერთი გამოსავალი ნახა: შეატყობს თუ არა, მამაჩემმა უკვე დაიძინაო, ფრთხილად წამოდგება, თავის საწოლს ჩემს საწოლთან მოათრევს და ჩურჩხულს გამიბამს. წვეს და ცისა და ბარის ამბებს მიყვება. მე ერთ ხანს ვუსმენ, მერე კი მეძინება. ის მაინც ლაპარაკობს და ლაპარაკობს, სანამ ძილი თავს მასაც არ წართმევს. დილით თვითონ მიხდის ბოდიშს და თავიდან მიყვება ყველაფერს.

ჰასანა ახლაც ჩემს გვერდით წვეს, მაგრამ დღეს რაღაც ვერა ვარ მისი სულელური ამბების მოსმენის გუნებაზე. უცებ ლაპარაკი შესწყვიტა და მკითხა:

— რა გტკივა?

— არაფერი არ მტკივა, — მივუბნე მე, — ისე, მეძინება.

— მითხარი რა გტკივა...

— კბილი მტკივა, — მივუხე მე, — კვდები კაცი, შენმა ლაპარაკმა ხომ მთლად მომიშალა ძარღვები.

— ექიმთან ვერ წახვალ?

— ახლა?.. ახლა სად ვნახავ ექიმს.

— ჰოო, მართლა, — სთქვა ჰასანამ და თანაგრძნობით ამოიხრა. მერე კარგა ხანს ხმა არ ამოუღია, თუმცა არ ეძინა, — სუნთქვაზე და საწოლის ქრიალზე ვატყობდი. არც მე მეძინებოდა. მართლაც ძალიან მტკიოდა კბილი.

— იცი, რაზე ვფიქრობდი? — მკითხა ჰასანამ.

— ვიცი...

— აბა?

— შეყვარებულზე, — ვუთხარი მე.

— არა მყავს შეყვარებული, — სთქვა ჰასანამ, — რობინზონზე ვფიქრობდი.

— რობინზონზე? — გამიკვირდა მე, — რა დროს რობინზონია!

— რამდენ ხანს იცნოვრა კუნძულზე, გახსოვს? კბილი კი ერთხელაც არ წამოსტკენია. რა ეშველებოდა, კბილი რომ ასტკენოდა, ის ნახავდა ექიმს?

— სად ნახავდა ხან უბედურის, — დავუდასტურე მე, — კიდევ კარგი, ჩემსაკით უიღბლო არ ყოფილა.

— შენ რა გიჭირს, — სთქვა ჰასანამ, — ადგები ხვალ, მიხვალ ექიმთან. მართლა ძალიან გტკივა?

— ცოტ-ცოტა...

— მართლაც რა უცნაურია, განაგრძო ჰასანამ, — ოცდათორმეტი კბილიდან იმდენი ხნის განმავლობაში ერთიც არ წამოსტკენია.

— მე რომ ვყოფილიყავი, ოცდათორმეტივე ამტკივდებოდა.

— ზოგჯერ მაინც კარგია, როცა რამე აგტკივდება, — სთქვა ჰასანამ, — მისმენ?

— გისმენ, ჰო.

— შარშან, მეცხრეში რომ ვიყავი, დირექტორმა ერთი მწერლის საიუბი-

---

გიორგი კეჭალაძე  
მეთორმეტე ზარი



ლო სადამოზე ნახევარსათიანი სიტყვის თქმა დამავალა სოფლის კლუბში, იმდენი ხალხის წინაშე. შიშით გული ისე ამიძგერდა, ხმის ამოღებაც ვერ მოვახერხე. დირექტორმა კი იფიქრა, გაეხარდაო და მხარზე ხელი დამკრა, ყოჩალი ბიჭი ყოფილხარო. სწორედ იმ დროს, სცენაზე რომ უნდა გამოვსულიყავი, თავი ამტკიცდა. მანამდე ჩემს დღეში თავი არ ამტკიცნია. ამან ისე გამაბრაზა, იმხელა მოხსენება სულ ზეპირად ჩავარაკრაკე. ერთი არ ავღელვებულვარ. ანკი რა ამაღელვებდა, ტკივილისაგან თავი მისკდებოდა.

— კარგ დროზე უშველია, მაგრამ მე მაინც მიჩრჩენია, ახლა არ მტკიოდეს კბილი.

ამის შემდეგ ჰასანას ხმა არ ამოუღია. ალბათ ისევ რობინზონზე ფიქრობდა. ამ ფიქრში მალე ჩაეძინა. პირველად იყო, დაძინება რომ დამასწრო...

ექიმი ფანჯარასთან იჯდა და ფრჩხილს იჩიჩქნიდა. მარტო იყო. ჰაერი წამლის სუნით იყო გაქუნთილი. კბილის საბურღავ მანქანას თვალი შევავლე და წამით მომეჩვენა, რომ ტკივილმა გამიარა. ექიმმა ფეხის ხმა გაიგონა და შეწუხებული სახე ჩემკენ მოაბრუნა, თითქოს ამბობდა, მაცალეთ ერთი, ვერა ხედავთ, საქმეს ვაკეთებო. მერე თითქოს თვალს არ უჯერებსო, კარგა ხანს მიყურა. ბოლოს გაიღიმა და მკლავგაშლილი ჩემკენ წამოვიდა.

— შენ ხარ, კაცო, კბილის ექიმი? — ვკითხე მისუსტებული ხმით.

— აქ რა ქარმა გადმოგაგდო? — მეცა იგი და შემანჯღრია.

— მართლა შენ ხარ კბილის ექიმი?

— აბა რა ვარ, კაცო, ვერა ხედავ?

— მიშველე ახლა, ვკვდები კაცი!

სკამზე დამსვა. ნიკაპზე ხელი ჩამავლო და სთქვა:

— გააღე პირი.

პირი გავაღე.

— უფრო... ოო, სულ წასულა ეს კბილი ხელიდან, პლომბის გაკეთებაც აღარ ეწყობა.

— ა?

— ამოვიღო თუ?

— ამოიღე, რა ჯანდაბად მინდა, აბა... მოკვდი კაცი... ოჰო... ჰო!..

მალე ჩემი მტანჯველი კბილი ამოვიღე და ცნობისმოყვარეობით ვათვალე რეზი. ექიმი დივანზე ჩამოჯდა და მითხრა:

— ახლა მაინც მიაბზე, რა ქარმა გადმოგაგდო.

— არ გამაზხელ? — ვკითხე მე.

— როგორ გეკადრება... ძველი მეგობრები არა ვართ?

— საშუალო სკოლაში მასწავლებლად გამომგზავნეს.

— მასწავლებლად?

— ჰო, ინგლისური ენა უნდა ვასწავლო.

— რამ გადაგრია, კაცო, აქ რამ მოგიყვანა?

— შენ თვითონ რამ მოგიყვანა?

— ეშმაკმა. განაწილებით მოვედი და მეორე წელია აქ ვიტანჯები. ვერა-გზით ვერ დავიძვრინე თავი. წარმოგიდგენია? თბილისში ბინა გქონდეს და ამ ტალახში იხრჩობოდე?

— საშინელებაა, — კვერი დავუქარი მე.

— უფრო მეტიც... ერთი რუსთაველზე გამასეირნა და მერე მომკლა. რა გოგოები დადიან რუსთაველზე, ეჰ!

მე ისევ ჩემს კბილს ვათვალე რეზი. დრძილი მტკიოდა და, ჰასანასი არ იყოს, რატომღაც რობინზონი გამაზხენდა, თავის მშვენიერ კუნძულზე რომ იჯდა და არც კი იცოდა, რა იყო კბილის ტკივილი. მერე ჩემი თანამოსაუბრე წარმოვიდგინე იმ კუნძულზე დანამდვილად შემებრალა.

— დროზე უშველე თავს, — განაგრძობდა იგი, — მეგობრულად გირჩევ... კარგი მინდა შენთვის. ინგლისური ენის მცოდნე თბილისში თავს ვერ ირჩენ?

წყნარად ვიჯექი და მოთმინებით ვუსმენდი.

— დავაბიჯებ ამ გამოყრუებულ დაბაში და ვარ ასე მთელი წელი. კინოში-ოკი წლის წინანდელ ფილმებს აჩვენებენ. თეატრი აქვთ და წელიწადში ერთხელ თუ დადგამენ რამეს. ბაოია და ბავშვიანი ქალებითაა სავსე. ერთ გო-

გოს ვერ დაინახავ, რომ გამოელაპარაკო და გული გადააყოლო.

ჩემი ნაცნობი კბილის ექიმი კაი ოცდათხუთმეტი წლის კაცი გახლდათ.

— ცოლი შეირთე, — ვუბრუნე მე.

— გაგიჟდი? აქ ცოლს შეირთავს ჰკვიანი ადამიანი? აი, თავს რომ დავიძვრენდე და თბილისში წავიდოდე, იქ კიდევ შეიძლება იფიქროს კაცმა ამ საქმეზე.

— თბილისში რა უნდა გააკეთო? იქ თითო კბილზე თითო ექიმი მოდის.

— ო, იქ საქმეს კი ვიშოვი... ბოლოს და ბოლოს ასპირანტურაში შევალ.

— ასპირანტურა კარგია, — ვუთხარი მე, — მერე ალბათ სულ მეცნიერებს დაადრობ კბილებს, არა?

— ეჰ, მეცნიერებს სადღა აქვთ, ძმაო, კბილები. ასპირანტურაშიც რომ არ შევიდე, არაფერი მიჭირს, ნუ გეშინია. საშუაოს როგორ ვერ ვიშოვი? მერე რა ხალხია ქალაქში: შეგნებული, ფულიანი. უბრალო პლომბის გაკეთებაზე ორ-სამ მანეთს ყველა გაჩუქებს. აქ კი... აქ ოცდაათმეტყვე კბილი რომ ამოუღო კაცს, შეიძლება მაღლობაც არ გითხრას.

— იქ კბილის ამოღებაშიც იხდიან ფულს?

— ვინც შეგნებულია, იხდის, ყველა კი არა.

ხელი უნებურად ჯიბისკენ წავიდე.

— როგორ გეკადრება! — მეცა ხელში კბილის ექიმი, — შენგან ფულს ავი-

ღებ? ნუ გეშინია, ჩვენს შორის პატრისციემა არ დაიკარგება. აქ არა ხარ?

— ჰო, აქ არა ვართ? — დავეთანხმე გახარებულნი.

ექიმი წამოდგა. ოთახში გაიარ-გამოი-არა. სადღაც ერთი ცალი სიგარეტი ნახა, მოუკიდა და ისე ფრთხილად გააბოლა, მივხვდი, არ ეწეოდა. მერე ისევ მომიბრუნდა:

— ისე, ხელფასი კარგი გექნება.

— ჰო, ალბათ.

— მაგ სკოლაში სულ პარალელური კლასებია... შენს გარდა ვინმე სხვაც ხომ არ ასწავლის ინგლისურს?

— მგონი არა.

— მართლა, ახლა გამახსენდა. შარშან ერთი ქალიშვილი ასწავლიდა, თბილისელი. ასორმოცდაათი მანეთი ჰქონდა ხელფასი. ამდენი ფულის ხათრით კიდევ იმუშავენს კაცი.

— მერე რატომ წავიდა?

— წავიდოდა, აბა რა. თბილისელი გოგო აქ გაძლებდა? უჰ, კარგი ვინმე კი იყო. კინაღამ ცოლად შევირთე. მგონი შეყვარებული ჰყავდა თბილისში.

— ო, ძალიან შეგშლია ხელი.

— არა, ეს რომ გავიგე, აღარც მე მოვიწოდებ, სხვას რომ არ წაართვა, ცოტაა გოგო ქვეყანაზე?

კიდევ კარგა ხანს ვისაუბრეთ. ღრძილი ისევ მტკიოდა, მაგრამ ექიმი მანუგეშებდა. არაფერია, ხელად გაგიფლისო. მალე დავემშვიდობე და წამოვედი.

## თავი მეორე

გაზეთის კიოსკს მივუახლოვდი თუ არა, ვანომ მაშინვე დამინახა და სახე ღმილით გაიბადრა.

— ო, პატივცემულ ანტონს გაუმარჯოს! სალაში, ბატონო ანტონ. დილა მშვიდობისა, მასწავლებლო!

თუ კარგ გუნებაზეა, ვანომ სულ ასეთი ბარაქიანი მისალმება იცის, ცუდ გუნებაზე კი იშვიათად ნახავთ. ხელი გამომიწოდა და ჩამომართვა.

— სად ბრძანდებოდი, ბატონო ანტონ?

— ზღვაზე ვიყავი. — მივუგე მე, — ვისვენებდი.

— გეტყობა კიდევ, რაც დრო გადის, სულ უფრო ახალგაზრდავდები, მასწავლებლო. ოცდახუთი წლის ბიჭივით გამოიყურები, ეს თმა რომ...

გიორგი კეჭელაძე  
მეთორმეტე ზარი

— თმას ვიბარსაც ხოლმე, თორემ მეც ამომდის შენი თანა გრუხა ქოჩორი.

ვანოსაც გვარიანად ჰქონდა თავი მოტკელებილი.

— იწყება ხომ სასწავლო წელი?

— იწყება, — მივუგე მე, — ათი დღეც და...

— ჰო, დღეს ოცია, — სთქვა ვანომ და გაზეთები გადმომიწყო. ფული გადავიხადე და წამოვედი. გზადაგზა გაზეთები გადავთვალიერე. მერე დავკეცე და ჯიბეში ჩავიტენე.

სკოლაში უკვე თავი მოეყარათ მასწავლებლებს. ქალები მაგიდას შემოსხდომოდნენ და შინაურულად საუბრობდნენ. კაცები ფანჯარასთან შეგჯუფუფულიყვნენ. ჯერ მაგიდას ჩამოვუარე და ქალებს ხელი ჩამოვართვი, მერე ფანჯარასთან მივედი.

— ანტონი წელსაც ზღვაზე იქნებოდა.

— არ ეტყობა?

— სულ არ ბერდება ეს კაცი.

მამაკაცები სულ შვიდნი ვართ. ქალები გვჭარბობენ. კარგი ყველაფერი ცოტააო, ხუმრობს ამაზე ვახტანგი. იგი ფიზიკას ასწავლის. დირექტორსა და სასწავლო ნაწილის გამგეს თუ ჩავთვლით, მამაკაცების რიცხვი ცხრამდე აღის, მაგრამ ჩვენი პარტორგანიზაციის მდივანი — რეზო მათ არც ერთს კაცად არ თვლის.

— ახალი არავინ მოგვმატებია? — ვიკითხე მე.

— რუსული ენის მასწავლებელი მოდის თურმე ახალი, — სთქვა ქართლოსმა.

— განათლების განყოფილების გამგეს უთქვამს, — ჩაუბრუნა რეზომ, — ანტონი დაბერდა, მაგის გაკვეთილზე შესვება დანაშაულიაო.

ხუმრობდნენ.

— დირექტორთან იყავი? — ვკითხე ვახტანგს. — კაბინეტშია?

— იქაა.

დირექტორი და სასწავლო ნაწილის გამგე გულმოდგინედ ფურცლავდნენ რაღაც ქაღალდებს. ორივეს ხელი ჩამოვართვი. სავარძელში ჩავჯექი და

სიგარეტი ამოვიღე. „ვიბრძვით?“ მით მიბრუნდა სასწავლო ნაწილის გამგე. ხელით მანიშნა, სიგარეტი მომეცაო. „უნდა ვიბრძოლოთ“, დაუმატა, როცა სიგარეტს მოუყიდა. „ვიბრძვით“ — თედოს საყვარელი სიტყვაა. დღე ისე არ გავა, ათჯერ მაინც არ ვაიმეოროს, ვიბრძვით და ვიბრძვითო. ქაღალდების ფურცელს რომ მორჩნენ, დირექტორმა თავი ასწია და მითხრა, წელსაც ორი განაკვეთი გექნებათო.

— არ შემიძლია, — ვუთხარი მე, — აღარ შემიძლია. ხუმრობა ხომ არაა ყოველდღე ექვსის გაკვეთილის გადაცემა.

— რა ექნათ, — მომიგო თედომ, — სხვა გამოსავალი არა გვაქვს.

— უნდა ვიმუშაოთ, — დაუდასტურა დირექტორმა.

აღარაფერი მითქვამს. სიგარეტი ჩავაქრე და ისევ სავარძელში ჩავჯექი.

ნეტავი თუ გრძნობენ თვითონ, რა ძნელია ყოველდღე ექვსი გაკვეთილის გადაცემა; ყოველდღე, კვირიდან კვირამდე, თვიდან თვემდე, წლიდან წლამდე. ეს იმ გზას ჰგავს, დაუსრულებლად რომ უნდა იარო. წამითაც ვერ შეჩერდები, ვერ შეისვენებ; უნდა იარო ასე — სიცხეში, სიცივეში, მზეში, წვიმაში. ზოგჯერ სული გეხუთება, ფეხი აღარ გემორჩილება, მაგრამ მაინც უნდა იარო, რადგან დასვენების უფლებაც არა გაქვს...

კარი გაიღო და კაბინეტში მაღალ-მაღალი ახალგაზრდა შემოვიდა.

— შეიძლება? — იკითხა მან.

— მობრძანდით, — მიუგო დირექტორმა და თავი ასწია.

მაშინვე ვიცანი. ამ ბიჭმა ერთხელ ჩემთანაც კი გაათია ღამე. ერთად ვიქეიფეთ კოლმეურნეებთან ყანაში და მერე ვერაფრით ვერ მოიგონა, ბინა სად ჰქონდა. რა მალე დაითრო! დიდის ამბით გვიმტკიცებდა, მიწა გაგიყვებით მიყვარსო. ბოლოს უშველებელი გორბი წამოიღო და მოწიწებით დამიღო მაგიდაზე.

— თქვენთან გამომგზავნეს ინგლისური ენის მასწავლებლად.



მეგონა, სმენამ მომატყუა. მან ახლა შემნიშნა და ჩემკენ წამოვიდა.

— სალამი, ბატონო ანტონ. კარგად დაისვენეთ?

— აი, აქ ლაბრძანდით, — უთხრა დირექტორმა და სავარძელზე მიუთითა, — საგზური გაქვთ?

— ინებეთ.

— კეთილი. წელს დაამთავრეთ, არა?

— დიახ, წელს.

— რამდენი წლის ხართ?

— ოცდაერთის.

— ეს როგორ?

— ექვსი წლის ვიყავი, სკოლაში რომ შევედი. თქვესმეტისა უკვე სტუდენტი ვავხდი.

— ამხელა ბიჭები მეთერთმეტე კლასში გვყავს, — გაეღიმა თედოს.

— შარშანაც გვყავდა ერთი ახალგაზრდა მასწავლებელი, — სთქვა დირექტორმა, — ერთი წელი იმუშავა და გაიქცა. მაგრამ ჩვენი ბრალი არ იყო.

— რა თქმა უნდა, — გაიმეორა თედომ, — ჩვენი ბრალი არ იყო.

— თქვენც ხომ არ გაიქცევით? — ჰკითხა დირექტორმა.

— რა ვიცი...

— ჩვენთან არ გაგიჭირდებათ, — უთხრა თედომ, — დაგეხმარებით.

მერე ორივენი ერთად გამოვედით კაბინეტიდან და სკოლის ჭიშკართან კარგა ხანს ვიდექით.

— ათი დღეც და... — ვუთხარი მე, — რა ცარიელია ეზო, არა?

— მე ვერ ვგრძნობ, — სთქვა მან, — თქვენთვის ალბათ მართლაც ძალიან ცარიელია. ძნელია მასწავლებლობა?

— ძნელია, — მივუგე მე.

— ბევრია ოცდაათობმეტი საათი?

— ძალიან ბევრია, მაგრამ შენ ახალგაზრდა ხარ.

— პრაქტიკაზე დღეში თითოს ვატარებდით და მაინც ვიღლებოდით.

— პრაქტიკა სხვაა. იქ უფრო ძნელია.

სიგარაიჩი ამოვიღე და მოვუკიდე.

— მომწყინდა ასე, — წამომცდა ბოლოს, — როდის გავა ეს ათი დღე.

ბინა საერთო საცხოვრებელში მაქვს. ოთახი საკმაოდ დიდია და მაღალი. ჩემი ფანჯრიდან საპარკიმახერო ვაზის გაზეფის კიოსკი მოჩანს. გზის გაღმავლის ბალებია. შემდეგ კი მთები იწყება. მთებსა და ბალებს შორის მდინარე მიედინება, მაგრამ მე მის ზედაპირს ვერ ვხედავ, — ხეები ფარავენ. ჩემგან მარჯვნივ მოხუცი ქალი ცხოვრობს. იგი ერთ დროს ლიმონათის ქარხანაში მუშაობდა. ახლა პენსიონერია. პატარა მეურნეობა აქვს, ქათმებიც ჰყავს — კვერცხს ჰყიდის. მისი ერთადერთი მუშტარი მე ვარ. კვირაში ერთხელ კარზე მორიდებულად მომიკაკუნებს და თავაზიანად მკითხავს, კვერცხი ხომ არ გინდათო. უარს ვერ ვეუბნები და მასაც მაშინვე შემოაქვს ჯამზე დაწყობილი ოცი-ოცდაათი კვერცხი. სანამ მე ფულს ვეძებ, იგი ფრთხილად აწყობს მაგიდაზე კვერცხებს, თან მიმტკიცებს, უკეთესს მთელ დაბაში ვერ იშოვითო.

მეორე მეზობელი ცოლშვილიანი კაცია. აბანოში ცეცხლფარეშად მუშაობს. ჩემთან ყოველ საღამოს შემოდის ხოლმე. შემოსვლისთანავე მიაცილს მიუჯდება და წიგნების ფურცლას იწყებს. თან მეკითხება, ეს წიგნი საინტერესოა თუ არაო. თუ შეეუქმე, აუცილებლად წაიღებს. მოტანა, ცოტა არ იყოს, უძნელდება, რადგან წიგნი ხშირად ეკარგება და ძებნაში მე თუ არ დავეხმარე, ვეღარ პოულობს. დაკარგულ წიგნს ყოველთვის ერთად ვეძებთ. ხანდახან მისი ცოლიც შემოგვიერთდება და წიგნს ვპოულობთ ან კარადის უკან, ან საწოლის ქვეშ. ნირწამხდარი მეზობელი ენის ბორძიკით მოჰყვება თავის მართლებას, ახლა გამახსენდა, თვითონ შევინახე მანდ, ბავშვებს დაეუმალეო.

ჩემს პირდაპირ ბავშვიანი ქალი ცხოვრობს. ქმარს ადრე მიუტოვებია; ზოგი ამბობს, სულაც არ ჰყოლიაო. ყოველ შემთხვევაში, იმ კაცისაგან, ქმარი იყო თუ სხვა ვინმე, ძალიან ლამაზი და

გიორგი კეჭალმაძე  
მეთორმეტე ზარი

ჭკვიანი ვოგონა ჰყავს. თვითონ სასადილოში ოფიციატად მუშაობს. ხანდახან, დამლაშობით მის კარზე ჯერ კაკუნი, შემდეგ კი ეჭვისმომგვრელი ჩურჩული მესმის.

სასადილოდან რომ დავბრუნდი, უკვე დამე იყო. რადიომიმღები ჩავრთე, ისე რომ სინათლე არ ამინთია. და წამოვწეჭი. ცოტა ხნის შემდეგ კარი გაიღო, ოთახში ვიღაც შემოვიდა და მაგიდასთან გაჩერდა. ცეცხლფარეში იყო, ჩემი „მწიგნობარი“ მეზობელი. ვერასგზით ვერ ვასწავლე კარზე დაკაკუნება. კედელზე ხელი მოაფათურა და ჩამრთველი გადაატრიალა. სინათლე აინთო. თავი მოვიმჩინარე. მან რადიო გამორთო, მაგიდაზე სიგარეტის კოლოფი მოძებნა, ერთი ცალი ამოიღო და მოუკიდა. მერე წიგნების თვალეირებას შეუდგა. წამოვიწიე და ლოგინზე ჩამოვჯექი.

— გამარჯობა, გრიშა, — ვუთხარი დაუბატოციებელ სტუმარს, — ხომ კარგად ხარ?

— კარგად, — მიბასუხა და სკამი ჩემკენ მოაჩოჩა.

— ბავშვები როგორ არიან?

— ბიჭს სიცხე აქვს. ახლა კიდეც ის ორიანი, შენ რომ დაუწერე.

— კარგი ერთი, ნუ გადამაყოფე იმ ორიანს.

— ისე გითხარი, კაცო!

ჩემი მეზობლის ბიჭი მესამე კლასში სწავლობს. მეოთხე მეოთხედის ბოლოს მისი მასწავლებელი ავად გახდა და რუსული ენის სწავლება იმ კლასში მე დამავალეს. ბიჭს მთელი სამი მეოთხედი სულ ორიანები ჰქონდა და წლიური ნიშანიც ორიანი გამოუვიდა. იკუთვნოდა კიდეც. მუდამ იმას ვეზვეწებოდით, შემოდი, გამეცადინებ-მეთქი. ვერასგზით ვერ შემოვიტყუე ოთახში.

— კარგად დაისვენე?

— მშვენივრად.

— რაღა მშვენივრად. უცოლო კაცი ხარ. ქალები მოსვენებას არ მოგცემდნენ.

— რა ოცი წლის ბიჭი მე მნახე?  
— ანტონ, შეირთე ცოლი. არ მოგწე-  
ყინდა ასე ცხოვრება?

— საშინლად მომწყინდა.

— შეირთე მერე.

— ვინ შევირთო?

— მოვძებნით ვინმეს.

— ე. ბიჭო, მიშველე რამე!..

— ჩემს ცოლს ჰყავს ბიძაშვილი.

ორმოცი წლისაა, გაუთხოვარი. არც შენ ხარ ახალფეხადგმული. თხუთმეტი წლით ხარ უფროსი, მეტი რაღა გინდა?

სიგარეტი ამოვიღე და მოუუკიდე. მერე კოლოფი გრიშამ გამომართვა და მანაც ამოიღო ერთი ცალი.

— ამ კვირაში მესტუმრება, გაგაცნობ. გაზეთის რედაქციაში მუშაობს ლიტმუშაკად, ბინა აქვს და მარტო ცხოვრობს.

მე ვდუმდი.

— მარტო წარსულით ვერ იცხოვრებს კაცი, — სთქვა გრიშამ, — მომავალზეც უნდა იფიქრო.

ხანდახან ფილოსოფოსობს ხოლმე ჩემი მეზობელი, ტყუილად კი არ მიაქვს იმდენი წიგნი...

თინა სარკესთან იდგა და თმას ისწორებდა. სქელი, შავი თმა ბეჭებზე მძიმედ ეყარა, სარკეში ვხედავდი მის ვიწრო მხრებსა და მაღალ, თეთრ ყელს.

— სადმე მიდიხარ? — ვკითხე მე, თუმცა კარგად ვხედავდი, რომ მიდიოდა. ისიც მშვენივრად ვიცოდი, ვის უნდა შეხვედროდა.

— უნდა წავიდე, ანტონ, — სთქვა მან და სარკეში დავინახე მისი დიდი, ხალვლიანი თვალები, — არ შემიძლია.

— ხომ ხედავ, ყველაფერი გაბატოე... დავივიწყებ ყველაფერს, რაც აქამდე მოხდა. შენც დავივიწყე. თავიდან დავიწყეთ, სულ თავიდან.

— არ შემიძლია.

— ბავშვის გულისთვის მაინც.

თინა არაფერს ამბობდა. სარკის წინ მშვიდად იდგა და თმას ისწორებდა. მერე შემომხედა და სთქვა:

— რა საჭიროა, ანტონ; ან რატომ

უნდა მაპატიო? მე სულაც არ ვგრძნობ თავს დამნაშავედ. ან შენ რატომ უნდა დავიწყო ყველაფერი. რატომ უნდა მოვატყუოთ ერთმანეთი? გულის გამოცვლა არ შეიძლება. არც ყველაფრის დავიწყება შეიძლება. — თინა ნაწყვეტ-ნაწყვეტად ლაპარაკობდა, თითქოს სათქმელი თანდათან აგონდებო.

— ომი ისე დამთავრდა, — ვუთხარი მე, — ის კაცი უვანშმოდ ერთხელაც არ დაწოლილა, არასდროს ძილი არ მიკლებია. იჯდა თავის გასტრონომში და საუბრედ კარაქიან პურს მიირთმევდა.

— გეყოფა, — ცივად შემაწყვეტინა თინამ. ახლა მის თვალებში ზიზღი დავინახე.

— არა, არ გეყოფა... ვერ დავიჯერებ, ის კაცი ნამდვილად გიყვარდეს. არ შეიძლება მისი შეყვარება... არც მას შეუყვარდება ვინმე. ხომ ხედავ ცოლსაც არ ირთავს, რომ ბავშვებმა არ შეაწუხონ.

თინა დაბალ სკამზე დაჯდა და წინდების ჩაცმას შეუდგა. მერე კაბის კალთა აუჩქარებლად აიწია და წინდები გაისწორა. იგი უკვე აღარ იყო ჩემი ცოლი და ამის მეტად მაინც არ მერიდებოდა. უწინ უფრო რცხვენოდა; უწინ, როცა ჩემი ცოლი იყო.

— კარგად ვიცნობ იმ კაცს, — განვაგრძე მე, — არც შენ შეგიერთავს, რადგან შენისთანა, ვინ იცის, რამდენი ჰყავს.

თინა ფეხსაცმელს იცვამდა.

— ჩვენ ფრონტზე ვიყავით, ის კი ჩვენს ცოლებზე ნადირობდა. ვინ იცის, უხაროდა კიდევ, რომ მამაკაცები ფრონტზე ვიყავით. არჩევანი დიდი ჰქონდა. ცხადია, უხაროდა. ახლაც უხარია, რომ ამდენი ქალი დაქვრივდა.

თინა კართან მივიდა. მე დავასწორი და გასაღები გადავატრიალე.

— სისულელეს თავი დანებე, — მშვიდად მითხრა მან, — სისულელეს თავი დანებე, ანტონ.

ეს თინას საყვარელი ფრაზა იყო: „სისულელეს თავი დანებე“.

— არ წახვალ, — ვუთხარი და წინ გადავუდექი, — არსადაც არ წახვალ!

— წავალ!

— მოვკლავ! — წამოვიძახე უტყველად თავს გავუხეთქავ იმ... იმ...

მაშინვე მივხვდი, რომ ვერავის ვერ მოვკლავდი, არც არავის გავუხეთქავდი თავს. იმ მოკლე დროში, ჩემი დაბრუნების შემდეგ რომ გავიდა, უკვე მოვასწარი ამ ქალის შეძლება. ყოველ შემთხვევაში იმ წუთში ნამდვილად მძულდა, მძულდა მისი მშვიდი ხმა, აუჩქარებელი მოძრაობა, მისი სახე, თვალები, თმა, ერთ წამში ყველაფერი შემძულდა მისი.

— სისულელეს თავი დანებე, ანტონ! თინა აღარ იყო ჩემი ცოლი და ძლივს მივხვდი ამას. ძლივს მივხვდი, თუმცა იმ დღესვე მითხრა, როცა დავბრუნდი. იმ საღამოსვე, როცა ოთხი წლის განშორების შემდეგ თავდავიწყებით ვკოცნიდი — ვუკოცნიდი თვალებს, ტუჩებს, მაღალ ყელს.

— შენ გარყვნილი ქალი ხარ, — ვუთხარი და კარს მოვცილდი, — დღესვე წავიყვან იონას და წავალ...

— სისულელეა, — სთქვა მან და გასაღები გადაატრიალა, — ბავშვი ხეირიანად ვერც კი გიცნობს. სხვა მას ვერავინ მოუვლის.

— ხელს შეგიშლის.

მან შემომხედა და მაგრძობინა, რომ მიხვდა, რასაც ვგულისხმობდი; ისიც მაგრძობინა, რომ მისთვის სულ ერთი იყო, რას ვიტყოდ ან რას ვიგულისხმებდი. აქ ახალი არაფერი იყო. თინა წინათაც მუდამ ამ იარაღით მეტრძობდა — სიმშვიდითა და გულგრილობით და მამარცხებდა კიდევ. იგი ყველაფერს ანგარიშობდა იმ ადამიანის ცივი და აუღელვებელი გონებით, ვინც ბედმა დაიარა; ვინც ათასჯერ უკეთესი ხვედრის ღირსია, მაგრამ მაინც მოთმინებით იტანს ყველაფერს და სწორედ ეს მოთმინება აძლევს უდიდეს თვითდაჯერებასა და საკუთარი უპირატესობის გრძობას. დიახ, მისი აზრით, იგი გაცილებით უკეთესი ხვედრის ღირსი

გიორგი კეჭალაძე  
მეთორმეტე წარი



იყო; ყველ შემთხვევაში ჩემგან გაცილებით მეტს მოელოდა, როცა ცოლად მომყვებოდა. მას ადრე გაუტყდა ჩემზე გული, — ადრე, ჯერ კიდევ ომამდე, როცა სხვას ყველაფერს მასწავლებლობა ვამჯობინე და რაიკოში მოვიტხოვე, სკოლაში გამიშვით-მეთქი.

— შენ გარყვნილი ქალი ხარ, — გავიმერე მე, — აქ იონა შენსავით გაირყვნება.

— მე გარყვნილი არა ვარ... ეს შენც კარგად იცი. რაც მოხდა, მოხდა. ყველანი ადამიანები ვართ, მორჩა და გათავდა!

— ისიც არა? ის...

— ყველანი, — შემაწყვეტინა თინამ, — ყველანი: ისიც, შენც, მეც. ზოგი ცუდია, ზოგი — კარგი, მაგრამ ყველანი ადამიანები ვართ.

ამ სურათებმა ელვასავით გაირბინეს ჩემს თვალწინ ერთბაშად გამოვერკვიე, გრიშა ისევ ჩემს გვერდით იჯდა და წიგნს ფურცლავდა.

— ყველანი ადამიანები ვართ, — სთქვა მან და ისევ ამოიღო კოლოფიდან სიგარეტი, — ცხოვრება ხანმოკლეა, მაგრამ საკმაოდ გრძელი სიამისოდ, რომ ყველა უბედურება, რაც თავს დაგვატყდება, სიცოცხლის ბოლომდე ვზიდოთ. ზოგი რამ მალე უნდა დავივი-

წყეთ, რომ ცხოვრების გზაზე ხელი არ შეგვიშალოს, ფეხებში არ გამოგვედლოს...

ნამდვილი ფილოსოფოსია ჩემი მეზობელი ცეცხლფარეში. იქნებ მართლა კითხულობს იმ წიგნებს, ჩემგან რომ მიაქვს? მალე ვახტანგს ღირსეული მეტოქე გამოუჩნდება...

— მოტოციკლეტს როდისღა ყიდულობ? — ვკითხე მე.

გრიშამ ცერად შემომხედა. მგონი, წამით ეწყინა კიდევ, სიტყვა ბანზე რომ ავუგდე. ძლივს ფილოსოფიურად მომართა თავისი აზროვნება და უცებ ასეთი შეკითხვა! მაგრამ შემდეგ მაინც მოტოციკლეტის ხსენებით გამოწვეულმა სიხარულმა სძლია... რამდენი ხანია ძარიან მოტოციკლეტზე ოცნებობს, — ჩანსვამს ცოლსა და ორ ბავშვს და ზაფხულობით სამოგზაუროდ გაეშურება.

— წელს აუცილებლად ვიყიდი, აუცილებლად!

— მეც გამასეირნებ? ვინ იცის, გადიდაცდე და ახლოსაც არ გამიკარო.

— რას ამბობ, კაცო, გეკადრება?..

მერე კოლოფიდან ორი ცალი სიგარეტი ამოიღო, ერთს იქვე მოუყიდა და ძილი ნებისა მისურვა.

## თავი მისამ

წუხელ ბაღში მერხზე განმარტობით ვიჯექი და ხალხს ვათვლიერებდი. თუმცა რა ხალხი იყო: რამდენიმე ბავშვიანი ქალი და მოზრდილი ბიჭები. ისინი, როგორც ჩანდა, ჩვენს სკოლაში სწავლობდნენ. გაცხარებით იქნევდნენ ხელებს. კაკლის ძირას იდგნენ და საუბრობდნენ. ყველა ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი ელაპარაკა. კარგა ხანს ვიჯექი ასე და იმ ბიჭებზე ვფიქრობდი. ისინი ან ვერ მამჩნევდნენ, ან განვებ მარიდებდნენ თვალს, ვითომდა საიდან უნდა ვიცოდეთ, ვინ ბრძანდებო. შეეს მპარაზებდა და ვცდილობდი წარ-  
21)

მომედგინა, როგორ გაშემდებოდნენ ისინი მერხებზე, ზარის შემდეგ კლასში რომ შევიდოდი. ვფიქრობდი იმაზე, თუ როგორ დავუწერდი ორიანებს, სამიანებს, იქნებ უფრო კარგ ნიშანსაც. როგორ გამოვიძახებდი დაფასთან და ოფლში გავწურავდი. აბა, ერთი თავი მოაბრუნონ გაკვეთილზე; აბა, მაშინ აქნიონ ასე ხელები და ილაპარაკონ ფეხბურთსა და ათას სისულელეზე! ასეთი ფიქრი მსიამოვნებდა. ის ამბავი კი, ბიჭები რომ არ მამჩნევდნენ, მაინც მალნიზიანებდა; დარწმუნებული ვიყავი, მშვენივრად მიცნობდნენ.

ბოლის ჭიშკართან ანტონმა ჩაიარა, დამინახა და ჩემკენ გამოემართა.

— გამარჯობა, — მითხრა მან, — პაემანზე ხარ?

— სალამი, ბატონო ანტონ. ფიჭით ვიყავი გართული, მომავალზე ვფიქრობდი.

— კარგია, — სთქვა ანტონმა და ჩემს გვერდით დაჯდა.

ერთ ხანს ჩუმად ვისხედით და მიდამოს ვათვალიერებდით. მერე ანტონი წამოდგა და მკლავში ხელი მომიკიდა:

— წამოდი, კინოსურათი ვნახოთ.

ხათრი ვერ გავუტეხე და გავკევი.

ანტონს ფილმი მოეწონა. დიდი გულსყურით უმზერდა ეკრანს. მე კი მალე მიდალატა გამძლეობამ და ნებისყოფამ. პირველ სერიაში თითქმის ყველაფერი დამთავრდა; მხოლოდ ერთი დიდი ქორწილი დარჩა გადასახდელი. რატომღაც ქორწილი არც მეორე სერიაში ჩატარებულა და ანტონი, ცოტა არ იყოს, უკმაყოფილო დარჩა.

— მაინც კარგი იყო, — სთქვა მან, როცა კლუბიდან გამოვედით.

— მაგარი ხალხია არაბები, — ვუთხარი მე.

— ო, ძლიერი ხალხია.

— ნამდვილად კარგი ნერვები ჰქონიათ, რაკი ამისთანა ფილმებს უძლებენ...

— არ მოგეწონა?

— მესამე სერია ალბათ უკეთესი იქნება.

— არ მოგეწონებია და ესაა! — დაასკვნა ანტონმა და ხელი გადამხვია, — მე კი ძალიან მომეწონა... თუმცა ბევრი ადგილი სუსტი იყო.

იმის შიშით, ანტონს თავისი აზრის მტკიცება არ დაეწყო, საუბარი მაშინვე სხვა თემაზე გადავიტანე. ბოლოს დავემშვიდობე და შინისაკენ გავემართე.

თორმეტი საათი იყო, შინ რომ დავბრუნდი. ბინა სასტუმროს გვერდით, ერთი მოხუცი ქალის სახლში მაქვს დაქირავებული. საერთო საცხოვრებელში მერჩინვა, მაგრამ იქ ჯერჯერობით ადგილი არ აღმოჩნდა. საბჭოს თავმჯდომარე დამპირდა, ერთ კაცს ვადას-

ვლა უნდა და როგორც კი გაანთავისუფლებს ოთახს, მაშინვე ჩავსახლებო.

ჩემს დიასახლისს სახელად მარტოვენი ჰქვია. ორი ქალიშვილი ჰყოლია. ორივენი ქალაქში ყოფილან გათბრვილი. ზაფხულობით ხშირად ჩამოდიან თურმე, მერე ზამთრის დადგომამდე რომელიმე შვილიშვილს დაუტოვებენ, რომ მოხუცმა გული გადააყოლოს. ახლაც ერთი ხუთი წლის ბიჭი ჰყავს სტუმრად. უცნაური სახელი ჰქვია — ლამზა. საკმაოდ უცნაური ბავშვიცაა. სულ ჩემს ოთახში მოძვრება და ათას რამეს მეკითხება. თუმცა ბებიამისი აფრთხილებს, ჭკუით იყავი, თავს ნუ მოაბეზრებ მაგ კაცს, თორემ ხომ იცი, მასწავლებელია და ყურების აწევაში ბადალი არა ჰყავსო. ბიჭი მაინც არ ეუბება და განუწყვეტილ ტიტინებს, წიგნები რატომ იყიდე, სად იყიდე, რატომ კითხულობ, მასწავლებელი რატომ ხარ, ყურების აწევა ვინ გასწავლაო. მეც მოთმინებით ვპასუხობ და ერთხელ დიდი გამომძიებლის ნიჭიც კი ვუწინასწარმეტყველე, რამაც ბებია და შვილიშვილი უზომოდ გაახარა. ლამზაც მეტი ენთუზიაზმით შეუდგა ჩემს დაკითხვას.

ისე კი, მართალი თუ გინდათ, მიხარია კიდევ მასთან საუბარი. ყველაზე უფრო ის მომწონს, ჩემი არაფერი რომ არ სჯერა. რასაც ვეტყვი, ყველაფერში ეჭვი ეპარება. სულ ჩემს ძმისწულებს ჰგავს — თეოსა და ვანიკოს. არც მათ სჯერათ ჩემი. თითქოს მამაჩემს ეჯიბრებიანო. სანამ სტუდბილეთი არ ვაჩვენე, მამაჩემს ისიც არ სჯეროდა, სტუდენტია თუ ვიყავი. მასწავლებელი ვარ-მეთქი, რომ განვაცხადე, ჩემიანები სიცილით კინაღამ დაიხოცნენ. თეო და ვანიკოც იცინოდნენ, შენ რა მასწავლებელი იქნები, შენისთანა მასწავლებელს ბევრს დაუჯერებენო! არ დამიჯერებენ და ყურებს ავახევ-მეთქი, ვუთხარი. აბა, როგორ? — მითხრა ვანიკომ. აი ასე-მეთქი და ყურზე ხელი ვტაცე. ტაცება ასე არ უნდაო, წამოიხახეს და ერთი

გიორგი კვჭალაძე  
მეთორმეტე წარი

ერთ ყურში მწვდა, მეორე — მეორეში. ამის შემდეგ დაბალ სკამზე დაჯდომა არ მიწერია. სულ ყურებისაკენ მოიწვევენ. ეგ კი არადა, ხანდახან, როცა ფეხზე ვდგავარ, სკამებს მოარბენინებენ, გვერდით დამიდგამენ, ზედ ახტებიან და სანამ მივხვდებოდე, თუ რას მიპირებენ, საყურებზე ვივით უკვე ყურებზე დამეპორწიალებიან.

ანტონი ერთ ოთახში ცხოვრობს. ოთახი საკმაოდ მოზრდილია, მაგრამ პატარა სიჩანს, რადგან ათასი ხარახურიტა აქვს გამოტენილი: საწოლი, მაგიდა, წიგნების კარადა, უშველებელი ნავთქურა, რომელზეც პირდაპირ შეყვარებულია მისი პატრონი; მშვენივრად ათბობს ამხელა ოთახს, ორი ზამთარი ისე გამიტანა, ერთხელაც არ შემცილებიაო. ერთ კუთხეში მაღალი, მისივე ზეღით ვაკეთებული კარადა დგას, ბუფეტები ეძახის. შიგ თეფშები, ჭიქები, ქილები და სხვა ასეთი რამ უწყვიია. კედელზე მოლურჯო შპალერია აკრული, მას აქა-იქ ცნობილი მხატვრების სურათების რეპროდუქციები ფარავს. ერთ კუთხეში კედელზე ორლულიანი თოფი ჰკიდია. მაგიდაზე ანტონის განუყრელი მეგობარი, პატარა რადიომიმღები დგას.

მაგიდასთან ვიდექი და კედელს შეყურებდი. იქ, ერთ ადგილას ახალგაზრდა კაცის სურათს მოვკარი თვალი, კარგად რომ დავაკვირდი, ანტონმა ღიმილით მითხრა:

— ეს ჩემი შვილია, იონა.

— თქვენი შვილი?

— ჰო, შარშან დაამთავრა უნივერსიტეტი... ჟურნალისტი.

— მუშაობს?

— მგონი არა...

— მაღალი კაცი სიჩანს, — ვთქვი მე და კვლავ ავხედე სურათს.

— ჰო, სიმაღლეში დედას ჰგავს. უფრო კი — ბაბუამისს. ჩემი სიმაშრის ნამდვილი გოლიათი იყო.

მე ერთხელ კიდევ მოვათვალე ერთ ოთახი და საშინლად უღაზათო, უღიმი-

ლამო და უსიხარულო მეჩვენა იქა-რობა.

— დიდი ხანია აქ ცხოვრობთ?

— ხუთი წელია.

— საშინელება!

— საშინელება?

— მე ვერ ავიტანდი ასეთ ცხოვრებას.

მან ერთ ხანს მიმზირა, მერე გაიცინა და ხელი მხარზე დამადო.

— წამოდი, გარეთ გავიდეთ. აქ მართლაც მოსაწყენია.

ისეთი განცდა მქონდა, თითქოს რაღაც ვერ გავიგე, რაღაც ძალიან მარტივი და უბრალო. თითქოს ანტონი დამცინოდა კიდევ. ხელი ჩემს მხარზე ედო და ისეთი თვალებით მიყურებდა, ისე იღიმებოდა, როგორც მამაჩემი, როცა პატარა თემო — მისმა შვილიშვილმა, დიდი სერიოზულობით ჰკითხა: „ბაბუ, როგორ გავჩნდი მე?“

კვლავ დამიდგა თვალწინ ანტონის უღიმიამო ოთახი, ამ კაცის უსიხარულო, უფერული ცხოვრება, ყოველი დღე ტყუპებით რომ ჰგავდა ერთმანეთს და მხოლოდ გაკვეთილებისაგან შესდგებოდა — ორმოცდახუთწუთიანი გაკვეთლებისა და ათწუთიანი შესვენებებისაგან, რის დროსაც ალბათ თითო სიგარეტის მოწვევას ძლივს ასწრებდა.

— არაფერი მესმის, — უნებურად ხმამაღლა წამომცდა მე. ანტონმა გაიგონა და ჩემკენ მოიხედა, მაგრამ არ უკითხავს, თუ რა არ მესმოდა. თითქოს ფიქრს მიმიხვდა და კვლავ გაიღიმა.

— გაიგებ, — სთქვა მან, — ყველაფერს გაიგებ!

სასადილოს რომ ჩავუარეთ, ანტონი წამით შეყოყმანდა. მერე ოთახში შემიძღვა და ფანჯარასთან მაგიდას მიუჯდა. ოფიციალტი ბუფეტთან იჯდა და წიგნს კითხულობდა. დაგვიჩანა თუ არა, წიგნი სკამზე დასდო და ჩვენკენ წამოვიდა.

— რას ინებებთ?

— სალამი, ქალბატონო ანა.

— გამარჯობათ.

— ამ ახალგაზრდას იცნობ?



— ვიცნობ.  
— ხომ მოგწონს?  
— ძალიან.  
— მაშინ საკმელო მოგვიტანე, ცოტა ღვინოც...

— ახლავე.  
ქალი ტანის კეკლუცი რხევით ბუფეტისაყენ გაემართა.

— მშვენიერი გოგონა ჰყავს, — სთქვა ანტონმა, — ჩემს მეზობლად ცხოვრობენ.

— თვითონაც კარგია.  
— ჰო, ლამაზი ქალია.  
— ქმარი სად ჰყავს?  
— ვინ იცის, მგონი მიტოვებული ჰყავს.

ოფიციალტმა სუფრა გააწყო. შემდეგ კვლავ ბუფეტთან მივიდა და წიგნის კითხვა განაგრძო.

უჩმოდ, აუჩქარებლად ვისადილეოთ. ბოთლი რომ დავცალეთ, ანტონმა ქალს დაუძახა:

— ანიკო, კიდევ ერთი.  
— დავთვრებით, — ვუთხარი მე.  
— არა უშავს. ზეგ სწავლა დაიწყება და შემდეგ ამისთვის აღარ გვეცლება.

მერე სიცილით დაუმატა:  
— ნაღვინეზე ჩემი ოთახი უფრო ხალისიანი მოგეჩვენება.

ღვინომ მალე გამაბრუა. ანტონმაც უფრო გააგრძელა სადღეგრძელოები. მე ვუსმენდი და ანიკოს ვუმზერდი. მან იგრძნო ეს, თავი ასწია, გამიღიმა და კითხვა განაგრძო. მე მაინც არ მომიცილებია თვალი. ქალი დაიბნა, წიგნი დასდო და ფანჯარასთან მივიდა. ამ დროს ჩემი ნაცნობი კბილის ექიმი შემოვიდა, დავგინახა და ჩვენკენ გამოემართა.

— პედაგოგებს გაუმარჯოს!  
— მობრძანდი, არჩილ, — უთხრა ანტონმა, — სწორედ ახლა გახსენებდით.  
— სასიამოვნოა, — სთქვა არჩილმა. — თუმცა მე საკმაოდ ხშირად მახსენებენ.

ჰიქა გაივსო და დალია.  
— დაჯექი, — ვუთხარი მე, — ასე უნდა იდგე?  
— კარგი, დავჯდები, რახან უსაშვე-

ლოა, — დაჯდა და დაუმატა, — მიყვარს განათლებული ხალხი.

— ვისაც რა აკლია, ის უყვარს განათლებული ხალხი. სთქვა ანტონმა.

— პატიოსანი ადამიანების სადღეგრძელო იყოს, — ვთქვი მე და ჰიქა ავწვიე.

— არჩილსაც გაუმარჯოს, — მითხრა ანტონმა, — ამან რაღა დააშავა?

— ანიკო, ღვინო გვინდა! — დაუძახა არჩილმა ოფიციალტს.

— უკვე მთვრალი ვარ, — ვთქვი მე და არჩილს ხელი გადავხვიე, — შენ სიკვდილს გადამარჩინე.

— მაშ, მიწას გაუმარჯოს, — გაიცინა ანტონმა.

— მოგწონს? — არჩილმა ოფიციალტზე მანიშნა.

— ლამაზია. ანიკო, შენ გავიმარჯოს, — დავუძახე ოფიციალტს, — შენს გოგონას გაუმარჯოს!

— ჭკუით იყავი, — მითხრა არჩილმა. ანტონმა შემოგვხედა და გაგვფართხილა:

— ნუ ცელქობთ!..  
— მეტი აღარ მინდა, — ვთქვი და წამოვდექი, — მე უნდა გადავიხადო.

ანტონმა ჯიბეზე გაიკრა ხელი, ჩემი დაპატიებელი ხართო, მაგრამ ოფიციალტთან მისვლა დავასწარი და დანახარჯი გადავიხადე.

— მართლა დამთვრალხარ, — ხმა დაბლა მითხრა არჩილმა, — გადაეხადე. ფული არა აქვს თუ?

— შენგან დავალებული ვიყავი.  
— მერე? სხვა დროს არ შეიძლება?

გარეთ გამოვედით და ცოტა ხანს საპარიკმახეროსთან შევჩერდით, იმის იმედით, რომ არჩილს ჩვენთან მოსწყინდებოდა და მოგვეცილდებოდა. მაგრამ იგი მეტისმეტად კარგ გუნებაზე იყო. „განათლებული ხალხის“ სიყვარულშიც თავისი გაიტანა: გვერდით ამოგვიდგა და თბილისური თავგადასავლების თხრობა დაიწყო. ბოლოს ქუჩა

გოორგი კეჭაღმაძე  
მეთორმეტე წარი

გადავჭერთ და სამკითხველსავე გავმართებ.

ანტონი სამკითხველში მყოფ ორ ქალიშვილს მიესალმა და მაშინვე წიგნების ჩხრეკა დაიწყო. არჩილი ტანმორჩილ, ქერა ქალიშვილთან მივიდა, ჩემზე მიუთითა და უთხრა:

— გაიცანი, ინგლისური ენის მასწავლებელია. ჩემი საუკეთესო მეგობარია.

— ვიცნობ, — უთხრა სამკითხველს გამგემ, მაგრამ ხელი მაინც ჩამომართვა.

— ეს ჩვენი თეატრის დირექტორია, — მითხრა არჩილმა და მალაღ, გამხდარ გოგოსთან მიმიყვანა. გოგონა მოდების ურნალს ფურცლავდა.

— სასიამოვნოა, — ვთქვი მე და ხელი გავუწოდე, — ვაჟა!

— ლოლა, — გამეცნო გოგო.

— არ მიყვარს თეატრი, — ვუთხარი თეატრის დირექტორს.

— ძალიან სასიამოვნოა, — მომიგო მან.

ანტონი წიგნის თაროებს შორის დადიოდა და ჩვენი არსებობა არც ახსოვდა.

— სხვა მხრივ უნაკლო ბიჭია, — უთხრა არჩილმა ლოლას, — ეგ არის მხოლოდ, ხელოვნების არაფერი ესმის.

საშინლად მომწყინდა. ანტონი წიგნების ჩხრეკას განაგრძობდა. არჩილი გაზეთებს ფურცლავდა.

— თვითმკვლელობაზე არაფერი გაქვთ? — ვკითხე ბიბლიოთეკარს.

მან გაოცებით შემომხედა.

— თავის მოკვლას აპირებთ? — მკითხა ლოლამ.

— ჰო, მაგრამ ჯერ მთლად არა მაქვს გადაწყვეტილი.

— ბავშვებს ინგლისური ვინ უნდა ასწავლოს?

— აი, სწორედ ეგ მაკავებს.

— სამწუხაროდ, თვითმკვლელობაზე არაფერი გვაქვს, — მითხრა ბიბლიოთეკარმა.

— თქვენ მართლა დირექტორი ხართ? — ვკითხე ლოლას.

— გახლავართ. რატომ მკითხეთ?

— მომწონს ეს სიტყვა. კარგად

უღერს: დირექტორი, პროკურორი, ინტელექტორი...

ანტონმა ბიბლიოთეკარს ოთხი ცალი წიგნი დაუღო მაგიდაზე.

— წავიდეთ, — ვუთხარი ანტონს.

— ჰო, წავიდეთ, — მითხრა და ხელი გამომღო.

არჩილი სამკითხველში დარჩა. ჩვენ ბაღში შევედით და მერხზე ჩამოვჯექით. ანტონმა წიგნები მუხლგბზე დაიწყო და გადაფურცლა. მე კაკლის ხეს ვუშხერდი. უცებ ჩვენი დირექტორი მიხეილ ზედგინიძე მომაგონდა.

— მიხეილი ქვიანი კაცია? — ვკითხე ანტონს.

— შენ როგორ ფიქრობ?

— მაინცადამაინც უქკუო არ უნდა იყოს, მაგრამ მე არ მომეწონა.

— არავის არ მოგვწონს, მაგრამ თავის საქმეს აკეთებს.

— არ ქვიფობთ ხანდახან?

— ზოგჯერ ვიკრიბებით.

— მიხეილიც?

— ეზარება, მაგრამ უკადრისობა რომ არ დასწამონ, მაინც მოდის ხოლმე.

ანტონმა წიგნებს თავი დაანება და მომიბრუნდა:

— ერთ საღამოს, ზამთრის არდადეგებზე, მამაკაცები სასადილოში შევიკრიბეთ. მაშინ დაბაში ახალგაღმოსული ვიყავი. სუფრაზე ცოტა შევლაპარაკდით. სასადილოდან გამოსვლისას დირექტორმა მკლავი გამომღო და მითხრა, ხედავ, რა ხალხიაო? — მერე ამოიხხრა, ეჰ, რას იზამ კაცი, არ წამოხვალ და სხვანიარად გაგიგებენო. მას შემდეგ მაინცადამაინც დიდ პატივს არა ვცემ. არც ის მომწონს, მასწავლებლებს ყველას თქვენობით რომ გველაპარაკება. არა მგონია, ამას ზრდილობის გამო სჩადიოდეს. უფრო ალბათ იმის ეშინია, რომ არ გავუშინაურდეთ. ისე, კაცმა რომ სთქვას, ჩემთვის არაფერი უწყენინებია.

სისხამი დილა იყო, მე კინარა და არ დამეძინა. ვერც კითხვას დავუღე გული. ბოლოს ავდექი და დერეფანში

გამოვედი. არ გასულა სამი წუთი, ლამზაც გამოძვრა გარეთ და ხელით მანიშნა, ჩუმად იყავიო. როგორც სჩანდა, ბებიამისს ისევ ეძინა. ლამზას ქვეყნად ყველაზე უფრო ძილი ეზარება, ძილი და ჭამა. სხვამ რამდენიც უნდა ჭამოს და იძინოს, ლამზა ხელს არავის შეუშლის, ოღონდ მას დაანებონ თავი.

— გამოიპარე? — ვეკითხები ჩურჩულით.

— გამოვიპარე.

— სკოლაში წამოხვალ?

— წამოვალ.

ლამზას თვალები გაუბრწყინდა, იქნებ მართლა წამიყვანოსო.

— ჯერ პატარა რომ ხარ?

— არა ვარ პატარა, — სთქვა მან და თითის წვერებზე შედგა, — აი...

— ვივარჯიშოთ და გაიზრდები, — შევთავაზე მე და ხელები გავშალე.

— კარგი, — სთქვა ლამზამ, — ვივარჯიშოთ.

ვარჯიშის შემდეგ ონკანთან ხელპირი დავიბანეთ და სტადიონზე წავედით. ჩვენ იქ ხშირად ვთამაშობთ ბურთს. ხან მე ვდგავარ კარში, ხან ლამზა. მე უმკველი ტექნიკური უპირატესობა მაქვს, ამიტომ პირველივე ვარჯიშის შემდეგ ლამზას უფლება მივეცი თერთმეტი მეტრის ნაცვლად სამი მეტრიდან დაარტყას კარში. მე კი ბარე ათი მეტრით დავიწეე უკან.

ღრო მიინც ძალიან ნელა გადიოდა, ამიტომ გადავწყვიტეთ, ნახევარი საათით მდინარეზე წავსულიყავით. ამაზე ლამზა სიხარულით დამთანხმდა — მდინარესთან მიახლოებას ბებიამისი სასტიკად უკრძალავს. ჩავედი თუ არა წყალში, ბანაობა ლამზამაც მოიწადინა. ვერასგზით ვერ გადავათქმევიინე. ბოლოს ნება დავრთე ერთი პირობით, ბუჩქებს ამოეფარებოდა და არავისთან წამოცდებოდა, მდინარეში რომ ვაბანავე. შინ რომ დაიბრუნდით, ჩიმი დიასახლისი უკვე ფეხზე იყო. მან ეჭვით შეათვალიერა ლამზას სველი ქოჩიარი:

— თმა სად დაისველე, ბები?

ლამზა დაიბნა და შემომხედა. ასეთ

უცვარ თავდასხმას არ ელოდა და არც მე მყავდა სათანადოდ მომზადებული. სიამოვნებით გამცემდა ვაჟბატონობის რამ ალბათ იგრძნო, რომ არც თვითონ მას დაადგებოდა კარგი დღე.

— ხომ ვითხარი, ბიჭო, როცა პირს იბან, ონკანს თავი არ შეუშვირო-მეთქი, — ვუთხარი მე და სველ თმაზე ხელი გადაეუშვი, — რომ გაცივდე?

ლამზამ გაცემებით შემომხედა და კინაღამ იყვირა, როდის მითხარი, ან ონკანზე როდის დავისველე თმაო, მაგრამ არაფერი უთქვამს.

ბებიამისმა პირსახოცი მოარბენინა და თავი გულდასმით შეუშურალა.

— თავი აღარ დაისველა, — დამეუქრა იგი, — თორემ დედაშენს ვეტყვი.

— არ დავისველებ, — უთხრა ბიჭმა და თვალი ჩამიკრა.

ხალათი გადავიცივი და სასადილოსაკენ გავემართე. ჩაი რომ დავლიე და გარეთ გამოვედი, ქუჩა სკოლისაკენ მიმავალი ბავშვებით იყო სავსე.

— პირველი დღეა, მასწავლებლო? — ღიმილით მკითხა ოფიციატმა.

— პირველი დღეა, ანა.

— ხედავ? — ახლა ჩურჩულით მითხრა მან, — როგორ გაწითლდნენ ის გოგოები. მისალმებაც რცხვენიათ და ვერც ისე ჩაგიარეს, რომ არ შეგამჩნიონ. უკვე იციან, მათი მასწავლებელი რომ ხარ.

— შენი გოგონა რამდენი წლისაა? — ვეკითხე მე, თუმცა ისევ იმ გოგონებზე ვფიქრობდი, უსალმოდ რომ ჩაიარეს და გაწითლდნენ.

— ხუთის, — სთქვა ანამ და ამოიხზარა, — ჯერ პატარაა.

მე ქუჩაში გამოვედი და ვიგრძენი, როგორ გავწითლდი, როცა ბავშვებს ჩავუარე: რატომღაც ვერც მე გავბედე მისალმება.

მეთხე კურსზე ვიყავი, პირველი გაკვეთილი რომ ჩავატარე. სანამ კლასში შევიდოდი, ყველაფერი მთელი

გიორგი კეკელაძე  
მეთორმეტე წარი



კვირით აღრე მქონდა გაზუთხული. ვიცოდი, რა უნდა მეთქვა, ზარი რომ დარეკებოდა და გაკვეთილზე შევიდლოდი, როგორ ამომეკითხა სია, ვისთვის რა მეკითხა. მოსწავლეებმაც იცოდნენ, ვინ უნდა გამომეძახებინა. ამას წინასწარ ფარულად ვატყობინებდით, რომ უკეთ მომზადებულიყვნენ და გაკვეთილი სხარტი და ცოცხალი გამოსულიყო. წინდაწინ ვიცოდი და მათაც იცოდნენ, რა შეკითხვებს დავუსვამდი, რას ავხსნიდი, რას დავწერდი დაფაზე, რა საშინაო დავალებას მივცემდი. მაშინ არასდროს არ მიგრძენია შიში მოსწავლეების წინაშე; პირიქით, ისინი ჩვენი მოკავშირეები იყვნენ—სულითა და გულით უნდოდათ, კარგი გაკვეთილი გამოგვესვლოდა, არაფერი არ შეგვეშლოდა და შეფასებაც კარგი მიგველო. მე მეშინოდა ჩვენი მეთოდისტი, სულ ბოლო მერსზე რომ იჯდა და რვეულში რაღაცას იწერდა. მეშინოდა თანაკურსელების, ცბიერი დიმილით რომ მიმზერდნენ და გამალებით ჩხაპნიდნენ რაღაცას ფურცლებზე, რათა შემდეგ, გაკვეთილის გარჩევის დროს, გააფრთხილებით თავს დამსბოდნენ. დღის ბოლოს კი მოსწავლეები ტოლებივით გვეკითხებოდნენ, რა ნიშანი მიიღეთ, ხომ მშვიდობით გადაჩითო.

შიში არც დღეს მიგრძენია, როცა პირველად შევედი გაკვეთილზე. არავის არ გაუუცილებივარ, არავის წარუვლდენივარ, ავდექი და პირდაპირ შევედი ასეც მერჩივნა. მშვიდად გავიარე მანძილი კარიდან მაგიდამდე. ჟურნალი დავდე. მხოლოდ შემდეგ ავწიე თავი და ბავშვებს გადავხედე; იმიტომ კი არა, რომ მათი დათვალიერება მინდოდა, პირიქით, მერჩივნა სულაც არ ამეწია თავი, რადგან ვლელავდი და ვიცოდი, რომ ეს სახეზე მემჩნეოდა. ავიხედე იმიტომ, რომ უხერხული იყო, არ ამეხედა. მაინც არაფერი არ დამინახავს, არც ერთი სახე არ დამმასოვრებია. ვიცოდი, ჩემს წინ მეთერთმეტე კლასელები იდგნენ — თითქმის ჩემი ტოლი გოგონები და ბიჭები, ეს იყო და ეს. თითქოს სულ სხვა რამეს ელოდნენ, სალამზე უხალისოდ მიპასუხეს

და დასდნენ. მე ჟურნალი გადავშალე და სიის ამოკითხვას შევუდექი. არა, შიშით არ მეშინოდა, მაგრამ ვიცოდი, რომ ვიცოდი, რით დამეწყო. წინდლით ბევრი ვიფიქრე და ყველაფერი თითქოს ძალიან უბრალოდ უნდა გამოსულიყო, მაგრამ აქ, კლასში, ეს არც ისე ადვილი აღმოჩნდა. სიას ვკითხულობდი, განგებ ვაჭიანურებდი და წინდაწინ განვიციდიდი იმ წუთს, როცა უკანასკნელ გვარს ამოვიკითხავდი და ჟურნალს დავხურავდი. ვგრძნობდი, ხმა მიღალატებდა და ყველანი შემატყობდნენ, რომ ვლელავდი. უცებ პასანას ამბავი გამახსენდა, სოფლის კლუბის სცენაზე ტკივილმა შიშისაგან რომ იხსნა და წამით ვინატრე, ნეტავი ახლა რამე ამტკივდებოდეს-მეთქი. მაგრამ არაფერი მტკიოდა, ჟურნალს დავცქეროდი და თვალგაშტერებული ისე ხმადაბლა ვკითხულობდი სიას, კლასში ალბათ ძლივს ისმოდა: ასპანიძე ლაქი, ბერიძე გივი, გოგოლაძე შოთა, ზარიძე ავთანდილ, ზარიძე თეონა, მალრაძე დათო...

ახალი მასწავლებელი მეც ბევრი მყოლია, მაგრამ თითქმის ყველას ჰქონდა ერთი რამ ძველი — სიის ამოკითხვისას ხანგრძლივად აჩერებდნენ მზერას თვითეულ მოსწავლეზე, თითქოს ცდილობენ, მათი სახეები რაც შეიძლება უკეთ დაიხსომონო. მე კი ერთხელაც არ ამიღია თავი ჟურნალიდან; აუშკა რა აზრი ჰქონდა, მაინც ვერავის სახეს ვერ დავიმახსოვრებდი. წამით იმ ჩემი ახალი მასწავლებლების გულწრფელობაშიც შევიტანე ეჭვი. იქნებ ისინიც ვერაფერს ვერ იხსომებდნენ პირველ გაკვეთილზე? იქნებ განგებ უშტერებდნენ თვალს უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილ ბავშვს, თითქოს ეუბნებოდნენ: აი, შეგხედე და დღეიდან მშვენიერად გიცნობო... ჰო, მე ერთხელაც არ ამიღია თავი ჟურნალიდან, მაგრამ უკანასკნელი გვარის ამოკითხვისას პასუხი რომ გავიგონე, უცნაური რაღაც ვიგრძენი. უნებურად თავი ავწიე, კლასს თვალი მოვაველე და მივხვდი: ის უცნაური და მოულოდნელი,

რაც ახლახან ვიგრძენი, ტკივილი იყო. სწორედ მალრამე დათო გახლდათ ერთი იმათგანი, ვისი მუშტის სიმწარეც იმ დღეს მდინარის ნაპირას ვიგემე. ბიჭმა წამით თვალი გამისწორა, მერე მზერა სადღაც გაექცა. მომეჩვენა, რომ სახეზე სიწითლემ გადაუარა. ვინც წინ იჯდა, ყველამ თავი მოაბრუნა, ნეტავი ვინ არის ის ერთადერთი, ვინც მასწავლებლის ყურადღება მიიპყრო. მე სიის ამოკითხვა განვაგრძე. ვიცოდი, ის ბიჭი მოსწავლე რომ იყო, მაგრამ აქ თუ დამხედებოდა, რატომღაც არ მეგონა. მისმა დანახვამ კვლავ განმაცდევინა ის ტკივილი, მაშინ რომ ვგრძნობდი, როცა გამეტებით მიჩტყამდნენ...

მეორე მოკრივე, თუ მეთევზე, ხატიძე აღმოჩნდა — ბადრი ხატიძე.

მან რაღაც ამოილულულა და ისე დაჯდა, ჩემკენ ერთხელაც არ გამოუხედია. მისი მუშტი განსაკუთრებით მახსოვდა და ბადრი აქაც, ვაკვეთილზეც რაღაც უცნაური სიჯიუტით მიმხერდა; თითქოს ჩემს უსიტყვო მუქარას გრძნობდა და მეუბნებოდა, გეშლებს, ჩემთან არაფერი გამოგივაო. ცოტა ხნის შემდეგ ჩურჩული დაიწყო. მალე სიცილიც გამოუჩნდა. ვაკვეთილის ახსნის დროს უფრო ხმამაღლა და თავისუფლად ალაპარაკდა. ფეხზე ავაყენე და ვუთხარი, ალბათ რამე ვერ გაიგე-მეთქი. როგორ არაო, მიპასუხა, ყველაფერი გასაგებია, ოღონდ ერთი შეკითხვა მაქვსო. მოითმინე, ვაკვეთილის ახსნას დავამთავრებ და მერე რაც გინდა, შემეკითხე-მეთქი. ზარს ბევრი აღარ უკლდა, წამოდგა და მკითხა, დედამიწაზე რამდენი მეკარეაო. ხატიძეს მშვენივრად სცოდნოდა ჩემი უიღბლო მეკარეობის ამბავი. ბევრი აღარ მიფიქრია, ერთი მილიონი-მეთქი, მივუხვე. მერე კი,

ჩემი მარცხის ამბავი ხუმრობაში რომ გამეტარებინა, — რა თქმა უნდა, მოდ-მეთქი, დავუმატე.

— თქვენიანად რამდენია? — მკითხა ხატიძემ და გაიღიმა.

მე სულაც არ ვიყავი ხუმრობის გუნებაზე. უტიფრად იღიმებოდა და თვალეში მიმხერდა. ვავიფიქრე, ეს ალბათ გადამწყვეტი წუთია და ახლავე თუ არ ვასწავლე ჰკუა, ახლავე თუ არ მოვაცილე სახეზე ეს უტიფარი ღიმილი, მერე ბუზადაც არ ჩამაგდებს და მთელ კლასში საქმეს გამიფუტებს-მეთქი. ბრახმა ამიტანა. ახლოს მივედი და ვუთხარი, თავხედი ხარ და გირჩევნია მიფრთხილდე-მეთქი. ხმადაბლა და აუღელვებლად ვუთხარი, რათა ჩემს მუქარას მეტი ძალა ჰქონოდა. მან კი ჩაიხიხინა და დაჯდა.

— თორემ რა? — აგდებულად მკითხა.

— აღექი! — დავუხვირე მაშინვე, — აღექი ახლავე!..

ეს ისე ვიდრიალე, თვითონვე გამიკვირდა. ვერც წარმოვიდგენდი, რომ ასე ყვირილი შემეძლო. მგონი ფანჯრებმაც კი გაიწკრიალეს. მთელი კლასი ჩვენკენ შემობრუნდა. ხატიძემ ვაოცებით შემომხედა. ალბათ მისთვის მოულოდნელი იყო ეს ამბავი; შემომხედა და წამოდგა.

— გადი გარეთ! — კიდევ უფრო ავუწიე ხმას. თან ვფიქრობდი, უარი რომ მითხრას, მაშინ როგორღა მოვიქცე-მეთქი. მაგრამ ჩემდა საბედნიეროდ, ხატიძე ზანტად გამოძვრა მერხიდან, აუჩქარებლად გაიარა ოთახი და კარი გაჯავრებით მოიჯახუნა.

---

გიორგი კეჭალაძე  
მეთორმეტე ზარი




საახალწლო

ღამეს ვინ მისცა ამდენი სხივი,  
 სად ჰქონდა მიწას ამდენი ფერი?  
 ღამე დაუწვავს ფერების ღიმილს  
 და ცაში ყველა ვარსკვლავი მღერის.  
 ჰა, მობრძანდება ახალი წელი  
 და თეთრი ღამე გალობით ხვდება.  
 ჰა, დგება წუთი საამო ღელვის  
 და სიხარული იღვრება ზღვებად.  
 რაც სიკეთე აქვს მიწას და ზეცას,  
 უხვად მოგვეცი, ახლო წელი!  
 მზე გაუმრავლე კაცსა და მერცხალს,  
 ბალსა და ვენახს, ყანას და მდელს!  
 ტრიალებს ჟამის მარადი ჩარხი,  
 ახალწლის ღამე ღიმილში იწვის.  
 ვთქვათ სადღეგრძელო მშობელი ხალხის,  
 მშობლიურ ცეცხლის, მშობლიურ მიწის.  
 მობრძანდი, ტკბილო ახლო წელი,  
 გზა-კვალს მოგიფენთ ფიქრთა ვარდებით,  
 მშვიდობით გველოს, სიმღერით გველოს,  
 აგვსრულებოდეს გულიწინადები.  
 მოვიდეს თოვლიც, ლამაზი თოვლი,  
 მიწას ძვალ-რბილში გაუჯდეს მადლად.  
 ჩვენი ბუხრების ცისფერი ბოლი  
 ცაში წავიდეს მადლა და მადლა.  
 მოვიდეს წვიმა, ჟუჟუნა წვიმა,  
 ბალსა და ვენახს დაუტკბოს ფესვი,  
 რომ წვიმაც გვექცეს საამო ღვინად,  
 ღვინით აგვევსოს გულიც და ლექსიც.



ყველა დღე ხალხში სიკეთედ დარჩეს...  
კეკელსუც ყვავილთა ეშხით და მადლით  
ქვეყნად გამრავლდეს ფუტკარი გამრჯე,  
ფუტკარმა სკაში ამრავლოს თაფლი.  
ემრავლოს ბუდე მტრედსა და მერცხალს,  
თავს არ დაატყდეს ვენახებს სეტყვა,  
ზურმუხტის მიწას, ფირუზის ზეცას  
სულ ცისარტყელის ქამარი ერტყას.  
დაე გამრავლდეს ცეცხლი ბუხრების,  
სახლთან — მარანი, მარანში — ქვევრი,  
გზისპირს — კაკლები, ტყეში — მუხები  
და ვენახებთან — ბაღების ტევრი.  
ყველა კეთილ კაცს მიეცეს ლხენა,  
მზემ თავის მადლი თაფლად დაღვაროს,  
ემრავლოს ტბილი მტევანი ვენახს,  
მარცვალი — თავთავს,  
სიმინდს — ცხრა ტარო.  
ყვავილზე მეტად, ვარსკვლავზე მეტად,  
როგორც ნათელი სხივები დილის,  
გამრავლდეს მამა, გამრავლდეს დედა  
და უფრო მეტად გამრავლდეს შვილი.  
მსურს დავულოცო ქალებს ქალობა,  
დედური მადლი, გოგოც და ბიჭიც,  
რომ ჩვენს მიწაზე ბავშვთა გალობამ  
გადააჭარბოს მერცხლების ჭიკჭიკს.  
ტრიალებს ჟამის მარადი ჩარხი,  
ახალწლის ღამე ღიმღში იწვის.  
ვთქვათ სადღეგრძელო მშობელი ხალხის,  
მშობლიურ კერის, მშობლიურ მიწის!  
ჰა, მობრძანდება ახალი წელი  
და თეთრი ღამე გალობით ხვდება.  
ჰა, დგება წუთი საამო ღელვის  
და სიხარული იღვრება ზღვებად.

☆  
სტალინის  
სახელი  
☆  
გვიან  
მეორე



აუთენტური გოგონაბე  
**ქასი  
ქასია**  
ჩოხანი

დამშრალი ხევი

შუა სოფელში დამშრალი ხევი იყო. ზაფხულში ხევიდან აღმური ამოდიოდა. ქვა ხურდებოდა და ბუღს აყენებდა. ავღარში მოვარდნილი წყალი ხევის კალაპოტს ავსებდა და სოფელს წალეკვას უქადდა; ძირფესვიანად დათხრილი ხეები, დაღეწილი ღობეები, ყავარი და

ბოძები მოჰქონდა. პირქუშსა და პირქაფიანს დამხრჩვალ სიქონელიც ჩამოუტანია... ისევ მიყუჩებულა, მაგრამ, როცა მთებში ცას შუბლი შეუკრავს და მოქურთმებულა, როცა ქუხილს ხეობები გაუყრუებია, დამშრალ ხევში აქაფებული წყალი კვლავ აღმუვლებულა.

თავი პირველი

მძიმედ, დახშულად რეკდნენ სიონის ზარები. ვერის ძველ ხილზე ურემმა გაიარა. ჭრიალით გასცდა „ედემს“ და საბურთალოს აღმართს შეუყვა. წყნარი იყო ღამე, ჩუმი და ცივი. ვარსკვლავები ციმციმებდნენ. მთვარე სამთვაროებურ არ ჩანდა. ვერის ხილთან, სადაც

ბალ-რესტორანი „ედემი“ იყო, ქალაქი თავდებოდა. გორაკზე აქა-იქ შეფენილი ქონმახები ილანდებოდა. საბურთალოს ჯაგნარიანი ველი ტურების სანაგარდოდ გადაქცეულიყო. აქ მგლებმაც იცოდნენ გორაკებიდან ჩამოხეტება.

ურემი მიდიოდა. მეურმე წინ მიუძ-

ლოდა ხარებს, აუჩქარებლად მიაბიჯებ-  
და. თავდაბრილს წინ ბრმასავით გაე-  
შვირა სახრე, თითქოს ჯანღს ამით  
სჭრიდა, გზას მიიკვლევდა.

გზა ნაწვიმარი იყო, მაგრამ როცა  
აღმართზე ხარებს არ გასჭირვებიათ  
ურმის ატანა. ურემზე კუბო იღო, კუ-  
ბოსთან ნამჯა ეყარა საქონლისათვის,  
კოფოზე მოკუნტული ბიჭი თვლემდა.

შიშნაკრავი ყმაწვილი ხანდახან თვა-  
ლებს აუკეტდა, გული გამალებით აუძ-  
გერდებოდა, უნდოდა, რაღაც წამოეძა-  
ხა, ფეხით მიმავალ მეურმეს შეხმია-  
ნებოდა, მაგრამ კრიჭა ეკვროდა. ასე  
ებრძოდა ღამითა და მიცვალებულის  
სიახლოვით მოგვრილ შიშს.

პირქუში იყო იმ ღამეს საქართვე-  
ლოს სამხედრო გზა. კაცს ეგონებოდა,  
გათავდა წუთისოფელი სულიერისა და  
ქვეყანაზე ისევ დადგა ქამი უსულო-  
თო.

როცა შეღმართი ათავდა, მეურმემ  
ქალაქს მოხედა. თბილისში მიმჭრალი  
ვარსკვლავებით აქა-იქ ჭიატობდა სი-  
ნათლე.

ურმის გაუსაპნავი ღერძი ჭრიალებ-  
და, ხარების დაუჭედავი ჩლიქები ხან  
ქვეზე ბაკუნობდნენ, ხან ტბორში ტყა-  
პუნობდნენ, ხან ლაფში ეფლობოდნენ.  
კიდევ კარგი, ეს ხმაური მოჰყვებოდა  
მგზავრთ, კიდევ კარგი, ეს ხმაური  
მაინც იდგა მძიმე და დახშულ წუთი-  
სოფელში, თორემ რა გალევდა გზას?!

მეორე დღის საღამოზე უნდა ყოფი-  
ლიყვნენ გარიყულაზე. ასეთი იყო  
მეურმის ვარაუდი, მაგრამ ჯერ მეორე  
დღის განთიადიცი შორს იყო.

მეურმე დაღვრემილი მიდიოდა. თან  
მიჰქონდა ცხედარი, მიჰყავდა ბიჭიც.  
საღაც ტურებმა დაიჩხავლეს. ე! ხმა  
მალე მიწყდა, დამგრთხალ ყმაწვილს  
კი გული ვერ დაუამდა, თვლებს ისე  
აცეცებდა, თითქოს უკუნეთში რაღაცას  
ეძებსო.

ღამე ჩამოდგა. წინ მხოლოდ ხარე-  
ბისა და მეურმის ლანდები ჩანდა.  
შავი ნაჭრით დაფარულ კუბოს ვერ  
ხედავდა ბიჭი, მაგრამ იცოდა, რომ შიგ  
მიცვალებული ესვენა.

კვლავ საიდანღაც გაისმა ტურები  
ჩხავილი. ბიჭს გული ამოვარდნაზე  
ჰქონდა.

— ძია, გააჩერე ხარები! — ძლივსღა  
ამოღერდა.

მეურმემ უცებ მოხედა ბიჭის ლანდს  
და ურემი შეაჩერა. რაღაც ეგონა, მაგ-  
რამ ყმაწვილს შიში რომ შეატყო, დაამ-  
შვიდა:

— ნურაფრის გეშინია, მე აქა ვარ.  
მიცვალებული საშოში არ არის. ცოცხ-  
ლები უფრო საშიშნი არიან.

— ჩამოსვი, ძია!

— ახლა მეც ამოვალ კოფოზე. ვაკეა  
და ხარები თვისუფლად ივლიან.

კაცი ურემზე ავიდა. კუბოზე ნაჭერი  
შეასწორა და ღრმად ამოიხრა, მერე  
ბიჭს მიუჯდა და ხარებს სახრე შეახო.  
ყმაწვილი მეურმეს მიეკრა. სიცივისა და  
შიშისაგან ათრთოლებულმა შეება  
ჰპოვა, ჩათბა და ჩასთვლიმა. მეურმემ  
ხელი მოხვია და ბიჭი ასე ჰყავდა  
მკერდზე მიკრული, ვიდრე ველი არ  
გათავდა და მტკვართან გორაკებს არ  
მიუახლოვდნენ.

ბიჭი ძიღში კრთებოდა. მეურმეს  
გული უღდუღდა. გზა არ იღეოდა და არც  
ცისკრის ვარსკვლავი ჩანდა. ჯერ არ-  
სად იყო დილისა და სიცოცხლის გა-  
საღები!

მცხეთის ვიწროებიდან ურემი ქსნის  
გზას დაადგა. აქეთ-იქით ჩახერგილი  
გორაკები და მთები მიდამოს უფრო  
მეტად აბნელებდნენ, ცის მიღეულ  
ცინცხალს მიწას არ აკარებდნენ. მეურ-  
მე იძულებული იყო, წინ გასძლოლოდა  
ხარებს, რათა უხეირო გზიდან, მტკვარს  
ნაპირ-ნაპირ რომ მიჰყვებოდა, მდინა-  
რეში არ გადაჩეხილიყვნენ. ბიჭი გააღ-  
ვიძა და ურმიდან გადახტა. ხარებს წინ  
დაუდგა, ცალი ხელი უღელს გადასდო  
და ნელა გაუძღვა. ხარები მორჩილად  
მისდევდნენ.

მაღლა ვარსკვლავებით მოჭედილი  
ერთი ბეწო ცა მოჩანდა. მთიდან მთის  
ფხას ირმის ნახტომის ზოლი გასდევდა.

თენგიზ გოგოლაძე

კაცი კაცითა



აქ, მცხეთის ვიწროებში, უფრო მოხ-  
შირდა. ტურების ჩხაილი. ერთი თუ  
გალმა იძახდა, გამოძახილი ათი იყო  
გამოდმა ხევში, თითქოს მთელი ხეობა  
ჩხავისო. წელან თბილად, მაგრამ შფო-  
თიანად ჩათვლემილ ბიჭს კვლავ შიშმა  
ჩამოაშორა ძილბურუსი, გამალებით  
აუძგერა გული. განთიადის სიახლოვე  
მეტსა და მეტ სიცივეს აყენებდა. გო-  
რაკები თანდათან აქეთ-იქით გაიწვა-  
მოიწია და ცა გაიხსნა. ურემი ახლა  
ველზე მიდიოდა. გზა ოდნავ ჩანდა.  
მეურმე ისევ კოფოზე ავიდა და ბიჭი  
შეათბო.

რომელიდაც სოფელში ჩაიარეს. ურ-  
მის ჭრიალზე ძაღლებმა გაიღვიძეს:  
ზოგი აყვდა, ზოგმაც ლოზე გადმო-  
ლახა და გზად გავლილ ურემს ცეცხლი  
შეენთო. მაგრამ მეურმე და ბიჭი ძაღ-  
ლების ალიაქოთს არ შეუშინებია.

ურემი სოფელს გაცდა, უკანასკნელი  
სარი და ბოძი უკან ჩამოიტოვა. ვაბრა-  
ზებული ძაღლების ყეფა მიანიც არ  
წყდებოდა. ალბათ ისინიც გაბეზრებუ-  
ლი იყვნენ გრძელი ღამითა და მოწყე-  
ნილობით. საბაბი მიეცათ და აყვდნენ.  
ღამით სიარულს შეჩვეული ხარები  
დინჯად მიდიოდნენ. ძაღლების შემო-  
ტევის, სახრესა და ბევრ სხვა დავიდა-  
რებას აღარ უფრთხოდნენ.

ორიყრაყა. სიცივემ მეურმეს ძვალსა  
და რბილში გაატანა, ყმაწვილი ველარ  
ჩათბა უფროსის უბეში. მზიან დღეს  
უჩანდა პირი, მაგრამ გულდამწვარი კა-  
ცისათვის რა ნუგეში იქნებოდა ზამთ-  
რის მიღებული მზე! ცისკარს ამოჰყვა  
იგი, ცისკარივით ცივი. მდინარის გაშ-  
ლილ ფონს რომ მიატანეს, მეურმემ  
ხარები შეაჩერა, ურემი კონკილაზე  
შეაყენა და ხარებს აპეურები შესწნა.  
ჩალაბულა ჩამოუყარე საქონელსაო,  
უთხრა ბიჭს. ყმაწვილს ხელები გაყი-  
ნული ჰქონდა, მაგრამ უფროსის ბრძა-  
ნება მიანიც უყოყმანოდ შეასრულა.  
დამშეული ხარები მადიანად მიეტანინ  
ჩალას, პირს ქაიფე მოადგათ. კაცმა  
ნაღვლიანად გადახედა კუბოს, მერე  
მხრებში მოხრილი მდინარეს მიუახ-  
ლოვდა. ერთ ხანს მღუმარედ იღვა

წყლის პირას. მღორედ მიმავალ  
მტკვარს უყურებდა. შემდეგ დაიხარა,  
პეშვით წყალი ამოიღო, პირზე შეიხედა,  
თავი გაიქნია და ბიჭს მოხედა:

— ვაჟა! — გასძახა ხმაშალა.

ბიჭი თავქვე დაეშვა და მეურმეს  
მიუახლოვდა.

— სახეზე წყალი შეისხი, ხელები  
მიისვ-მოისვი და აღარ შეგცივა, — ურ-  
ჩია მეურმემ.

ბიჭი დაიხარა და სახე ცივი წყლით  
მოისრისა. მერე ორივემ — ბიჭმა და  
მეურმემ, ხარები მდინარეზე ჩაიყვანეს  
და წყალი ასვეს. წყალსაც ხარბად  
დაეწაფა პირუტყვი — ქშინავდნენ, იი-  
ვრიბებოდნენ.

ხარები დაასვენეს. მეურმემ პატარა  
ტოპრაკში მოაფათურა ხელი. ცოტა რამ  
ხმიადი ჰქონდა, ამოიღო და ნახევარზე  
მეტი ბიჭს მოუტეხა. ყმაწვილმა ხარ-  
ბად გადასანსლა ქერნარევი ხმიადი,  
მერე ურემზე დადებულ კუბოს მია-  
ჩერდა. მეურმე მიწას დასცქეროდა და  
ხმიადს ილოდებოდა, ვერ მოერიო,  
ყელში არ გადასდიოდა, ხმიადი კიდევ  
მოუტეხა ბიჭს:

— აჰა, ესეც ჭამე. მე არ მინდა, —  
უთხრა და ხარები შეაბა.

ბიჭს უარი არ უთქვამს.

რამ მიჰზნიდა მზე? რამ მიადნო მისი  
სხივების ჭავლი? ნატამალი სითბო  
არა აქვს. ბიჭს კი სითბო უნდა.

ურემი მიჭრიალებდა. გზა არ ილეო-  
და. მერედა, რა გზა! ოღოროღორო,  
მოუსწორებელი. ხარები აღმართში  
ძლივს ადიოდნენ, დაღმართში ურმის  
სიმძიმე სძლევდათ. მაშინ მეურმე  
უღელს წინ ჩაუდგებოდა და პირუტყვს  
აოკებდა.

მეორე სოფელში გაიარეს. თითქოს  
ხალხი აყრილა და სხვაგან გადასახლე-  
ბულაო, ისეთი უკაცრიელი იყო იქაუ-  
რობა. ძაღლებით კი მაშინვე გაიტენა  
ორლობე. ასტეხეს ღნავილი და ყეფა,  
ურმის ფერსოებსა და ჭალ-ზეწერებს ეძ-  
გერნენ, ცხარობდნენ, ლამის კოფოსაც  
მისწვდნენ.

მეურმე გამეტებით იქნედა სახრეს  
და აქეთ-იქით ჰყრიდა. მომხვდურებს.

ყვირილისაგან ყელი ჩაეხლიჩა. ბიჭიც ყვიროდა, ძალღებს უტევდა და ამ ბრძოლაში ხალისდებოდა, თითქოს გათბა კიდევაც.

ორღობე გათავდა. გაგულისებულო ძალღები კიდევ არ ცხრებოდნენ. როგორ ჰგავდნენ ისინი წუხელ დამხვდურ ქოფაკებს! მათსავით გახვლებულნი იდგნენ ორღობის ბოლოში და ყეფა-ღრენით მიაცილებდნენ ურემს. მზე ფეხდაფეხ მისდევდა მათ. ვაჟას ბეჭებზე ოდნავ მოულიტინა სითბომ და ესეც კი საკმაო გამოდგა, რომ გული ხალისითა და იმედით ავსებოდა.

საშინელი ღამე იყო, არც განთიადი ჩანდა მადლიანი, მაგრამ ახლა, მზე რომ მალა იწვევებოდა, სიცოცხლეს თითქოს ხალისი მოემატა.

ბიჭმა მზეს გახედა და გაუღიმა. ასე არასოდეს არ გაუსწორებია თვალი მნათობისათვის. ის ყოველთვის სჭრიდა თვალს, ყოველთვის აბრმავებდა თავისი სიკაშკაშით, მაგრამ ახლა ზამთრის მზეს ისე უცქერდა და უღიმიოდა, როგორც ტბილსა და თბილ მოხუცს. უბრად მიდიოდა მეურმე. კავთისხევს ჩაუარეს და ახალქალაქის გზას დაადგნენ.

გზა გორაკებითა და მთებით შემორტყმულ ვაკეს გასდევდა. წიწვნარი და ფოთლოვანი ტყით დაფარული მთები სახსრებით მოსდგომოდნენ. ტყე არ იყო ხშირი, მთის კალთები გაძარცვულიყო, ფოთლოვანი ხეები შეშინვლებულიყო. აქა-იქ მიმქრალი კოცონებით მოჩანდა ყვითელი ბუჩქნარი. ჩრდილოეთით ბუჩქნარიც კი არ შერჩენოდა გორაკებს, მათი რუხი კალთები ზაფხულშივე გადამწვარიყო.

მიდის ფიქრშეპყრობილი მეურმე, გულგატეხილს ხმა ვერ ამოუღია. თვალგაუწვდომი, ფიქრგაუწვდომია სამყარო, კაცის სიცოცხლე კი მცირე. კუბოში წევს ოცდაორი წლის ვაჟაკი, მან სიჭაბუკეც კი ვერ დაასრულა.

ნეტავ ძალღები მაინც დაგვესიონო, ფიქრობდა ბიჭი. მეტისმეტად სწუხდა, გრძელ გზას ბოლო რომ არ უჩანდა. მაგრამ კავთისხევი ისე ჩაიარეს, ერთი ძალიც კი არ დასდევნებია ურემს.

ველზე ხომ სულიერის ჰაქანებაც არ იყო. ბიჭს ნერწყვი გაუშრა. შიმშილმა უმოწყალოდ დაარია ხელი, მაგრამ ვერ იღებდა. მეურმეს უკვე არა გზა და რა.

ვაკე რომ გათავდა, მზე შუბის წვერიდან ვადაიხარა, ახლა წინ მოექცა ურემს და პირისახე ოდნავ მოუთბო ბიჭს.

— ნეტავ შეგეძლოს კუჭიც გამითბო, მზეო! მშია! იცი, როგორ მშია!

მზეს არ ესმოდა ბიჭის ჩურჩული.

— რაო, რა სთქვი, ვაჟა?— მიუბრუნდა მეურმე.

— არაფერი, ძია! — შეკრთა ყმაწვილი.

— მალე მივალთ, — დააიმედა მეურმემ, — აგერ, იმ გორაკს შემოვუვლით, თავქვე დავეშვებით და ჩვენი სოფელიც გამოჩნდება.

— მელაპარაკე, ძია.

— შე საცოდავო! შეგცივდა განა?! მოგშივდებოდა კიდევ. აგერ, ის გორაკი და — შინ ვიქნებით.

— მერე მიცვალებული უნდა დამარხოთ...

— უნდა დავმარხოთ. ჩვენც დავიმარხებით. ყველანი ნელ-ნელა წავალთ. ბიჭმა პირჯვარი გადაიწერა.

— ღმერთი გწამს? — გაუკვირდა მეურმეს.

— მეშინია, ძალიან მეშინია!

ბიჭმა კიდევ გადაიწერა პირჯვარი და ცას ახედა.

— ღმერთო, მშია, მშია და მეძინება. სხვა არაფერი მინდა. მშია და მეძინება.

ბიჭი გაირინდა ცისკენ თვალაპყრობილი. მეურმემ ისევ უბრად განაგრძო გზა.

გორაკს რომ მიატანეს, მზე მთის გადაღმა ჩაესვენა და გარემოს ბინდი მოეფინა. ბიჭს გული დაწყდა.

ბინდში მაინც გამოჩნდა ჭალაში ჩაფენილი სოფელი. ბაღვენახიანი და პიმიდის ტაროსავით მჭიდროდ ჩაბილული სოფელი.

---

თენგიზ გოგოლაძე

კაცი კაცითა

— აგერ, — ხელი გაიშვირა მეურმემ სოფლისაკენ, — ქვემოთ ახალქალაქია, ზემოთ კი გარიყულა.

სხვა არაფერი უთქვამს, უღელს წინ დაუდგა და ხარები შეაოკა, რომ დაღმართზე არ დაეძალა და არ დაგორებულოყენენ. კუბო მიმედ იღო ურემზე. სოფლის დანახვაზე ბიჭი კოფოდან გადმოხტა და ფეხით გასწია. მუხლებში სისუსტე იგრძნო. შიშშილმა ახლა უფრო მეტად შეაწუხა.

ლამე სწრაფად დგებოდა, დახარბებული და დამშუღლივით მოვარდნილი ლამე.

წუხანდელი ლამის გახსენება ყრვოლას ჰგვრიდა ბიჭს. „მალე, ძია, მალე“, იძახდა გუნებაში და ასე ეგონა, შიშშილისა და ტანჯვის მიღებული ძაფი სოფელში ჩასვლისთანავე გამოელდებოდა.

სიცივემ და ვარსკვლავებმა იმატეს. დაღამდა.

ურემმა გაივარა თუ არა, სოფელსაც მიადგნენ.

დამშრალ ხეზე გადებულ ბოგირთან გზა ორად იყოფოდა. ერთი, ბოგირზე გადავლით, აღმა მიდიოდა, მეორე ხევისპირს ქვემოთ მიჰყვებოდა. ქვემო გზა ახალქალაქისა იყო, ზემო — გარიყულასი. ორი სოფელი ხევთან ერთმანეთს ემიჯნებოდა, ეს ქვიტკირის განიერი ბოგირი იყო მათი შემაერთებელი.

ურემი აღმა წავიდა, გარიყულასკენ. ბოგირს გასცდნენ თუ არა, გზის პირას, მომადლოზე ადამიანები დალანდა ბიჭმა. ურემი შეჩერდა. ლანდები მალლობიდან გადმოცვივდნენ და მეურმეს ტირილით მიეხვივნენ.

— მართალი ყოფილა, მამა?!

— ჩვენი შალიკო!

მერე კუბოსთან მიიჭრნენ და მწარედ ატირდნენ.

ბიჭი გაოგნებული უყურებდა მოტირალთ. სოფლის მიძიმე მყუდროებაში ზარივით გაისმოდა მათი მოთქმა და ტირილი. ურემი არ იძვროდა.

— კარგით, ჰო! — დაიძახა ბოლოს

ალევებულმა მეურმემ და თითქოს მისი ხმის გაგონებას ელოდნენ, უცებ დღემდნენ მოტირალნი. მეურმემ სახარე გამეტებით დასცხო ხარებს. შალე ურემში მიადგა ერთსართულიან, მაღალ სახლს, გზის პირას ფიცრული ღობე რომ ჰქონდა. ღობეში პაწია კარი იყო დატანებული. ეზოში ურემი ვერ შევიდოდა, კუბო ხელით უნდა შეეტანათ. რამდენიმე კაცი ფრთხილად შეუდგა კუბოს. ქვის ორიოდ საფეხური ალიეს, ჯერ სამხსრივ დახურულ აივანზე შევიდნენ, იქიდან კი დიდ ოთახში, სადაც კედელზე მიკიდული ორიოდ ლამაზ ბეჭუტავდა. ერთ კუთხეში, ხატის წინ სანთლები ენთო. ოთახიდან ყველაფერი გაეტანათ ტახტის გარდა. ტახტზე ფარდავი გადაეფინათ. ამ ტახტზე დადეს კუბო გლეხკაცებმა და ღრმად ამოიხრეს.

— აფსუს, ვაჟაკო!

— ეჰ, რა ბიჭი იყო! — გაისმოდა აქეთ-იქიდან.

ქალეებმა ცხედრის წინაშე მუხლი მოიყარეს და კვლავ მოთქმით ატირდნენ.

ბიჭი ურემთან იდგა. არ იცოდა, რა ექნა. მეურმეც არ ჩანდა. ვაჟას შინ არავინ ებატყებოდა და თავადაც ვერ გაებედა შესულიყო და ენახა, რა ხდებოდა მიცვალეხელის გარშემო. ჭიშკართან ადამიანთა ლანდები ირეოდნენ. სადაც ქოხის კარი გაიღებოდა, განათებულ კარში წამით ადამიანის ღრანდი გაკრთებოდა. მერე ის ლანდი დაიკარგებოდა და ცოტა ხნის შემდეგ აგერ, ჭიშკართან, ურემს ჩაუვლიდა. მოთქმისა და ზარის ხმაზე მოდიოდნენ მეზობლები.

ნუთუ მეურმეს დაავიწყდა ბიჭი? კარგა ხანმა განვლო, ის კი არ გამოჩნდა, მაგრამ აგერ, მისი ხმაც ჩაესმა ყურში. ურემთან ვილაც მოიყვანა და საუბარი გაუბა.

— ჩემო შიო, აი, შენი ხარი... მეორე ნასყიდასია, შენ ჩაუყვანე. ვალი ვალად დარჩება, როგორც მოვრიგდით.

— შე კაი კაცო, რა დღე დაგადგა და ახლა მაგაზე ღირს ლაპარაკი?



მეურმემ ვილაცას შეუყურთხა. ბიჭს ბევრის ლანძღვა-გინება მოესმინა, მეურმისაგან კი ამას არ მოელოდა.

— ჩემო გიგო, ღამესაც ყური აქეს,— გაფრთხილა შიომ, ხარებს სახრე გადაუჭირა და ურემი რახარახით დასძრა. გიგოს ახლდა მოაგონდა ბიჭი.

— ვაჟა, ბიჭო, სადა ხარ?

— აქა ვარ, ძია.

— წამოდი, შე უბედურ დღეზე გაჩენილო, ჩვენი ჭირი გაიზიარე! — გიგომ ხელი მოჰკიდა ბიჭს და წინ გაუძღვა.

ჭირისუფალი აღარ მოსთქვამდა. მხოლოდ სამძიმრისათვის მოსულ მეზობლის გამოჩენაზე აიმაღლებდა ხმას, მეზობელიც თავის ხმას შეუერთებდა. აზვირთლებოდა მოთქმა და ვიში, მერე ისევ ჩაცხრებოდა. დროდადრო კი ქალთა კენესა გაისმოდა.

ვაჟას კიდევ უფრო ეკუმშებოდა გული. გიგომ იგი პატარა ოთახში შეიყვანა. ოთახი ამოყორილი იყო ხის ძველი საწოლებით, კარადებით, ერთმანეთზე შედგმული მაგიდებით. სკივრებზე და კამოდებზე სხვა წვრილმანი ავეჯიც შეეხორხლათ. სინათლე დარბაზის ღია კარიდან შემოდებოდა, ვაჟა ახლა კარგად ხედავდა ჭირისუფალს. კუბოსთან ქალები ისხდნენ, შავად ჩაცმულნი და თავდახრილნი. ვაჟა მათ სახეებს ვერ არჩევდა. სამაგიეროდ კარგად ჩანდა ორი ჭაბუკი. ისინი კუბოს თავთან იდგნენ და ჩუმად ტიროდნენ.

გიგომ მცირე ვახშამი მოუტანა ვაჟას.

— ეს ჭამე. მერე მიწეკი და დაიძინე, — უთხრა აღერსით.

ვაჟას ხმა არ გაუცია. ლამპის ლიცილიცი ქრუანტელს ჰგვირდა და გაოგნებულად შეუყურებდა მოზარეთ. გიგო დარბაზში გავიდა და კედელთან ქალების გვერდით ჩამოჯდა. სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. სამძიმარისათვის უკვე აღარავინ მოდიოდა. მალე ნელ-ნელა გაიკრიფნენ მოსულებიც.

საათმა რამდენჯერმე დარეკა. ამ ხმის გაგონებაზე ვაჟა უცებ გამოფხიზლდა. მხოლოდ მაშინ იგრძნო, რომ ოთახში კედლის საათი იყო, ძველებური, ხის მრავალწახნაგოვან ჩარჩოში ჩასმული.

საათმა ძალზე მუსიკალურად ჩამოჰკრა. ბიჭი ოთახში მარტო იყო. მშრალი ვახშამი ხელუხლებლად ედო მაგიდის თითქოს აღარც შიოდა, ახლდა გაახსენდა გიგოს დილანდელი ნათქვამი, ლუკმა ყელში არ გადადისო.

საათმა კიდევ ჩამოჰკრა. ვაჟამ თორმეტი დათვალა. რა გაათენებს! მერედა, გათენებას მოჰყვება რამე სანუგეშო? ძილმა თავი წაართვა, საათის შემდგომი ჩამოკვრა აღარ გაუგონია.

სიცვისაგან შეაყრყოლა და შემკრთალს გაედვიდა. ფანჯრებს ნაცრისფერი დილა მოსდგომოდა. ოთახში ნახევრად ბნელოდა. ვაჟა ტახტზე ტანგაუხდელი იწვა. ვილაცას თქვა წაეფარებინა მისთვის. უცებ ვერ მოეგო გონს, რა უნდოდა ამ ტახტზე, ან ამ საოჯახო ხარახურით გამოტენილ ოთახში! წამოჯდა და შემკრთალმა მიმოიხედა. დარბაზის კარი მიხურული იყო. თვალი გადაავლო რკინის საწოლს, რომელზედაც ერთმანეთის გვერდიგვერდ ორი ჭაბუკი იწვა. ერთმანეთს ჩაჰკვროდნენ და ალბათ ტკბილ სიზმრებს ხედავდნენ. ერთი მათგანი თმაუჭუჭუა იყო, იქნებოდა ჩვიდმეტ-თვრამეტი წლისა, მეორეს თხელი ქოჩორი და მოგრძო სახე ჰქონდა. ძლიერ ჰგავდა გიგოს. დარბაზში ვილაც აქვითინდა. ამ ხმამ შეაღვიძა ყველა, ვისაც კი დილის ტბელი ძილით ეძინა. ჭაბუკებმაც გაიღვიძეს. ისინი შემკრთალნი წამოცვიდნენ და წელანდელ უშფოთველ ძილში დაწყნარებული სახეები გაუფიქრდათ. ტახტზე წამომჯდარი ბიჭისათვის ყურადღება არც კი მიუქცევიათ, ტანთ სწრაფად ჩაიცვეს და დარბაზში გავიდნენ.

დილამ ზარი და ტირილი მოიტანა.

ვაჟა ტახტიდან გადმოვიდა და ფანჯრიდან გარეთ გაიხედა. სახლის წინ უკვე ირეოდნენ გლუხკაცები, ეტყობოდათ, რალაცის თადარიგს იჭერდნენ, რალაცას აშალებდნენ, ბჭობდნენ.

ვაჟა ეზოში ჩავიდა. მარნის კართან

თენგიზ გოგოლაძე  
კაცი კაცითა

დადგრემილი გიგო დაინახა. ოჯახის თავკაცს ვაჟასთვის ყურადღება არც კი მიუქცევია. გულდამწვარი კაცი ფიქრს წაეღო. ბიჭს არაფერი უთქვამს მისთვის, კართან აიტუზა და გაირინდა.

გიგოს გლეხკაცი მიუახლოვდა. ქალამნები და ძველმანები ეცვა, მაგრამ ისეთი ტკბილი და სასიამოვნო ხმა ჰქონდა, მაშინვე მიიპყრო ვაჟას ყურადღება.

— რა ვქნათ, გიგო, შენი ჭირიმი, ნაეროზა ძალიან ძვირად გვიფასებს ჭედილას.

— სხვაგან ვერსად შეაგულეთ?

— აბა, სადა, ძნელია, გიგო!

— ერთი ჭედილა რას გაგვწვდება! არადა, ყელამდე ვალებში ვარ, ჩემო თედო, ხარჯი ჯერ სად არი! კარგია, რომ ეს ღვინო მაინც შემომორჩა. ახლა მეყოფა, მაგრამ ორმოცზე ამაზედაც უნდა ვიფიქრო. ერთი დეკეული რომ გვეშოვა სადმე. ვალი ვალია და საჭმელი იყოს, თუ იქნება.

— დეკეული? — ჩაფიქრდა თედო, ვაჟას შეხედა, მაგრამ მისთვის არაფერი უთქვამს. მერე გიგოს მიუბრუნდა. — დაიცა, ერთი, მეზვრიანთა გადავალ, იქნებ იმათ იცოდნენ. დღესა მარხავთ?

— მა რა ვქნათ! მარტო ორი დღე ურემზე მედო, ეგ უბედური! აბა, შენ იცი, თედო, ღმერთი გიშველის, ეს მეზობლები რო არა მყავდეთ...

— კაცი კაცითაო, ჩემო გიგო. გაჭირვებაში თუ არ გამოგადექით, კაცნი არა ვყოფილვართ! — სთქვა თედომ და ეზოდან მარდი ბიჭივით გავიდა.

ვაჟამ თვალი მიადევნა მსუბუქად მიმავალ გლეხკაცს. მერე ბოგირთან მაღალი მამაკაცი დაინახა. იგი შეღმართს ნელა შემოჰყვავდა და გიგოს ჭიშკართან შეჩერდა. თითქოს შემოსვლას ვერა ბედავსო, ჭიშკარი ნელა შემოაღო და მარნისაკენ წავიდა.

მამაკაცს შავი ტანისამოსი ეცვა, შავი ქული ეხურა. გიგოს მიუახლოვდა, ქული მოუხადა და სამძიმარი უთხრა.

წამით დღმილი ჩამოვარდა. ახალ-

მოსულმა თვალებზე ცხვირსახოცი/მიიფარა და ვაჟამ გაიგონა ვიქსეულ-ქუმი, თავშეკავებული, ჩაუღულტოქცხრონი. კაცმა მალე მოიწმინდა ცრემლი.

— გიგოჯან, იქნებ რამეში დაგჭირდებ?

— არაფერი არ მინდა, სარქის. ყველაფერზე თედო ტრიალებს. მაღლობელი ვარ.

— როგორც ჩემ შვილსა, ისე დატბორი შალიკოს. ყური მიგდებ: კაცი კაცსა ჭირში უნდა გამოადგეს. შავი ღღისათვის ცოტა რაღაც გამაჩნია, მინდა, ამ მშვენიერი ვაჟაკის სულის სანაცვლო იყოს. ერთი ჭედილა ჩემს სახელზე დაუკალი.

გიგო უხერხულად მიდგა-მოდგა. არ იცოდა, რა ეთქვა სარქისასთვის, მაღლობა გადაეხადა და მიეღო შეწირულობა, თუ უარი ეთქვა და ამით სარქისა გაენაწყენებინა.

დიდი ხანია იცნობდა სარქისას. ერთი საქმეც ავაგვირებდა მათ. გიგო მჭედელი იყო, — სარქისაც. ერთის ქურდა გარიყულაზე ღვიოდა, მეორისა — ახალქალაქში. მჭიდროდ მომიჯნავე ამ ორ სოფელში სამჭედლოს ცეცხლი მათ მოიტანეს, მათ გააგონეს თანასოფლელებს უროს. და გრდემლის გუგუნი. ჭირში და ღვინოში ერთად იყვნენ. ახლა უარი როგორ უთხრას? თუ მაღლობა გადაუხადოს და მიიღოს შეწირული ჭედილა შალიკოს სულის საღვინოდ, საქელეხოდ, უბნის დასაპურებლად?

— რა გითხრა, ჩემო სარქის, რა გითხრა!

— მითხარ: მოიტა, სარქისთქო. ეს რა დღე გაგვიტენდა, გიგოჯან! ქალაქს იყავ, გაიგებდი. მაინც, რაო, რისთვისაო? რად მოჰკლეს ასეთი ვაჟაკი? ვის რა დაუშავა? — მხრები აიწურა სარქისამ და სახე ისე დაემანჭა, თითქოს სატირლად მოემზადაო.

ვაჟა თვალს არ აშორებდა სარქისას.

— ვის რას დაუშავებდა, ჩემო სარქის... ხედავ, რა დრო დადგა! — გიგომ ცრემლი მოიწმინდა.

კაცები ერთ ხანს უბრად იდგნენ. არც შინიდან ისმოდა ხმა. მეზობელთაგან

თუ ვინმე ავიდოდა აივანზე, ისიც ფეხ-აკრეფით, თითქოს ფრთხილობს, მიცვალებულის მარადიული მყუდროება არ დაარღვიოსო.

სარქისა ახალქალაქში დაბრუნდა, საიდანაც ჰქედილა უნდა ამოეყვანა.

დეკემბრის ნაღვლიანი, ცივი, მოქუროშებული დილა იყო. ვაჟა სიცვივამ აიტანა და სამზადში ცეცხლს მიეფიცხა. გიგომ მალე მიაკითხა.

— შეგცივდა, ბიჭო? მოგვივდა კიდევ, განა?

ვაჟამ არა უთხრა რა. მოღლილი და სევდიანი თვალებით ამოხედა გიგოს. კაცს გული დაუთუთქა ყმაწვილის თვალბში ჩაწერილმა მწუხარებამ. საჭმელში მოუტანა, მერე ღუმელში წიფლის კუნძის ნახეთქები შეყარა და ცეცხლიც გამხიარულდა.

ბიჭი დანაყრდა. მის ძარღვებს სითბო მოემატა.

დრო ნელა მიდიოდა. დროს არ ეჩქარებოდა, კაცი ჩქარობდა. დროს დიდი და უსასრულო გზა ჰქონდა სავალი, კაცს — მიკირედი. კაცს ბევრი საზრუნავი აქვს, ეშურება, ყველაფერი მოასწროს...

გიგოს იმდღევანდელი საზრუნავი შალიკოს დაკრძალვა და ქეღები იყო.

თედომ ჰქედილა მოათრია. პირუტყვი თითქოს გრძობდა თავისი დღის დასასრულს, არ ნებდებოდა, ფეხებს ფშკავდა, ბლაოდა, არ მოჰყვებოდა, თედო ძალით ეწეოდა. რქებში მაგრად ჩაეკიდა ხელი და ისე მოათრევდა. როგორც იქნა, ხართუთამდე მიიყვანა და როცა თოკით ხეზე მიაბა, თავისუფლად ამოისუნთქა.

გიგომ შორიდან შეხედა აბუზულ ცხვარს, აივნის კიბე აიარა და ოთახში შევიდა, სადაც მიცვალებული ესვენა. ჭირისუფალს ძალა მიუღოდა. აღარ ტირილდნენ.

კუბოს გასწვრივ, კედელთან იჯდა გიგოს მთელი ჯალაბი: მეუღლე ელენე, შვილები — ანაიდა, გიორგი და ქუქუნა, პირველ ცოლთან რომ შეეძინა. თანმიყოლებით თითო წლით იყვნენ უმცროს-უფროსნი. ყველაზე

უფროსი ანაიდა, თვრამეტი წლისა იყო. იქვე ისხდნენ გიგოს ძმისწულენიც — აგერ, ნინო, მიცვალებულის დაიბრუნების შავგვერემანი და ეშხიანი ქალიშვილი, მისი უმცროსი ძმა, თმახუჭუჭა ვალიკო.

სამივე ქალიშვილი გორში სწავლობდა. გიორგი და ვალიკო თბილისში, გიმნაზიის მეშვიდე კლასში იყვნენ.

თავაშვებული ინგლისელების წინააღმდეგ მოწყობილ დემონსტრაციაში მონაწილეობისათვის მენშევიკების გვარდიელებმა მოჰკლეს შალიკო გიუნაშვილი. ბიჭებმა ცხედრის წასაღებად გიგო ურმით სოფლიდან დაიბარეს, თავდაკის მატარებლით გორში ჩავიდნენ და სოფელში დები ჩამოიყვანეს. შალიკოს ცხედარი მამა-პაპათა საფლავების გვერდით ფაენისში უნდა მიებარებინათ მიწისათვის.

მეზობლებმა გიგოს ჭირში გული გადაუშალეს და მისი ვარამი თავიანთ ვარამად მიიჩნიეს. ის იყო, გიგო დარბაზის კართან შეჩერდა და თავის დამწუხრებულ ჯალაბს თვალი მოავლო, რომ თედო წამოეწია და გარეთ გაიხმო. გიგო აივანზე გამოვიდა და დაინახა მჭედელი სარქისა, მას ახალქალაქიდან ჰქედილა ამოეყვანა. თოვლი უკვე ბარდნიდა, შრიალით ეფინებოდა მიწას.

შარშან ამ დროს დიდი თოვლი იდო. უცებ გაახსენდა გიგოს, რა დიდის ამბით მოიყარეს თავი საახალწლოდ შინაურებმა... მაგრამ არ გათენებულა ბედნიერი წელი. ახლაც ბარდნის და ალბათ დიდ თოვლს დადებს.

გაოგნებული გიგო აივნის ხარხხასთან იდგა და სარქისას მისჩერებოდა. სარქისამ ჰქედილა ხართუთასთან მიაბა.

— გიგო! — შეეხმინა თედო, ციბრუტა და ძალზე გამხდარი, მაგრამ, ეტყობოდა, ყოჩაღი გლეხი.

გიგო ფიქრიდან გამოერკვა.

— ჰო, რა იყო, თედო?

— დანა გავლესე. ორივე მივასაკლაო?

— ორივე, ჩემო თედო. ერთი, აბა,

---

თენგიზ გოგოლაძე

კაცი კაცითა



რას განდებამ! — სიტყვა ჩააბეჭდა სარქისამ, — ჩამოქნასა და გატყავებამი მეც ვიშველი.

— ჯალაბს ვეტყვი, სხვა თადარიგი დაიჭირონ, — სიტყვა თედომ.

— ლეინოც ამოსალებია, ჩემო თედო! — სთხოვა გიგომ.

— შენ დარდი ნუ გაქვს, ყველაფერი რიგზე იქნება... მოგიკვდეს თედო! — აფანდარა კაცს სხვა არაფერი უთქვამს, ჯერ თავისი ჯალაბობა მოიხმო და რაღაც დაავალა, მერე მარნისაკენ წაუტყნცულდა.

მარნის წინ სამზადი იყო. სამზადიდან კარი მარანში გადიოდა.

ლუმელთან ვაჟა იჯდა. ერთ ხანს არავინ ურღვევდა მყუდროებას და ისიც სულგანაბული, გაბრუებული და მოღლილი ყურს უგდებდა თოვლის შრიალს. ღია კარიდან მოჩანდნენ ფანტელები, ციდან ფარფატით რომ მოდიოდნენ, მოჩანდა ღობე, ღობეს იქით კი თოვლს თეთრი, მარმუა ფარდები ჩამოეფარებინა, და სამყარო ისე პატარა ჩანდა, თითქოს ყველაფერი აგერაჟ, ღობისძირას თავდებოდა. ლუმელში შეშა ტურციალებდა, ადვილად არ ინაცრებოდა წიფლის კუნძი. ვაჟას ძილმა წაართვა თავი და ჩასთვლიომა.

— რომელი ხარ, ბიჭო? — ჰკრა ვილაცამ მუჯღუგუნ.

შემკრთალმა ვაჟამ თვალი აჭყიტა. მაშინ კი დაუყვავა კაცმა:

— შენ საიდან გაჩნდი აქა?

ეს თედო იყო, წედან ძია გიგოს რომ ელაპარაკებოდა. ვაჟამ ენა ვერ დაძრა, ნამძინარეზე გული ჯერ კიდევ გამალებით უძგერდა. თედოს მისი პასუხისათვის არ დაუცდია, მარანში გავიდა. იქიდან ხის გობი და თითბრის ქვაბები ხრიალით გამოაწყო სამზადში, სადაც სომეხი მჭედელიც შემოვიდა.

თედომ ერთხელ კიდევ ალესა დანა. სარქისამ წყლით სავსე ქვაბი ლუმელზე შემოდგა და ცეცხლი შეასწორა.

ვაჟას ცნობისმოყვარე თვალები ხან სარქისას მისდევ-მოსდევდნენ, ხან თედოს. როცა თედომ და სარქისამ ორივე ჰედილას ყელი გამოსჭრეს, სამზადში

ქალები შემოვიდნენ. მათ გოგონაც შემოჰყვათ.

გოგონა ძელმანებში მობუხებული სითბო რომ იგრძნო, თავშალი მოიხსნა და გამოჩნდა მისი ლამაზი, მრგვალი პირისახე. ვაჟამ შეხედა უცნობ გოგონას, გოგონამ კი ყურადღებაც არ მიაქცია. ლუმელთან განებივრდა და დაკერებული პალტოც გაიხადა.

სამზადში დაკლული ჰედილები შემოიტანეს, ჰერის კოჭზე თოკებით ჩამოაბეს.

— საწყლები! — ჩაილაპარაკა გოგონამ.

სარქისას და თედოს ფერხთით, ხის გობში ჰედილების მოკვეთილი თავები ეყარა.

გოგონამ კაცებს თვალი მოარიადა და ვაჟას შეხედა.

— ვინა ხარ? — ჰკითხა მორიდებით.

— მე ვაჟა ვარ. შენა?

— ფეფე.

— ფეფე? მე კი მეგონა, სხვა სახელი გერქმევოდა.

— რათა, რა! — იწყინა გოგონამ.

— გოგო, ეს გობი აქეთ მომიდგი! — გაისმა თედოს ხმა.

ფეფე მაშინვე წამოხტა და გობი დაკლულ ცხვარს გაუსწორა. თედო მთელი ძალ-ღონით დაეჭიდა ტყავს, ხან ხელს შეჰყოფდა ცხვრის ქურქის ქვეშ, ხან დანას მოიშველიებდა — ატყავებდა გამხდარ ჰედილას. სარქისას ცხვარი უფრო მსუქანი ჩანდა. მარანში ქალებმა ორი ვარცლი დადგეს და ცომის ზელა დაიწყეს. სარქისა თავის ჰედილას ქურქს ხდიდა. თედოსავით არ ჩქარობდა. დინჯად და სუფთად გააძრო ტყავი, შიგანიც გამოათვალა, ხორციც ჩამოჭნა. ფეფე ისევ ლუმელს მიუტუტქდა. ვაჟამ ერთხელ კიდევ ახედ-დახედა მას. ფეფეს თვალებში ცრემლის გუბე იდგა, შიგ სინათლის სხივი ციაგობდა.

„ტირის — არ ტირის. ტირის — არ ტირის“, — ფიქრობდა ვაჟა და ვერ

თენგიზ გოგოლაძე

კაცი კაცითა

მიმხვდარიყო, მართლა ტიროდა გოგონა, თუ საერთოდ ასეთი თვალეები ჰქონდა.

— ტირი? — უნებურად ჰკითხა ვაჟამ.

— არა.

— აბა, დახუჭე თვალები.

— აჰა, მერე რა იყო?

გოგონამ თვალები მოხუჭა, მაგრამ ცრემლი არ გადმოვარდნია. თვალი რომ აახილა, ბიჭი გაოცებული უცქერდა.

— მართლა არა ტირი?

— სატირალი რა მაქვს!

— რა ვიცი, ჰედღილები არ გეცოდება?

— ძალიან მეცოდება.

— მეც ძალიან მეცოდება.

ქვაბიდან მოხარშული ხორცის სუნი ამოვიდა. თედომ ჭაფქირით მოუტრია.

— ცოტა გამხდარი იყო ნაგროზას ჰედილა. შენი კარგია, სარქის. ცხვრის გემოს გაიგებს კაცი. მაგრამ ამდენ ხალხს რა გასწვდება! საჭმელი მიგვაკლდება.

— მთელი სოფელი ხომ არ მოვა?

— რა ვიცი. შიათ და მოვლენ. მერე რას უპირებ. სუფრიდან ხომ არ გააგდებ მშიერ კაცსა?

— აბა, ეგ რა წესია!

თედომ ქვაბში ჩაჰყო ხელი, ცხელ-ცხელი, ოხშივარიანი ხორცი ამოიტაცა და ჯამში ჩააგდო.

— რა მალე მოიხარშა. ქორფა და... — სთქვა თედომ, ხორცს შეუბერა, შუა გახლიჩა, ფეფესა და ვაჟას გაუწოდა, — გემო გაუსინჯეთ, თქვე საცოდავებო, ახლა მინც ჰამეთ ხორცი.

ასეთი გემრიელი ლუკმა არც ახსოვდა ვაჟას. ცხვრის ხორცის სუნით გაბრუნდა. თავი დაჩაგრული და დამცირებული ეგონა, ვიდრე თედო ხორცის ნაჭერს გაუწვდიდა.

ფეფესაც დიდი ხანია ხორცი არ ეგემნა. ცხელ-ცხელ ნაჭერს ილუკმებოდა და თან ვაჟას უყურებდა, ნეტარებით რომ დამთვრალიყო და გემრიელი ლუკმის შემდეგ ძილი ყველაფერს ერჩინა.

ქალებმა მალე ფეფეც ჩააბეს საქმე-

ში. არც ვაჟა გაანებვიერეს. თედომ უბრძანა, შეშა დაებო.

ბრძანებას შეჩვეული ვაჟა სწრაფად წამოხტა. შეშა კარწინ დაჰყარა, ცული მოიმარჯვა და პობა დაიწყო. ისევ თოვდა. ახლა უფრო ხევიანად ყრიდა ფანტელს.

გიგოს სახლ-კარში ხალხი შეგროვილიყო, მამაკაცები გზაზედაც იდგნენ. ერთმანეთში ხმადაბლა ლაპარაკობდნენ და მიცვალებულის გამოსვენებას ელოდნენ. სარქისა ახალქალაქში დაბრუნდა და გიგოსთან შეთანხმებით, მეზურნეები ამოიყვანა.

გიგოს უყვარდა დოლ-ზურნა. უწინ, სარქისასთან ერთად, ვინ იცის, რამდენჯერ უქეიფნია დოლ-ზურნით. გიგოს ნაშეერთ ზურნა არ უყვარდათ, მაგრამ მამის წინააღმდეგ არ წავიდნენ და ჰირთან ერთად აიტანეს ზურნის მოთქმა და მედოლის სევედიანი სიმღერა. ვაჟას ერთი სული ჰქონდა, გაეგო რა ხდებოდა კუბოსთან, მაგრამ თედომ ახალი ბრძანება მისცა, ღუმელს უდარაჯე, ცეცხლი არ გამოენლდეს, ქვაბებს მალე მალე მოუტრია.

პანაშვიდი მალე დამთავრდა.

სოფლის ნაბოლარებმა — ჰიჭია-ვანამ და ფედოსას გოლამ კუბოს სასურავი გამოიტანეს. ქალები აწიოკდნენ. თედო, ფეფე და ვაჟა სამზადის კართან გაქვავდნენ. ვაჟა გაოგნებული შეჰყურებდა ხალხს. ფეფე ტიროდა, თვალიდან მსხვილი კურცხალი სცვივოდა. ტიროდა უხმოდ და მხრები უთრთოდა. გიგო ჭულ-მონხილი იდგა, თავზე ათოვდა. იდგა და ცრემლმორეული თვალებით ფავნისის გორაკისაკენ იყურებოდა. იქით უნდა წაეღოთ ჰაბუქის ნეშტი.

ვილაცის კივილი გაისმა, მერე სხვებიც ხმაშლიდა ატირდნენ. კუბოს წინ ვალოც და გიორგი შედგომოდნენ, უკან — სოფელში ჰაბუქები. არ შეჩერებულან, გზაზე გავიდნენ. ჰიჭია-ვანა

თენგიზ გოგოლაძე  
კაცი კაცი

და ფედოსას გოლა კუბოს სახურავით წინ გაუძღვენენ. გიგო ერთ ხანს გაოგნებული იდგა, მერე ვიღაც მივიდა, ხელი მოჰკიდა და წაიყვანა. კარ-მიდამო ერთბაშად დაცარიელდა. მოთეთრებულ გზაზე ხალხის ნაკადი ბოგირისაკენ დაეშვა. ზურნა და დოლი უკანასკნელ გზაზე მოთქმით მიაცილებდა შალიკო გუნწაშვილს. კუბო თვალს მიეფარა. ხალხმა და მეზურნეებმაც ორღობეში შეუხვიეს. მძიმე სიჩუმე გამეფდა. მხოლოდ ახლა გამოფხიზლდნენ სამზადის კართან გაჩერებულნი.

— უბედური! — ამოიოხრა თედომ. ფეფემ ცრემლი მოიწმინდა. მომსახურე ქალები ეზოში დაყრილ, დათოვლილ მაგიდებს წმენდნენ, შინ შეჰქონდათ, საქელეხოდ ამზადებდნენ. საიდანღაც ხონჩებით მოიტანეს გამომცხვარი პური, ჭვავნარევი, მახობელიანი პური. ისეთი სუნე ასდიოდა, ქალებმა ვეღარ მოითმინეს და ორიოდ პური მაშინვე გატეხეს. ყველამ გაინაწილა. ვაჟასაც ერგო.

— წამო, ბიჭო! მაგიდების შეტანაში მოგვეხმარე! — უთხრა ვაჟას ერთმა მალაშმა, გამხდარმა ქალმა, ტირილისაგან თვალები რომ დასწითლებოდა.

ვაჟა გაჰყვა.

მაგიდები დიდ ოთახში დააწყეს, მუშაობა გადააფარეს, სკამები ჩამოარიგეს, მეზობლებში შეგროვილი ჯამ-ჭურჭელი ჩამოაწყეს...

მალაშმა ქალმა ვაჟასთვის მოიცალა:

— შენა, ვისი ხარ, ბიჭო?

— მე რა ვიცი! — მხრები აიჩეჩა ვაჟამ.

— როგორ თუ რა იცი? ეს რა პასუხია. საიდან გაჩნდი? ჩვენებური კი არა ხარ და.

— ძია გიგომ ქალაქიდან ჩამომიყვანა.

— კეთილია ეგ საცოდავი! თავისი შვილების რჩენა უჭირს, ძმისწულებსაც ზრდის, შენც ავიყვანა?

ვაჟამ თავი დახარა. გულის კოვზი მოეწვა.

— დედ-მამა არა გყავს?

— არა.

— რამდენი წლისა ხარ?

— თორმეტისა ვიქნები, მთავარი რედ ვიყავი და გამაგდეს, ბევრს ვსწავლობ, მე კი სულ ცოტასა ვჭამდი.

— საცოდავო, დღეს ჭამე რამე? შენთვის ვინ მოიცილიდა. რამეს მოგიტან.

— არა, არ მინდა. ძია თედომ სთქვა, იქნებ დაგვაკლდესო.

— იმდენს რას შესჭამ, ამდენ ხალხს რომ დააკლდეს! წამო! — უთხრა და წინ გაუძღვა.

— ბავშვებს აჭამეთ რამე? — სამზადში შესვლისთანავე იკითხა მალაშმა ქალმა და ფეფესაც შეხედა.

— ცოტა ჭამეს, ცოტაც მოითმინონ, — ცივად უპასუხა თედომ და ლუმელთან დანიხარა, დადარს შეუბერა.

— შენმა თავის გახეთქამ, — წარბი შეიკრა მალაშმა ქალმა, — დაუსხით რამე და აჭამეთ, — მიუბრუნდა სხვებს, — ღვინოც დაალევინეთ ცოტა, შალიკოს სულის შესანდობარი ამათაცა სთქვან.

— კერძი ცოტაა, მაშო, — ჩიაბურტყუნა თედომ.

თავის შვილისთვის, ფეფესთვისაც კი ვერ გაიმეტა, რომ სუფრაზე არ შერცხვენოლიყვნენ გიუნაშვილები. მაგრამ ეტყობოდა, მაშოს ისეთი გავლენა და ძალა ჰქონდა, თედოს ბურტყუნამაც ვერ უშველა.

მაშომ გემრიელი და დიდრონი ნაჭრები ამოუღო ქალ-ვაჟს. მოზრდილებს პირს ნერწყვი მოადგათ და ჭამის სადერღელი აეშალათ. ტკბილ და გემრიელ ლუქმას დანატრულები იყვნენ.

ჩამოხედა. ფავნისიდან ხალხი დაბრუნდა. ორმა ქალმა ძლივს მოიყვანა გაფითრებული და სახედაკაწრული ნინო. როცა კუბოს სამარეში უშვებდნენ, გული წასვლოდა საცოდავს. ახლა აღარავინ ტიროდა. ეზოს კართან ფეფე იდგა. ღვინონარევი ორი ვედრო წყალი დაედგა და ეზოში შემომსვლელთ ხელს აბანიებდა. სუფრა მალე შეივსო. თამადაც აირჩიეს. ნინომ თავი ვერ შეიმავრა, ტირილი წასკდა. ახლა ცოდევა ტირილიო, დაუშალეს ქალებმა. ვალიკო გაოგნებული იყო, მაგრამ სანამ ხალხ-



ში ტრიალებდა, კიდევ ვერ მიმხდვარიყო, იმდენად ვერ ეგრძნო ძმასთან სამუდამო განშორების სიმწვავე. არანაკლებ დამწუხრებულები იყვნენ ბიძაშვილებიც.

ჭიჭია-ვანა და ფედოსას გოლა ერთად დასვეს აივნის კუთხეში, პატარა მაგიდასთან. ორი ბოთლი ღვინო დაუდგეს, მოხარული ხორცი და პური ბლომად მიუტანეს. ისე ითქვიფებოდნენ, გეგონებოდათ, თავის დღეში არა უჭამიათ რაო. დამწუხრები იყვნენ — კარდაკარ მოხეტიალეთ, ხან ვინ აჭმევდა სამადლოდ, ხან ვინ.

ჭიჭია-ვანამ ლექსების თქმა იცოდა, რალაცას მიჰკიბავ-მოჰკიბავდა, სიმღერასაც შემოსძახებდა. გზაზე სულ ღიღინით დადიოდა, შიოდა თუ სწყუროდა, მანაც ჭკუამხიარულად იყო.

ფედოსას გოლა კი (ფედოსა ძველად ეკლესიაში სანთლებსა ჰყიდდა) ერთი შეხედვით ჭკუადამჯდარი ჩანდა, მაგრამ ჭიჭია-ვანას ამხანაგს რა ჭკუა მოეკითხებოდა! პირისპირ ისხდნენ სოფლის ეს ნაბოლარები და ხმაურით ჭამდნენ. გემრიელი ლუქმის ღებვაში ჭიჭია-ვანას ისედაც მონგრეული ყბა კიდევ უფრო მოღრეცოდა, თვალებს ნეტარებით ნაბავდა, ყოველი ლუქმის გადაყლაპაზე „იფ, იფ“-ო, იძახდა და ტუჩებს გაქონილი სახელოთი იწმენდა. გოლა არაფერს ამბობდა, ძვლებს ახრამუნებდა.

ჭიჭია-ვანა ჭიქას ასწევდა, შეიწყალოსო, იტყოდა და წვეთს არა ტოვებდა.

გოლა კი ამ ერთ სიტყვასაც არ ამბობდა. მაშო თავს მალიმალ წამოაღებოდათ:

— კიდევ გინდათ რამე, თქვე მუცელ-გასახეთქებო?

— კიდევ მოგვიტა, მაშო! — შეეჩვეწებოდა ჭიჭია-ვანა.

თამადის ხმა სევდიანი, დაბალი და მოგუდული იყო. ჯერ ჩურჩულით ამბობდნენ შალიკოს, მისი გარდაცვლილი მშობლების, გიუნაშვილების ოჯახიდან სამუდამოდ წასულთა შესანდობარს.

მაგრამ როცა ღვინომ სევდის ნამუსი ჩამორეცხა, როცა ფრთა გაშალა და მამაკაცების გრძნობა-გონება მოაჩვენებდა, სუფრა ახმაურდა. შვიდჭიქიანი ქელები თერთმეტიანი ვახდა. შეთვრნენ ზოგიერთები. კარგად შელამდა. აივანზე ფარნები აანთეს. ლანდები თანდათან ბარბაცით გაიკრიფნენ შინისაკენ. ქალებმა ჩუმად დატოვეს გიგოს სახლკარი.

ღვინომოკიდებული ჭიჭია-ვანა აივნის კუთხეში, სკამზე გადაწოლილიყო, ორივე ხელი საზურგეზე გადაეწყო, თავი გვერდზე გადაეკიდა და ელამი თვალებით ქვეშ-ქვეშ გაჰყურებდა შინ მიმავალთ. მერე უცებ წამოხტა, გოლას კისერში წაუთაქა და ზეზე წამოავლო. გზაზე რომ გავიდნენ, ჩაიღიღინა კიდეც.

— ჩუ! — შეუღრინა გოლამ.

— რა იყო? — ყბა მეგობრისაკენ მოღრიცა ჭიჭია-ვანამ.

გოლამ რალაც დაიღმუვლა. ბოგირს რომ გასცდნენ, ჭიჭია-ვანამ სიმღერა შემოსძახა.

— ჩუ! — ცვლავ შეუღრინა გოლამ.

— ცოცხალი ვარ და მიხარია! — თავისი არ დაიშალა ჭიჭია-ვანამ.

ქალებმა საქელებო სუფრა აალაგეს. შინაურები ცარიელ მაგიდას შემორჩნენ, გაოგნებულები ისხდნენ. უცებ გიგოს ვაჟა გაახსენდა და ოთახში აქეთ-იქით მიმოიხედა.

— სად არის ის ბიჭი? — იკითხა მან.

იქ მისდრომთ ისე მოეჩვენათ, თითქოს გიგო სისმარში იყო და ახლა, გამოფხიზლებული, შალიკოს კითხულობდა. მაგრამ როცა მან სამზადიდან ნამძინარევი ვაჟა შემოიყვანა, ყველა გაკვირვებული მიაჩერდა, ბიჭი ახლა პირველად შეამჩნიეს.

— დღეიდან ეს ბიჭიც ჩვენი იქნება, — სთქვა გიგომ და ვაჟას თავი მკერდზე მიიკრა.

თენგიზ გოგოლაძე  
კაცი კაცითა



არავინ იცოდა, საიდან გაჩნდა ჩაფარო გოგია გარიყულაზე. უკემბი და შუბლგაუხსნელი კაცი იყო. გარიყულაზე ხევის პირას დაიდგა სახლი, ცოტა ზემოთ, ხევის პირასვე მოიზომა სავენახე-საბაღე ადგილი და მალე კარგი ვაზი და ხეხილი გააზარა.

მარტო გიგომ იცოდა, საიდან გაჩნდა მამამისი აქ. აფხაზ მირბას ქალის გულისთვის ძმადნაფიცვი შემოაკვდა. დაპყრა ფეხი და ამა სოფლის გრძელ გზას დაადგა. ლიხის მთასთან ერთ სოფელს მიადგა. სოფელში გიუნაშვილები ცხოვრობდნენ. მირბამ მიწა იყიდა, გვარიც იქაურებისა დაირქვა. მალე მან მიწა გაჰყიდა და ქართლის შუაგულისკენ გასწია, იქ ერთი ქალი მოეწონა, შეირთო და გარიყულაზე დასახლდა. ორი ვაჟი შეეძინა — დავითი და გიგო. გოგია ხელისუფლებას ჩაფრად დაუდგა და ერთგულად ემსახურებოდა. გოგია ჩაფარი სოფლის რისხვა იყო და შინაურებსაც სულს უმწარებდა. ერთი ქილა ჰქონდა, ფულით ავსებდა. ქილას არ მალავდა, განჯინის თავზე შემოდგამდა ხოლმე.

გიგო ისე გაიზარდა, მამის ალერსი არ ახსოვს. ახსოვს იგი, ცხენზე მრისხანედ ამხედრებული, კბილებამდე შეიარაღებული. შესაძლებელი რომ ყოფილიყო, ზარბაზნასაც მხარზე მოიკიდებდა, ისე უყვარდა იარაღი და ვინმეს დაწოკება.

დამბაჩა და ხმალი, ხანჯალი და თოფი, მათრახი და ლურჯა, ჩაწითლებული თვალები, აპრეხილი უღვავში, გაშლილი მხრები, მაღალი ბოხოხი და უფრო მაღალი ხმა — აი, ასეთი იყო ჩაფარი გოგია.

თუ რამ კარგი დაჰყვა გიგოს, ისიც დედისაგან. ეფემიას გულისა და სულის სითბო იყო ყველაფერი. დავითი უფრო ფიცხი ჩანდა და მას მამას ამგვანებდნენ. ჩაფარი გოგია ქილას ფულით ავსებდა, ეფემია კი ჰქანებოდა.

თხუთმეტი წლის გიგომ უდროოდ დაიტირა ცხოვრებით გამწარებული

დედა. არც გოგიას უტოცხლნა დიდხანს. ერთი წლის შემდეგ იგი მოკლეს. მკვლელობამდე რამდენიმე დღით ადრე ქილა სადღაც გაჰქრა. მას შემდეგ, რაც ეფემია მიწას მიაბარა, მრისხანე გოგია პირქუში და ჩუმი გახდა, დაიარებოდა დაღვრემილი და ალბათ განზრახ ეძებდა ხიფათს, რომ თან გადაჰყოლოდა.

ფულის გაქრობამ ძლიერ ჩააფიქრა გიგო. ძილი გაუფრთხა ჰაბუტს. ძველი სახლი დაანგრია, ეძება, მაგრამ ვერაფერი იპოვა. ბევრი ღამე თეთრად გაათენა, დღეები ტანჯვაში გაატარა. ეძებდა, ეძებდა და იმედს არ ჰკარგავდა. მისმა ძმამ, დავითმა კი თავისი გზა მონახა. ქალაქში წავიდა და რკინიგზაზე დაიწყო მუშაობა. იგი არ აჰყვა გიგოს ცდუნებას.

გიგო ორი-სამი წელი ამოდ დაშვრა ქილის ძებნაში. ორი წლის ოცნება სანთელივით დაიღვენთა. ჩაიფუშა გამდიდრების ფიქრი და აზრი. გიგო შრომას მოეკიდა, თავისი ნაოფლარით შეუდგა ოჯახის შენებას და მის წინაშე ახალი სამყარო გადაიშალა. გრძნობდა, საკუთარ ნაამაგარს უფრო კარგი გემო ჰქონდა, თუმც ხანდახან ძველი ჟინი მოუვლიდა. რაც დრო გადიოდა, ცხოვრების სურათები სულ სხვა ელფერს იღებდა. მარჯვენის ძალა, შრომის ხალისი, უროსა და გრდემლს შუა რკინის ლუნვა და გრეხა გიგოს ახალი სულით, ჯანსაღი სულით ავსებდა. შინ მოღლილ-მოქანცული ბრუნდებოდა, ქილა გაახსენდებოდა ხოლმე, მაგრამ დილით მისი კუნთები გაშლასა და მოძრაობას მოითხოვდა და გული სამჭედლოსკენ გაუწევდა.

გარიყულალებს ჯერ კიდევ ეძინათ, როცა გიგოს სამჭედლოდან საბერველის ქმუტუნნი და ჩაქჩხის კაკუნი ისმოდა. საბერველი ქმინავდა და დადარიღვოდა, რკინა ხურდებოდა, გრდემლი ზათქით ეცემოდა ფოლადს და მაშინ გიგო სულ სხვა იყო, სულ სხვა ადამიანი. პირველი ცოლი სიყვარულით შეირთო. მისგან სამი შვილი ეყოლა.

და სწორედ მაშინ დარჩენენ უპატრონოდ ბავშვები, როცა დედის ხელი ყველაზე ძალიან სჭირდებათ.

მეორე ცოლი, ელენე, ნათესავებმა გაურიგეს. ბავშვებს პატრონობა უნდოდათ და გაუმართლდა კიდევ. ქმრის მოყვარული ქალი შეხვდა, გერების მფარველი ანგელოზი, ჩუმი და გამრჯე. თავად შვილი არ შესძენია, მაგრამ გერებს დიდი ამაგი დასდო. ამას ისიც დაემატა, რომ ავადმყოფობამ მაზლის ცოლი იმსხვერპლა, მალე უბედურებამ დავითი გადაიყოლა და მათი სამი შვილი — ერთი ქალი და ორი ვაჟი ელენეს ანაბარა დარჩა. ამ დღიდან მოყოლებული ბიძაშვილები ერთ ჭერ-ქვეშ იწაწილებდნენ ჭირ-ვარამს, ლხინსა და სიხარულს, მაგრამ... ყველაზე დიდი უბედურება მათ ცხრასცხრამეტის დეკემბერში დაატყდათ თავს, როცა მოკლული შალიკო ფავნისის მიწას მიაბარეს.

გიუნაშვილების ოჯახს ახალი წევრი შეეძინა. იგი ახლა კართან იდგა, ვიგოს გვერდით. ტანადი, შავგვრემანი, მოწიფული ყმაწვილი იყო. შინაურები უსიტყვოდ უმზერდნენ. ვაჟა უნდა მიეღოთ, ეძმით.

დღიდან ესეც ჩვენი იქნებაო, სთქვა ვიგომ, მაგრამ ერთ ხანს სიტყვა არავის დაუძრავს. ეს ალბათ ოჯახის წევრთათვის ძალზე მოულოდნელი იყო.

გიორგი და ვალიკო ერთად იდგნენ. ცერად იყურებოდნენ. ნინო პირდაპირ უტკბერდა ყმაწვილს, უტკბერდა და ისე უაზრო, ისე შორეული და გამოუცნობი იყო მისი გამოხედვა, რომ ძნელად გაიგებდით, ესაიშოვნა თუ არა უცნობი ყმაწვილის შემოთვისება. უფროსი ქალიშვილის, ანაიდას თვალეზში სითბო და ალერსი იგრძნობოდა. ყუყუნა მამას უყურებდა. ვაჟამ ერთ წუთს ყველას სათითაოდ შეავლო თვალი და ძლივს შეამჩნია ერთი მათგანის ბავშვი გამკრთალი ღიმილი. შორეული, დიდი ხნის ნანახი სიზმარივით ასოვს ასეთი თბილი ღიმილი. გულის სიდრემში მიმა-

კული გრძნობა ვაცოცხლდა, თვალზე ცრემლი მოადგა.

ელენემ გაუღიმა და პირველად ვაც მისი იყო:

— მოდი, შვილო, შენც ჩვენი იყავ! რადგან ოჯახის უფროსებმა გული გაუღეს ამ უთვისტომო ყმაწვილს, ახალგაზრდებმაც მიიღეს იგი. მხოლოდ ნინო არ ჩარეულა ამ შეხვედრაში. ყმაწვილს ერთი კი შეხვდა, ღრმად ამოიოხრა და მეორე ოთახში გავიდა. ყუყუნამაც ცივად ჩამოართვა ხელი და ბიძაშვილს გაჰყვა.

— საიდან მოიყვანე? — ჰკითხა ვიორგემ მამას, როცა ვაჟა ერთხელ კიდევ შეათვალეირა.

— ქალაქიდან. კუბოს ურემზე ვუდებდი და შემომეშველა. იმ დღეს გამოეგდით ეს საცოდავი და აბა, ღვთისა და ცის ანაბარად სად გაუშვებდით! — ჩვეული დუდღუნით სთქვა ვიგომ.

— კარგი ვიქნია, მამა, — მოუწონა ანაიდას.

მიუხედავად ღრმა მწუხარებისა, ამ პირმრგვალსა და ტანდაბალ ქალიშვილს თვალეზი მაინც ხალისით ჰჭონდა საესე. ამ ორ პაწია სარკმელში იხედებოდა მისი კაიქალობა.

— მოდი, ჩვენთან ჩამოუქე! — მმართა მან ვაჟას, რომელიც ნამძინარე თვალეზს შეშინებული კურდღელივით აქეთ-იქით აცეცებდა.

საათმა თორმეტჯერ ჩამოჰკრა. მერე სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ვაჟა ნელი ნაბიჯით მიუახლოვდა მაგიდას და ჩამოჯდა.

— გეძინება? — ჰკითხა ელენემ და თავზე ხელი გადაუსვა, — ახლავე დაგიგებ ღოგინს.

ვაჟა გაოგნებული იჯდა. არც ღუმელს, არც გემრიელ კერძს წოდან ისე არ შეუთბია და გაუხალისებია მისი გული, როგორც ელენეს ალერსიან სიტყვას.

ყოველ სულიერს მშობელი ჰყავს, ყოველ სულიერს თავისებურად უვლი-

თენგიზ გოგოლაძე  
კაცი კაცითა



ან, ეფერებიან და ზრდიან. და აი, დანატრებულს, მოწყურებულს ალერსი ეღირსა. მისი გული ამ წუთებში გახარებულიც იყო და დაჩაგრულიც, სევდიანიც და სხივჩამდგარიც. რამდენს ცდილობდა, ცრემლი არ წასკდომოდა, თავი ვერ შეიკავა და აზლუქუნდა.

— რა გატირებს? — მოფერებით შეუწყრა გიგომ.

ამ ხმის გაგონებაზე ბიჭმა უმალ შეწყვიტა ტირილი, მაგრამ აკანკალებულადაცაგებულს სხეული ვერ დაიოკა.

ვალკოს და გიორგის ვაჟას ცრემლისათვის ყურადღება არ მიუქცევიათ. მათ ისედაც ბევრი ცრემლი და წუხილი ხვდად წილად და ახლა გაბრუნებულნი ისხდნენ.

მხოლოდ ანაიდას გული შესძრა ბიჭის ცრემლმა.

— ხომ ხედავ, ჩვენ რა სიმწარე გვადგას და აღარ ვტიროთ, — მოეფერა იგი, — შენ რაღა გატირებს?

ვაჟამ თავი დახარა. ერთ ხანს ისევ დუმილი იყო გამეფებული. მეორე ოთახიდან ყრუ ქვითინი მოისმა. ნინო ტიროდა. კარგა ხანს ითმინა, მაგრამ ლოგინზე პირქვედამხოზილმა ცრემლი ველარ შეიკავა.

— ანაიდა, მიხედე, დაამშვიდე, ცოდო! — მიმართა შვილს გიგომ.

ანაიდა მაშინვე წამოდგა და ნინოსთან გავიდა. ქვითინი კიდევ კარგა ხანს ისმოდა.

გიორგიმ ხანდაზმული კაცივით ღრმად ამოიხორა და სთქვა:

— ასე მგონია, ყველაფერი ეს სიზმარია.

— სიზმარია, მწარე. სიზმარი! — ცრემლშერეული ხმით გაიმეორა ვალკომ და თვალებზე ხელი მოისვა.

გიგომ შეატყო, რომ ყმაწვილები ადგომას არ აპირებდნენ, ასე, მღუმარებაში ჯდომით გულს ისიებდნენ. გადაწყვიტა, საქმე გაეჩინა მათთვის. იქნებ რამეს მოეცოცხლებინა ისინი, იქნებ მცირე საქმეს მაინც გაეფანტა ვარამის შავი ღრუბელი.

— აცივდა, ღუმელი მაინც შემოგე-

ტანათ, — თითქოს სხვათა შორის სთქვა გიგომ.

თუნუქის ღუმელი წინა დამოთქვიტანათ, როცა ოთახს მიცვალეულის დასასვენებლად ამზადებდნენ. ახლა მექელეხენი რომ წამოიშალნენ, სიცივე თანდათან შემოიპარა. იქნებ ღუმელის ღულუნს, ცეცხლის მხიარულ თამაშს სიცოცხლის ნიშატი დაეტრიალებინა გიუნაშვილების დამწუხრებულ ოჯახში.

ღუმელი დადგეს. გიგომ მაგიდა გააწყობინა ელენეს. ვაჟა დასაძინებლად გაუშვა. თავად შვილთან და ძმისწულებთან ერთად ტაბლას მიუჯდა და ღვინოს მიეძალა. წელან, ქელეხზე ფხიზლობდა. ახლა ჭაბუქებს არ აძლებდა, თვითონ ეტანებოდა სასმელს.

გიორგის ძლიერ უყვარდა ღვინო. ბავშვობაში უნებურად, დაუფიქრებლად მოწამლეს მისი სული. ბავშვს მაღა არ ჰქონდა და ვილაცას შინაურებისათვის ერჩია, ცოტა სასმელი დააღვივინეთ, მაღა მოუვალ... ბევრჯერ უგონოდ დამთვრალა. მამისა ერიდებოდა, მაგრამ ახლა ღუმელის ღულუნში, გულდაგულ წრუპავდა ღვინოს.

ვაჟა იმავე ოთახში შეიყვანეს, სადაც წუხელ ტანგაუხდელმა გაათია ღამე. ახლა კი ელენემ ტანსაცმელი გაახდევინა, მერე მარტო დატოვა იგი და დარბაზში გავიდა.

ბიჭი ლოგინში ჩაწვა, ლეიბ-საბანი თუმცა ცივი იყო, მაინც სულიერივით ალერსიანი ეჩვენა, თავისუფლად გაშალა ფეხი. მალე შეთბა და ძილის ბანგი მოედო. ასე ტკბილად არასოდეს ჩასძინებია. ჩაეძინა საათის ზარის რეკვაში. რეკდა საათი და ყველაფერი ბინდში მიცურავდა.

მზიან დღეს პირი არ უჩანდა. ღამით ხევიანდ მოეთოვა. თოვლი შუშებზედაც მიფენილიყო. ხეების თეთრად დაზვინული ტოტებიც მოჩანდა. საოცარი სიჩუმე იდგა.

მეორე დღეს, წესისამებრ, სასაფლაოზე უნდა გასულიყვნენ. როცა დილით შინიდან ყველაზე ადრე გამოსულმა გიგომ დიდი თოვლი დაინახა, არ ესიამოვნა. მუხლამდე თოვლში როგორ ავი-

დოდნენ სასაფლაოზე! შარავნა შეიძლება ურემებს გაეკვალათ, მაგრამ გზიდან საფლავამდე კარგადალი სავალი იყო.

აივნის ხარხიზედაც მტკაველზე იდო თოვლი.

ელენეც გამოვიდა:

— რა ღმერთი გაუწყრა, — დაიწუწუნა მან და თეთრად გადაჰენტილ მიდამოს გახედა.

საამური სანახავი იყო თეთრი წუთისოფელი: დათოვლილი სახლები, თეთრი ცა და თეთრი მიწა. მაგრამ ელენეს ახლა ამის გული არა ჰქონდა.

— სასაფლაოზე როგორ ავალო, პა? — შესჩივლა გიგომ.

— მეც მაგას ვდარდობ, — სთქვა ელენემ, აივნის კუთხეში მიგდებულ ცოცხს ხელი წამოავლო და აივნიდან თოვლის გადაყრა დაიწყო.

გიგო ეზოში ჩავიდა და მარნისაკენ გასწია. მუხლამდე თოვლს ძლივს მიარღვევდა. მარნიდან ნიჩაბი გამოიტანა და გზის გასუფთავებას შეუდგა. სახლის დაბალ კიბეს მიადგა, იქიდან ჭიშკარს, ჭიშკარიდან გზაზე გავიდა. გზაზე არაფერი ჩანდა.

სოფელში საკვამურები აბოლდა. ბოლი ცის თეთრ თაღს შეერია. გიგომ მარნიდან შეშა გამოიტანა და დარბაზში ღუმელი დაანთო. ნაშუადღევს, როცა ურემებმა გზაზე კვალი ვაავლეს, გიუნაშვილები სასაფლაოზე გასასვლელად მოემზადნენ. გიგომ სამიოდე ნიჩაბი ააყუდა კიბესთან, კალათაში პურმარილი ჩააწყო და ღვინით სავსე დოქი ჩადგა.

— პაი, ძია გიგო! — გაისმა გზიდან.

ჭიჭია-ვანას და გოლას ხმა იყო. თითქოს შეთანხმებულანო, ორივემ ერთად ისე დაიძახა, ალბათ ახალქალაქში გაიგონებდნენ.

— რა გაყვირებთ? — წყრომით გამოხედა გიგომ.

ჭიშკარი გაიღო და ეზოში ჭიჭია-ვანა და გოლა შემოვიდნენ. თოვლში ამოგანგლულიყვნენ. ორივეს ნიჩაბი გაედო მხარზე, საცოდავად იკრიჭებოდნენ და ნელა უახლოვდებოდნენ კიბეს, სადაც

გიგო იდგა. გიგო ალმაცერად უყურებდა მათ. ვერ მიმხედარიყო, რამ მოიყვანა ისინი ამ დიდთოვლობას. ჭიჭილა-ვანას გიგოს მიუახლოვდნენ, კიბეზე ავიდნენ, ნიჩბები ჩამოიღეს და აივნის ხარხიზს მიაყუდეს.

— საფლავზე ხომ გადიხართ? — იკითხა ჭიჭია-ვანამ.

— გავდივართ, მაგრამ... ახლა ფავნისში როგორ ავა კაცი! — შეწუხდა გიგო.

— ისე ახვალთ, როგორც დაგიბარებიათ! — გაიღიმა გოლამ, მხრები შეათამამა და ხელები მოიფშვინია.

ჭიჭია-ვანამაც აათამამა მხრები და თავისებურად გაიღრიჭა. გოლამ რატომღაც ვერ შეატყობო გიგოს, რომ მისმა სიტყვამ ოდნავ მიინცვ გაამხნევა, რაღაც ასიამოვნა. მაშინ კი გულმოსულმა დაუმატა:

— მოგვედით მე და ვანა, დილაადრიან ისეთი ბილიკი გავაკეთეთ, აბა, მამა. ხო ვიცოდით, რო ახვიდოდით. მა რა გეგონათ, ძია გიგო!

ახლა კი სიბრაღულმა დასწვა გიგო.

— ახლა გვაჭამე რამეი, ძია გიგო, სხვა არა გვინდა რა შენი, — სთქვა ჭიჭია-ვანამ და სახე საცოდავად მოეღრიცა.

— ელენე! — ისე დაიძახა გიგომ, ქალი შეშინებული გამოვარდა წინიდან.

— რა იყო, რა დაგემართა?

— ერთი ამით პური აჭამე. ღვინოც დაუღვი.

— შენი ჭირიმე, ძია გიგო! — ხელები მოიფშვინია გოლამ.

— შენი ჭირიმე, ძია გიგო! — გაიძვორა ჭიჭია-ვანამაც.

— ჭირი ჭამონ! — კეთილი გულით დასწყევლა ელენემ.

ყველგან ასე წყევლიდნენ მათ, მაგრამ ჭირის მაგიერ თავის უკანასკნელ ლუქმას უყოფდნენ, რადგან ჭიჭია-ვანა და ფედოსას გოლა უშრომლად ერთ ლუქმასაც არ სჭამდნენ — ვის წყალს მოუტანდნენ, ვის კუბოს სახურავს წაუ-

თენგზი გოგოლაძე

კაცი კაცითა

ღებდნენ სასაფლაომდე, ვის ხერხვასა და შეშის დაპობაში მიეხმარებოდნენ. „ჭირი ჭამონ და ნაცარი ცხელი!“ — ხშირად ესმოდათ, მაგრამ ისინი არაფრად აგდებდნენ.

— სულ მეტირება, აი! — თვალზე ხელი მოისვა ჭიჭია-ვანამ, როცა დარბაზში შეიყვანეს. სახე მართლა სატირლად დაღრიჯა და ნინოს მიაჩერდა.

— როგორ გიყვარდა ჩვენი შალიყო, შე საცოდავო! — ჩაიწუწუნა ელენემ და ჭიჭია-ვანასა და გოლას ტაბლა დაუდგა.

— ეჰ, მოგათმენინოთ, მოგათმენინოთ! — ჩაიდუღუნა გოლამ, ხარბად გადახედა ტაბლას და მხრები აწურა.

— ღმერთი ააშენებთ ამათ! საფლავამდე გზა გაუწმენდიათ, — სიამაყით სთქვა გიგომ, — დასხედით, გათბით, თქვე საცოდავებო!

— იფ, იფ, რა ცეცხლია! — ხელები მიადიცხა ჭიჭია-ვანამ. მისი სველი ტანსაცმელიდან ავარდნილმა ოხშივარმა ქალიშვილები აქეთ-იქით გაფანტა.

— მაგათ რამე დაეჯერებათ?! — უჩიურჩულა ყუყუნამ დას.

ჭიჭია-ვანას მახვილ სმენას არ გამოპარვია ყუყუნას სიტყვები.

— შენ ყოველთვის ეგეთი იყავი, აი! — უთხრა გულმოსულმა.

— რა იყო, ვანა? — გაიღიმა ყუყუნამ.

— რა და ისა... ჰო, ისა! — ჩაიბურღლუნა ჭიჭია-ვანამ.

გიგომ წარბშეკვრით გადახედა შვილს. ანიშნა, ნურადფერს აწყენინებო. მერე ცალკე გაიხმო და უთხრა:

— ყველა-ყველა, მაგრამ ამათი ტყუილი ჯერ არავის გაუგონია.

ელენემ ტაბლას კიდევ მიუმატა საქმელი. გოლამ მერჩიფეობა დაიწყო ორკაციან სუფრაზე. ღვინო დაასხა, ჭიჭიასწია, მასპინძელს მიაჩერდა.

— შეიწყალოს!

შინაურებმა დალოცეს შენდობის მთქმელი.

ჭიჭია-ვანამ და გოლამ კიდევ ერთხელ სთქვეს, შეიწყალოსო და ღვინო გადაჰკრეს, პური გატეხეს და ჭამას შეუდგნენ.

გოლას რიყრაყზე ვალვიძებია, მამრევე წამომხტარა, წუხანდელი შეღებვი გახსენებია და როცა გარეთ მოსულა, თოვლი დაუნახავს, უსაზრია, თოვლი სასაფლაოს ბილიკებსაც დაჰფარავდაო. ნიჩბისათვის ხელი დაუვლია და ზემო უბანში ჭიჭია-ვანას მისდგომია. ვანა ლოგინში წოლილა.

— ადე, ბიჭო! არა გშია?

— ხაში ვჭამოთ? ჰი, რა კარგია! — ყბა მორღიცა ჭიჭია-ვანამ და უნდობლად გამოხედა მეგობარს, — შენ სადა გაქვს საქმელი, რომ მეც მიწილადო?

— ვიგოსთან ჩავიდეთ, გუშინდელი ექნება, — უთხრა გოლამ.

— მე რე ე ნიჩაბი რად გინდა? ნიჩაბით უნდა ჭამოს კერძი, ხალხო! — გულიანად გადაიხარხარა ჭიჭია-ვანამ.

— მართლა სულელია ეს კაცი! — თავი გვერდზე გადასწია და ქვეშ-ქვეშ გახედა გოლამ, — ისეთი დიდი თოვლი დევს, რომა... სასაფლაოზე როგორ გავლენ, გავასუფთაოთ გზაი და გვაჭმევინ, მა რას იზამენ, დღეს მაძღრისად ექნებით.

ჭიჭია-ვანა მაშინვე წამოხტა. ჯერ კიდევ კარგად არ იყო გათენებული, ფავნისს რომ მიაღწენ.

ჭიჭია-ვანა მუშაობისას ღიღინებდა. გოლა არ უშლიდა. მიცვალებულებს სიმღერა არ ესმოდათ. ცოცხალთაგან კი იმ მიდამოში მათ გარდა არავინ ჩანდა. ახალ საფლავს რომ მიატანეს, უკვე კარგად ინათა. მიწას თოვლი შემოაცალეს, მერე ნიჩბის ტარებს დაეყრდნენ და ჩამოისვენეს. ერთ ხანს ჩუმად იდგნენ, ცა და მიწა ბამბასავით მსუბუქი ეჩვენებოდათ.

— წავიდეთ, ვანა! — ამოიოხრა გოლამ.

მძიმედ შეტრიალდნენ და უკვე გასუფთავებულ-გატკეპნილ ბილიკს სოფლისაკენ დაჰყვნენ. ჭიჭია-ვანა აღიღინდა. სასაფლაოს რომ გასცდნენ, შემოსძახა კიდევ. გაკრიალებულ სივრცეში ისე გაისმა მისი ხმა, თითქოს მთელ ქვეყანას გასწვდებო. დუმდა მიწა. ყველაფერი გაყურსულიყო. ჭიჭია-ვანასი იყო მთელი ღუნია.



გიგოს სახლს რომ მიატანეს, სიმღერა მაშინ შეწყვიტა და გოლას უთხრა:

— გაეხარდება, ჰა?!

— გაეხარდება, მა რა! — მიუგო გოლამ.

წეროებივით გამწკრივდნენ გზაზე გიგოს ოჯახის წევრები. წინ გიგო მიდიოდა კალათით ხელში. წესისამებრ, სასაფლაოზე პატარა სუფრას გაშლიდნენ, მიცვლებულს ჭიქას წაუქცევდნენ. ნინოს ანაიდა მიჰყვებოდა, მათ უკან უყუჟუნა, გიორგი, ვალიკო და რამდენიმე მეზობელი მიდიოდნენ. ვაჟა და ელენე შინ დარჩნენ.

გოლას და ჭიჭია-ვანას სითბო გაუტკბათ და ღუმელს აღარ მოშორდნენ. სული მოითქვეს, ელენეს ერთი ბოთლი ღვინოც მოატანინეს და ჭიჭია-ვანას მოღრეცილი ყბა უარესად მოექცა.

ღუმელთან მიმჯდარი ვაჟა მღუმარედ მისჩერებოდა მათ. „რა კეთილები ყოფილან“, — ფიქრობდა გულში. ეცოდებოდა ეს დაჩაგრული, ძონძებში გახვეული ბიჭები.

— ქალაქს ნაბოვნი ბიჭი შენა ხარ? — ჭიჭია-ვანამ ყბა ვაჟასაკენ მოიგდო.

— მე ვარ, — უპასუხა ვაჟამ და ღუმელში შეხედა.

ჭიჭიას უაზრო და ამღვრეულ ლელები ჰქონდა. გოლა ძვალსა ხრავდა და მამლარ კატასავით კრუტუნებდა. ამ დროს გიგო და მისიანები ფაენისისაკენ გაკვალულ გზას ადგნენ. თედოს დაპგვიანებოდა და ეკლესიასთან წამოეწია სასაფლაოზე მიმავალთ. გიგოს კალათა ჩამოართვა და მხარზე გაიდგა. სასაფლაოსთან კონტად და გულმოდგინედ გაჭრილი ბილიკი დახვდათ. გიგომ ბილიკს გახედა. ბილიკი ფერდობზე აღიოდა და მალა, ახალ მიწაყრილთან თავდებოდა.

— რამ მოაფიქრათ ამ საცოდავებს! — ჩაილაპარაკა თევისთვის.

თედომ იცოდა, ბილიკი ვისი გაჭრილიც იყო.

— კეთილი გული აქვთ, — სიტყვა ქლოშინით, — სულელებს კი უძახიან.

— შიმშილი რას არ ჩაადენინებს ადამიანს. კაცსაც მოაკვლევინებს და კაცისთვის დიდ სიკეთესაც გააღებინებს, — გიგოს სიტყვა არ დაემთავრებინა, ნინოს ქვითინი გაიგონა და მოხედა.

საფლავის დანახვაზე ნინომ სახეზე ცხვირსახოცი მიიფარა და მწარედ ატირდა.

## თარი მისამი

თოვლი დიდხანს არ იდო გარიყულაზე. მზემ ნაცრისფერი ღრუბლებიდან ცაღუბად გამოიხედა თუ არა, დეკემბრის დამლევნი მარტივით ატირდა.

დაცარიელდა გიუნაშვილების ოჯახი. ქალიშვილები სწავლის გასაგრძელებლად გორში წავიდნენ, ვაჟები თბილისს გაემგზავრნენ. ერთფეროვანი დღეები წაეწყო გარიყულაზე.

სოფელი რა სოფელი იყო: ქოხმახები, მიბრეცილ-მობრეცილი ღობეები, ღობის სარებზე ჩამომხობილი ქოთნები, ნიკორა და ნიშა, საბძელი და კევრი, კავი და თოხი, ფოცხი და ბარი, ქალამანი და პაქიქი...

გიუნაშვილების ოჯახის ახალი წევრი

მოჯამაგირედ ნამყოფი, დამჯერი, შრომისმოყვარე და დაუზარელი იყო. გიგომ იფიქრა, რკინის ჭედვასა და ფოლადის წრთობას ვასწავლი და კაცი დადგებო. სწორედ ახლა სჭირდებოდა დამხმარე. ერთი შეგირდი ჰყავდა, უქნარა გამოდგა და გაექცა. ჯანი კი ჰქონდა იმ ჯანდამწვარს. უროს ერთი მოქნევა და რკინა ლამის გრდემლზე ისიბებოდა. აქამდე საბერველის ღვედის ჩამომწევიც კი არავინ ჰყავდა გიგოს.

სამჭედლო ხევისპირას ჰქონდა, ჩაფარ გოგიას ნასახლარზე. პატარა გრდემლი

თენგიზ გოგოლაძე

კაცი კაცითა

ედგა, იარაღს საბძელში გამართულ განჯინაში ინახავდა. ვახუტებდა ქურასს, ააქმუტუნებდა საბერველს და გრდემლზე ჩაქუჩს აახმიანებდა.

— აბა, დაუბერე, ბიჭო! — ეტყოდა ვაჟას და საბერველის ღვედს გაუწვდიდა.

ვაჟა ღვედს ჩამოსწევდა და საბერველი გველშაპივით დაიქმინებდა, ნახშირი ღვივდებოდა, რკინა წითლღებოდა.

მოეწონა ვაჟას სამკედლო. საბერველის ქშენამ, გრდემლის გუგუნამ ხალისი და სიცოცხლე შემატა.

ერთ დღეს გიგო და ვაჟა სამკედლოში იყვნენ. ფარდალა კარში ტანადი კაცი გამოჩნდა. მაღალი, ჩასკენილი ვაჟკაცი იყო. ერთი თვალი ამოგდებული ჰქონდა და სახის ცალი მხარე, თვალის უბიდან დაწყებული, დიდ ნაჭრილობებს მოეჭმუჭნა. თმა გრძელი და გაჩეჩილი ჰქონდა, ზედ ნაზდის ქუდი დაედო. ტანზე მაზარა ეცვა. სად და როდის იშოვა, არავინ იცოდა. ეს მაზარა შარშანაც ეცვა, შარშანწინაც და... გიგოს თითქმის ამ მაზარით ახსოვდა ეს კაცი. მაზარა ვიწრო და მოკლე ჰქონდა. ტანზე ისე მჭიდროდ შემოეჭირა, რომ ნაკერებში ძაფი სჩანდა და გადასკდომას იყო. ბრჭყვიალა ღილებიდან მხოლოდ ერთილა შემორჩენოდა თავისი, დანარჩენი სხვა დაეკერებინა, დიდ-პატარა ღილები. ცალი ფეხით ოღნავ კოჭლობდა. იღლიაში ფილთა თოფი და ძველი ხმალი ამოეჩარა.

— გამარჯობათ!

შემზარავი, ცივი და შემტევი ხმა ჰქონდა ამ შეუხედავ და ნამეხარ მუხასავით გაბარჯულს, დასახიჩრებულ კაცს.

ვაჟას ხელი გაუშეშდა და უცნობს მონუსხულივით მიაჩერდა.

— გაგიმარჯოს, ბერდო! — უპასუხა გიგომ, — მობრძანდი!

— ამ ბიჭს ენა არა აქვს? — კვლავ შემტევი კილოთი იკითხა და საღი თვალი ვაჟას დაუმიხნა.

ვაჟა მაშინვე გონს მოეგო. მიხვდა, რატომ ამბობდა ამ სიტყვებს ბერდო.

— გაგიმარჯოთ! — სთქვა და თონვე იგრძნო, სიტყვა პირიდან ძლიერს ამოუშვა.

— ვაჟკაცი არა ხარ? რა კატასავით კნავი? — შეუტია ბერდომ.

ვაჟას ენა ჩაუვარდა, თვალი ვერ მოაშორა ხმალ-თოფიან კაცს.

„ყაჩაღია! ნამდვილი ყაჩაღი! კაცის მკვლელი, ქვეყნის ამომგდები!“ — შიშით ვაიფიქრა ვაჟამ და გიგოს გახედა.

გიგო სრულიად მშვიდად, აუღელვებლად, ტბილიმეზობლურად უყურებდა ამ კაცს. ვაჟა კი შიშით კანკალებდა, ერთი რომ დააღოს პირი, ძია გიგოს, მას, გრდემლსა და ქურას ერთბაშად გადაყლაპავსო, — ფიქრობდა იგი.

ძია გიგოს სიმშვიდემ გააკვირვა ვაჟა.

— ეს იარაღი რად გინდა? — ჰკითხა გიგომ.

— თოფს საცემში უჭირს, გიგო, ხმალი დაქანგულა. ამისთანა იარაღის დაქანგვა იქნება? სარკესავით უნდა გამიხადო, — დაიბუხუნა ბერდომ. თოფი და ხმალი დაზგაზე დააწყო, თვითონ მორგვზე ჩამოჯდა და მაზარა მხრებში ისე გადაეჭიმა, ტკაცატკუცი დაიწყო, ლამის ნაკერებში გადასკდა.

— შენგან მიკვირს, გიგო. თოფი და ხმალი რად გინდაო? იდეისთვის მინდა!

„რაო, რისთვისაო? იდეისთვისაო?“ ვერაფერი გაუგო ვაჟამ. გიგომ კი იცოდა ბერდოს ხასიათი, თუ ვინმე რამეს ვერ მიუხედებოდა და ჩაეკითხებოდა, ბერდო ცალ თვალში რისხვას დაანთებდა და აუყვირდებოდა, ჩერჩეტი და რეგვენი ხარო. გიგოს ამას არ ჰკადრებდა. ხშირად ჰქონდა ბერდოსაგან ვაგონილი: „ეს იდეას სჭირდება“. „ეს იდეისთვისა“, „ეს იდეაა...“

ბერდო ცხრასათობმეტში პირველ მსოფლიო ომში წავიდა. ორი წელი დაკარგული იყო. წამების შორ გზაზე დატოვა ცალი თვალი. იმ წამების გზიდან გენერლის ძველი მაზარა, ერთი შაშხანა თოფი, ორი ღერი რუსული და რამდენიმე წიგნი ჩამოიტანა. „იდეა“ პირზე დაიკერა და მენშევიკებს აგინებდა.

გიგომ იცოდა, ბერდომ შაშხანა რომ ჩამოიტანა. ეს ფილთა რალად უნდაო, იფიქრა და თოფი ხელში მოსინჯა. საცემის გარდა, სასხლეტსაც უჭირდა.

— გამართე და ფქვილს მოგცემ, — მაშინვე გაურიგდა ბერდო, — აი, ეს ბიჭი გამაყოლე და დღესვე გამოვატან... ბევრს კი ვერ მოგცემ. შიმშილობაა.

— კარგი, ჩემო ბერდო, — დაეთანხმა გიგო, თოფი დაშალა და შეკეთებას შეუდგა.

ბერდო წამოდგა და ხელები ქურას მიადიგა.

— შაშხანა რა უყავ? — ჰკითხა გიგომ ბერდოს.

— შენახული მაქვს, გამომაღვება. ეს თოფიც გამოდგება.

ვაჟა კვლავ მონუსხული შეპყურებდა ამ უცნობ კაცს და გულიდან შიში ვერა და ვერ ამოვდგო. ახლა ისიც აფიქრებდა, წისქვილში რომ უნდა გაპყროდა ფქვილისთვის. წისქვილი ახლო იყო თუ შორს, არ იცოდა. ვაი მაშინ, თუ შორს იყო! ბიჭს გულს ცოტა ის უკეთებდა, რომ გიგო ბევრს უბედავდა ბერდოს. აგერ ცალთვალამ ფქვილიც კი უნდა მისცეს თოფის გამართვაში.

გიგომ თოფი მოიმარჯვა, საცემი გადმოსწია, სასხლეტი მოსინჯა.

— ოქროს ხელი გაქვს! — შეაქო ბერდომ, — აქ მომე!

თოფი გამოართვა და გატენა.

— ბავშვი არ შემიშინო! — სთხოვა გიგომ.

— ბავშვიო... მაგას ისეთ სროლას ვასწავლი იდეისთვის, რომა! მართლა გეშინია, ბიჭო? — ბერდომ ჯერ გიგოს დაუბრიალა თვალი, მერე ვაჟას.

ვაჟამ თავი გაიქნია. ბერდომ თოფი შემართა და წამსვე ვაადებინა გრიალი. თოფის ხმამ იქაურობა გააყრუა.

ვაჟა შეშინდა. სიჩუმეში შემოჭრილმა გრიალმა გააბრუა იგი. ისე მოეჩვენა, თითქოს ყველაფერი გრიალებდა: სამჭედლო, სოფელი, მთელი ქვეყანა.

სამჭედლოს კარი გაიღო და ფერდაკარგული ელენე გამოჩნდა.

— რა იყო, რა მოხდა? — ძლივს

თქვა და ბერდოს რომ შეხედა, შევბოი მიაწყველა, — შენ დაგვესო ეგ მეორე თვალიც! — შემდეგ კარი გაიხურა და გაბრუნდა.

ვაჟამ ბერდოს შეხედა. თურმე შეიძლება ყველაფერი უთხრა, ყველაფერი ჰკადრო.

ბერდოს სიტყვა არ დაუძრავს. მხოლოდ ერთი მორჩილად გადახედა ქალს.

— მშვენიერი თოფია, გიგო, — ბერდომ ერთხელ კიდევ შეათამაშა ხელში თოფი, — ახლა ეს შენი ბიჭი გამაყოლე და ფქვილს გამოგიგზავნი.

— წაპყვე, ვაჟა, — მიმართა გიგომ, — უკან გამოაგნებ გზას?

— გამოაგნებს, მა რას იზამს... აშურინანთში ხომ არ მიყავს. აქ არა ვარ? — ვაჟას მაგივრად უპასუხა ბერდომ, — მთელი რუსეთი მოვიარე და შინ მაინც მოველ, ეს რა, წისქვილამდე ვერ მოვუყვ?

„შენ დაგვესო ეგ მეორე თვალიც!“ — თოფის გუგუნთან ერთად ჩაესმოდა ვაჟას, მაგრამ მაინც ფიქრობდა, ბერდოს გზაში მარცხენა მხრიდან ამოსდგომოდა. ის ცოცხალი ცალი თვალი რალაც არაადამიანური სხივით იყო სავსე, კაცის თვალს არ ჰგავდა და კაცი თვალს ვერ გაუსწორებდა.

ბერდომ ხმალ-თოფი აკრიფა და სამჭედლოს კარი ჭრილით გააღო.

— მოდიხარ, ბიჭო?

— მოვდივარ, ძია.

გზაზე გავიდნენ. ვაჟა ერთი ნაბიჯით ჩამორჩა გენერლის მახარაში ჩაჭედვით ბერდოს. ბერდომ ისეთი სიარული იცოდა, გეგონებოდათ, მიწას ტკეპნისო, ტერფებს გულმოდგინედ და მძიმედ ადგამდა.

— სადა ხარ, ბიჭო? მოდიხარ? — დაირობოხრა მან და ვაჟას მოხედა, — აქეთ დადექ, რო დავინახო!

ვაჟა დაემორჩილა. გვერდში რომ ამოუდგა, ბერდომ თავზე გადაუსვა თავისი უხეში თათი. ეს მოფერებას

---

თენგიზ გოგოლაძე  
კაცე კაცითა



ნიშნავდა, მაგრამ ბიჭი შიშით ლამის გათავდა.

— რამდენი წლისა ხარ, ბიჭო?

— თორმეტისა.

ბერდოს არ მოეწონა მისი ხმის კილო.

— რასა ჰქნავი, ბიჭო? — უთხრა და ხელახლა ჰკითხა.

— აი, ეგრე! — მოუწონა, როცა ვაჟამ ხმას სიმხნევე მოუკიდა.

ბოგირი გადაიარეს და ის იყო, ბერდოს კიდევ რაღაც უნდა ეკითხა, რომ გზაზე ჭიჭია-ვანა და გოლა გამოჩნდნენ. ჭიჭია-ვანა ჩვეულებრივად მოლიდინებდა, გოლა კი გალახული ხარვივით მოიხლანებოდა.

— ე რა ჩაფარით შეიარაღებულ ხარ, ბერდო! — შესძახა ჭიჭია-ვანამ.

ვაჟას ეგონა, ჭიჭია-ვანა ამ სიტყვების გამო უცემრად არ გადარჩებოდა, მაგრამ ბერდომ ალალი გულით გაუღიმა სოფლის ნაბოლარას.

— ახლა ზარბაზანიც უნდა ვიშოვნო. სად მიდიხართ, ბიჭებო?

— რა ვიცით. მივდივართ კია და... სოფელი დიდია. ავივლით და ჩავივლით. ვინმე დაგვიძახებს, მა რა იქნება. რამეს გავუკეთებთ და პურს მაინც გვაჭმევს.

— წამოდით, პურს მე ვაჭმევთ, — ორივენი ცალ თვალში ამოიღო ბერდომ.

— ეგრე არ გვინდა. მათხოვრება კი არა ვართ! — გაიბუტა გოლა.

— რუში ბევრი ლაფია... გამიწმინდეთ, კიდევ რამეს გავაკეთებინებთ, — უთხრა ბერდომ.

— შენ კი ავაშენა ღმერთმა! — უთხრა ჭიჭია-ვანამ.

— შინ გავივლით, ნიჩბებს წამოვივლით, — თვალები გაუნათდა გოლას.

ისინი თავქვე დაეშენენ. ისე მიდიოდნენ, თითქოს ეშურებიან, სხვამ არაგინ მოგვასწროს ლაფის ამოხაპვით.

უღიმღამოდ ანათებდა მზე. ქუჩყიანი ჩერებებით ჩამოსქნძოდა ღრუბელი შორეულ მთებს. ცა უღრუბლო იყო, მაგრამ შემოვრეული, გაურკვეველი.

ბერდო და ვაჟა გზისპირას მიავლინდნენ.

სოფელში ქოხმახები, საჭილეები და დანგრეული, ჩაშლილი ღობეები, ურმები, ნეხვით მოგანგლული ეზოები მოჩანდა.

მთლად ლატაკი არ ყოფილა გარეყულა. გორაკის მახლობლად, ბალში, პატარა, მაგრამ დიდებული სასახლე იდგა.

— აქ ჯერ კიდევ ცხოვრობს თავადი. მაგრამ აღარ იცხოვრებს! — კბილებში გამოსცრა ბერდომ.

ვაჟა კვლავ შიშმა აიტანა. გაკვირვებით შეხედა ბერდოს.

თავად ქართველიშვილის სახლ-კარს ჩაუარეს და თავქვე დაეშენენ, თემისაკენ, სადაც ბერდოს წისქვილი ხოტინებდა ხოლმე.

რაც უფრო უახლოვდებოდნენ წისქვილს, მით უფრო მკაფიოდ მოისმოდა თემის ჩხრიალი, მდინარე პატარა, მაგრამ დიდგულა იყო. ლოდებში და ქვებში მიჩხრიალებდა და კიდით-კიდითავის სიმღერას ჰფენდა.

აი, წისქვილიც: ძველი, ბებერივით მოხრილი და მოკუხული. ხავსიანი ღარებით ჩასჭიდებია გორაკის თხემს, თითქოს წყალწასაღებად არის განწირული. წისქვილის კართან ნამუშევარი და ყავლგასული დოლაბი ეგდო. ღუმდა წისქვილი. რუში წყალი დამშრალიყო. წისქვილს მოშვიებოდა, საფქვავე კი არ ჩანდა.

ვაჟამ შეათვალღერა დაღუმებული დოლაბები, სარკეკლები... წისქვილში ციოდა. ღუმელი ჩამქრალიყო. დაცარიელებულ ხალამბარზე ლოგინი ეგო, იქვე ეყარა ჯამ-ჭურჭელი, თუნგულა და დოქი. ფარღალაა წისქვილში ცინათელეებივით ციმციმებდა გარედან ღრიჭობებში შემოსული ნათელი. ეს იყო ბერდოს სახლ-კარი.

მასპინძელმა თოფ-იარაღი მოიხსნა. ხმალი საგანგებოდ შეინახა, ხოლო თოფი ხალამბართან მიაყულა, მერე ერთი პატარა ტობრაკით ფქვილი მოუმზადა ბიჭს გასატანებლად, მაგრამ შინ მაშინვე არ გაუშვა.



— ჩამოჯექ, ღუმელს ავაგუზგუზებ, მჭადს გამოვაცხოზ, კარტოფილსა და ხახვს შევწვავ და ვაჭმევ, — უთხრა ბერდომ, თუნუქის ღუმელში შეშა შეაწყო და ცეცხლი მოუკიდა.

— ხვალ სანადიროდ მივიღივარ, — განაგრძობ ბერდომ, — ნანადირევი მექნება და იმასაც მოგაწვდით. მიყვარს გიგო. შენ გიგოსი რა იქნები? დაჯექი, ბიჭო, ვილაპარაკოთ, კაცი არა ხარ?!

ვაჟა ღუმელთან ჩამოჯდა და თვალში მიაჩერდა ბერდოს. თვალი ერთ წუთს აუცრემლა ღუმელიდან გამოსულმა კვამლმა.

ღუმელი აგუზგუზდა. ვაჟა სითბომ დააბა.

„ნეტავ როგორი იყო, სანამ ასე დასახიჩრდებოდა? — ფიქრობდა ბიჭი, — ალბათ ლამაზი ვაჟაკი იქნებოდა.“ ნაჭრილობევის მუშტვივით შეეკრა სახე, გაეკერპებინა და გაემკაცრებინა. ამოთხრილი თვალის უბე ძალუმად იქცევადა ყურადღებას.

ბერდო ვაჟას ნაამბობს ყურს უგდებდა, ებრალებოდა ობოლი და უთვისტომო ბიჭი.

— ბედი გქონია, — უთხრა ბოლოს, — გიგო შენთვის განგებას შეუხვედრებია... — ბერდომ გობში ფქვილი ჩაყარა, კოკიდან წყალი დაასხა და გულმოდგინედ დაუწყო ზელა.

— მალე იდეა გაიმარჯვებს და ნამდვილ დედასურსა ვჭამთ. გიჭამია თონეში გამომცხვარი დედასური?

— არა, სად უნდა მეჭამა?

— საცოდავო, მაშ ხვდა რა სიტყბო გიგემნია?! ზოგზოგები ანლაც ჭამენ. ხვალ ვეღარ შეჭამენ!

— ზოგს აქვს და ზოგს არა?

— ვისთანაც მოჯამაგირედ იყავი, იმას არა ჭქონდა?

— რა ვიცი, სულ წუწუნებდა, არაფერი მაქვსო. მე ვინ რას მაჩვენებდა!

— გძინებია! — გაწყრა ბერდო. რატომღაც ხმას აუწია. ბიჭისკენ არც შემოუხედნია. მჭადის გუნდას მეორე ხელიც მიაშველა და გობიდან ჩვილი ბავშვივით სათუთად აიღო.

წისქვილში ცომის სუნი დადგა, გემრიელი სიმინდის სუნი. მერე, როცა გუნდა ტაფაზე გააბრტყელა და ტაფა ღუმელზე დადო, სუნი უმაღლ შეიცვალა. ვაჟამ ნერწყვი გადააყლაპა.

ბერდომ ღუმელის მეორე კარი გამოაღო და შივ კარტოფილი შეყარა. კარტოფილის სუნიც დადგა და იმ წუთში წისქვილში ყოფნას არაფერი სჯობდა.

— წერა-კითხვა იცი? — ჩაიღუღღუნა ბერდომ.

— ცოტა ვიცი.

— ბევრი უნდა იცოდე. მე რუსულიც ვიცი. — ბერდომ გაიღიმა. თითქოს ნაჭრილობევიც გაიხსნა და იმანაც გაიღიმა, თითქოს თვალის შავ უბეში თვალი გაჩნდა და ისიც ღიმილში ჩაუყუჟუნდა.

გარედან რამდენიმე კაცის ფეხის ხმა მოისმა. ეტყობა, ბერდოს ეუცხოვა ნაბიჯი, გაირინდა და ცივად მიაყურადა.

უნებურად ვაჟაც წამოდგა. ვერ მიხვდა, რა ხდებოდა. ხმა უცებ მიწყდა და ვილაცამ დაიძახა:

— ბერდია ზაქარიაშვილო, გამოიდი! ბერდომ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა კარისკენ, ორიოდ წამში მოასწრო გარემოს დაზვერვა.

წისქვილის შორიახლო სოფლის თავკაცი, ერობის საბჭოს თავმჯდომარე, მენშევიკი გოგიტა ვოსტაბაშვილი იდგა ოთხი მილიციელის თანხლებით. ბერდო ვაჟისკენ მოტრიალდა. სახეზე რისხვა ენთო.

— რა ღროსა ხარ აქა! — ჩაილაპარაკა მან.

თენგიზ გოგოლაძე  
კაცი კაცითა



## ციკლიდან: „ღამით რადიომიმღებთან“

### 1. ხმათა ოღისა

მე მიმაჯაჭვეს ანძებზე მხრებით,  
რომ სირინოზებს არ მივეტაცე.  
ვერაგინ გეტყვის იმ ციურ ხმების  
იღუმალეზას, — იმ ხმას ვერ დაწერ.  
ზოგსაც ყურები დაუცვეს ცვილით,  
რომ სირინოზის ხმა არ სმენოდა,  
და პაპის პაპაც, და შვილის შვილიც  
იმ დიდ სიმღერას დიდხანს ელოდა.  
მუდამ რომ ვეძებ, მუდამ რომ მაკლდა, —  
ოკეანეში დაძირულ ხმების  
და სამყაროში გაბნეულ ჰანგთა  
პოვნის წყურვილით ვდნები და ვხმები,  
ხმები კი, როგორც კეთილი ყმები,  
ტვინში და გულში ჩარჩენილ ხინჯის  
წაშლას ცდილობენ ძვირფასი ხმები  
და თან მახლავან ჭირსა და ღვინში.  
ბნელს აჩირადნებს გმირთა ჩონჩხები,  
და ამ ფოსფორულ ნათების შუქზე  
შავი ყორნების მესმის ჩხავილი  
და იმათ ქორწილს შორიდან ვუმზერ.  
გემი კი ისევ ირწევა. გემი  
უახლოვდება ლურჯ სირინოზებს,  
მაგრამ მამშვიდებს ირაკლი ჩემი,  
სიმღვივით მარხვეს ფიქრი ნინოზე.



ცა მერცხალივით ჩამოდის დაბლა  
და ცისფერ ტალღებს მკერდით ეხება.  
ოკეანეთა სიღრმეში დაფლულ  
ხმათა სამოთხის მინდა შეღება.  
მე მიმაჯაჭვეს ანძებზე მხრებით,  
რომ სირინოზებს არ მივეტაცე.  
ვერაგინ გეტყვის იმ ციურ ხმების  
იღუმალეზას, — იმ ხმას ვერ დაწერ,  
მაგრამ მუსიკით სავსე ისე ვარ,  
ისეა სავსე თრთოლვით სხეული, —  
ნურც დასრულდება ეს ოდისეა  
და სიმღერები მივიწყებული.

☆ —————


## 2. ...

ტალღა და ტვირთი ერთად ვერ ზიდე.  
ისევ შორსაა კეთილი კონცხი,  
და შენი დიდი, ჩუმი თევზიდან  
რა დარჩა, — მხოლოდ ფარფლი და ჩონჩხი.  
მერე შორიდან მოფრინდა ჩიტი  
და დაქანცული შენს მკლავზე დაჯდა.  
ზღვა იყო დიდი, საოცრად დიდი,  
ფრენა ვერ შეძლო და შენთან დაჯდა.  
სხვა გზა არ ჰქონდა, და როგორც სიკვდილს,  
მოგენდო უცებ და მოგეჩვია.  
შენ დაიბენი და ველარ მიხვდი,  
ან რა გელონა, ან რა გეჭმია.  
ზღვის ფსკერზე სძინავს ყველა მეზადურს,  
რადგან შორს იყო კეთილი კონცხი,  
და სიმდიდრიდან, თქვენ რომ გეზადათ,  
რალა გადარჩა, — ფარფლი და ჩონჩხი,  
ბოლო იმედსაც ბედი — ზვიგენი  
კორტინის უწყალოდ, ძიძგნის და სანსლავს.  
სიკვდილში გზები ვერ გაიგენით,  
ვერ მოახერხეთ ნაპირზე გასვლა.  
შენ მარტო ღარჩი და მხარი გექცა  
და უკანასკნელ ძალ-ლონეს იკრებ  
და ახლა ქარსაც, წვიმასაც, მესხაც  
ატან განწირულ სურვილს და ფიქრებს,  
და ერთნაირად მიმართავ ყველას  
და არ ანსხვავებ საზღვარს და მიჯნას,  
რადგან ამქვეყნად სიცოცხლის შველა  
კაცისთვის თითქმის ყველაფერს ნიშნავს...

☆ —————

მე მონას ვგავარ, მონაში გაცვლილს, —  
 მტანჯავ და გტანჯავ... და მაინც გელი...  
 კეთილი, მძაფრი, შემკრთალი, მკაცრი, —  
 შენი ხმა, შენი ღიმილი, ყელი...  
 მე ვცხოვრობ შენით და ყველა ფრაზით,  
 რომელიც შენთვის მითქვამს და ვიტყვი.  
 ეს ალბათ მხოლოდ ჭორი და ბრაზი,  
 ბრაზი და ჭორი იქნება სხვისთვის.  
 მაგრამ უცერად დასხმულმა რეტმა, —  
 შენმა ცისფერმა ღიმილმა, თმებმა,  
 შენი სახელის ლამაზმა რითმამ  
 მე მომანდომა ჩემს ბედთან შებმა.  
 იქ კი თენდება, თენდება სხვისთვის,  
 და აქ ღამდება, — ეს ალბათ ჩემთვის.  
 ისმის კაფედან:


„ო, ტვისტი, ტვისტი“, —  
 ბოლავს და იწვის კასრებში დენთი..  
 ემზადებიან სხვები როკისთვის  
 და დენთი ისევ ბრიალებს, — როკი...  
 მე შენ მოგიცდი, დიდხანს მოგიცდი.  
 (მიტოპავს ჭორომს ღამების ჯოგი...).  
 მე ვეღარ ვეცეკვავ. ან ცუდად ვცეკვავ.  
 მაგრამ მც(ე) მიწდა და მენატრება  
 დიდი და მძიმე ზარების რეკვა  
 და მხოლოდ შენზე ფიქრით დათრობა.  
 ამ ფაფარაშლილ, უხედნელ კვიცებს  
 უნდა მათრახი და უზანგები,  
 და გული გვიცემს, გვიცემს, გვიცემს, —  
 და მზისთვის ისევ ვროკავთ ზანგები.  
 შემკრთალ კაფეში ზრიალებს ტვისტი,  
 ემზადებიან სხვები როკისთვის.  
 მე შენთვის ვიცდი, ვიცდი, ვიცდი,  
 და სიკვდილამდე ასე მოგიცდი...



4. რადრობადაც მა: „აბალო ნერუდა“

ჩილი, —  
 ნაოჭი კონტინენტის დაღარულ შუბლზე,  
 ნიშანი სიბრძნის და მწუხარების...  
 შენ მის მომავალს იმედით უმზერ,  
 ტყეში ტყისმჭრელი გაიღვიძებს,  
 ქოხში — ღარიბი...

და ოკეანის ზვირთებში ჩაფლულ  
 მართალ სიმღერას ქვებიც უსმენენ.  
 ჯვარზე გაგაკრეს, კეთილო პაბლო,  
 მძიმე ფიქრებით, როგორც ლურსმნებით.  
 გულს გიღრღნის ეჭვის ჭია და მატლი,  
 უკვდავი ეჭვი არყოფნა-ყოფნის,  
 იგონებ ცისფერ გვადალკივირს,  
 მშვენიერ მადრიდს,  
 ესპანეთს, დამთვრალს სისხლით და ოფლით.  
 უფრიალებენ წინ წითელ ნაჭერს  
 და ატყუებენ... რა იცის ტორომ..  
 გულში და ტვინში მოტყუებით  
 ჩასცემენ ასჯერ...  
 უფრიალებენ წითელ ნაჭერს..  
 რა იცის ტორომ..  
 და ინკების თუ მაიას მიწის  
 დამონებასაც ცდილობენ ასე.  
 და ტირის, ვინაც ტირილი იცის,  
 და მღერის ჩილი ნერუდას ხმაზე,  
 ჩილი, —  
 ნაოჭი კონტინენტის დაღარულ შუბლზე.  
 ნიშანი სიბრძნის და მწუხარების.  
 შენ მის მომავალს იმედით უმზერ,  
 შენ გააღვიძე ტყისმჭრელი და მონა ღარიბი.  
 მე გმირი არ ვარ... მე ვწევარ ტახტზე,  
 ვუსმენ ღამეს და რადიომიმღერებს  
 და შენი სული ჩემამდეც აღწევს  
 და ვარდობისთვის ყვავილებს მიმხელს...



## 5. რეპორტაჟი რიოდან

შემკრთალ ბადეში ფართხალებს ბურთი,  
 თერთმეტი ბიჭს ებრძვის თერთმეტი ბიჭი,  
 და მახსენდება მე ჩემი გუნდი, —  
 ჩოხელი, მესხი, პატარა სიჭი.  
 გუმანით ვხვდები — ეს არის გოლი.  
 რაღა აზრი აქვს, — სად, როდის, ვისი...  
 ფეთქავს ათასი შემკრთალი გული.  
 ისმის ყიყინა, ხარხარი, ფიცვი.  
 ტრიალებს მოლზე თერთმეტი სალტო,  
 ათრობს ტრიბუნებს სახელი „პელე“...  
 და თითქოს ვხედავ დიდებულ სანტოსს  
 გოლის დროს მაღლა აწეულ ხელით.



ომს კი ყოველთვის ვიღაცა იგებს  
 მხოლოდ იმიტომ, რომ ვიღაც აგებს.  
 დღეს ერთი ალბათ გაავსებს ჭიქებს,  
 მეორე ჩუმად ჩააქრობს ჭაღებს.  
 და გამარჯვებას, ადვილად საცნობს,  
 მე ცხრა მთას იქით ვგრძნობ, თითქოს ვხედავ.  
 უნდა იმარჯვოთ და ცოტაც გაძლოთ.  
 რამდენი დარჩა, ბიჭებო, ნეტავ!  
 და ისევ ბრუნავს ბადეში ბურთი, —  
 თერთმეტ ბიჭს ებრძვის თერთმეტი ბიჭი.  
 და მახსენდება მე ჩემი გუნდი:  
 შოთა, სლავა და პატარა სიჭი...



## 6. SOS

ზეცის ძახილი მიწამდე დადის, —  
 თვითმფრინავები მიწას ითხოვენ.  
 ცუდი სიზმრები აწუხებს დედებს,  
 მაგრამ დედები რას შეიტყობენ.  
 სიცოცხლის თხოვნა მიწამდე დადის,  
 აქ კი, მიწაზე, ხმას არ იღებენ.  
 ცუდი სიზმრები აწუხებს დედებს,  
 მაგრამ დედები რას გაიკებენ.  
 ბგერას აზრი აქვს მეორე ბგერით,  
 კაცის ცხოვრებას — მეორე კაცით,  
 თქვენ ისევ მღერით, და ისე მღერით,  
 არც კი იხსენებთ დროსა და მანძილს.  
 იქ კი ვიღაცას ტკივა და უჭირს,  
 ვეღარ ოცნებობს ლურჯ საღამოზე.  
 მთვლემარე ბინებს, მღუმარე ქუჩებს  
 და გარეუბნებს აწყდება შორზე.  
 ჩემზე და შენზე, და ბარე ორზე  
 მაგარი ბიჭი დაღლილა გზაში,  
 და მორზე ოხრავს, დუღუნებს მორზე;  
 პატარა ბავშვი... საბრალო ბავშვი...  
 დიდი სიჩუმით აგუგუხნებულ  
 ქუჩებს აწყდება უმწეო თხოვნა.  
 გულთან მივიტან ტკივილს უნებურს  
 და მიძნელებდა სიმშვიდის პოვნა.  
 ჩემი რა იყო, ან შენი რაა  
 ის, ვინც დაღლილა და დაკარგულა...  
 და მაინც: უნდა გაუძლო მრავალ  
 წუხილს, რაც ბედმა წილად გარგუნა,

უნდა უშველო ღიმილს უმწეოს  
და ლოდინისგან დაქანცულ იმედს.  
ნუ გაგაოცებს, თუ შენზე უწინ  
სხვებისთვის დადგა წუთები მძიმე.  
უმწეო თხოვნა მიწამდე დადის, —  
თვითმფრინავები მიწას ითხოვენ...  
შვილს მხრებზე აწევს სიკვდილის თათი,  
მაგრამ დედები რას შეიტყობენ...  
ისინი ჩვენგან ელიან შველას...  
ჩვენც იმათ ღიმილს უთუოდ ვიხსნით,  
რათა დედისთვის გადარჩეს შვილი,  
გადარჩეს გული,  
ტვინი და  
სისხლი...



# ქეპლი სუკლაკეზი

მოთხრობა

„ჭირსა შვიან გამაგრება  
ასრე უნდა ვით ქვიტკირსა“.

იმ დღეს ბეგლარი სახლიდან გარეთ არ გამოსულა. თავს სუსტად გრძობდა, თან თებერვლის სუსხიან ამინდსაც დაერიდა. შვილმაც ასე დაუბარა: თუ არ დათბეს, ნუ წამოხვალო.

დათბობის ნაცვლად უფრო აცივდა და მოხუცმაც შვილის რჩევას დაუჯერა. სახლში დარჩა. ფანჯარასთან ჩამოჯდა და ფიქრებს მიეცა.

წარსულზე იშვიათად ფიქრობდა ბეგლარი, მაგრამ ხანდახან მოგონებების კორიანტელში ისე გაეხვეოდა, თავის გამოსხნას ძლივს ახერხებდა. ოთხმოც წელს მიღწეულ ადამიანს არ გაემტყუნება იგონებდეს წარსულს, ამოწმებდეს მის მიერ გადადგმულ ყოველ ნაბიჯს, დასავამბებს გმობდეს, ხოლო კარგითა და მოსაწონით მომავალ თაობას აქეზებდეს.

ბეგლარს კი მოსაწონი და მისაბაძი ბევრი საქმე უკეთებია. ღარიბი გლეხის უბრალო ბიჭი იმდროინდელი ცხოვრების მხურვალე ქურაში გამოიწროთ და განახლებულ ქვეყანაში საამაყო სახელითა და დამსახურებით მოვიდა.

ციხე, ციმბირი და კატორღა არ დაჰკლებია. ჟანდარმის მატრახითაც ბევრჯერ აჭრელებია ზურგი, ბნელ საკანშიაც მრავალი მზიანი დღე დაღამებია და მთვარის შუქმონატრებულს ღამეები უთევია.

რაც იყო, იყო.

კაცსა მიხედეს საწადელი, რას ეძებდეს,  
მისი პოენა,  
მაშინ მისგან აღარა ხამს გარდასულთა  
ჭირთა ხსოვნა .

ჩინებულად უთქვამს დიდ პოეტს. ბეგლარს საწადელი აუსრულდა. მოესწრო იმას, რასაც მისი ბედის მოზიარენი მრავალი ათეული წელი შესტრფოდნენ და შენატროდნენ. მოესწრო მშრომელი ხალხის დიდ ზეიმსა და გამარჯვებას. გადაურჩა შიმშილს, სიცივეს, სიცხეს, გადასახლებას და... საკუთარ ოჯახშიაც იხილა სიხარული და გამთბარი კერა.

ცოლი ორმოცი წლისამ შეირთო, მალე ვაჟიშვილის მამაც გახდა და... ბედნიერება სრულყოფილი იქნებოდა, წყეულ სიკვილს პირველი სიყვარუ-



ლი ისე უდროოდ რომ არ მოეგლიჯა მკერდიდან.

დარჩა ბეგლარი თავისი სამი წლის ვაჟით. ძნელია ბავშვის მოვლა და აღზრდა, მაგრამ ბეგლარმა ამასაც გაუძლო. მისთვის არც მოვლა დაუქლია, არც პატრონობა, მარტოდმარტომ უდებო ბავშვი სხვის დაუხმარებლად გაზარდა და სათუოდან გამოიყვანა.

კეთილად და ტკბილად ცხოვრობდნენ მამა და შვილი. ახლოდ ერთხელ შეეკამათნენ ერთმანეთს. შვილმა მხოლოდ ერთხელ გამოიჩინა ურჩობა და თავისი გაიტანა. ბეგლარი ამ წყენას კარგა ხანს ატარებდა გულში, მაგრამ შვილთან კვლავინდებურად აღერსიანი და კეთილი იყო.

ამ დროს უკვე ბეგლარის ვაჟი ვაჟკაცი იყო. საშუალო სკოლა დაამთავრა, უმაღლესში შესასვლელად ემზადებოდა. და როცა მამამ ჰკითხა: — ლევან, რა დარგზე აპირებ შესვლასო, მან მაშინვე მიუგო, მსახიობი უნდა გამოვიდეო.

ბეგლარს ეოცა. ურჩია გადაეტევა, გულიდან ამოეგდო ასეთი განზრახვა, მაგრამ ლევანმა მამის რჩევა უარჰყო და თავისი გაიტანა. მამას ეწყინაო, რომ შეატყო, მისი გულის მოგება მოიწადინა. რამდენიმე სახელოვანი მსახიობი დაუსახელა, ბევრი გამოჩენილი პიროვნების შეხედულება მოუყვანა ხელოვნების ამ დარგის შესახებ, მაგრამ ბეგლარი მაინც თავისაზე იდგა:

— ხელოვნებაში თითო-ოროლა პიროვნება თუ იმსახურებს სახელსა და დიდობას. ამ პროფესიას იშვიათად თუ შერჩებიან. ხელოვანს, გარდა ცოდნისა, საამისო ნიჭიც უნდა ჰქონდეს. ასეა, შვილო, უნიჭო მსახიობს ცუდი დურგალი, უბრალო მუშა სჯობია.

— მაგრამ რატომ ფიქრობ, მამაჩემო, რომ უნიჭო ვარ? მადროვე, დამეხმარე, ხელი შემეწყე და დანარჩენი კი დროს მიანდე.

სხვა გზა არ იყო, მამას ეწყინა, მაგრამ მაინც დათმობაზე წავიდა.

თებერვლის ქარი კარს მოეწედა. ხომჯაკალი და ფხვიერი თოვლიც მოყარა. ბეგლარი წამოდგა, შუქი ანთო და თბილ ოთახში გაიარა-გამოიარა.

ცუდი დარია, მაგრამ რომ წაესულიყავი, არც თუ ისე გამიჭირდებოდაო, გაიფიქრა მან, როცა ქარი შენელდა და ფანჯრის მინების ზრიალი შეწყდა.

ეს პირველი წარმოდგენაა სახელმწიფო თეატრში, ლევანის მონაწილეობით რომ მიდის და ბეგლარი ვერ ესწრება. აქამდე არც ერთი დადგმა არ გამოუტოვებია. ავერ მეშვიდე წელია, რაც მისი ვაჟი თეატრში მუშაობს და საზოგადოების სიყვარულით სარგებლობს.

— გამოვადგა არჩევანი, — გამოუტყდა ერთხელ იგი ვაჟიშვილს, — მართალი გითხრა, ძალიან მაფიქრებდა შენი ბედი.

მოხუცი კმაყოფილი იყო, მაგრამ დღეს სხვებთან ერთად შვილს ტაშს ვერ დაუკარავდა, თუმცა სულითა და გულით მასთან იყო და მის სიხარულს იზიარებდა. ნიჭავ წასულიყო. ახალი დადგამა. ლევანი მთავარ როლს ასრულებს. ჩიკინის ხალხი იჩნება. რაღა მაინცადამაინც ამაღამ გამოითოშა?

ცოტა შეუძლოდ არის. მუხლიბშიაც სისუსტეს გრძნობს, მაგრამ ეს ხომ სიბერია და არა ავადმყოფობა? ბეგლარს ავადმყოფობა არ სჩივია. დღეს კი... ვინ იცის, იჩნებ პირველად და უკანასკნელად უნდა გახდეს ავად. ჩაწვეს და ველარც ადგეს.

არა. პირველი იყოს, უკანასკნელი კი ნუ იქნება. ამ ხნის კაცია, მაგრამ სიკვდილი მაინც არ უნდა. თუმცა ვინ არის სიკვდილის მსურველი? სიცოცხლე ყველას უყვარს.

ბეგლარი ბივრს არ მოითხოვს. იგი ხარბი არ არის. მისი სურვილია, ლევანის დაქორწინებას მოისწროს, მორჩა და გათავდა. უკანაურია ის ბიჭი. ოცდა-თხუთმეტი წლისაა და ვერ იქნა, ცო-

პარმენ ლორია  
ძეგლი უკვდავებისა

ლის შერთვა ვერ აფიქრებინეს. რა მეჩქარება, შენ ორმოცისა ყოფილხარ, ცოლი რომ შეგიერთავსო, ეუბნება მამას.

ეს მართალია, მაგრამ ბეგლარს სად ჰქონდა პირობები? გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ დაოჯახდა. ლევანს კი...

ჰოდა, დაოჯახდეს ერთი. იხილოს ბეგლარმა ოჯახში დატრიალებული ახალგაზრდა დიასახლისი, ერთი პატარა ბიჭის ჭყლოზინიც გაიგონოს და... მერე მოკედეს, აღარ დაეძებს. თუმცა არა! სიკვდილს ყოველთვის მოესწრება. საქმე სიცოცხლეა. არც ის ივარგებს, შვილიშვილის ალერსით ვერ გაძღეს. ან რატომ უნდა გამოეთიშოს ასე უდროოდ შვილსა და რძალს?

ამ ფიქრში იყო ბეგლარი, როცა სრულიად უმიზეზოდ შეაყრეოლა და გააკანკალა. გულიც უცნაურად შეუტოკდა. რა მემართებო, გაიფიქრა და დივანზე მიწვა.

გულმა კვლავინდებურად იწყო ფეთქვა, ყრყოლაც შეუჩერდა, მაგრამ ახლა უცნაურმა ფიქრმა შეიპყრო. ცუდი რამის მომასწავებელი ხომ არ არისო, გაიფიქრა. ახლა საკუთარ თავზე მეტად სწვისი უბედურებისა შეეშინდა. სისხლისა და ხორცის მოზიარის სიაცხესა თუ ბედნიერებას აღამიანი წინასწარ გრძნობსო, ნათქვამია, და ბეგლარსაც ეს ფიქრი აეკვიატა.

ბოლოს გადაწყვიტა, ჩაეწვებო, მაგრამ მაშინვე გადაიფიქრა. იგი მუდამ შვილთან ერთად იშლიდა ლოგინს. ჯერ იმას დააწვენდა, პატარასავით მოეალერსებოდა, შემდეგ დაწვებოდა და დაიძინებდა. ამ ჩვეულების დარღვევა ახლაც არ ისურვა.

საათმა თერთმეტი ჩამოჰკრა. წარმოდგენა ამ დროს მთავრდება. შემდეგ რამდენიმე წუთი ცერემონიალებს მოუწდება და...

— ერთ საათში დაბრუნდება ჩემი ვაჟკაცი! — ხმამაღლა სთქვა მოხუცმა, მაგრამ ამ დროს კარი გაიღო და ლევანი გამოჩნდა.

იგი ამხანაგებმა შემოიყვანეს და მაშინვე ლოგინზე მიაწვინეს.

— რა ამბავია ჩემს თავს? — ბეგლარმა და შვილთან მიიჭრა.

— არაფერია, მამა. — გაუღიმა ლევანმა, მაგრამ მამამ ამ ღიმილში რაღაც ავისმომასწავებელი დაინახა.

— მეტისმეტად აღელვებულა, დღეს უდიდესი გამარჯვება ხვდა წილად და ამან თუ იმოქმედა, — დაამშვიდეს მოხუცი ლევანის ამხანაგებმა, მაგრამ იგი მაინც შიშით შესცქეროდა შვილს.

სასწრაფო დახმარების მანქანამ ლევანი საავადმყოფოში წაიყვანა. მამაც თან გაჰყვა და იქიდან მხოლოდ მესამე დღეს დაბრუნდა, ისიც რამდენიმე წუთით.

გაზაფხულის თბილი საღამოა. მზეს თვალი მიუხნავს და მახლობელი გორაკისათვის მეწამული შუქი მიუფენია. „მკვდრის მზეს“ ეძახიან მნათობის შუქის ასეთნაირ გამოკრთომას. მართალია, ეს სიტყვა არასაამოდ ყდერს, მაგრამ წინაპართა შერქმეულია და ჩვენც მათ სამახსოვროდ შემოგვინახავს.

ჭირისუფალი მეტისმეტად ხელგამოლილია, განსაკუთრებით უბედურების პირველ დღეებში. თუ დროზე ვინმე არ მიეშველა და იმედინად არ შეუძახა, საკუთარ თავსაც მოუტანს ზიანს, ამიტომ ჭირისუფალსაც სჭირდება ამ დროს ჭირისუფალი... მაგრამ ნუთუ ამ მოხუცს, ეს ერთი თვე სასაფლაოზე რომ აღამათენებს, არავინ გამოჩენია მიმხედავი, მიმშველბელი. ერთ დროს იგი ხომ ამ კუთხეში ყველასათვის კარგად ცნობილი და საყვარელი ვაჟკაცი იყო? მოკეთენი და მეგობრები არც ახლა გამოლევია, მოყვარე და თანამგრძნობი ახლაც ბევრი ჰყავს, მაგრამ ველურივით მუდამ ასე მარტოდ თუ დადის და დაეხეტება, ეს მხოლოდ მისი უბედურებისა და მეტისმეტად კერპი ხასიათის ბრალია.

წვერულვაშმოშვებული და თმააბურქნილი, ტყის კაცივით შემოფლეთილ-

შემოგლეჯილი ჩამჯდარა იგი ახლად შეზინულ საფლავთან და მდუმარე მიწას გამოცარიელებული თვალებით დასჩერებია. მაგრამ მიწასავით როდი დუმს: ხან ბალივით ტირის, ხან დედაკაცივით მოთქვამს, ხან კი ხარირემივით შეჰბღავლებს და შეშლილივით წამოვარდება.

როცა გახელებულ გულმკერდს მუშტების ცემით დაიოკებს, დაცხრება, დამშვიდდება, ცრემლად დიწურება; მკლავგაშლილი საფლავს დაემხოზა და ცრემლით დანამულ მიწას გრძელი თითებით ეალერსება.

ნაცნობ-მეგობრები უყურადღებოდ არ ტოვებენ მას. ხშირად ჩაუვლიან, მოხერხებულად დროს შეურჩევენ, საწუგეშო სიტყვას გამოძებნიან, სთხოვენ, დროებით მაინც მიატოვოს აქაურობა. ორიოდღე დღით მაინც მოასვენოს სხეული, ორიოდღე ლუკმა მაინც ჩაიღოს პირში, მაგრამ მოხუცის უინიანობის დაძლევის ვერავინ ახერხებს.

— არა, არ მითხრათ, აქაურობას ვერ გავეცლები, ჩემს ვაჟაკს ამ უდაბურ სამყოფელში მარტოდ ვერ მივატოვებ, — ამბობს იგი და მოურიდებლად ყველას თავიდან იშორებს.

მაგრამ როცა შეუტყვენ, გაამტყუნებენ, დედაკატურ გულჩვილობას დასწამებენ, მაშინ ცოტათი შემობრუნდება, დაშოშმინდება და ნაღვლიანად იტყვის:

— რა ვქნა, ნუ გამამტყუნებთ, დროებით სხვანაირად ვერ მოვიქცევი... ჯერ ჩემს ბიჭს ძეგლს დავუდგამ. საკუთარ სახლ-კარს ავუგებ, დავასახლებ, დავაოჯახებ და... ალბათ ამასობაში ჩემი დღეებიც ჩამოილევა...

შეკამათებას ვერ უბედავენ.

— სხვა რაღა დარჩენია ქვეყანაზე? — ამბობენ დედაკაციები.

— არ გაემტყუნება, ერთადერთი შვილის დამკარგავ მამას უარესის ჩადენაც კი ეპატიება, — კვერს უკრავენ კაციები.

და აღარავინ უშლის, როცა მოხუცი შვილის საფლავის მოსაწყობად მთელი ქონების გაყიდვას აპირებს. რაც მომი-

პოვებია და შემოძენია, მისთვის მრდოდა, მისთვის მქონდა შემონახული, მაგრამ რაკი სიცოცხლეში არ ვმარტოვებოდა, მისი საფლავის ძეგლად უნდა იქცესო.

რას ეტყვი? რჩევა არ გადის და დარიგება და ძალას ხომ ვერავინ იხმარს?

რამდენჯერმე შემოიარა მთელი ეს უზარმაზარი სასაფლაო, ბევრი ძვირფასი ეკვდერი და ქანდაკება ნახა, მრავალი გულამაჩუყებელი ეპიტაფია წაიკითხა, მაგრამ არც ერთი არ მოეწონა. უკეთესი, კიდევ უკეთესი უნდა აუგოს შვილს. უფრო ძვირფასი ლითონი და ქვა უნდა შეიძინოს. უკეთესად მოაჩუქტურთმებინოს. ამ ერთი კვირის წინ ცნობილი არქიტექტორი მოიწვია და თავისი სურვილი გაანდო. დამიხატე და ამიგე ისეთი ძეგლი, რომლის მსგავსი აქ არაფერი იყოს, სურვილი შემისრულე და რა დაჯდება ან რა ელირება, ამაზე შენ ნუ შეწუხდები. მომიძებნე უშლელი ქვა, უყანგავი ჩლითონი, გაუხუნარი და ფერუცვლელი საღებავი, თან ისეთი წარწერა გამიკეთე, ფოლადის გულიც კი გააღზოსო.

არქიტექტორმა ორიოდღე დღის შემდეგ ჩანახატი აჩვენა და გეგმა გააცნო. მოხუცმა გეგმა მოიწონა, თუმცა რამდენიმე შენიშვნაც მისცა. ეს გუშინ იყო.

დღეს კი ბეგლარი გულმოოხებელი იჯდა შვილის საფლავთან და დამშვიდებული ეჩურჩულებოდა:

— ყველაფერს გაგიკეთებ, ჩემო ბიჭიკო. სულ დავახარჯავ, რაც მიშოვნია და შიმიძინია ყველაფერს აქ მოვიტან, უკვდავყოფ შინს სახელსა და ხსოვნას...

გორაკს მიწამული შუქი თანდათან შეაშრა. მზემ თვალი მიხუჭა და ქვეყანას ოამის ბინდი წამოეპარა. სასაფლაო თანდათან დაცარიელდა. მოხუცი კი კვლავ შვილის საფლავთან იყო ჩამოჯდარი და მწარე ფიქრს მისცემოდა.

ის იყო, უკანასკნელი ჰირისუფალი

პარმენ ლორია  
ძეგლი უკვდავებისა



თვალს მიეფარა, რომ ჰიშკარში ასე თხუთმეტობდნენ წლის ბიჭი შემოიჭრა, მომალლო ბორცვზე აირბინა, იქ ერთ საფლავთან პატარა ქვაზე ჩამოჯდა, რაღაცა ჩაილაპარაკა და აქვითინდა.

მოხუცს წინათაც შეუნიშნავს ეს ბავშვი. იგი მოდიოდა დღისით, — უფრო ნაშუადღევს. მოიტანდა წიგნებს, ჩამოკვებოდა სწორედ იმ ადგილას, სადაც ახლა იჯდა, წიგნს გადაშლიდა, ერთ ხანს კითხულობდა. შემდეგ წამოდგებოდა და მიდიოდა. მაგრამ ატირებული არასოდეს უნახავს.

რაშია საქმე? ბეგლარი უნებლიეთ დაინტერესდა, წამოდგა და ყმაწვილთან მივიდა.

— ვინ მარხია აქ? — იკითხა მან.

— მამაჩემი.

— როდის გარდაიცვალა?

— ორი წელია.

— დედა არა გყავს?

— არა, დედა მამაზე ადრე მომიკვდა.

— მაშ ვისთან ცხოვრობ?

— ბიძასთან.

— მამის საფლავზე ხშირად დადიხარ?

— დავდიოდი, როცა კარგ ნიშანს მივიღებდი.

— ეს რატომ? — დაინტერესდა მოხუცი.

— მამაჩემის სიტყვას ვასრულებდი. — ყმაწვილს გული აუჩუყდა. — ასე მითხრა, ხშირად იარე ჩემს საფლავზე, ხანდახან წიგნიც წამიკითხეო. აქამდე მუდამ მოვდიოდი, მაგრამ...

— მაგრამ რა?

— ხვალისადაც ვეღარ ვივლი. ხშირად ვერ მოვალ.

— რატომ?

— ხვალისადაც ქარხანაში ვიწყებ მუშაობას. ის ქარხანა კი აქედან შორს არის.

— რატომ, სწავლა მოგბეზრდა?

— სწავლა სულელს მოგბეზრდება, მაგრამ... ბიძას იმოდენა ხარჯი აქვს. წვრილი ცოლ-შვილის პატრონია. რვა კლასი დამამთავრებინა, მეტი რა ქნას... საშუალება რომ ჰქონდეს, სწავლას არ მომწყვეტდა.

— შენთვის რომ ეკითხათ, ისწავლი თუ ქარხანაში მუშაობას ირჩევ?

— ეჰ, სწავლას რა სჯობია, — გავიხსენებ არა უშავს. ქარხანაში ვიმუშავებ, ბიძაჩემსაც შევეხილები და სწავლასაც არ მივატოვებ, საღამოს სკოლაში მოვეწყობი.

— ძალიან კარგია! — მოუწონა მოხუცმა. — აგრე მხნედ და იმედინად უნდა შეხვდე ცხოვრებას. გწყინს, ასე რომ შეიცვალა შენი მდგომარეობა?

— მწყინს, მაგრამ უიმედოდ მაინც არა ვარ... თვეში ერთხელ მოვალ აქ და ყველაფერს მოვუყვები მამაჩემს.

— მერე მიცვალებულებს ვითომ ესმით რამე?

— არა, მაგრამ მის დანაბარებს ხომ შეევასრულებ... თქვენც ხომ ანდერძს უსრულებთ ძია ლევანს? რას აგებთ იმ ადგილას?

მოხუცი შეიშმუშნა.

— ძვირფასი ძეგლი უნდა ავუგო, შვილო. განა იცნობდი ლევანს?

— ლევან ბიძიას ვინ არ იცნობდა? ჩვენი საყვარელი მსახიობი იყო.

— დამელუბა, ხელიდან გამომეცალა, შვილო. ნეტავი ვინმე დამრჩენოდა მისგან ნუგეშად. შენოდენა ბაღში მეყოლებოდა, ჩემი შვილი ჩემს სურვილს რომ დაჰყოლოდა და ცოლი შეერთო. ძნელია შვილის დაკარგვა.

— მე ეს არ ვიცი, მაგრამ მამის დაკარგვა ყველაზე მძიმე ყოფილა, — კვლავ ცრემლი მოერია ყმაწვილს.

— და ალბათ აწიცი ასევე უერთგულებ მამის საფლავს და საკადრისად მორთავ და დაამშვენებ.

— მე საფიცრად მაქვს მამის საფლავი.

— ხოლო როცა სამისო შეძლება გექნება, ერთ საკადრის ძეგლსაც აუგებ.

— ქვის ძეგლს? — გაკვირვებით ახედა ბიჭმა. — კაცისათვის კაცია ძეგლი და ეკვდერიო, ამბობდა მამაჩემი. მეც ასე ვფიქრობ. მამის საფლავზე აი, ეს პატარა ჩინარი დაკარგე. გაიზრდება. აქაურობას დაამშვენებს, მის ტოტებში ჩიტი ბუდეს გაიკეთებს. ჩინარი სამას

წელიწადს ცოცხლობს, მრავალ ათეულ წელს გაუძლებს.

— შენ მართალი ხარ, — დაუდასტურა მოხუცებულმა. — ჰეც უფრო იმედია და კმაყოფილი ვიქნებოდი, მისგან რომ ვინმე დამრჩენოდა. ახლა კი ყველაფერი მის ცივ სამარეს უნდა შევალაო. აქ უნდა დავუდგა ძეგლი ჩემს სათაყვანოს. ასეთია ჩემი განზრახვა. რას იტყვი?

— ჰო, — სთქვა ბიჭმა და დასძინა — უფროსი კაცი ბრძანდებით და რჩევას ვერ გკადრებთ, თორემ...

— თორემ რა? — ცნობისმოყვარეობა აღძრა მოხუცს.

— ამოდენა ლითონისა და ქვის ცივი ლოდისაგან გამოკვეთილი ძეგლის დადგმას აჯობებდა... — ბიჭმა მოკრძალებით ახელდა ბერიკაცს.

— რა? რა აჯობებდა? — შეკრთა მოხუცი.

— შეგლა და ხელის გამართვა ცოცხალ კაცს უნდა.

— შენ ეს ვინ გითხრა? — შეწუხდა მოხუცი. — მაშ შენ არ გწამს, რომ იმქვეყნად წასულთ... მე რასაც ვაკეთებ... დიახ, რასაც ვაკეთებ... შენ უნდა იცოდე, რომ უფროსის წინაშე...

— მაპატიეთ, ბატონო. — თავი დახარა ყმაწვილმა. — ჩვენ სხვაგვარად ვუყურებთ ცხოვრებას.

— სხვაგვარად? საიდან მოდი, ვინ ხარ ასეთი, რომ ჩვენ, ხანდაზმულებს ასეთნაირად გვასამართლებ?

— თუნდა გეწყინოთ, მაინც ამასვე გეტყვი, კომკავშირელი ვარ და მაპატიეთ.

— კომკავშირელი?! შენ კომკავშირელი ხარ და მე, ამდენი ხნის კაცს, ძველ მებრძოლს, მეგლარ თავაძეს მძრახავ... — მოხუცი აღშფოთებით ლაპარაკობდა, მაგრამ თითქოს ვიღაცა წელში იცაო, ისე შეჩერდა და დაიხარა — ხვალ დილით აქ მოხვალ, ჩემთან, —

კარგა ხნის დუმილის შემდეგ უთხრა ბიჭსა და ჩაიმუხლა.

— ვერ შეგპირდებით. დილით მივეყვარ ქარხანაში სამუშაოდ. დღეს სკოლიდან საბუთები გამოვიტანე, რა ვქნა, ჩემს თავს მევე უნდა ვუპატრონო, — გულისტყვილით მიუგო ბიჭმა.

— იმ საბუთებსაც აქ მოიტან. დიახ, აქ მოიტან!

— ქარხანაში როდისღა წავიდე?

— ქარხანაში? როდესაც სწავლას დაამთავრებ! — მოხუცს კიდევ რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ამ დროს ჭიშკართან მანქანა გაჩერდა, იქიდან მალაღი ტანის ვაჟკაცი გადმოვიდა და მოხუცს მიუახლოვდა.

— პატივცემულო ბეგლარ, — სთქვა მან, — ხვლიდან მასალა გადმოგვაქვს, ფუძეს რკინაბეტონისას ჩავუდგამთ, შემოდან შავი მარმარილოს კედელი და გრანიტის ოთხი სვეტი ექნება. სახლს ორი ფანჯარა...

— არ უნდა! — შეაწყვეტინა ბეგლარმა.

— მაშ, უფანჯრო იყოს? ძალიან კარგი სვეტებს...

— არ უნდა! გესმის, არ უნდა სვეტები!

— აღარც სვეტები?!

— დიახ, აღარც სვეტები, აღარც თალები, აღარც სახლი და მოაჯირი...

— მაშ? — მოსული გაკვირვებით შეაჩერდა მოხუცს.

— ჩემს შვილს სახსოვრად ის ერთი გრანიტის სვეტი ეყოფა და...

— მხოლოდ ერთი გრანიტის სვეტი?

— დანარჩენი აი, ამ ბიჭის გაზრდას უნდა მოვახმარო, — სთქვა მოხუცმა და ბიჭს ხელი ჩასჭიდა. — წავიდეთ, შვილო. შენ ისწავლე და კაცი გამოდი, მე ჩემი შვილისათვის უკეთესი ძეგლი არ მინდა, — უთხრა მან ბიჭს და შინისაკენ გაიყოლია.

---

პარმენ ლორია  
ძეგლი უკვდავებისა



## ბიძინა მინდაქი

### ბათუმი


თეთრი გემები იდგნენ რეიდზე  
და უცხო ქალაქს უცქერდნენ ზღვიდან...  
გადაუღებლივ წვიმდა მთელი დღე  
და წვიმა სევდას ნერგივით ზრდიდა.

მეორე დღეს კი მზე ენთო ცაზე  
და ზურგებს გვწვავდა მისი თითები,  
ჩემს კენჭებივით გაფანტულ აზრებს  
ზღვა აგროვებდა და მამშვიდებდა.

მე მივცურავდი, მოჰგავდა შეშლილს  
ტალღა ნაპირზე გადამსხვრეული  
და ზღვას მსუბუქად ეჭირა ხელში  
მზით გარუჯული ჩემი სხეული.

და ჩემს გარშემო დიდხანს ბრუნავდა  
ნაპირი, როგორც ფერადი ზოლი...  
და როგორც გვიან შემოსულ სტუმარს  
მაზნევედა სიცხე, სიცილი, პოლი..

ეხეთქებოდა ჯებირებს ტალღა,  
მებერებოდა ძარღვები სისხლათ.  
მერე ვწვებოდი ქვებზე გულადმა,  
რომ მხოლოდ ასე მეცქირა მზისთვის...







თითქოს შეგცვლია ლამაზი სახე,  
თითქოს დაგღლია თვალები, მხრები...  
გულგრილი, როგორც თეატრში სარკე,  
ხალხით გაჭედვილ დარბაზში მხედები.

მხედები და წელთა ტრიალის მერე  
მაბრუებს შენი დაღლილი მხერა.  
ჩემს სიმებივით დაჭიმულ ნერვებს  
შენ არხევ, როგორც მაღალი ბგერა.

და იარუსი ბრუნავს და ბრუნავს...  
პარტერი ბრუნავს ნელა და წყნარად...  
ჩემს სულს — ლოდინით ყელგამშრალ სურას —  
ახსოვხარ, როგორც ანკარა წყარო.

ფეთქავს პირველი შეხვედრის განცდა  
და დავიწყებას ამაოდ ვცდილობ...  
პირველ თოვლივით ეშვება ფარდა,  
თოვლივით ნელა და გულუბრყვილოდ.

თითქოს შეცვალა ქარმა ამინდი,  
ფარდას ეხლება ტაშის ვედრება...  
მე შინ ვბრუნდები ნელი ნაბიჯით  
და მხრებზე თბილი თოვლი მეყრება.





მოთხრობა

მ ზემ საშუაღღეოს რომ მიადღწია, ისე დაცხა, არემარეს აღმური ასღღოდა. გაფიცებულ ნამჯის ღერებს ტკაცატკუცი გაჰქონდა, თითქოს ნამკალში უხიღავი არსება დააბიჯებსო. მწყრები აღარ ქვითქვითებღღენ, არც კალიები იყენენ ჭრიჭინის ხასიათზე. შუაღღემღე ნიავი ქროდა. ახღა კი აღაზნის პირას, პატარა მინღღვრებში სიცხე ჩაგუბებულიყო.

შაღვა ჯერ აღაზნის გაღმა აქოჩრიღ ტყეს გაჰყურებდა, თან ხმადაბღა უსტვენდა, შემღეგ ნივეღირთან დახრიღ ჯონღოს დააცქერდა.

ჯონღოს გარუჯული, შიშვეღი ზურგი მზისათვის მიეფიცებინა და ნივეღირში იყურებოღა. ღროდაღრო მარცხენა ხელს ასწევდა, მოშორებით მღგარ თამაზს ანიშნებღა, ცოტა მარჯვენყო. თამაზი დანაყოფებითა და ციფრებით აჭრეღებულ ლარტყას მარჯვენყო გაღააცოცებღა. ჯონღო ანიშნებღა, ცოტა კიღევო. — კარგია! — დაიძახებღა ბო-

ღოს და დაფაზე გაჭიღულ ქაღღღზე ფანქრით პატარ-პატარა ხაზებს ავღებღა.

ჯონღოს ბეჭებზე აქა-იქ ისევე ჰქონღა კანი აქერციღიღი. პირვეღად რომ დაეწვათ ზურგი, კანზე ხელს ვერ იკარებღენენ. ახღა კი სამივეს სპიღენძისფერი ბეჭები ჰქონღათ.

შაღვა უყურებღა მზით გარუჯული ჯონღოს და ვერაფრით ვეღარ წარმოეღგინა, რომ ის ოღღსმე თეთრი იყო. მერე შეღარებღა დაიწყო, რომელი ფერი უფრო უხღღებოღა ჯონღოს მხარბეჭს. თეთრი? თეთრი ნაზი ფერიღ, სინაზე ქაღს უხღღება. ღონიერ მხარბეჭს კი... რატომღაც ფიქრობღა, არ შეიძღლება ღონიერი მხარბეჭი ქათათათეთრი იყოსო. მერე დაფიქრღა, თეთრი ქაღიშვიღებიღან ვის იცნობღა. ჯერ ინსტიტუტის ამხანაგები მოიგონა, შემღეგ სხვა ნაცნობები და მეზობღები, მაგრამ ვინც კი გაიხსენა, ან შავვეგრემანი იყო, ან ზღვაზე გარუჯული. ბო-

ლოს გაახსენდა: აქ წამოსვლის წინა დღეებში ჯონდოსთან იყო სტუმრად. ისხდნენ და ჭადრაკს თამაშობდნენ. მეზობლის აივანზე სარაფანიანი ქალი-შვილი გამოვიდა, ხელში ცოცხი ეჭირა. ბიჭები რომ დაინახა, მკერდზე თეთრი, შიშველი მკლავები აიფარა და ისე სთქვა სალამი.

— ქეთინო, ახლა შენ თუ მიშველი, თორემ წვაგე და ესაა, — გასძახა ჯონდომ იმ გოგოს.

— წააგე?

— მერე ვისთან, მე ვასწავლე თამაში!

ქალიშვილმა გაიცინა და ისევ შინ შებრუნდა.

სწორედ იმ ქეთინოს ჰქონდა თეთრი, ძალიან თეთრი მკლავები და შავი თვალწარბი.

— ო, რა დაცხა, ბიჭო! — სთქვა ჯონდომ და წელში გასწორდა.

— დავისვენოთ, ჯონდო!

— დავისვენოთ მა რა! თამაზ, წამოიღე ლარტყა, დავისვენოთ! — დაუძახა ჯონდომ.

თამაზმა ნამკალში პალო დაასო, ლარტყა მხარზე გაიღო და ბიჭებისაკენ გასწვია.

პანკისის მინდვრებში ორიოდე ძირი მწარე პანტა და რამდენიმე კაკლის ხე დაეტოვებინათ კოლმეურნეებს საჩრდილობლად. კაკლის ხეები პანტებთან შედარებით გოლიათებივით გამოიყურებოდნენ. შარავზის პირას იდგნენ და მთელი დღე შრიალეზდნენ.

ერთი კვირის წინ კაკლების ჩრდილში კომბაინერები ისვენებდნენ — იქ საშრობდნენ, იქ სადილობდნენ. ჭამას რომ შორიხებოდნენ, გვერდზე გაიჩრდილებოდნენ და სიგარეტებს გააბოლებდნენ, თან სახვალთო საქმეზე ლაპარაკობდნენ. მერე მინდვრებში ისევ ისმოდა გუგუნის. სოფლიდან მოდიოდნენ ცარიელი მანქანები და ხორბალი კოლმეურნეობის საშრობისკენ მიჰქონდათ.

კომბაინერები შორიხნენ თავიანთ საქმეს. დარჩა იქაურობა ცარიელი და გადაპარსული. მის შემდეგ მარტო ინჟინერები იყვნენ მინდვრად. შუადღისას

ახლა ისინი ისვენებდნენ კაკლების ჩრდილში. შარავზაზე ხანდახან ავტომანქანა თუ გამოჩნდებოდა. იქაურობას ამტვერებდა, ეს იყო და ეს.

ჯონდო, შალვა და თამაზი ახლა სწორედ იმ კაკლებისაკენ მიემართებოდნენ. მათ ფეხქვეშ ნამჯა იფშვებოდა, ხანდახან მწყერი აუფრინდებოდათ თვალწინ.

ჯონდო შეჩერდა და თამაზს მიუბრუნდა:

— დღეს შენი ჯერია. წადი, წყალიც ჩამოიტანე, საჭმელიც. ოთარს ბოსტანში კიდევ ექნება კიტრი და პამიდორი.

თამაზს ხმა არ ამოუღია, ლარტყა ჯონდოს გადასცა, ქალაღის ქუდი შეისწორა და სოფლისაკენ გაეშურა.

სოფელი შორს არ იყო. ოთარის სახლი სოფლის ბოლოში იდგა. თვითონ ერთი ენაბლუ ბიჭი იყო. მამას მისთვის აეშენებია ის სახლი და ახლა ცოლის მოყვანაზე ფიქრობდა. მანამდე ისევ მშობლებთან ცხოვრობდა, სახლი ინჟინრებს დაუთმო.

სახლის წინ ბოსტანიც აქვს ოთარს, ბიჭები მოვლა-პატრონობაში ეხმარებიან; სამუშაოდან მოსულები ყოველ საღამოს რწყავენ. კიტრი, პამიდორი, მწვანე ლობიო თავზესაყრელად აქვთ. საღამოს, ბოსტნის მორწყვას რომ შორიხებიან, დასხდებიან აივანზე, გიტარას უკრავენ, მღერიან, ან ჩაიცვამენ და კინოსურათის სანახავად სოფლის კლუბში მიდიან.

სამუშაოდან მობრუნებულებს ხანდახან კარის სახელურში გაჩრილი წერილები დახვდებოდათ. იშვიათად, რომ სამივემ ერთდროულად გაიხაროს. ჯონდოს წარამარა მოსდის წერილები — ზოგი მშობლებისაგან, უფრო ხშირად კი მედიკოსაგან. ასეთ დროს ჯონდო განმარტოვდება და გაფაციცებით კითხულობს ბარათებს. ორ ფურცელს რა ამდენი კითხვა უნდა? ჯონდო კი მთელი საღამო კითხულობს. თამაზი დასაცინის, ზეპირად სწავლობსო. მერე

ვალერიან ჩეკუროშვილი  
მთებების სიზმარი



დასხდებიან და არის წერილების წერა: თავს მშვენიერად ვგრძნობთ, ბიჭები ერთმანეთს კიდევ უფრო შევეჩვიეთ და ტკბილად ვცხოვრობთ. ალაზანიში ხშირად ვბანაობთ, კინოსურათებს აქაც კარგად ვუყურებთ. ბოსტანი კარგი გვაქვს და გართობა არ გვაკლიაო. ერთი ფრაზა კი სამივეს წერილში ერთნაირად იწერება: „ბიჭები მოკითხვას ვითვლიან“.

ჯონდოს და შალვას კაკლის ჩრდილში ვილაც ბიჭი დახვდათ. იგი გულადმა იყო გამშლართული, გვერდით ერთლულიანი სანადირო თოფი ედო. დილასლამოს ნაყანევში ქედნები დაბოინობდნენ; პირველად საჩრდილობელ ხეებზე სხდებოდნენ, მერე — ნამკალში. ნამჯაში ჩაფანტულ მარცვალს კენკავდნენ. „ალბათ სანადიროდაა გამოსული“, — გაიფიქრეს ბიჭებმა და მიესალმნენ.

— გაგიმარჯოთ! — უპასუხა თოფიანმა. მონადირემ ყურადღება არ მიაქცია მზით გარუჯულ ბიჭებს. იწვა თავისთვის გულადმა და კაკლის ტოტებს უყურებდა.

— საქმელს რომ ვჭამთ, მერე ალაზანზე გადავიდეთ, ვიბანაოთ, — უთხრა ჯონდომ შალვას.

— გადავიდეთ! ნეტა ანკესები მოგვცა, ვითევზავედით!

თოფიანი უძრავად იწვა, ხმას არ იღებდა, თითქოს არც ესმოდა ბიჭების ლაპარაკი.

— ე, ძმობილო, აქ სადმე მალაზიასი ანკესები არ იშოვება?

— რად გინდათ, ძმობილო, ანკესები? — ჰკითხა მონადირემ. ძმობილოო, ისე სთქვა, თითქოს შალვას გამოაჯავრა.

— ზად მინდა და კამეჩების დასაქვრად!

— წადი, ჩვენი კოლმეურნეობის ფერმაში და უნაკესოდაც დაიჭერ, — ისე უპასუხა, ოდნავადაც არ გაღიშებია.

შალვას ჯერ გული მოუვიდა, მერე პასუხზე გაეღიმა.

— აქაური თევზი ანკესს არ ებმის, სერიოზულად სთქვა მონადირემ.

— ვითომ რატომო? ანკესის  
გამოცემის  
გამოცემის

— არ ვიცი! ანკესით აქ მარტო კალმასის დაჭერა შეიძლება.

— მერე, კალმახი თევზი არ არის?

— კი არის, მაგრამ ახლა აქ არც კალმახი შეგხვდებათ, მთავია წასული. კალმახს ცივი წყალი უყვარს.

გუგუნე მოისმა. მონადირე წამოჯდა და გაიხედა. ქვემოდან საბარგო მანქანა მოჰქროდა, თან მტერის კორიანტელი მოსდევდა.

— საათი ხომ არა გაქვთ, რომელი საათია? — საჩქაროდ იკითხა თოფიანმა.

— ორს ოცი წუთი აკლია. მონადირე წამოდგა და გზისაკენ გაემართა.

— ე, ძმობილო, თოფი დაგავიწყდა, თოფი! — დაუძახა შალვამ.

— არ დამვიწყებია, ისევ მოგბრუნდები! — მოძახა და გზა განაგრძო.

უკაცრიელ შარაზე გამალებით მოჰქროდა ავტომობილი. ის ბიჭი შუა გზაზე გადაუდგა. როცა მანქანა მოუახლოვდა, ხელი ასწია. შოფერმა სიგნალი მისცა და ოდნავადაც არ შეანელა სვლა. მონადირეს ვითომც არ ესმოდა, შუა გზაზე იდგა გაჯვიმული და ფეხს არ იცვლიდა.

— გიჟია, ვილაცა! — ჩილაპარაკა ჯონდომ. შალვა ხმას არ იღებდა, იდგა და ელოდა, რა მოხდებოდა.

მანქანა ახლოვდებოდა, მაგრამ კაცი გარიდებას არა ფიქრობდა. ვიღრე წინ ცოტა მანძილი კიდევ იყო. შოფერს ალბათ იმედი ჰქონდა, შეეშინდება და გზას დამითმობსო. ის კი ჯიუტად იდგა შუა გზაზე.

გზა განიერი არ იყო. შოფერმა იცოდა, ვერც იქით აუცქევდა, ვერც აქეთ. რა უნდა ექნა? კაცს ხომ ვერ გასრესდა, სვლას უკლო და მანქანა ერთბაშად შეაჩერა.

ბიჭი მანქანასთან დინჯად მივიდა. შოფერმა კაბინიდან თავი გადმოჰყო და აყვირდა, ვინა ხარ, რა გინდა, შენი თავი თუ არ გენანება, სხვა მიანიც შეიცოდეთ. მან კი ხმაც არ გასცა. ჯერ

კაბინაში შეიხედა, მერე ბრეზენტ-გადაფარებულ ძარაში, ბოლოს შოფერს შეუღრინა, წადიო.

შოფერმა მხრები აიჩეჩა, გამლილი თითები გადაატრიალ-გადმოატრიალა, ვითომც ვერაფერი გამიგიაო, მერე მანქანა დაქოქა და წავიდა. ბიჭი კი მიბრუნდა და ისევ ხის ძირში დაჯდა.

— რა იყო, რა გინდოდა? — ჰკითხა ჯონდომ.

მონადირემ ჯერ თვალებში შეხედა, მერე უპასუხა:

— არაფერი, ისე...

— რომ არ გაეჩერებინა, რას იზამდი?

— გააჩერებდა.

— ვთქვათ და არ გაეჩერებინა?

— ვერ გაბედავდა.

— ბიჭოს! ვთქვათ გაბედა და არ გააჩერა, რას შვრებოდი?

— რა უნდა მექნა, გვერდზე გავბტე-ბოდი, — გაეცინა მონადირეს.

„მოდით ახლა და გაიგე, რა კაცია“, — გაიფიქრა ჯონდომ.

— თუ ანკესი ვერ იშოვოთ, მაღაზიაში ნემსები მაინც იქნება. ვახსურეთ, მოხარეთ, ძაფი მოაბით და ანკესი ვამოვა, — ისე სთქვა მონადირემ, თითქოს იმ წუთში არაფერი მომხდარიყო.

ბიჭები ხმას არ იღებდნენ. მხოლოდ იმას ცდილობდნენ, ლაპარაკზე შეეტყუოთ, რა კაცი იყო.

„ეშმაკმა იცის მაგისი თავი და ტანი“, — გაიფიქრა შალვამ და სიგარეტი გააბოლა.

გზაზე კვლავ გაისმა მანქანის გუგუნო. თოფიანმა იქით გაიხედა, მაგრამ არ წამომდგარა. მანქანამ ჩაიარა. მონადირემ ჯობე მოიჩხრიკა და დაქმუჭნილი კოლოფი ამოიღო. შიგ ერთი ცალი სიგარეტიდა აღმოჩნდა, გაასწორა, პირში ჩაიღო და შალვასთან მივიდა, ცეცხლი მომიკიდეთ.

მახლობლად თოფი გავარდა. პანტიდან ქედნები აფრინდნენ და აქეთ-იქით დაიქსაქსნენ. მერე იმ ხის ძირში ვიღაც თოფიანი დაიხარა, ნანადირევი აიღო და ისევ ხეს ამოეფარა.

— ის შენი ამხანაგია? — ჰკითხა ჯონდომ.

— ჩვენებურია!

— შენც სანადიროდ იქნები გამო-სული, — დრო შეურჩია შალვამ, — დოდა აელაპარაკებინა.

— ჰო, სანადიროდ გამოვედი... მაგრამ მე ქედანი კი არა, მტრელი მაინტრესებს, — სთქვა თოფიანმა.

— მტრელს კაცი მოკლავს? — ჩაილაპარაკა ჯონდომ.

თოფიანს გაეღიმა.

— არც მე მოვკლავ.

— აბა?

— დავიჭერ.

ჯონდომ და შალვა ერთ ხანს ხმას აღარ იღებდნენ, ისე უყურებდნენ მონადირეს.

— არა გჯერათ? აი, ნახავთ, თქვენს თვალწინ დავიჭერ. ერთი ნახევარი საათი ხომ იქნებით აქ?

ჯონდომ თავი დაუქნია.

— ჰოდა, ნახავთ! ოღონდ საქმეში არ ჩაერიოთ, თვალმა არ მოგატყუოთ. იმ მტრელს თვითონაც უნდა, რომ დავიჭირო.

შარაზე ახლა ვიღაც ცხენოსანი გამოჩნდა. ეტყობოდა, მთვრალი იყო. ცხენს მიაჩქარებდა, თან მღეროდა. თოფიანმა ერთ ხანს უცქირა იმ ცხენოსანს, მერე ისევ ბიჭებს მიუბრუნდა:

— თევზაობა თუ გინდათ, ტოტი დაწრიტეთ, ხელაობას რა სჯობია!

— რა თევზი იცის ალაზანში? — ჰკითხა ჯონდომ.

— კალმახი, მურწა, ფიხსული, ორაგული.

გზაზე ახლა ორი ქალიშვილი გამოჩნდა. ისე მოდიოდნენ, ეტყობოდა, ეჩქარებოდათ. თოფიანმა უყურა, უყურა. და ინატრა, ნეტავი ღურბინდი მქონდესო.

— რად გინდა ღურბინდი? — ჰკითხა შალვამ.

— დავინახავდი, ვინ არიან.

— რა დანახვა უნდა, გოგოები მოდიან.

— გოგოებია არა? — გაუხარდა მო-

---

ვალერიან ჩეკურიშვილი  
მთების სიზმარი

ნადირეს. მოუსვენრობა დაეტყო, ხელი ჯიბეზე მოისვა, მაგრამ სიგარეტი აღარ აღმოაჩნდა. შალვამ მიაწოდა, თოფიანმა გააბოლა და ნელი ნაბიჯით გზისაკენ გაემართა.

— შალვა, შენ თუ მიხვდი, რა კაცია? — ჰკითხა ჯონდომ.

— რას გაიგებ? — მხრები აიჩეჩა შალვამ.

— მტრედს დაეჭერო. ცოტა შერეკილი უნდა იყოს.

— ცოტა კი არა, საკმაოდ! იმ ქალღმობისაგან რაღა უნდა?

თოფიანი გზაზე გაჩერდა. გოგონებს წინ გადაუდგა. ორივეს ხელი ჩამოართვა, მერე უფროსს მკლავზე ხელი წაავლო და ჩრდილისაკენ წაიყვანა.

— რა გაჩქარებთ, მოდიოთ, დაისვენეთ და წახვალთ! — უთხრა, როცა ჩრდილს თავი შეაფარეს.

შალვა და ჯონდო ისხდნენ, ხმადაბლა უსტვენდნენ, ვითომც არ გისმენთო.

ქალღმობი ხელში გაზეთი ეჭირა. გზაზე იმ გაზეთით მზეს იჩრდილავდა, ახლა კი თეთრი ცხვირსახოცი თიკაზე გამოყოფილ ოფლს იწმენდა.

მეორე ცამეტი წლისა იქნებოდა, ისე იყურებოდა, ეტყობოდა, კაი კაპარჩხანა ვინმე იყო.

— რა ჰქენი, თინა, მუშაობა ხომ არ დაგიწყია? — ჰკითხა ბიჭმა.

— აი, ახლა მივდივარ სამსახურის საქმეზე: საავადმყოფოს გამგეს დავუბარებდივარ. ამოვიდეს და დიპლომიც ამოიტანოსო.

— ჰო, მართლა, აბა მაჩვენე დიპლომი, როგორია, ჩემს სიცოცხლეში ხელში არა მჭერიანო.

— კარგი რა, სიკო, მეჩქარება, — უთხრა თინამ.

— არ დაგაგვიანდება, ნუ გეშინია, მაჩვენე!

— არ აჩვენო! — ხელში ეცა გოგონა.

— ცისანა, ჰკვიანად იყავი!

— შინ იყავი ჰკვიანად, რაში გჭირდება ამის დიპლომი? არ აჩვენო, თინა!

— არ მაჩვენებთ და არც გაგიშვებთ!

— ჰო, აბა! შენ ვინ გეკითხება, წავალთ თუ არა?

— თინა, მაჩვენე დიპლომი! — აბა, რა უნდა ნახო, — უთხრა თინამ და დიპლომი ხელში შეაჩვენა. გოგონა ეცა, სიკომ ხელეები მალა ასწია, თორემ პატარა ალქაჯი წაგლეჯდა.

— კარგი რა, ნუ დამაგვიანებ! — ევედრებოდა თინა.

— ახლა აღარ დაგაგვიანდებათ, — სთქვა სიკომ და დიპლომი ხალათის ჯიბეში საიმედოდ ჩაიდო.

— აბა, რას ხუმრობ? — ჰკითხა თინამ. მკაცრად უნდოდა ეკითხა, მაგრამ ოდნავ გაეღიმა. მერე ცისანასა და გიგანას ხედა, ღიმილი ხომ არ შემამჩნიაო და წარბი ისევ შეკრა.

— სულაც არა ვხუმრობ. აქ იყოს, შენ დაგისველდება, ალაზანი დაგისველებს.

სიკოსაც უნდოდა გაღიმება, მაგრამ ცისანას ისიც ისე აჩვენებდა თავს, თითქოს ძალიან გაჯავრებული იყო.

— კარგი, გქონდეს! — სთქვა თინამ და წასვლა დააპირა. სიკომ ისევ წაავლო მკლავზე ხელი.

— გაუშვი! — დაყვირების მაგიერ დაიწყვილა პატარა ალქაჯმა, — გაუშვი-მეთქი, გეუბნები!

— ცისანა, ფეხს ნუ აბაკუნებ, მტვერი დადგება! — გაიცინა სიკომ.

— მტვერს და მიწას დაგაყრი მაგ გულზე, თუ ხელს არ გაუშვებ!

— თინა, ახლა ჭიდაობას ნუ დამაწყებინებ, სჯობია შენი ფეხით გამომეყვინებ.

— გადაირიე? ხელი გამიშვი! — ვითომც ძალიან შემოფოთდა თინა.

ცისანა ქვას დასწვდა, მაგრამ სიკო გვერდზე გახტა და ქვა ნამჯაში გადავარდა.

— ცისანა, ქვებს თავი გაანებე და შინ გაიქეცი. მამას უთხარი, ჩვენი თინა კომპელმა სიკომ მოიტაცათქო.

გოგონა აღრიალდა.

შალვას აქამდე ხუმრობა ეგონა, ახლა კი წამოხტა.

— შენ, ეი, ძმობილო, რას მიჰპარავ? — სიკომ ვითომც ვერ გაიგონა.



— შენ გეუბნები, — წინ გადაუდგა შალვა, — რა გინდა ამ წიგნსაგან?

— უნდა მოვიტაცო, — სიცილით უპასუხა სიკომ.

— როგორ თუ მოიტაცო, აქ სხვას ველარავის ხელად?

სიკომ თვალი ჩაუკრა და უთხრა:

— შენ მიდი, ჩრდილში დაჯექი, ჩვენს საქმეში ნუ ერევი.

— ხელი გაუშვი და დაჯდები.

სიკომ ყურადღება აღარ მიაქცია შალვას, ისევ ცისანას მიუბრუნდა:

— გაიქეცი, გაიქეცი, მამას შეატყობინე.

ცისანა გაქცევას წელანვე აპირებდა, მაგრამ რაკი საქმეში შალვა ჩაერია, შეჩერდა.

— ცისო, გაიქეცი, აქამდე მიხვიდოდი კიდევ, — უთხრა თინამ.

— გოგონა, მოიცადე, გენაცვალე, წასვლა აღარ დაგჭირდება! — სთქვა შალვამ და სიკოს წინ გადაუდგა.

— გაუშვი ხელი!

— არ გაუშვებ!

— გაუშვი, შენ გეუბნები.

სიკო იღიმებოდა.

— ცისო, წადი, გოგო, რაღას უყურებ! — დაუყვირა თინამ.

— წადი, წადი, ცისანა, ესენი თინას ვერ უშველიან, მამას შეატყობინე, — უთხრა სიკომაც.

გოგონამ ღრიალს უმატა და შინისაკენ მოჰკურცხლა.

— ვერ ვუშველი? — ჰკითხა შალვამ სიკოს.

— ვერა!

— ხელს არ გაუშვებ?

— არა!

— ხელი გაუშვი, რომ გეუბნები... — შალვამ გულზე ხელი ჰკრა, სიკო ბარბაცით წავიდა უკან-უკან და კინალამ გულადმა გადავარდა. მის სახეზე ღიმილი გაქრა, მხარილივ გადაკიდებული თოფი მოიხსნა, ნამჯაში მიაგდო და გამოქანებულ შალვას სახეში მუშტი შეაგება.

ქალმა საშინელი კვილი მორთო. მერე ჯონდოს მივარდა, რას დამდგარხარ და უყურებ, მიდი, გააშველეო.

ჯონდო იდგა და უყურებდა, რა ღონიერად უხათქუნებდნენ ბიჭები ერთმანეთს. საქმეში ჩარევას არ აპირებდა. თუ შალვას არ გაუჭირდებოდა. „უყურე, რა მაგარი ჩხუბი სკოდნია!“ — ფიქრობდა იგი ამხანაგზე.

— მიდი, ბიჭო, გააშველე, ერთმანეთს დახოცავენ! — მეორედ შეანჯღრია თინამ. ჯონდოს ახალა გაახსენდა, რომ თინას აღარავინ იჭერდა, რატომ არ გარბისო, გაუკვირდა.

— შენ რას ელოდები? წადი, გოგო, თავს უშველე! — უთხრა ჯონდომ.

— სად უნდა წავიდე? მოდი, მომეხმარე, გავაშველოთ!

ჯონდომ შეატყო, შალვა დიდხანს ველარ შეძლებდა ჩხუბს და ის იყო ჩარევას აპირებდა, რომ პანტის ჩრდილს ხუთი ბიჭი გამოეყო.

„უპ, რამდენი ყოფილან!“ — ჩაილაპარაკა ჯონდომ და ერთს წინ გადაუდგა.

— რას გაჩერებულხარ, ბიჭო, რატომ არ გააშველებ? — მოაძახა მან და გზა აუქცია. ჯონდო მიხვდა, ისინი მისაშველებლად კი არა, გასაშველებლად მორბოდნენ და გაეხარდა, ტყეპას გადავრჩებოთო.

ბიჭებმა ხელდახელ გააშველეს მოჩხუბრები.

— რა გინდათ, ბიჭებო, რად ერევით სხვის საქმეში? — ჰკითხა ერთმა, მეორე თინას მიუბრუნდა:

— წავიდეთ, რაღას უყურებ? სიკომ თოფი ხალათის სახელოთი მოიწმინდა, ნამჯაში გადადებული თოფი აიღო და ისევ მხარილივ გადაიკიდა.

— წავიდეთ, წავიდეთ! — სთქვეს ბიჭებმა. თინა შუაში ჩაიყენეს და ალაზნისაკენ აიღეს გეზი. თინა არც ჰკიოდა, არც მაშველს ეძახდა. მისთვის ახლა ხელიც კი აღარ ეკიდათ. იგი თავისი ფეხით მიჰყვებოდა ბიჭებს. მგონი, წინაა უსწრებდა. ნაყანევი მინდვრები გადაჭრეს, ალაზანი ვატობეს და მღვიმიის ტყეს შეერივნენ.

ვალერიან ჩეკურიშვილი  
მთებში სიზმარი

შალვამ გზის პირას არხის წყალზე პირი დაიბანა და ისევ კაკლის ჩრდილში დასხდნენ.

— ხედავ? მტრედს დავიჭერო... ხომ დაიჭირა, ჩვენ კი სულელი გვეგონა, — სთქვა ჯონდომ.

— აბა! მგონი, სულ ტყუილად ვეჩხუბებ. ვახსოვს რომ გვითხრა, ბიჭებო, საქმეში არ ჩაერიოთ, იმ მტრედს თითონაც უნდა რომ დავიჭიროო.

— მართალი უთქვამს. ხომ ნახე, ჩხუბი რომ დიწყეთ, თინა კი არ გაიქცა, თქვენ გაშველებდათ. მერე ხელიც არ მოუჭიდებიათ, ისე გაჰყვა.

„მართლა ძალადობა რომ ყოფილიყო, მაშინ ხომ შეეძლო გაქცეულიყო? — ფიქრობდა შალვა, — რა თქმა უნდა, შეეძლო!“ მაგრამ მაინც სწუხდა, რომ არამკითხეს როლში გამოვიდა. არც ჩაერეოდა საქმეში, თავის დროზე რომ გახსენებოდა სიკოს სიტყვები, — თვალმა არ მოგატყუოთ, იმ მტრედს თითონაც უნდა რომ დავიჭიროო. „აბა, რა ძნელი ამოსახსნელი ქარაგმა ეს იყო, რატომ დროზე არ გამახსენდა?“ — გულში ნანობდა. მაგრამ კმაყოფილი იყო იმით, რომ თავისი ვაჟკაცობისათვის ჩრდილი არ მიუყენებია. „რატომ უნდა ეთქვა, ორ ვაჟკაცს ცხვირწინ გოგო მოვტაცე და ხმა ვერ ამოიღესო“, — აი, რით ამართლებდა შალვა თავის საქციელს.

პანტის ჩრდილში ვიღაც თოფიანი ბიჭი სჩანდა. იდგა და ხეს შეჰყურებდა. მერე კაკლებისაკენ გამოემართა. ხელში ნანადირევი ქედანი ეჭირა, მოდიოდა და ღიღინებდა.

— ის ვილა, იმათი ამხანაგია ალბათ, — სთქვა შალვამ.

— შეიძლება.

— ახლა ამანაც რომ დამიწყოს, მტრედს დავიჭერო, არ გადავირევი?! ჩრდილში კალიები ჭრიჭინებდნენ. სოფლიდან სიცხისაგან მოთენთილო ძაღლების უღიმღამო ყეფა ისმოდა.

ჯონდოს ისევ თვალწინ ედგა სიკოსა და შალვას ჩხუბი. აქამდე რატომღაც არ ეგონა, თუ შალვას ჩხუბი შეეძლო. „რამოდენა გული ჰქონია“, — ფიქრობ-

და ჯონდო, შალვას უყურებდა და რატომღაც უფრო დიდი ეჩვენებოდა.

— თამაზი მოდის! — სთქვა შალვამ. ჯონდომ გაიხედა. თამაზი მართლაც მოდიოდა, მაგრამ მონადირემ დაასწრო მოსვლა. შალვა გაკვირვებით უყურებდა მოახლოებულს, მერე ზეზე წამოიღვა და მიეგება.

— ვაჰ, ამას ვის ეხედავ! — სთქვა მოსულმა და შალვას გადაეხვია.

— შოთა, შენ აქ საიდან? — გაუკვირდა შალვას.

— მე აგერ, ამ სოფელში ვცხოვრობ. შენ თვითონ რა გინდა აქ?

— მეც აქ ვმუშაობ.

შალვამ და შოთამ ერთად დაამთავრეს ინსტიტუტი. შოთა არქიტექტორი იყო. თბილისში მოეწყო სამუშაოზე. სამი წელი იყო, რაც ერთმანეთი აღარ ენახათ.

— ისევ თბილისში მუშაობ? — იკითხა შალვამ.

— ისევ.

— კმაყოფილი ხარ?

— როგორ გითხრა, — გაიცინა შოთამ.

— ბინის საქმე როგორა გაქვს?

— მივიღე.

— მომილოცავს. ცოლიც შეირთე?

— ჯერ არა.

თამაზიც მოვიდა. მხარზე აკიდებულნი ზურგჩანთა მოიხსნა და შოთას მიესალმა. შალვამ გააცნო, ჩემი ამხანაგიაო. ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს, შეშფოთებული თამაზი შალვას მიუბრუნდა:

— რა მოგივიდა, ბიჭო, ცხვირპირზე?

— არაფერი.

— როგორ თუ არაფერი?

— ვიჩხუბე.

— სად იყავი, თამაზ, აქ იცი რა ამბები დატრიალდა? — უთხრა ჯონდომ.

— მაინც რა?

— რა და, თინა მოიტაცეს.

— ვინ თინა?

— რა ვიცი, თინა ერქვა და სიკომ მოიტაცა.

— შალვა, გამაგებინე, რას ამბობს ეს კაცი?

— რას და წელან, აი, აქედან ვილაც ბიჭმა გოგო მოიტაცა. არა, კი არ მოიტაცა, გოგო თვითონ გაჰყვა, მაგრამ ჩვენ მოტაცება ვვგონა.

— მერე?

ჯონდო მოჰყვა, რაც მოხდა.

— ნეტა სადაური ბიჭები იყვნენ? — იკითხა თამაზმა.

— არ ვიცი, აი, შოთას ეცოდინება.

— როგორ არ ვიცი, — გაეღიმა შოთას, — სიკო ჩემი ნათესავია.

— მართლა? — გაუკვირდა შალვას, — თუ ძმა ხარ, გეცოდინება და გამაგებინე, მართლა მოიტაცა, ქალი თითონ გაჰყვა, თუ რა ჯანდაბა მოხდა?

— არა, კაცო, რის მოტაცება, რა მოტაცება. როდის იყო, მოტაცებული ქალი მომტაცებელს წინ მიუძღოდა?! აქ სხვა ამბავია, — სთქვა შოთამ, — იმ გოგომ და სიკომ ერთად დაამთავრეს სკოლა. ერთმანეთი უყვარდათ. მერე თინა თბილისში სამედიცინო სასწავლებელში მოეწყო, სიკო ჯარში იყო. იქიდან რომ დაბრუნდა, თინას უკვე დამთავრებული ჰქონდა. აქ ასეთი წესია: ბიჭმა ქალის მშობლებს მთხოვნელები უნდა მიუგზავნოს. ადგა და მიუგზავნა. ქალის მამამ უარი განაცხადა, მე მაგას ქალს არ მივათხოვებო.

— რატომაო?

— რა ვიცი! სიკო ობლობაში გამოზრდილი ბიჭია, მამა ომში დაედუბა. ცოტა ხელმოკლედ ცხოვრობენ და სასიმამრომ დაიწუნა. მერე სოფლის თავკაცებმა გააფრთხილეს: უარს ნუ ეუბნები, შენს სიტყვას ფასს ნუ აპყრი. ერთმანეთი უყვართ და ბედს წინ ნუ ეღობებიო. ქალის მამამ იფიქრა და ბოლოს თანხმობა განაცხადა, ოღონდ იმ პირობით, რომ სიკო ჯერ პირის სანახავს<sup>1</sup> ვადაიხდიდა, მერე ნიშნობას, ხოლო ერთი წლის შემდეგ ქორწილს.

სიკოს, რა თქმა უნდა, გაეხარა, მაგრამ საგონებელში ჩავარდა; ჯარი-

დან ახალი ჩამოსული იყო, საიდან უნდა ეშოვა იმდენი ფული, რამდენს ხარჯი დაეფარა? თან ეს ამბავი წელს უნდა გაგრძელებულიყო. სასიღებროს შეეცოდა და თვითონვე დაარიგა: შენც ადექი, შვილო, ერთ დღეს მოჰკიდე ხელი და შინ წაიყვანეო. მაგრამ ეს საიდუმლოდ ითქვა, თვითონ ქალის მამამაც არ იცის. ხალხი რომ არ მიმხედარიყო, მოწყობილი საქმეაო, სიკომ დილას საავადმყოფოს დარაჯი მიაგზავნა და ათქმევნა, თინას მთავარი ექიმი სამსახურის საქმეზე იბარებსო. სიკომ დარაჯი დაარიგა, ისე უთხარი, მეზობლებმაც გაიგონონო. ეჭვი რომ არავის შეჰპარვოდა, თინას უმცროსი და წამოუყვანია. ის გოგონა სოფელში ამბავს მიიტანდა. არც იმან იცოდა რამე. აი, ასე გაითამაშეს მოტაცება.

— შეხე, — წამოიძახა შალვამ, — მე კი რა მეგონა!

— მერე იქით სად წაიყვანეს? — იკითხა ჯონდომ.

— ტყეში.

— რაღა ტყეში, სახლში წაეყვანათ.

— ეე, ეგრე არ არის საქმე, ჩემო შალვა! აქ ცოტა ხანში იცი რა ამბავი დატრიალდება? ქალის მამა-ბიძები გადაირევიან, ეს როგორ გვკადრავს. შესხდებიან ცხენებზე და დაედევნებიან. ამიტომ სჯობია ერთი-ორი დღე თვალს მოეფაროს.

— ხედავ, რაში ყოფილა საქმე? — სთქვა ჯონდომ.

— სხვა როგორა ხარ, შალვა, როგორ მოგწონს ჩვენი კუთხე? — ჰკითხა შოთამ.

— აი ასე, როგორც მიყურებ! — მზით გარუჯულ მხრებზე დაიხედა შალვამ და გაიღიმა, — შევეჩვიეთ. რაც მთავარია, კარგად მოვეწყვეთ. ოთარის სახლში ვცხოვრობთ. ხომ იცნობ ოთარს? დღისით ვმუშაობთ, საღამოს ვერთობით და ვაღის დღეები.

— გამაგებინეთ, თუ ძმა ხარ, რას

<sup>1</sup> პირის სანახავი — პატარა ნიშნობა



აკეთებთ? რას აპროექტებთ? — დაინტერესდა შოთა.

— ალანის არხს.

— მშენებლობის დაწყება მართლა გადაწყდა?

— როგორ თუ მართლა, ჩვენს გარდა ასი კაცი მუშაობს. ნაწილი კახეთის ქედზე, ნაწილი აგერ იქ — კავკასიონზე. უნდა დავებურლოთ თქვენს კავკასიონს. აქედან რომ შევეუტევოთ, დაღესტანში გავალთ გრიალით.

— სერიოზულად ამბობთ? — იკითხა შოთამ.

— ასეა დაგეგმილი: ამ მთებში გვირაბი უნდა გაიჭრას, პირიქითა ალანის პირაქეთს უნდა შეუერთდეს. აი, აქ გადაიკეტება პანკისის ხეობა და აშენდება ძალიან დიდი წყალსაცავი. აქედან აგერ იმ კახეთის ქედს გაჰყვება არხი, გადავა გომბორზე. მთელი შიდა და გარე კახეთი უნდა მოირწყას. ნოემბრის ბოლოსათვის პროექტი მზად იქნება. მუშაობა კი მომავალი წლიდან დაიწყება.

— დაიწყება და წამოვალ კიდევ თბილისიდან! — სთქვა გახარებულმა შოთამ, — აქ საჩემო საქმეც გამოჩნდება.

— რა სპეციალობის ხართ? — ჰკითხა ჯონდომ.

— არქიტექტორი ვარ.

— ავაშენა ღმერთმა, პირველ რიგში მუშათა საცხოვრებელი კორპუსები უნდა ავაშენოთ. საქმის მეტი რა გეგნება.

— უნდა ჩამოხვიდე, მა რა! აქაური კაცი ხარ. მერე ერთი თინა შენც შეიგულე და... — გაეხუმრა შალვა.

— აბა, სიკოს დახე, მტრედს დავიჭერო! — იღიმებოდა ჯონდო.

— მტრედი კი დაიჭირა, დათვმა თუ არ გააშვებინა.

— ვერ გააშვებინებს! — დაბეჯითებით სთქვა შოთამ და წამოდგა. — ბიჭებო, ეს ქედანი თქვენ გქონდეთ, შეწყვიტეთ, ან პამიდორში ჩახრაკეთ. მდეგრებმა თუ რამე გკითხონ, ბევრს ნურაფერს ეტყვი. არ მოიწყინოთ, სადა-

მოობით გამოგივლით ხოლმე, ვიდრე შევებულება დამიმთავრდება.

ბიჭებს დაემშვიდობა და წავიდა. ნიავე ამრიალებდა კაკლებს და მინდვრიდან მწყურის ქვითქვითი ისმოდა. ჭრიჭინები სიმღერის ხასიათზე მოსულიყვნენ, კალიები ჩრდილში ხტოდნენ და ბიჭები ხელის აქნევით იგერიებდნენ, საჭმელში არ ჩაგვივარდესო.

მზე ჩასვლას აპირებდა. ნიავემა გაქვავებული ხეები ააშრიალა, არემარე გამოცოცხლდა. სიციხით გათანგულმა მიწამ შევებით ამოისუნთქა. ჩვეულებრივ ახმაურდა სოფელი: ყიოდა ღობეზე შემომჯდარი მამალი, ჭიხვინებდნენ ცხენები, ვიღაცა ვიღაცას ეძახდა და ხმაურზე ძაღლები ყეფდნენ.

სოფელში კაცმა ასეთ რამეებს შეიძლება ყურადღებაც არ მიაქციოს, მაგრამ შალვას ყოველთვის ხიბლავდა ეს სიცოცხლის ხმაური.

ახლაც თთარის სახლის მოაჯირზე იჯდა, გარუჯული ზურგით სვეტს მიყრდნობოდა და უსმენდა ამ ხმებს, მაგრამ სიამოვნებას ადრინდებულად ვერ განიცდიდა. ის კი არა, დანა კბილს ვერ გაუხსნიდა, ისეთ ხასიათზე იყო მის შემდეგ, რაც მინდორში უდანაშაულოდ ეჩხუბა სიკოს. „თუ ემართლები, კი ბატონო, მაგრამ სიკო ერთი სოფელია, ალალი, მშრომელი ბიჭი ყოფილა. ოჯახური სიბზო და სიტკბოება სწყურებია, საცოლოუს ხელი მოჰკიდა, დიდი ხნის ოცნება უნდა აესრულებინა და ამ დროს წინ გადაველობე, მილოცვის მაგიერ ცემა-ტყევა ავუტეხე. რა თქმა უნდა, ეწყინებოდა. მე რომ ვყოფილიყავი, მეც მიწყინებოდა.“ — ფიქრობდა გულში, მაგრამ მისი აზრით ეს ამბავი მართო წყენინებით არ ამოიწურებოდა. „წყენინება უფრო იოლია, მას ადვილად შემოუვლის კაცი. საქმე ის არის, სიკო სოფელი ბიჭია და ბევრს არ დაუფიქრდება, რატომ, როგორ მოხდა ეს ამბავი. იმან მართო ის იცის, რომ ვიღაც ქალაქელი, ყოყლოჩინა ბიჭი წინ გადაეღობა, უდანაშაულოდ ეჩხუბა.

ჰოლა, გულში მტრობას ჩაიდებს, სამაგეროს გადახდას მოინდომებს“. და ამის გაფიქრებაც კი არ უნდოდა შალვას. ვერაფრით ვერ ეპატიებინა თავისთვის უდანაშაულო კაცთან ჩხუბი. ისიც გაიხსენა „არ ცოდნა არ ცოდვააო“, მაგრამ ეს ვერ ამართლებდა. მართლა მოტაცება რომ ყოფილიყო? მაშინ... მაშინ სულ სხვა იქნებოდა. მაშინ ვული სიამაყით აევსებოდა, რადგან ცამდე მართალი იქნებოდა. ახლა კი თავისი საქციელისა რცხვენოდა.

„იქნებ მეშინია და ამდენს იმიტომ ვფიქრობ?“ — ჰკითხა მან თავის გულს. მაგრამ ეს არ იყო შიში. ეს იყო სინანული. სინანული, გამოწვეული იმით, რომ უთანაშაულო კაცს გაბედნიერების დღეს ჩხუბი აუტეხა, შეურაცხყოფა მიაციენა.

მერე გადაწყვიტა, ამ ამბავზე აღარ ეფიქრა. ბიჭები რას აკეთებენ, რაზე ლაპარაკობენო, ყურადღება მათკენ გადაიტანა.

ჯონდო და თამაზი ბოსტანს რწყავდნენ; ჰიდან წყალი ამოჰქონდათ და კიტრს, პამიდორს, სიმინდს ფესვებში უსხამდნენ, თან ღლინებდნენ. ჰქონდათ კიდევ საღიღინოდ საქმე; მათ ჩხუბი არავისთვის არ აუტეხიათ, თან სამუშაოდან დაბრუნებულებს კარის სახელურში გაჩრილი წერილები დახვდათ. წაიკითხეს და სიმღერის ხასიათზე დადგნენ. განა შალვას კი არ გადაავიწყდებოდა დღევანდელი უსიამოვნება, განა კარგ ხასიათზე არ დადგებოდა, ვინმეს წერილი რომ მიეღო? ვთქვათ, ჯონდოს მეზობელი ქალშვილის — ქეთინოს წერილი. მაგრამ... აბა, ბიჭო, ქეთინოს მეტი საქმე არა აქვს, ჯონდოს და მის ამხანაგებს უგზავნოს წერილები, როგორა ხართ, როგორ ცხოვრობთო. რაში აინტერესებს, როგორ არიან? მისთვის სული ერთი არაა, როგორ იქნებიან?! ველი ამბავიც აინტერესებს, იმას ალბათ წერილებსაც მისწერს და პასუხსაც მიიღებს...

ფეხის ხმა გაისმა. შალვა შეტრიალდა. კიბეზე შოთა ამოდიოდა.

— რა მოწყენილი ჩამომჯდარხარ,

ბიჭები სად არიან? — ჰკითხა მან შალვას.

— აგერ, ბოსტანში ჩავეიდნენ.

— ქეიფობთ? — დაუძახა მათ შოთამ.

— მაშ, მაშ, დაგვეწვიე!

შოთამ მადლობა გადაუხადა, მერე შალვას მიუბრუნდა და ჩუმად უთხრა:

— ჩაიცვი, კაი აღგიღას უნდა წაგიყვანო.

— ქორწილში?

— ქორწილში არა, მაგრამ პურ-მარილი კი იქნება.

— მალე დაებრუნდებით?

— შეიძლება დავაგვიანდეს, ხვალ ხომ კვირაა, მუშაობთ?

— ჯვირას ვისვენებთ!

— ჰოლა, წავედეთ!

შალვა არც დაფიქრებულა, ისე დათანხმდა. იფიქრა: გავყვები, რა მენალღელება, იქნებ ხასიათი გამომისწორდესო. ზეზე წამოდგა, ტანსაცმელი გამოიცვალა, თმა გადაივარცხნა და ბიჭებს დაუბარა, შეიძლება დამაგვიანდესო.

სოფლის განაპირას ბილიც გაჰყვნენ. ჩქარა და ხმისამოუღებლად მიდიოდნენ. მერე დაიწყო ტყე და აღმართები.

შალვა შეჩერდა და შოთას ჰკითხა:

— სად მივდივართ?

— იმ ბიჭებთან! — გაიცინა შოთამ.

— იმ ბიჭებთან? — ყურში ცუდად მოხვდა ეს სიტყვები. რალაც კაი საქმეს არ ჰგავდა ეს. ეჭვიანი თვალებით შეხედა შალვამ ინსტიტუტის ამხანაგს. მის სახეზე უნდოდა ამოეკითხა, გულში რა ჰქონდა განწრახული. იქნება შოთას იმიტომ მიჰყავდა ტყეში იმ ბიჭებთან, რომ სიკოსათვის საშუალება მიეცა შალვასთან ანგარიში გაესწორებინა? „აბა, მაშ სხვა რა უნდა იყოს, — ფიქრობდა შალვა, — ამან ხომ იცის, რომ დღეს მე და სიკომ ერთმანეთს

ვალერიან ჩეკურიშვილი  
მთებების სიზმარი

ცვირ-პირი დაფუნაყეთ? რატომ მივ-  
ყავარ? წარმოგიდგენია? ინსტიტუტის  
ამხანაგები ვართ და... აკი ფშაველები  
ვაქცავენ არიანო, ეს არის ვაქცაცო-  
ბა?...“ აღარ იცოდა, როგორ მოქცეუ-  
ლიყო; გაპყოლოდა? ვაითუ უშნო მა-  
მაცობა გამოსვლოდა. უკან დაბრუნე-  
ბულიყო? ეს კიდევ სიმხდალე და თა-  
ვის მოჭრა იქნებოდა. ორ ცეცხლშუა  
იყო და ახლა არჩევანზედა ფიქრობდა.

— მაშ, იმ ბიჭებთან მივდივართ? —  
ჩაილაპარაკა შალვამ.

— ჰო, რა იყო? — გაუცვირდა შოთას.

„ჰმ, რა იყო! ვითომც არ იცის, რაც  
მოხდა დღეს ჩვენს შორის“.

— რა იყო, შალვა, ცუდად ხომ არა  
ხარ? — გაუმეორა შოთამ.

„დამცინის!“ — გაიფიქრა შალვამ.

— არა, არა! ცუდად კი არა, შესა-  
ნიშნავად ვგრძობო თავს. სადაც გინდა  
იქ წავიდეთ! — ცოტა ამაყად უთხრა  
მან, — მაგრამ ეს გამაგებინე, იმ ბი-  
ჭებს აქეთ რა უნდათ? ისინი ხომ ალაზ-  
ნის გაღმა გავიდნენ?

— ის თვალის ასახვევად. მერე ისევ  
გამოვიდნენ და ახლა ავერ, იმ ტყეში  
არიან.

შალვას ხმა აღარ ამოუღია. გულში  
კი ნანობდა, რატომ წამოვყვეო. უკან  
დაბრუნება უნდოდა, მაგრამ შოთა  
იფიქრებდა, შეეშინდაო.

„ვიცი, უსიამოვნება არ ამცდება, მაგ-  
რამ მოხდეს, რაც მოსახდენია“, — გაი-  
ფიქრა და გზა განაგრძო. აღმართზე  
მიდიოდნენ და მალმალე ისვენებდნენ.  
რაც უფრო ზევით მიიწევდნენ, მით  
უფრო ხშირი და დაბურული ხდებოდა  
ტყე, მოწმენდილი ცა ვარსკვლავებით  
იყო სავესე, მთვარეც საკმაოდ ანათებ-  
და, გზის გაგნება არ უჭირდათ.

სადაც გაღმა, სოფლის თავში ტუ-  
რამ დაიჩხავლა — ჯერ ერთმა, მერე  
მეორემ, ბოლოს მთელი ხროვა აპყვა.  
ტყუართა მოძახილს სოფლიდან ძაღლე-  
ბი გამოიბასუსხნენ და მყუდროება უცებ  
გნიასმა წალეკა. მერე ისევ სიჩუმე ჩა-  
მოვარდა, ისევ მიდიოდნენ აღმართზე,  
მათ ფეხქვეშ იმსხვრეოდა ფიჩხი და  
ნაყარ ფოთოლს შრიალი გაჰქონდა.

კარგა ხანს იარეს ასე. მერე შეჩერდ-  
ნენ. შოთამ პირში თითები ჩაიდო და  
ორჯერ ხმადაბლა, გაბმით დაუბრუნა:  
სადაც სიბნელეში საპასუხო სტვენა  
გაისმა. გეზი იქითვე აიღეს. მალე დაღ-  
მართზე დაეშენენ, მცირე მანძილი გაი-  
არეს და კალოსოდენა ტაფობში სინა-  
თლე გამოჩნდა. ზეხმელის ძირში ცეც-  
ხლი ენთო, გაშლილ ნაბდეზე ბიჭები  
იწვნენ. იქვე იჯდა „მოტაცებული“  
თინა. მას არც ცრემლი მოსდიოდა  
ღვარად და არც ვაქცევაზე ფიქრობდა.  
ცეცხლთან მეორე ქალიშვილი იჯდა და  
ხის შამფურებზე მწვადებს ამიშხი-  
ნებდა.

— ხედავ, ჩვენები არიან! — ღიმი-  
ლით სთქვა შოთამ.

შალვას ამხანაგის ღიმილიც ყალბი  
მოეჩვენა და სიტყვებიც. სწყინდა, რომ  
ინსტიტუტის ამხანაგი ლალატობდა.  
„რაც არ უნდა იყოს, ხუთი წელი ერთად  
ვსწავლობდით, ასე არ უნდა მომქცე-  
ოდაო“, — ფიქრობდა. ახლა სიკოსთან  
შეხვედრისა კი არ ეშინოდა, შოთაზე  
იყო გულდაწყვეტილი. უკან დასაბრუ-  
ნებელი გზა მაინც აღარ ჰქონდა. „რაც  
მოსახდენია, მოხდეს, ოღონდ იმას ნუ  
იტყვიან, შეეშინდა და გაიქცაო“, — გაი-  
ფიქრა შალვამ. არც შეყოყმანებულა,  
ზეხმელისაკენ ისე გაპყვა შოთას.

დამხვდურები ზეზე წამოიშალნენ.

— იცნობდეთ, ეს ჩემი ინსტიტუტის  
ამხანაგია, ინჟინერი! სწორედ ამ კაცის  
მოსაყვანად წავედი, — სთქვა შოთამ.

„რას ნიშნავს — ამ კაცის მოსაყვანად  
წავედი?“ — გაიფიქრა შალვამ. და  
სათითაოდ ჩამოართვა ხელი ბიჭებს.  
სიკოს რომ მიუახლოვდა, გაიფიქრა,  
ვაითუ გავწვილი ხელი ჰაერშივე შემრ-  
ჩესო, მაგრამ მაინც არ შეყოვნებულა.  
თამამად, ვაქცატურად გაუწოდა მარჯ-  
ვენა. სიკომ გაიცინა, ხელი ჩამოართვა  
და სთქვა:

— ჩვენ დღეს ერთმანეთს კაი პატივი  
ვეცით უკვე! მაგრამ მერე რა, ეს ძმო-  
ბაში ხელს ვერ შეგვიშლის.



ბიჭებმა გადაიხარხარეს, გული გერ-  
ჩოდან, ეგ არაფერიო.

შალვა უსმენდა, მაგრამ ვერც მათ  
ლაპარაკში ხედავდა გესლს და ვერც  
სიცილში. ალალი გულის ბიჭები ჩან-  
დნენ. რა ანგარიშის გასწორება, რის  
სამაგიეროს გადახდა?! პირიქით, სასა-  
ცილოდაც არ ჰყოფნიდათ ის ამბავი.

— ეს ჩემი დაა, ლელა, — ვააცნო  
შოთამ. ლელამ ხელი გაუწოდა შალვას  
და გაუღიმა. გაუღიმა კი არა, პირდაპირ  
კაცს გულს გაუნათებდა მისი მძივები-  
ვით ჩაწყობილი კბილების გაღვებმა.  
გოგონას თეთრი, ძალიან თეთრი მკლა-  
ვები და შავი, ლამაზი თვალ-წარბი  
ჰქონდა. ხელში ცოცხი არ ეჭირა, მაგ-  
რამ მაინც საოცრად ჰგავდა ჯონდოს  
მეზობელ ქეთინოს. ჰგავდა კი არა,  
შოთას რომ ეთქვა, ეს ჯონდოს მეზო-  
ბელიაო, მგონია, არც კი დაეჭვდებოდა.

— სოფელში რა ამბავია? — იკითხეს  
ბიჭებმა.

— დიდი ამბავია! — უპასუხა შოთამ, —  
სიკო, შენი სიმამრი ცხენით მოვარდა,  
სახლი დაკეტილი რომ დახვდა, ფანჯ-  
რის მინები მათარახით ჩალეწა. ყვირო-  
და, იმუქრებოდა, მზის ჩასვლამდე ქალი  
აქ მომიყვანეთ, თორემ ამ სახლს ავა-  
ფეთქებო.

— ააფეთქებს და თავისი ხელით ავა-  
შენებინებ, — გაიცინა სიკომ.

— მერე? მერე? — იკითხეს ბიჭებმა.

— რა მერე? ვინ გამოხედავდა?  
სიკოს დედა ჩვენსა იყო დამალული.  
სასიმამრო ყვიროდა, იგინებოდა, მერე  
ცხენზე შეჯდა და ჩვენს ეზოს მოადგა.  
მამაჩემი ეზოში ჩავიდა, ჭიშკარი გაუ-  
ღო, მობრძანდითო.

— მობრძანდი კი არა, ოჯახი რად  
დამიწიხლეთ? რატომ მომტაცეთ შენი-  
ლი? სოფელს რად აცინებთ ჩემზე?

— შენი ბრალია, ლაღო, შენი! —  
უთხრა მამაჩემმა, — შენი და საერთოდ  
ჩვენი, როცა შეიღებისაგან მამა-პაპის  
წესების დაცვას მოვითხოვთ.

— კაცო, შენ რამ გადაგრია? როგორ  
თუ არ მოვითხოვთ?! — გაუკვირდა  
ლაღოს.

— რას ლაპარაკობ, რას? — შეუტია

მამაჩემმა, — ერთი წელი შენ ერთი დღე  
ხომ არა გგონია. ამდენ ხანს დანიშ-  
ნულ ქალს სახლში ვინ გაგიჩერებდა?  
ეგ არ იცოდი?

— რატომ არ გამიჩერებდნენ?

— იმიტომ რომ, ერთ წელიწადში  
ოჯახსაც მოაწყობენ და შვილიც ეყო-  
ლებათ: პაპა იქნები, ჩემო ლაღო, პაპა!..  
მოდი ახლა და ღვინო დავლიოთ, დავ-  
ლოცოთ. ჩამოდი ცხენიდან!

— წადი, კაცო! შვილი მე მომტაცეთ,  
თავზე ფეხი მე დამადგით და ისევ მე  
მამტყუნებთ?! აბა, შენ რა გელაპარა-  
კო! — სთქვა ლაღო ძიამ და ცხენს მათ-  
რახი სწყყიტა.

— მერე? — იკითხეს აქამდე გასუ-  
სულმა ბიჭებმა.

— მერე თინას ბიძაშვილები მოვი-  
დნენ ცხენებით. დარბიან, გეძებენ, არ  
იციან, რომ აქა ხართ, თორემ ტყავს  
გააძრობდნენ სიძეს.

— ჩემი ტყავის გაძრობა ვითომ ეგრე  
ადვილია?! — გაიცინა სიკომ.

— ბიჭებო, თქვენ ხასიათი არ წახი-  
დინოთ, ხომ იცით, რომ ბოლო კეთი-  
ლია! პოდა, მოდი, ჩვენ ჩვენს საქმეს  
მივხედოთ. ლელავ, შეწვი მწვადები? —  
ჰკითხა დას შოთამ.

— უჰ, მერე რა კარგად! — მხიარუ-  
ლად ჩაილაპარაკა ქალიშვილმა.

სასავლელ სურჯინებიდან პურ-მარი-  
ლი ამოალაგეს და გაშლულ გაზეთებზე  
დააწყვეს. ტიკჭორას პირი მოხსნეს,  
სუფრასთან ერთმანეთი მიიპატიყეს.

ღვინომ ხუმრობის ხასიათზე დააყენა  
ბიჭები. ენამახვილობდნენ. იგონებდნენ,  
ალაზანში გასვლისას იოსები როგორ  
დაითრია წყალმა. გაწუწული ძლივს  
გამოსულა ნაპირზე. სიგარეტი დამის-  
ველდაო, ნაღვლობდა თურმე, ჯიბიდან  
ამოულია და გაჯავრებულს ხელუკუღმა  
ისევ მდინარეში მოუსროლია. მერე  
დაუნახავს, რომ მდინარეს, სიგარეტის  
გარდა, რაღაც ქაღალდებიც მიჰქონდა,  
მაგრამ აღარ გამოჰკიდებია; დახრჩობას

გაღვირვან ჩეკურიშვილი  
მთების სიწმინდე

გადავრჩი, წყალში ფეხს როგორღა შევდგამო, უთქვამს თურმე.

ყველანი შესანიშნავ გუნებაზე იყვნენ, მხიარულება სწყუროდათ. არც თინა იყო მოწყენილი. იმ წუთში არც გაჯავრებული მამა-ბიძები ახსოვდა, არც აკივლებული ცისანა. ტაფობში მთვარის შუქზე გაშლილ სუფრასთან ნანდაურის გვერდით იჯდა და გულიანად იცინოდა. იცინოდა, როგორც იცინიან ბედნიერები.

ბიჭების ხუმრობაზე ლელა სიცილით კვდებოდა. შალვა უყურებდა ლელას და უხაროდა. რა ახარებდა, თვითონაც არ იცოდა. მისი ლამაზი, უმწიკვლო სიცილი? მისი თეთრი მკლავები? იქნებ ის უხაროდა, რომ ლელა ჯონდოს მეზობელ გოგონას ჰგავდა?

ლელა ბიჭების ხუმრობაზე კისკისებდა და ის სიცილი შალვას ჟრუანტელივით უფლიდა ტანში. ბოლოს მიხვდა, უხერხულად ვუყურებო. თვალი ძლივს მოსწყვიტა მის თეთრ მკლავებს. შოთას გადახვია ხელი. უნდოდა ეკოცნა, მაგრამ თავი შეიკავა. მიხვდა, რომ ეს ლამაზი არ იქნებოდა. ასე სიმთვრალეში იციან ბიჭებმა. სხვა რამ იყო საჭირო, უფრო ვაჟაკური. შალვა სიხარულით თუ ნეტარებით ივსებოდა, გრძნობებს უნდა მორეოდა. ბიჭებს სთხოვა, ვიმღეროთო.

შაიყრებიან ყორნები,  
არ გაირევენ ძერასა,  
ქალუ, ვერსად წაუხვალ  
თავის ბედსა და წერასა. —

მღეროდნენ ბიჭები.

„ქალაუ, ვერსად წაუხვალ...“ ვინ იცის. მირამდენედ იმეორებდა შალვა. ასე შეეძლო ერთი და იგივე სიტყვები ემღერა მთელი დამე.

შუალამე გადავიდა, ტიკტორაში ღვიწრო გამოილია. ბიჭებიდან ორი წამოდგა.

სოფელში ჩავალთ, ღვინოს ამოვტანთო, — სთქვეს და წავიდნენ.

— ვიდრე ეგენი ღვინოს შობიტანენ, ჩვენ შეშას მოვავროვებთ, — სთქვეს და კიდევ ორი გაუჩინარდა ტყეში.

— კარგია თქვენთან ქეფი, მაგრამ მე ჩემი სტუმარი უნდა წავიყვანო, ამაღამ ჩვენსა უნდა მოვასვენო, — სთქვა შოთამ. ისინიც ადგნენ.

თინამ თავი ჩალუნა. სიკოს ხმა არ ამოუღია, ოღნავ ელიმებოდა. ლელამ წამოსვლის წინ ცეცხლს შეშა მიუმატა. გზას რომ დაადგნენ, შალვას ისევ უნდოდა ემღერა „ქალაუ“. ქალაუს თეთრი, ძალიან თეთრი მკლავები ჰქონდა, ლამაზი კბილები და ლამაზად კისკისებდა.

ხმამალლა სიმღერა ახლა უკვე აღარ შეიძლებოა, უთხრა შოთამ. გულში—კი ბატონო. გულში სიმღერას არავინ უშლიდა შალვას. მით უმეტეს, სასიმღერო ეჩვენებოდა ირგვლივ ყველაფერი: თეთრი მკლავები, შუა ცაზე ამოცურებული მთვარე, განათებული ბილიკი, ტაფობში გაშლილ ნაბადზე დარჩენილი ქალ-ვაჟი და ზეხმელის ძირას კერისავით გაღვივებული ცეცხლი.

პანკისის ხეობაში სოფლებს მშვიდად ეძინათ, სიწყნარე დაუფლებოდა მიდამოს.

გორების ძირში შხუოდა ძილატეხილი პირაქეთა ალაზანი და პირიქითელ ღვიძლ ძმასთან შეხვიდრახე ოკნებობდა. ძილში შფოთავდნენ მთვარის სხივებით მოსირმული კავკასიონის მთები. ისინი საშინელ სიზმრებს ხედავდნენ. ლაღუმის ჩოხილი გლანდებოდათ, რკინის უზარმაზარი ბელტიყლაპები დასივდნენ, ოცდახუთი — ოცდაშვიდი წლის ბიჭები დასაჩვიდი კამეჩივით უპირებდნენ წამოჩოქებას.

## გაგუ მუხუჩოვილი

### სიზმრები

მთელი სამყარო ზღაპრულად ბრწყინავს  
და ირგვლივ სუფევს სიჩუმე მხოლოდ —  
მე ასე ვიწყებ ყოველდამ სიზმარს,  
სიზმარშიც ვფიქრობ, ვოცნებობ, ვცხოვრობ.  
თეთრად და მწვანედ ელაგენ მთები  
და მინდორივით ზღვაა ბიბინა...  
და იკაროსის ძლიერი ფრთებით  
მზით განათებულ ცაში მივფრინავ.  
უსათუთესი სუნთქვა პოეტის  
მყუდრო სივრცეში ანთია შუქად...  
მაგრამ ყოველთვის, მაგრამ ყოველთვის,  
მიწის ძახილი მაბრუნებს უკან.  
მერე მოვივლი ქალაქებს, დაბებს  
და სიხარულით სავესე ყელამდე  
გოგონებისთვის ვყიდულობ კაბებს,  
პაწაწინებს და ფერად-ფერადებს.  
ადრე ვიღვიძებ დილით და ცხადში  
მოწყენილ თვალებს ნელ-ნელა ვახეღ  
და, რა თქმა უნდა, არ ვუმხელ ზავშვებს,  
რომ ასე კარგი სიზმარი ვნახე...  
დღეები მოვლენ, დღეები წავლენ,  
ქართა ჯირითით, ქართა ქროლებით.  
სიზმარში ვხედავ მიდამოს მწვანეს,  
გავერანებულს მკაცრი ბრძოლებით.  
დაჭრილთა ზოდვა, ვედრება, კვნესა  
ედება ტყე-ველს, ედება მთა-ბარს;  
ვერ ვხედავ ვერსად, ვერ ვხედავ ვერსად  
და უხმოდ ვბღავი: ირმა და თამარ!




ადრე ვიღვიძებ დილით და ცხადში  
მიცინის გული, სული და სახე  
და, რა თქმა უნდა, არ ვუმხელ ბავშვებს,  
რომ ასე ცუდი სიზმარი ვნახე.  
ჩემს სასთუმალთან დაიდგეს ტახტი,  
არ მასვენებენ ზამთარ და ზაფხულს;  
რაც მამა გავხდი, რაც მამა გავხდი,  
არ ვეხუმრები სიზმარში ნახულს.  
დღეები მოვლენ, დღეები წაგლენ,  
ქართა ჯირითით, ქართა ქროლებით  
და ვნახავ სიზმარს ტკბილსა და მწარეს  
და ავივსები განძით, ქონებით.  
საყვარელ ქუჩებს მოვივლი ფიქრით,  
ამედევნება ჩემი ქარები.  
და გამითენებს დიდ ღამეს იგი  
ლურჯი თვალებით, ფართო თვალებით...  
ზოგჯერ პატარა დარდით და ბინდით  
დავიმახსოვრებ ვიწრო შესახვევს...  
და მეუღლესთან არაფერს ვიტყვი  
სიზმარში ნახულ ქალის შესახებ.  
მთელი სამყარო ზღაპრულად ბრწყინავს  
და ირგვლივ სუფევს სიჩუმე მხოლოდ —  
მე ასე ვიწყებ ყოველდამ სიზმარს,  
სიზმარშიც ვფიქრობ, ვოცნებობ, ვცხოვრობ.



## მგზავრი

ის იყო მგზავრი, მოხუცი მგზავრი,  
გადაქცეული დარდად და ფიქრად...  
მან დასაღვევად ითხოვა წყალი  
და გაუვარდა ხელიდან ჭიქა.  
დაიქცა წყალი, დაიქცა წყალი,  
დაჰკარგა ნდობა, მარჯვენის ნდობა,  
ბაგეზე შერჩა ღიმილი მწარე  
და მოუკლავი წყურვილის ნდომა.  
ჩამოჯდა მერხზე ყავარჯნის ბჯენით,  
განმეორებით ჭიქა შეივსო...  
და შემეცოდა სიბერე ჩემი,  
რომელიც იქნებ არც კი მეღირსოს.



გაეროს  
საერთაშორისო  
სამშენებლო  
კომისია



**ქაშვი** **2**  
**1965**  
თურნალო თურნალო







# მოსიანა ნაიყვანეს

## მოთხრობა

მოსიანი საღამო იყო. ხეტა ჩრდილ-მზის სხივებით განათებულ ეზოში. მთების გადაღმიდან ზარბაზნების ყრუ გრუნს ისმოდა. ჩვენს გულში ის ხმა იდუმალ შიშს ბადებდა. ჩვენ ვიჯექით ბრტყელ ქვაზე და ვუცდიდით, როდის გამოიტანდა დედა საჭმელს. ჩემი უმცროსი ძმა ნუგზარი, პერანგი ჭიპამდე რომ სწვდებოდა, შარვალი კი მუდამ დაბლა უცურდებოდა, ქვაზე გადმოპირქვევებულ ალუმინის პრიალა ჯამებს თვალს არ აშორებდა.

შუათანა ძმა გურამი ზურგით კაკლის ხეს მიყრდნობოდა და საჭმლის მოლოდინში ტუჩებს აცმაცუნებდა.

ნუგზარი ზეზე წამოდგა. პატარა, ჭუჭყიანი თითებით შუბლი მოიჩრდილა და ბუხრის ყელს გახედა. სვეტად დამდგარი ლურჯი ზოლი დასაფლეთისაკენ იყო გადახრილი.

— მალე იქნება, — სთქვა მან და ჩამძვრალი შარვალი ამოიწია. — დღეს გვითავდება ფქვილი.

ყველამ ვიცოდით, რომ უკანასკნელი ორი მუჭა ფქვილი დედამ რძეში ჩაყარა. კოდი გადმოპირქვევებული ეგლო სამზადი სახლის დერეფანში.

— ბაბუა მოიტანს, — დაიიმედა თავი ნუგზარმა.

— ბაბუა ავად არის, — სთქვა გურამმა.

— მორჩება.

— როდის მორჩება? მანამდე რა გაძლებს.

— როგორმე უნდა გაეძლოთ!

— მე წავალ ფქვილის მოსატანად, — ეთქვი და ფეხზე წამოვდექი.

— ის სოფელი შორს არის, გზას ვერ გაიგნებ.

— ვიკითხავ.

— ვის ჰკითხავ, გზა მთებში მიდის, ტყე-ღრეში უნდა იარო.

— შენ საიდან იცი?

— ვიცი, ბაბუამ სთქვა.

მე წამოვდექი და შინ შევედი. დედა ბუხრის წინ, სამფხვა სკამზე იჯდა და გრძელტარიანი კოვზით ფაფას ურევდა.



ბაბუა გულაღმა იწვა კუთხეში მიდგმულ ხის ტახტზე. დამკუნარი ხელები გულზე დაეწყო, თვალები კი ჭერისათვის მიეშტერებინა. როდესაც მივუახლოვდი, შემომხედა, გაღიმება სცადა, მაგრამ ვერ შეძლო.

— მოდი, ბაბუა, — ძლივს წარმოთქვა და ხელი გამომიწოდა.

— ბაბუა! ჩონთოში წავალ, ღვინოს წავიღებ და სიმინდზე გადავცვლი.

— ნეტა მართლა შეგეძლოს! — სთქვა ბაბუამ.

— შემიძლია, რატომაც არ შემიძლია!

— არა, სად შეგეძლია, შვილო, პატარა ხარ, გზას ვერ გაიგნებ.

— გაიგნებს, — სთქვა დედაჩემმა.

რაკი დედაჩემმა სთქვა, საქმე გათავებული იყო. ბაბუამ იცოდა რძლის ხასიათი, მაგრამ მაინც შეუბრუნა სიტყვა:

— ქეთო! ტყეში ათასი ოხერი დაეხეტება. იმ დღესაც ვიღაცას არგვეთელი ქალები გაეძარცვა. ბავშვს არაფერი შეემთხვებს, მოვმჯობინდები და მე თვითონ წავალ.

დედაჩემს აღარაფერი უთქვამს, ქვაბი სოხანზე გადმოდგა. ალუმინის ჯამი ფაფით გაავსო და სკამზე დაუდგა.

— წამოდი, ნოდარ, — მითხრა დედამ და ეზოში გავიდა. ნუგზარმა ჯამი მოიმარჯვა. დედამ ყველას შეაფერი ულუ-

ფა ჩამოგვირიგა, სიჩუმეს ნუგზარი არღვევდა.

— რა გემრიელია, რა გემრიელია! იმეორებდა იგი და ჯამს თანდათან აცარიელებდა.

როდესაც ჭამას მორჩა, ჯამი გადმოაპირქვევა და ენით ალოკა. ცხვირ-პირი ფაფით მოეთხვარა. გურამმა შეხედა, გაიცინა, მერე თავისი ჯამი გაუწოდა და უთხრა:

— აჰა, ღორიკელა. ესეც ჩასანსლე. ნუგზარი ჩვეულებრივად ყველაზე ადრე ათავებდა ხოლმე თავის ულუფას. მერე ჩვენ ჩამოგვივლიდა და თითო კოვზს, ნებით თუ არ მივცემდით, ძალით წაგვართმევდა. ახლა რატომღაც იუკადრისა მონარჩენის ჭამა:

— არ მინდა, ჩხიკუნა, შენ ჭამე, — უთხრა გურამს, ჩავარდნილი შარვალი ამოიწია და სახლისაკენ წავიდა.

— მივდივარ! — ვუთხარი გურამს.

— სად მიდიხარ?

— ჩონთოში.

— დედა არ გაგიშვებს.

— დედა თანახმაა.

— არ წახვიდე.

— რატომ?

— მოკლავენ.

— ვინ მოკლავს?

— ყაჩაღები.

— რას მერჩიან, რა უნდათ ჩემთან ყაჩაღებს?

გრიგორ ჯუღუნიძე

მამაის ყორღანზე

საბჭოთა არმიის სასახურის დროს, ჭალაქ ვოლგოგრადის ახლოს, მამაის ყორღანზე, ძმათა სასაფლაოს რომ ვათვალიერებდი, ერთ-ერთ ობელისზე ფეხოვკლოდ დაკარგული მამაჩემის სახელი და გვარი ამოვიკითხე.

მე შეგუბებულს ვგეგარ მდინარეს და გულს ნაღვლიან ფიქრებით ვივსებ, ძმათა საფლავში გხედავ მძინარეს, დედის ფიქრებში შენ ცოცხლომ ისევ

ტრამალს რძისფერი ნისლები ფარავს, დუმს, მოწამეა ტანჯვა-წამების, უბით შენს სურათს ვატარებ მარად, მარად წინ მიდგას შენი თვალები.

— რა ვიცი რა უნდათ, ყაჩაღები არი-  
ან და ის უნდათ.

— არ მეშინია.

— შენ იცი, — სთქვა სერიოზულად  
გურამმა და მთებს გახედა, საითკენაც  
მე უნდა წავსულიყავი. ჩამავალი მზის  
სხივებით განათებული თოვლი თეთრ  
ზოლებად კიაფობდა შორეულ მწვერ-  
ვლებზე.

— მეც წამოვალ.

— არა, შენ აქ დარჩები. ვენახში  
ჩალაა გამოსატყრელი.

— რომ არ ვიცი ჩაღის გამოჭრა?

— მაგას რა ცოდნა უნდა. ვენახის  
შარებს აპყვები და სადაც ერთად ამო-  
სულ ორ სიმინდს ნახავ, — ერთს, უფრო  
პატარასა და ყვითელს, — გამოჭრი.

ვცდილობდი, ყველაფერი ისე მეთქვა  
გურამისათვის, როგორც დედაჩემი ეუბ-  
ნებოდა. ალბათ ამიტომაც იყო, რომ გუ-  
რამი ყველაფერზე მეთანხმებოდა. საუ-  
ბარში ვართულებს დედაჩემის ხმამალაღი  
ლაპარაკი შემოგვესმა. წამოვდექით და  
შინ შევედით. დედას ფაფით სავეც კოვ-  
ზი ეჭირა ხელში და ბაბუას ტურქებთან  
უშარჯვებდა.

— ცოტა უნდა შეჭამო, მამა. თუ არ  
ჭამე, ფეხზე ვერ წამოდგები, — ეუბნე-  
ბოდა იგი ბაბუას. ბაბუა უარზე იყო,  
მაგრამ დედამ ძალით ჩაუდო კოვზი  
პირში. მოხუცი დიმიანჭა, მაგრამ ფაფა  
მინც გადაყლაბა. არ ვიცი, ამ დროს

რას ფიქრობდა ბაბუა, მე კი ამ ამბავმა  
ძალზე დამაღონა. ოთხმოც წელს, მიტო-  
ნებული მოხუცი სხვისი ხელით პირვე-  
ლად ჭამდა საჭმელს.

უთენია შუბლზე ცივი ხელი ვიგრძენი.  
თვალი გავახილე. თავს დედაჩემი მადგა.

— ადექი, ნოდარ, — სთქვა მან და გა-  
რეთ გავიდა. დედაჩემს უკვე ავესო კას-  
რები ღვინით. ორი ოც-ოც ლიტრიანი  
კასრი ტომრებში ცალ-ცალკე ჩავაცუ-  
რეთ და ეზოში გამოვიტანეთ. კასრები  
ქვაზე შემოვდეთ და იქით-აქეთ მოეუს-  
ხედით. თითქოს რაღაც მოავგონდაო, დე-  
დაჩემი იმწამსვე წამოდგა, შინ შევიდა,  
კეზი გამოიტანა და ჩოკინას ზურგზე  
დაადგა. სახედრის შეკაზმვაში მეც წა-  
ვეხმარე. ვირს კულზე საძუე გადავაცვი.  
მერე უკანა მოსართავი ორივემ ერთად  
ამოვჭაჩეთ და კასრები გავკარით.

— ნოდარ, ჩოკინამ იცის გზა, როცა  
სოფელს გასცდები, ზურგზე შეაჯექი,  
თვითონ აგიყვანს ჩონთოში. თუ ვინმემ  
რამე დაგიშავოს, უთხარი ვისი შვილიც  
ხარ. ხომ არ გეშინია, ბიჭო? — მკითხა  
და ხელი მხარზე დამადო.

— რისა უნდა მეშინოდეს? — ვთქვი  
და დედას გავუღიმე. მომინდა ხელზე  
მეკოცნა მისთვის. დედაჩემს მარჯვენა  
ხელის შუა თითზე მუდამ უბრწყინავდა  
გალეული ოქროს ბეჭედი.

სულის სიმშვიდე დაკარგე უცებ,  
დარეკა დიდი წუხილის ჟამმა,  
ვაგლახ, მე შენთან შეხვედრის წუთებს  
სულ სხვანაირად ველოდი, მამავ!

მე ვიცი, ომში დაკარგულ მამებს  
ისევ ელიან, ისევ ელიან,  
ფიქრში თენდება ყოველი დამე  
და ეს ლოდინი ძნელზე ძნელია.

გამოგვყა სითბო მშობელი მიწის  
და დავიწყებას შენ არ დანებდი,  
მამა ხარ ჩემი, მე კარგად ვიცი,  
რომ არ კვდებიან შენისთანები.

მშობელთა კერას რა ძალა წაშლის  
და სახლის კარი მუდამ გვაქვს ღია,  
ეზოში დარბის პატარა ბავშვი,  
რომელსაც შენი სახელი ჰქვია.



ვიდრე ვენახში მიმავალ ბილიკს გავივლიდით, დედაჩემი წინ მიუძღოდა სახედარს. გზაზე რომ გავედით, ავსარა კეხზე შევაგადე და ვირს ზურგზე შევაჯექი. დედაჩემი ერთ ხანს უკან მოგვედევდა. არ ვიცო, სად დამშორდა. როდესაც აღმართი ავათავე, უკან მივიხედე; იგი ბილიკზე მიდიოდა. მწვანე ვაზებს შორის მისი კაბა ხან გამოჩნდებოდა, ხან დაიმალებოდა ხოლმე.

შუადღისას ბოლო სოფელი გავიარე, ცაცხვის ხეებში ჩაფლულ თეთრ საყდარს გვერდი ავუტყვიეთ და იმ ბილიკს შევეყვით, დაბალ ბუჩქნარს შუაზე რომ კვებდა. ბილიკი საურმე გზას შეუერთდა და დიდ ტყეში შევედი. ტყეში ვიღაცა ხეს ქირდა, ადამიანის ხმაც მომესმა, მაგრამ დანახვით არავინ დამინახავს. მაღალი მუხნარი გავიარეთ. ჩოკინამ საურმე გზიდან გადაუხვია და სიმინდის ყანებს გაჰყვა. მე განაბული ვიჯექი მის ზურგზე. ჩოკინა ფლოქვებს გამალბებით ატკაპუნებდა გატკეცილ ბილიკზე და პურის ყანებისაკენ მიიჩქაროდა. პურის ყანები ხეეს გაღმა იყო. ვაკეზე უკვე მოემკათ და ხალხი ახლა ტყიანი მთის ძირში მუშაობდა. ჭრელთავსაფრიანი ქალები ძნებს ჰკრავდნენ. უმრავლესობას ხელში ცელი ეკავა.

ხევეში რომ ჩავედით, მომკვლები თვალს მოეფარნენ. ქვიშიან ფერდობზე ბაბუაწვერას ეკლიანი ყვავილები თა-

ვებს აკანტურებდნენ. ხმელ ფოთლებში ხვლიკები ფაჩუნობდნენ. ჩოკინა ზე ფრთხილად ჩადიოდა და დროდადრო ამ ფაჩუნს აყურადებდა.

ხევეში ჩოკინამ წყალი დალია, მერე ისკუბა. ლეღეს თავს გადაეველო და აღმართს მიეძალა. ჰო, როგორ დაიღალა საწყალი სახედარი! სიცხით გათანგულ ხევეში მხოლოდ მისი ფშვინვა ისმოდა, მაგრამ ნაბიჯისათვის არ მოუკლია — მიდიოდა და მიდიოდა. ხეი რომ ავათავეთ, ნიაგმა დაუშერა და ჩოკინამ ქლოშინს უკლო.

სერზე უზარმაზარი ბულა იყო დაბმული. დაგინახა თუ არა, დაიზმუვლა. წინა ფეხები ერთმანეთს მიატყუბა. თავი მაღლა ასწია და ასე გატყვევებული იდგა, ვიდრე არ მიეუახლოვდით. გვერდზე რომ ჩავუარეთ, გულში შიშმა გამკრა:

— ჩოკინა, გაეასწროთ ამ უშნოს, — ვუთხარი სახედარს და გავაზე ხელი მოვუცაცუნე, ჩოკინამ ნაბიჯს უმატა. თითქოს ამან გააბრაზაო, ნაცრისფერმა ბულამ ფეხები მიწას დაუშინა და მტვრის ბული დააყენა. მისი ბლავილი მომკვლებსაც მიწვედა; ქალებმა მუშაობას თავი მიანებეს და რალაცა მომაცყვირეს. მე სიტყვები არ მესმოდა და მათმა კივილმა კიდევ უფრო შემამინა. მაგრამ ჩავაფრინდი კეხის სახელურს და წინ გადავიხარე, ისე რომ, თავით ჩოკინას ყურებს

## შალვა ჩივიშვილი

### ფიდელ, შენთან ვართ!

ფიდელ. შენთან ვართ, ჩვენ ვუმღერით მზეს და სიცოცხლეს, ჩვენ დაეიბადეთ, რომ ვაქციოთ მართლად ზღაპარი — დედამიწაზე ცეცხლისაგან ხეც არ იწვოდეს, ყოველ კუთხეში ენთოს ძმობის დიდი ლამპარი. გუშინ ზეცის თალს შევეუნარიეთ პიტალო მკერდი და გზა გავაფეთ ჯერ უკვლელი, გაუკაფაგი —

ჩვენი იური ვაგარინი აფრინდა მზემდის და დედამიწას მოუტანა ზეცის ამბავი. სიერას მთებში შენ გაჰფანტე ჯანლი და ნისლი, ფიდელ! შენ მიეც ხალხს რწმენა და გამგებდობა, ჩვენს გულში შენი გულის ძახილი ისმის, ფიდელ! შენთან ვართ ვაგარინის მთელი თაობა!

გენებოდი. ჩოკინა დათხილი გარბოდა, ატორტმანებული კასრები სახედარს მუცელზე ეხლებოდა.

ბულა ახლა მთლად გაცოფდა, აბლაღლდა, აღრიალდა და ბაწარს რქები გამოჰკრა. პალო შეირყა და მიწიდან ამოვარდა. ბულა თავქვე დაეშვა, ნაწვერალში მტვერი დააყენა. ყველაფერი თვალის დახამხამებში მოხდა: ჭრელთავსაფრიანი ქალები ფერდობზე ჩამორბოდნენ, მაგრამ უკვე გვიან იყო. ბულა ელვის სისწრაფით გვიახლოვდებოდა. ჩოკინამ სირბილს უკლო. გაიქცა, ჩოკინა... გაიქცა! — ვევიროდი მე და ხელებს კისერში ფურტყამდი. ჩოკინას ჩემი აღარაფერი ესმოდა. ბილიკიდან გადაუხვია და დაღდა.

— უპ, შე უჯიშო! — წამოვიყვირე, კისერში მუშტი მივარტყი და ავტირდი. ამასობაში ბულა ბილიკზე გადმოვიდა, მისი ფეხების ბაკუნი გულს მიხეთქავდა. უკან მოხედვა ვერ გავბედე, შუბლზე ცივმა ოფლმა დამასხა.

ჩოკინამ უკანა ფეხები ერთმანეთს მიატყუა და ერთი მაგრად დაიყროყინა. ბულამ ნაბიჯი შეანელა.

— მოშორდი, შე გადარეულო, რა გინდა ჩვენთან? — დავიყვირე და კეხზე შემოვტრიალდი. თვალბრახისსხლიანე-ბული ბულა ჩვენს უკან იდგა. ჩემთვის ყურადღება არ მოუქცევია. დორბლიანი ლაშები გაალო და დიდი, ყვითელი კბილები გამოაჩინა. მერე ჩოკინას კულზე

დაყნოსა, კბილები უცნაურად დაკრძა. თავი მალლა ასწია და ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა. წარმოვიდგინე, როგორ ლეწავდა მოზვერი ჩლიქებით ჩემს კასრებს და თვითონ მეც მარწყვივით გამსრესდა. კებიდან გადმოხტომა დავაპირე, მაგრამ ამ დროს ჩოკინა დაიძრა. ბულა უკან გამოგვეყვა. სწორედ მაშინ ჩოკინამ ტლინკები ტყუადა ჰკრა ბულას დრუნჩზე. ბულამ დაიზმულა, ყალყზე შედგა და უკან გადახტა.

— მოგხედა?! — შევძახე მე, კებიდან გადმოვხტი და ჩოკინას კისერზე ჰოცენვიე.

— აბა, კიდევ მოდი! — ნიშნის მოგებით ვუთხარი ბულას და ჩოკინას მაგრად მოგხვიე მკლავები. ბულა ისევ მოგვიახლოვდა.

— მიდი, ჩოკინა, — ვუჩურჩულე აკანკალებული ხმით. როდესაც ბულამ კისერი წაიგრძელა და ყვითელი კბილები გამოაჩინა, ჩოკინამ ისევ უთავაზა ტლინკები. ბულა უკან გადახტა. ერთი მოზრდილი ქვა ვიპოვე. ვესროლე და რქებს შუა მოვარტყი. ბულა ბილიკიდან ნაწვერალში გადავიდა, დაიზმულა და მერე უგულოდ მოღრღნა ხმელი ბალახი.

— აბა, კიდევ მოდი! — შევძახე და ქვა მეორედ ვესროლე.

— წავიდეთ, ჩოკინა! — ვუთხარი სახედარს.

დავიძარით თუ არა, მოზვერმა დრუნ-

### სიტყვა არ გაგვიტყვის

წავედით, გზები მოვთოკეთ, გულგაშლილებმა, ლაღებმა და ყაზახეთის ცისკარი ჩვენთვის ცის კარებს აღებდა. გულში მზე გვედგა უქრობი, მკერდზე რიყრაყი გვეხვია. ყამირს შევებით, გავტყუეთ. სიტყვა არ გავგვიტყვია. ტრამალებს ახმინებდა პოროველა და მგზავრული

და ყამირზედაც ისმოდა ჩვენი ლამაზი ქართული. ხარაჩოებზე ასულნი ჩვენც ვაწმენდით სართლებს, ვწრომობდით, თავს ვაწონებდით ცისფეროვალება ხათუნებს. გულში მზე გვედგა უქრობი, მკერდზე რიყრაყი გვეხვია, ყამირს შევებით, გავტყუეთ. სიტყვა არ გავგვიტყვია.

ზნარეს, ამწვანებული ეზოს შუაგულში ლამაზი ოდა იდგა. ოდის წინ მიზმულ ძროხას თეთრთავსაფრიანი ქალი წველიდა.

— ამ ქალს ეცოდინება, სად ცხოვრობს გაბრიელ ნიკურაძე? — გავიფიქრე და გაუბედავად დავუძახე:

— დეიდა!

ქალმა წველას თავი დაანება და ჭიშკრისაკენ გამოიხედა.

ჰო, როგორ გამახარა მისმა დანახვამ! — თეთრთავსაფრიანი ქალი მამიდაჩემი იყო, — მართა მამიდა. მან შუბლი ხელით მოიჩრდილა და ჩემკენ წამოვიდა.

— რომელი ხარ, ბოშო, შენ? — იკითხა გაკვირვებულმა, მაგრამ პასუხს აღარ დაუტყადა. — ნოდარ, შვილო! — წამოიკვილა და გულში ჩამიკრა. მტირალა ქალი იყო მართა და არც ახლა უღალატნია თავისთვის.

ბაბუაჩემის ავადმყოფობის ამბავი რომ ვუთხარი, აქვითინდა მამიდაჩემი. მერე თავისი მეუღლე გაიხსენა.

— უკანასკნელი წერილი ქერჩიდან მივიღე, — ჩუმი მოთქმით დაიწყო მან. — სამი თვეა, მაცია ფოსტალიონი დამუნჯებული დანის ჩემს ჭიშკართან, თუ დამინახავს, თავს გააქნევს და უბრად გამივლის ხოლმე.

— გაჩუმდი, მამიდა! — ვუთხარი მე, — ცოცხალი ადამიანის გამოტირება ვის გაუტონია.

— შენ გაიხარე, შვილო! — სთქვა და სახლში შემიძღვა.

— მჭადი არა მაქვს გამომცხვარი მე უბედურს, — ჩაილაპარაკა და ბუხარში ფიჩხი შეყარა. ვიდრე ცეცხლს დაანთებდა, მე გარეთ გამოვედი; სიმინდის ყანაში ერთი იღლია ბალახი მოვვლიჯე და ჩოკინას დავუყარე.

— ხომ აღარ გეწვის, ჩოკინა, კუჭი, ჰა? — ვკითხე სახედარს. — მე კი სულ გული მიფამფალღებს შიმშილისაგან. აი, შენ აზიზი მჭამელი ხარ, ხვართქლა ბალახს არ მიირთმევ, მე კი დაობებულ მჭადსაც კარგად ჩავსანსლავედი. თუმცა კაცმა რომ სთქვას, სულწასული კი ვარ! რად მინდა, დაობებულ მჭადს რომ ენა-

ტრობ. ცოტაც რომ მოვითმინო, ცხელი მჭადით და ყველით გამოვძლები. ექ, ჩვენ რა გვიშავს, ნუგზარი და გურამი დღეს ალბათ მშვივრები დაიძინებენ. დედაჩემიც, ბაბუაც... რას აქნევ თავს, არა? არა, ხომ? ჰო, რა ჭკვიანი ხარ; სულ დამავიწყდა, რომ დედაჩემი ყოველთვის შოულობს რაღაცას და, ჯერ მშვივრებს არ დაგვიძინია. დღესაც იშოვიდა რამეს. ხომ იშოვიდა, ჩოკინა, ჰა?! თავი არ გააქნო ახლა, თორემ ძალიან მეწყინება. დამე მშვიდობისა, ცხელი მჭადის სუნე მცემს. მართა მამიდამ ალბათ უკვე გამოაცხო მჭადი. წავედი, კარგად იყავი!

სამზადში რომ შევედი, მამიდაჩემი იქ არ დამხვდა. კეცზე დაცხოზილი მჭადები ნაკვერჩხალზე იბრაწებოდა. „ამ ერთ მჭადს სულ მე შეგვამ, — გავიფიქრე და ბუხრის წინ ჩამოვჯექი. მართა მამიდა მალე შემობრუნდა, წათხით გათეთრებულ ხელში დიდი ყველი ექვრა. სუფრაზე, ყველის გარდა, ორი თევზი და მწვანელი დააწყო. თევზისათვის ხელი არ მიხლია. ისეთი გემრიელი მჭადი და ყველი ჩემს სიცოცხლეში არ მიჭამია. ეს კი იყო, მთლიანად ვერ შეგვამე, — ნახევარი მჭადი და მეოთხედი ყველი მეყო.

თბილ ლოგინში ტპილად ჩამეძინა. სიზმარი ენახე. ცალ ხელში მჭადები მეჭირა, მეორეში — ყველი და ასე ხელეგაშლილი მივფრინავდი, მაგრამ ვერ იქნა და სახლამდის ვერ მივალწვი. მერე ბულა დამესიზმრა, იდგა და საზარლად ღმუოდა. კიდევ კარგი, საიდანღაც დედაჩემი გამოჩნდა, რქებში ხელი წააელო და მიწაზე დანარცხა.

დილაზე მამიდაჩემმა კასრები გამოიტანა და წისქვილის წინ ყორზე დააწყო. კასრებს ზემოდან თხმელის სველი ტოტები დაყარა, ჭიქა თაფლისფერი ღვინით გაავსო და ქვაზე დადგა. ღვინო ერთმა კაცმა გასინჯა, ძალზე შეაქო. იმ კაცს ლევანს ეძახდნენ, მწვანე მუნდირი ეცვა. მკერდზე სამი მიდალი ეკეთა, ცალი ფეხი არ ჰქონდა. ლევანმა თავი მოუყარა შორი სოფლებიდან წისქვილში მოსულ მოხუცებსა და ხეიბრებს. ერთი კასრი ღვინო თხმელის ძირში მია-



ტანინა, ტომარას თავი მოხსნა და ყველას გასაგონად სთქვა:

— ექვს ლიტრს მე ვყიდულობ. როგორ ყიდიო, მართა ბიცოლა? — შეეკითხა იგი მამიდაჩემს.

— რა ვიცი, ლევანს გენაცვალე, როგორც გენებოსთ, ისე აიღეთ.

— სამ ლიტრს კილო სიმინდზე ვცვლი, — ვთქვი მე და თავი ჩავღუნე.

ლევანმა გაიღიმა და თმები გამიჩენა, შემდეგ საწყაო ორჯერ აავსო და ჩემს ტომარაში ჩაყარა.

როდესაც მესამედაც აავსო საწყაო, ტომარა უკან გამოვწვი.

— მეტი აღარ მერგება, — ვთქვი მე.

— ეს ისე, შვილო, — მითხრა მან და სიმინდი ტომარაში ჩაყარა.

ღვინო დანარჩენებმაც იყიდეს, მაგრამ ზედმეტი არავის მოუცია. ელამმა კაცმა, კოლა რომ ერქვა, ცოტა კიდევაც დამაკლო. მე ხმა არ ამომიღია.

მეორე დღესვე ჩემი სოფლის გზას დავადექი. ვფიქრობდი ცალფეხა ლევანზე, ხანდახან ელამი კოლაც მომაგონდებოდა. რატომღაც მეგონა, მათ მიერ მოცემული სიმინდი ცალ-ცალკე ყვარა ტომარაში.

მივდიოდი სიციხით გათანგულ ხევებში, ნიავეთ აშრიალებულ ტყეში და ხმას არ ვიღებდი. იმ კაცის მეშინოდა, არგვეთელი ქალები რომ გაეძარცვა.

— ჩუმად, ჩოკინა, ჩუმად! — გუბნებოდი აღმართში მოქლოშინე სახედარს.

ასე შიშითა და მალვით მოვდიოდი მთელი დღე. თამარის წყაროსთანაც კი არ შეეჩერებულვარ. როდესაც სერს გადმოვადექი და ჩემი სოფელი დავინახე, სიმღერა შემოვძახე.

ჩემს ირგვლივ ყველაფერი მღეროდა. მეგონა, ჩემი დახეული ხალათიც მღერის-მეთქი.

ჩოკინა წამით შედგა. დრუნჩი მალდა ასწია და დაიყოყნა. აბა ერთი, ვინმეს ეთქვა მაშინ, ვირი ყროყინებსო! არა, ისიც მღეროდა, ვინდ დამიჯერეთ, ვინდ არა, ნამდვილად მღეროდა!

კეხიდან გადმოვხტი, სახედრის ლამაზი ცხვირი მკერდში ჩავიხუტე. თვითონაც მომეფერა, დაიფრუტუნა. სოფლანა-

მდე თხოუმეტი წუთის სავალიდა იქნებოდა დარჩენილი. ავშარა ხელში დავიჭირე, ჩოკინას წინ გავუძეხი და ცხვირით თავდაღმართი ხტუნვა-ხტუნვით ჩამოვავთვეთ.

ეზოში ჩასული არ ვიყავი, დედაჩემს რომ შევეხმინე.

— დედა გენაცვალოს, დედა გენაცვალოს! — შემომეგება დედაჩემი. ეს სიტყვები პირველად გავიგონე მისგან. პატარა რომ ვიყავი, ალბათ ისევე მეფერებოდა, როგორც ახლა ნუგზარს ეფერება ხოლმე, მაგრამ როცა წამოვიზარდე და მამაჩემი ფრონტზე წავიდა, მისგან საალერსო სიტყვა აღარ გამიგონია.

ხვდა ქალებივით იგი არასოდეს არ ტიროდა, დროდადრო თვალები დაუნადვლიანდებოდა. ეს იყო და ეს. ახლა ზომავზე მეტად დარღიანი მეჩვენა დედის თვალები.

„ვაიმე, იქნებ ბაბუა მოკვდა“, — გამიელვა თავში, მაგრამ დედას ვერაფერი ვკითხე.

მან გულში ჩამიკრა და კისერში მაკოცა.

— რა მოხდა, დედა?!

— არაფერი, შვილო, ყველანი კარგად ვართ, — სთქვა მან. ავშარა გამომართვა და სახედარს ეზოსკენ გაუძღვა.

წამით ისევ ამღერდა გარემო. მღეროდნენ სიმინდზე შემოხვეული ღობის ბარდები, მღეროდნენ ვაზები, მღეროდა უზარმაზარი კაკლის ხე, ჩვენი ოდა-სახლის წითელი კრამიტიც მღეროდა. როდესაც ეზოში შევედი, მიდამო ისევ დადუმდა და გაირინდა, სახლის კიბეზე უცხო კაცი ჩამომჯდარიყო. იქვე, ვაშლის ქვეშ, გურამი და ნუგზარი ატუზულიყვნენ. მათ ჩემი გამოჩენა თითქოს არც გახარებიათ. დამუნჯებულები იყვნენ. უცნობს ხაკისფერი გიმნასტურა და ძალზე გაუცეთილი სამხედრო ჩექმები ეცვა. ჩემს დანახვაზე უხერხულად შეიშმუნა. მერე ზეზე წამოდგა, ვარსკვლავიანი ქული მარჯვენადან მარცხენა ხელში გადაიტანა და ისე მომესალმა, თითქოს დიდი ხნის ნაცნობები ვყოფილიყავით.

— ვაჟკაცს გაუმარჯოს! — სთქვა და

ხელი გამომიწოდა. გრძელი, გამხმარი თითები ჰქონდა. დედაჩემის შეწუხებულ სახეს შევხედე და ხელი ამიკანკალდა.

— ნოდარ, მოდი აქ, შევილო, — მითხრა დედამ და ქვაზე ისე ჩამოჯდა, ავშარისათვის ხელი არ გაუშვია. — საღამოობით ხომ გესმის ზარბაზნის ხმა?

მე თავი დავაქნიე. დედამ განაგრძო:

— აი იმ მთებში ბრძოლაა, მტერი უნდა შეაჩერონ. ჩვენებს სურსათ-სანოვანე და ტყვია-წამალი სჭირდებათ. მთებში მანქანები ვერ ივლიან, მხოლოდ ცხენებითა და სახედრებით შეიძლება ჯარისკაცებს მიუვალ ადგილებში იარაღი და საგზალი მიაწოდონ. — დედაჩემი ცოტახანს გაჩუმდა და სტუმრისათვის არ შეუხედავს, ისე სთქვა: — ეს კაცი ჩვენი ჩოკინას წასაყვანად არის მოსული და უნდა გავატანოთ.

„მამ, ამ კაცს მამაჩემის დაღუპვის ცნობა არ მოუტანია?!“ — გამოიღვა თავში და მოდუნებულ სხეულში ძალა ვიგრძენი. ქვიდან წამოვხტი, დედაჩემს ავშარა ხელიდან გამოვტაცე და კაცს გავუწოდე.

— წაიყვანე, ბიძია, წაიყვანე!

ტომრები გადმოვიღე, ძირს დავდე და კაცს ვუთხარი:

— თუ გინდა, ესეც წაიღე.

მან თავი დააქანია, მიწაზე დაგდებულ ავშარას ხელი წაავლო, ეზოდან ისე გავიდა, არც ჩემთვის და არც დედაჩემისთვის არ შემოუხედაია. გზაზე რომ გავიდა, ჩოკინა წინ გაიგდო, და ფოთლებშერჩენილი სახრე გავაზე ოდნავ მოუცაცუნა.

სახედარმა უღიმღამოდ გაიჩანჩალა და შარას გაუყვა. ასე დაადგა ჩოკინა შორეულსა და მოუსვლელ გზას. მას ერთხელაც არ მოუხედავს უკან. ალბათ ეგონა, მეზობლებს წისქვილში მიჰყავდათ, დილით კი ისევ ჩემთან მობრუნდებოდა და საბალახოდ ვაშლნარში გავდენიდი.

მე კი ვიცოდი, სადაც მიდიოდა ჩოკინა. ვიჯექი და ცრემლები დაბა-ღუპით ჩამომდიოდა. ცრემლი ქვაზე იღვრებოდა და ცვიდებოდა. ჩოკინა ომში წაიყვანეს.

### სტანსუბი

გამომთხოვე! მთვარემ სხივი მოჰფინა ქალღეს, ცისფერ დაისის მქრალი შუქი შესვეს ღრუბლეშა, გამომთხოვე! შმაგი ქარი მოუხმობს ღამეს და ზეცის ნათელს შავი მწუხრი დაეუფლება.

ნუ შეჩერდები! ყოველი ხმა მოგახბის, — წადი ნულარ აცდუნებ ცრემლთა დენით  
მღელვარ გონებას, მიჯნურის თვალნი შენთან ყოფნის  
ფარავენ წადილს და შენი ეალი დაგებრუნებს განმარტოებას.

წადი მოგელის შენი სახლის მღუმარე კარი და ობოლ კერას დააფრქვე ცრემლი უღვივი, უშვირი, როგორ მიმოღიან ჩრდილები მქრალი და ქსელს ხლართავენ სეფდიანი მზიარულებით.

შემოდგომის ჭამს ტყე მქეარ ფოთლებს დაგაცურის თმებზე და გაზაფხულზე შენს ფეხთაქვეშ  
კვირტი ივლებს, მაგრამ ამქვეყნად ყოველივეს სიკვდილი ეძებს, რომ ცივ ხელებით დაუმკვიდროს სიყვარული.

იძინებს მთვარე მთების იქით, ისვენებს ქარიც, ღრუბლის ჩრდილებიც არ იძვრიან ნათელი ღამით, მცირე ხნით მაინც სულს მოითქვამს  
ზღვა ბონოქარი და რაც მოძრაობს, შრომობს, იღწვის — ისვენებს წამით.

შენც დაისვენებ სამარეში და განქარდება ვით მოჩვენება, შენი სახლი, ბაღნარი შენი, ხსოვნა და მძაფრი სინანული, მწველი ფიქრები და ეგ ღიმილი, შენ რომ ასე ძალიან გშენის.

ინგლისურიდან თარგმნა  
მედუა ზაალიშვილმა

# კოსმონავტიკა და კრეფები

ნარკვევი

## სკოლის მერხიდან პლანტაციიზი

მისი მისამართია: მახარაძის რაიონი, სოფელი ასკანა. თუ კლარას ნახვას მოინდომებთ, ჰკითხეთ ვინმეს და მთელ სოფელში არავინ დაგზარდებთ, ფერდობებზე შეფენილი პლანტაციისაკენ წაგიძღვებიან, სადაც კლარა თავის მეგობრებთან ერთად მუშაობს.

კლარა ნაცვალაძის ბიოგრაფია მრავალი საბჭოთა ახალგაზრდის ბიოგრაფიას ჰგავს. 1958 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა. მიიღო თუ არა ატესტატი, კოლმეურნეობის თავმჯდომარეს უთხრა, სოფელში დაერჩები, კოლმეურნეობაში ვიმუშავებ, მე მაინც აგრონომი მინდა გავხდე და უმაღლესში დაუსწრებლად ვისწავლიო.

მაშინვე მიუზომეს 0,2 ჰექტარი პლანტაცია. ჩაის კრეფის ნახევარი სეზონი გასული იყო, მაგრამ კლარამ მაინც მოა-

ხერხა 2,5 ტონა ფოთლის მოკრეფა. მომდევნო წელს კი კოლმეურნეობის გამგეობამ კლარას ექვსი მეჩაიე და ოთხნახევარი ჰექტარი პლანტაცია ჩააბარა. უხაროდა ქალიშვილს, მაგრამ ამ სიხარულში ცოტაოდენი შიშიც ერია:

— მარტო რომ ვიყო, თავს არ შევიტყებენ, მაგრამ ვაითუ გოგოებმა დამაღლატონ, საქმეს ვერ მოერიონ!— ფიქრობდა მერგოლური.

მას შემდეგ ჩაის კრეფის ოთხი სეზონი ჩათავდა და რგოლი სამავალითოდ გამოიწაფა: 1959 წელს მათ 19 ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფეს, შარშან კი 37 ტონა „მწვანე ოქრო“ მიუმატეს საქვეყნო დოვლათს. რგოლი უკვე სამი წელია, რაც კომუნისტური შრომის კოლექტივის საპატიო სახელს ატარებს.





— ჩაის ათივე თითით უნდა კრეფა, აბა, მაჩვენე შენი ხელი?

ლალი ნაცვალაძემ მორჩილად გაშალა ხელი და მერგოლურს აჩვენა.

— აი, ხედავ? ცერსა და საჩვენებელ თითებს ეტყობა, რომ უმუშავნიათ, დანარჩენი თითები კი, ჩაის კრეფა ვითომც ჩვენი საქმე არ არისო, ისვენებენ. ასე არ ვარგა. ერთ კილოგრამ ჩაიში 2.500—3.000 ფოთოლია. მის მოსაპრეფად ხელი ზუსტად ამდენჯერვე უნდა აამოძრავო. თუ მარტო ოთხი თითით იმუშავებ, დიდი დრო დაგჭირდება, ათი თითით კი საქმე ერთი-ორად დაჩქარდება. აბა, მოდი, ერთხელ კიდევ სცაადე!

კლარა ნაცვალაძე მეგობარს გვერდიდან არ სცილდება. ლალი მისი რგოლის ახალი წვერია. საშუალო სკოლა დაამთავრა თუ არა, ისიც კლარასავით კოლმეურნეობაში დარჩა. ლალის ძალიან უნდა მოწინავე ჩაის მკრეფავი გახდეს, მაგრამ გამოცდილება აკლია. არა უშავს, ამასაც შეიძენს ადამიანი, მონდომება საჭირო. მას ხომ ამდენი დამხმარე და მეგობარი ჰყავს. და აი, რგოლის ძველი წვერები — ხან კლარა, ხან ნარგიზა ჩხაიძე უმცროს მეგობარს თავის გამოცდილებას უზიარებენ, ასწავლიან რომელ ბუჩქზე რომელი ფო-

თოლი მოკრიფოს. ახლა ლალი თავისი გაეჯიბრება ვისაც გნებავთ და თავის მასწავლებლებს — კლარა ნაცვალაძესა და ნარგიზა ჩხაიძესაც კი არ დაუდებს ტოლს.

მარტო ლალიმ როდი ისახელა თავი ასე! რგოლის ყველა წვერი შუქურა გახდა. შარშან გაზაფხულზე ბათუმში ახალგაზრდა მეჩაიეთა და მეციტრუსეთა რესპუბლიკური შეკრება მოაწყვეს. სწორედ იმ ხანად პრესაში გამოქვეყნდა ნატანებელი მერგოლურის ეთერნიკოლაიშვილის წერილი.

— არ კმარა პატარა ფართობზე მივიღოთ უხვი მოსავალი, არ კმარა მარტო შენ იყო შუქურა. მთელი რგოლი თან უნდა გაიყოლიო! — მოუწოდებდა ეთერნიკოლაიშვილი ახალგაზრდა მეჩაიებს. რესპუბლიკურ შეკრებაზე ყველამ ერთსულადად დაუჭირა მხარი ეთერის თათნობას. მათ შორის იყო კლარაც. მან შარშანვე შეასრულა დანაპირები. მისმა რგოლმა 4,6 ჰექტარ ფართობზე 37 ტონა „მწვანე ოქრო“ მოკრიფა, ე. ი. საშუალოდ ჰექტარზე მიიღო 8.000 კილოგრამზე მეტი მოსავალი, ოთხიოდე წლის წინ კი ამ პლანტაციებში 4.000 კილოგრამზე მეტი ფოთოლი არასოდეს მოუკრეფიათ.

### პლანტაციისა ნუ გეფიქრებათ

მათ ლვიძლი დებივით უყვართ ერთმანეთი. გარიყრაქიდან დაღამებამდე ერთად არიან ქალიშვილები, ერთად აწვიმთ, ერთად ირუჯებიან მზეზე. აბა, როგორ არ შეიყვარონ ერთმანეთი!

თითოეულ მათგანს ცალკე ფართობი აქვს მიჩენილი, მაგრამ შენ-ჩემობა რას მიქვია. გულა როგორ გაუძღვებს სულიკო ნაცვალაძეს, რომ ნანული დოლიძე საქმეს ჩამორჩეს და მან ხელი არ წააშველოს. რგოლის შვიდი წვერიდან ორი უკვე დედა გახდა. პლანტაცია პლანტაცია, მაგრამ ოჯახს და ბავშ-

ვებს ხომ მიხედვა უნდა, ამიტომ საღამოობით მეგობრები ნანულის და ციკლას ცოტა ადრე უშვებენ, მათს მოკრეფილ ჩაის მიმღებ პუნქტში თვითონ აბარებენ. კლარა და ნარგიზა უმადლესში სწავლობენ. ეს ლექციებიო, ეს სესიებიო. ისეც ხდება ხოლმე, რომ ქალიშვილები ძალაუნებურად მთელი კვირაობით მიდიან ხან თბილისში, ხან მახარაძეში. ჩაის ბუჩქმა კი არც ლექციები იცის და არც სესიება — მოვლას მოითხოვს.

— პლანტაციისა ნუ გეფიქრებათ,

ხელს არ დავაკლებთ! — ეუბნებიან ხოლმე ნარგიზასა და კლარას ამხანაგები, — ოღონდ ხუთიანებს თუ არ ჩამოიტანთ, ნუ ჩამოხვალთ!..

ნარგიზა და კლარა გულდამშვიდებულნი მიდიან თბილისში. მეგობრები სიტყვას ასრულებენ, უკან დაბრუნებულებს პლანტაცია სავულაგაგულოდ მოვლილი ხედებათ.

კლარა ნაცვალაძის რგოლის წევრები განა მარტო ერთმანეთთან მეგობრობენ, განა მარტო ერთმანეთის ჭირვარამს იზიარებენ?

...დავით შევარდნაძეს უბედურება შემთხვავა, ავარიში მოჰყვა და სიცოცხლით სავსე, მკვირცხლი ჭაბუკი ლო-

გინს მიეჯაჭვა. ასკანელ ახალგაზრდებს გული ატკინა მეგობრის უბედურებამ. კლარა და მისი ამხანაგები — მუსიკის მიდიან დავითთან, სასთუმალთან დაუჯდებიან, მოუთხრობენ სოფლის ამბებს, ამხნევენ. რაც ჩაის კრეფის სეზონი დაიწყო, ქალიშვილებს მოცლა აღარა აქვთ, ისე ხშირად ვეღარ ახერხებენ ავადმყოფთან მისვლას. მაგრამ ასკანელმა ახალგაზრდებმა გამოსავალი მაინც მოძებნეს. დავითს რომ არ მოსწყენოდა, ტელევიზორი უყიდეს. ასეთები არიან ჩვენი მეჩაიეები. შრომა ასპეტაკებს და ამდიდრებს მათ სულსა და გრძნობებს.

### ჩაის კრავს... ვალენტინა ტარეშკოვა

ეს იყო 1963 წლის 16 ივნისს, შუადღისას. კლარა და მისი რგოლის გოგონები პლანტაციაში ჩადგმულ პატარა ფარდულში ისვენებდნენ.

მოულოდნელად რადიოში მუსიკა შეწყდა და დიქტორის ნაცნობი ხმა გაისმა:

— ყურადღება, ყურადღება, მუშაობს საბჭოთა კავშირის ყველა რადიოსადგური.

გოგონებმა ყურები ცქიცტეს. მაშინ ვარსკვლავების უკიდვანო სივრცეებს ვალერი ბიკოვსკი სერავდა და იფიქრეს, ალბათ მის კოსმოსურ მოგზაურობაზე მორიგ ცნობას გადმოსცემენო, მაგრამ დიქტორის ხმა განსაკუთრებულად საზეიმოდ და ამალღებულად ქდვრდა:

— 1963 წლის 16 ივნისს 12 საათსა და 30 წუთზე მოსკოვის დროით, საბჭოთა კავშირში დედამიწის თანამგზავრის ორბიტაზე გაყვანილია კოსმოსური ხომალდი „აღმოსავლეთი — 6“, რომელსაც მსოფლიოში პირველად მართავს ქალი — საბჭოთა კავშირის მოქალაქე, კოსმონავტი, ამხანაგი ვალენტინა ვლადიმერის ასული ტარეშკოვა.

გოგონებს, ცოტა არ იყოს, გაუგრ-

ძელდათ შესვენება, ვალენტინა ტარეშკოვაზე საუბრობდნენ. ფიქრითა და ოცნებით მასთან ერთად მიარღვევდნენ ზღაპრულ სივრცეებს. უცებ ნარგიზა ჩხაიძემ წამოიძახა:

— გოგოებო, რა იქნება, რომ ვალია მეჩაიე გავხადოთ?

— რანაირად?

— რანაირად და. ჩვენს რგოლში ჩაიცხობთ საპატიო წევრად. მის სახელზე თვითონ უმა ჩვენგანმა ყოველდღიურად 4-5 კილოგრამი ფოთოლი მოვკრიფთ.

ქალიშვილებმა მოიწონეს ნარგიზას აზრი. ასე გახდა ვალენტინა ტარეშკოვა ასკანის ბორის ძნელაძის სახელობის კოლმეურნეობის კლარა ნაცვალაძის კომუნისტური შრომის რგოლის წევრი. შარშანდელი სეზონი დიდი გამარჯვებით დამთავრეს ქართულმა მეჩაიეებმა. შექურებს შორის იყო ვალენტინა ტარეშკოვაც. მან 4.000 კილოგრამი ფოთოლი „მოკრიფა“. ამდენ ფოთოლს კარგი მეჩაიე თუ მოკრეფს. კლარამ და მისმა მეგობრებმა ვალიას ქორწილში ჩაი გაუგზავნეს. მისწერეს: ოჯახში რომ საკუთარი ხელით მოკრეფილი ქართული ჩაი დალიოთ, ურიგო არ იქნებაო. არც ვალენტინა ტარეშკოვას დაიწყო-

ბია თავისი ასკანელი მეგობრები. მან და მისმა მეუღლემ ნიკოლაევმა ახალი წელი მიულოცეს კლარა ნაცვალაძის რგოლის წევრებს. აი, რა ეწერა მათ წერილში: „ყოველი პროფესია საპატიო და სასიამოვნოა. თქვენს პროფესიაზე კი შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი ამასთან ერთად გემრიელიც არის. თქვენ ხომ შემქმნელები ხართ შესანიშნავი მზიური სასმელისა, რომელიც ასე უყვარს მილიონობით ადამიანს. ჩვენ ვიცით თქვენი წარმატებები — ისინი ხომ ყოველთვის ჩვენს სუფრაზეა. გმადლობთ ჩვენი ქორწილის დღეს თქვენგან მიღებულ „საქართველოს თაიგულისათვის“. თქვენი ოქროს ხელებით მოკრეფილი ეს ჩაი ყოველთვის მოგვაგონებს თქვენს თავს“.

ვალენტინა ტერეშკოვა კლარა ნაცვალაძის რგოლის მუდმივი წევრი გახ-

და. შარშან რგოლმა 37 ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფა, წელს კი 40 ტონა მოკრეფას აპირებს. რგოლის წევრმა შარშანდელთან შედარებით მეტი „მწვანე ოქრო“ უნდა დაახვავოს. ასე მოიქცევა ვალენტინა ტერეშკოვა — ნიკოლაევაც. მის ანგარიშზე წელს 5 ტონა ჩაის ფოთოლი მოიკრიფება.

კლარა და მისი მეგობრები სიხარულით ცას ეწივნენ, როცა გაიგეს ნიკოლაევების კოსმოსური ოჯახის გაზრდა, ალიონუშკას დაბადება. ასკანელმა ქალიშვილებმა გადაწყვიტეს, ალიონუშკას სახელზეც მოკრიფონ ერთი ტონა „მწვანე ოქრო“. ერთი სიტყვით, წელს 200.000 ტონა ჩაისთვის გაჩაღებულ ლაშქრობაში თავისი წვლილი შეაქვს კოსმონავტთა ოჯახსაც — 6.000 კილოგრამი ჩაის მოკრეფა ხუმრობა როდია!

## დედაშვილობა

ეზოში ქალი ტრიალებს, ხან ბოტანს, ხანაც კრუხ-წიწილას უვლის. სისხამი დილაა. საღაც არის, ისიც პლანტაციოში უნდა წავიდეს. მაგრამ მას ხელში არც კალათა უჭირავს, არც ქილის ქუდი ახურავს. ისე კი, მასაც თავისი წვლილი შეაქვს ჩაის ფოთლის კრეფაში. ეს თალხებიანი ქალი კლარა ნაცვალაძის დედაა — აგერ უკვე ოციოდე წელია, ნატო კოლმეურნეობის საბავშვო ბავაში მუშაობს აღმზრდელად. მეჩაიეები სისხამ დილით უტოვებენ მას თავიანთ შვილებს და გულდამშვიდებულნი მიდიან პლანტაციოში — იცან, დეიდა ნატო ყურადღებას არ მოაკლებს პატარებს.

1942 წელს, როცა კლარა სამი წლისაც კი არ იყო, მამამისი სამამულე ომის ფრონტზე დაეცა. უკაცობამ და დიდმა საზრუნავმა განსაკუთრებულად დააახლოვა და დაამეგობრა დედაშვილი. ახლა, როცა ნატო თავისი ქალიშვილის ქებას გაიგონებს, გული სიხარულით ევსება. დედას უქმად არ ჩაუარა ამდენმა გარჯამ და უძილოდ გატეხილმა ღამეებმა.

ვაჟკაცი არ ჰყავსო, ვერაინ იტყვის ამ ოჯახზე. მშვენიერად მორთულ-მოკაზმული კარმიდამო, ორსართულიანი ოდასახლი. ეს სახლი კლარას ნაამაგართ არის აშენებული. მისი შემოსავალი ბევრ ვაჟკაცს შემუშრდება. შარშან კლარა ნაცვალაძემ კოლმეურნეობაში 2.700 მანეთზე მეტი გამოიმუშავა, ესე იგი, მისი თვიური ხელფასი 225 მანეთს აღემატებოდა.

სოფელში ყველას უყვარს ალალი შრომით ცხოვრების დიდ გზაზე გამოსული ქალიშვილი. კლარას არც პატივი და დაფასება აკლია: მახარაძელმა ახალგაზრდებმა იგი საქართველოს კომკავშირის XXV ყრილობის დელეგატად აირჩიეს, კომუნისტებმა კი — საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობის დელეგატად.

საქართველო მეჩაიეთა ქვეყანაა. ეს სახელი მას ჩვენმა სასიკაძულო ქალებმა დაუმკვიდრეს; წელიწადი არ გავა, რომ დიდი გამარჯვებით არ გავახაროს მეჩაიეთა სახელოვანმა არმიამ. კლარა ნაცვალაძე და მისი მეგობრები ამ არმიის ავანგარდში ღვანან.





# წ ვ ი ა კ

## მოთხრობა

ვანჯარასთან ვიდექი. ჩემს პირდაპირ კუბეს კარი ღია იყო. ქალიშვილები კარტს თამაშობდნენ. მატარებელი დიდი სიჩქარით მიდიოდა. კუბეში მზის სხივი აღმაცერად ეშვებოდა და ხანდახან გაჰქრებოდა ხოლმე.

ვანჯარაში გავიხედე. სწრაფად ენაცვლებოდნენ ერთმანეთს გორები, მწვანე ეზოები და შარაგზაზე მომავალი ავტომანქანები. ქვიტკირით შემოზღუდულ მოედანს ჩავუქროლეთ, მერე მინდვრები დაიწყო. ვაგონის გამყოლმა ჩაით სავსე ჭიქები კუბეებში ჩამოარიგა.

ჩაი რომ არ გამცივებოდა, კუბეში შევედი, ბავშვობის სურათებს ვიხსენებდი. უძილობისა და ფიქრისაგან თავი დამძიმებული მქონდა.

ქალიშვილები ზღვის გამოჩენას ელოდნენ, თან თამაშის შეწყვეტაც არ უნდოდათ.

თანდათან მოიღრუბლა, კუბეში თითქმის ჩამობნეულა. ქალიშვილები დრო-

დადრო ვანჯარისაკენ იყურებოდნენ. მოწყენილი ჩანდნენ.

ვაგონიდან რომ ჩავედი, კოკისპირულად წვიმდა. სადგური თითქოს უფრო დაპატარავებული მომეჩვენა. ხალხი მოსაცდელ დარბაზში შეყუჟულიყო. ბაქანზე წითელქუდიანი სადგურის მორიგე იდგა. სადგურში შეჩერება არ მინდოდა, ბავშვობიდანვე არ მიყვარდა. ალბათ იმიტომ, რომ ამ სადგურიდან გავაცილეთ ფრონტზე მამაჩემი და მერე აღარც დაბრუნებულა.

გალიპულ ლიანდაგებზე წვიმის წვეთები ხტოდნენ. სველ ჩემოდანს ხშირ-ხშირად ვინაცვლებდი ხელიდან ხელში. წვიმის წყალი სახეზე წურწურით ჩამომდიოდა. წვიმა გადაღებას არც აპირებდა. რამდენიმე ნაბიჯის იქით ველარაფერს ვხედავდი, მაგრამ ვგრძნობდი. სად რა იყო. მამისეული სახლი, ზღვა თუ შარაგზა.

გალუმბული მივადექი ქვის სახლს.

კარზე ფრთხილად დავაკაკუნე. ქალაქში ჩვენი გადასვლის შემდეგ აქ ცალხელა მვისრე ვარლამს უნდა ეცხოვრა. ახალგაზრდა ქალმა გამიღო კარი. ქალი ჯერ კიდევ იკრავდა საკინძეს.

„ვარლამის რძალია“, — გავიფიქრე და სახე სველი ცხვირსახოცით შევიმშრალე.

— მობრძანდით! — ქალმა გაკვირვებით შემომხედა და შემოპატიჟა.

ოთახში შევედი. ჩემოდანი ისე ფრთხილად დავდგი კედელთან, თითქოს შიგ გასატეხი რამ ყოფილიყო.

ავეჯის გარდა ჩემთვის ყველაფერი ნაცნობი იყო.

ფანჯარას მივაჩერდი. მინებზე ადრე გარდღივარდმო მარლა გვექონდა აწებებული, რომ ქვემეხის გასროლის დროს ფანჯრის მინები არ ჩამტვრეულიყო. ზღვაში სამიზნე ჰქონდათ ჯარისკაცებს; ჩვენი სახლიდან ორასიოდე ნაბიჯზე საბრძოლო წვრთნას გადიოდნენ.

— დაბრძანდით! — მითხრა ქალმა და სკამი დამიდგა. მერე რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ თავი შეიკავა და აკვანში ჩაკრულ ჩვილთან ფეხაკრეფით მივიდა.

— ბიჭია? — ვკითხე და აკვანს გავხედე. პატარას ხელებს ვხედავდი მხოლოდ. რატომღაც მეგონა, რომ ბიჭი უნდა ყოფილიყო.

— გოგოა, — ღიმილით მითხრა ქალმა და სახეზე სიწითლემ გადაჰკრა.

— მე ამ ოთახში ვცხოვრობდი, — ვთქვი და ქალს მოკლედ გავაცანი ჩემი ვინაობა. იგი წყნარად მისმენდა, მე კი ხელში სველ ცხვირსახოცს ვაცოდვილებდი.

ფანჯარაზე წვიმის მსხვილი წვეთები ცურდებოდა, მინიდან ნაძვების სიმწვანე გამოკრთოდა.

— ახალგაზრდები გაიფანტნენ, — მიყვებოდა ქალი, — მოხუცებიდან ზოგი გარდაიცვალა, ლტოლვილები თავთავიანთ ადგილებს დაუბრუნდნენ; ვარლამი კი კარგა ხანია თავის ოჯახთან ერთად სხვაგან გადავიდა.

წვიმის ხმას ახლა ზღვის ხმაური ფარავდა. ყველაზე მეტად ლილის ამბავი მაინტერესებდა და ბოლოს ვიკითხე.

— ერთი კვირის წინ გათხოვდა, ქალაქში წაიყვანა მეუღლემ, — სთქვა ქალმა.

ფანჯარასთან მივედი. რკინიგზის გადაღმა ჩემი სკოლის დიდი, ამწვანებული ეზო ჩანდა. უყვავილო ლარნაკივით იდგა გამოკეტილი სკოლა.

— მე და ლილი სულ ერთ მერსზე ვისხედით, — ვთქვი მე. ქალი გაკვირვებული მიყურებდა.

აივანზე გავედი.

მაგნოლიის სქელ ფოთლებზე წვიმა შხაბუნობდა. ვეება ჭადარს ისევ ისე მახრჩობელა გველივით შემოხვეოდა ლიანი, ხის ტანს კიდევ უფრო შეზრდოდა.

თბილოდა, ჰაერი დამძიმებულიყო, სუნთქვა მიჭირდა. სწრაფად ჩავიბრინე ქვის საფეხურები და ზღვის ჯებირთან შევჩერდი.

ტალღებს მიწისფერი დასდებოდა. წვიმამ გადაიღო.

ჰორიზონტთან ღრუბელი გარღვეულიყო და ცის ღურჯი ნაჭერი სჩანდა; ეტყობოდა, ხვალ გამოიდარებდა.



## გიგა მახვილაძე

### ჩემი ქუჩა

ხან დარდის, ხან კი ზეიმის ქუჩა,  
ქვაფენილი და სურნელი მიწის,  
სულ ერთი ბეწო, სულ ერთი მუჭა  
შემოქმედივით ელავს და იწვის.

ლამით მთვარე რომ კოცონს დაანთებს,  
ამიბრიალებს სახლის სახურავს,  
ელნათურა რომ ღამეს გაათევს  
ჩემი ქუჩის და სახლის მსახურად.

როცა წვიმს, როცა ფიქრები ბარდნის,  
მინდა ვიქროლო დღეცა და ღამეც.  
მინდა ჩემს ქუჩას წავართვა დარდი  
და გადავუგდო მივარდნილ ხრამებს.

ხან დარდის, ხან კი ზეიმის ქუჩა,  
ქვაფენილი და სურნელი მიწის,  
სულ ერთი ბეწო, სულ ერთი მუჭა  
შემოქმედივით ელავს და იწვის.









ბაბბერი ხმ

ფოტოგრაფი ვ. გენგიურისა



უტექსტო ხუმრობა

დ. ბაშაღიშვილისა



მთვარისანი ღამე  
მხატვარი  
დ. ზაშალავაძე

ქაშვიკი 2  
1965  
უურნალი უურნალუ

# ქეჩილსკისა, უზიჩი ქეჩილსკისი

მოთხრობა

მინც რა ცუდად იცნობდა გენადი ადამიანებს. მან არ იცოდა ერთი უბრალო ჭეშმარიტება, ადამიანს მხოლოდ მაშინ შეიცნობ, როცა მას სულში ჩახედავ. გენადი ფიქრობდა, ვარია სუსტი, უნებისყოფო ქალიშვილიაო. ლეიტენანტი ცოტა უფრო გულისხმიერი რომ ყოფილიყო, დაინახავდა, როგორ ცდებოდა. ვარია ზამბარას ჰგავდა, გაწყვეტილს კი არა, მძიმე დარტყმით შეკუმშულ ზამბარას. მიეცით პატარა დრო და იგი ისევ გაიშლება, წელში გაიმართება. აი, მაშინ კი ვერაფერი ვეღარ მოლუნავს. ახლა კი ვარია კარგად ვერ იყო. უცხო, ცივ ბინაში თითქოს ყველაფერი ყურში ჩასძახოდა: „დაობლდი, ჩემო ვარია, დაობლდი და იმიტომ ხარ აქაო“.

ვარიას სულ პატარა სითბო სწყუროდა, სითბო, რომელიც გულს ცოტათი მაინც გაუთბობდა. აქ კი ყოველ წუთს სიცივეს გრძნობდა, აქ ყველაფერი სი-

ცივით იყო გაქვნილი, ეს გაპრიანებული, მონიკვლეული, მომინანქრებული და მარმარილოთი მოპირკეთებული ნივთები... რისთვისაც არ უნდა შეეხედა, ყველაფერი ბრწყინავდა, ხელი რისთვისაც არ უნდა ეხლო, ყველაფერი ცივი იყო, თითქოს მთელს სახლს გამკვირვალე ყინულის თხელი ფენა გადაჰკვირავო. ვარია თავს ობლად გრძნობდა.

„ხალხიც რომ ცივია აქ. ცოდვია ასე ფიქრი, ანტონინა მირონოვნა ხომ გენადის დედაა, მაგრამ ერთი საშინელი თვისება სჭირს. წელეებზე ფეხს იდგამს, რომ ახალგაზრდა გამოჩნდეს. აბა, ასეთ შეთხუპნულ, გაპრანჭულ და თმადანუქუქებულ ქალს დედის დაძახება როგორ შეეებდო?“

ამაზე თავს არც გენადის დედა იტკივებდა. ყოველთვის ასე ეუბნებოდა: ვარია, მე უფროსი მეგობარივით ვიჩევი. მაგრამ არც ასეთი მეგობრობა უქნია ღმერთს. გენადის დედა მისთვის კვლავ უცხო ქალი იყო, სრულიად უცხო.

„ამ ქალის ვაჟიშვილი კი ჩემთვის ასე-

გაგრძელება. იხ. „ცისკარი“, № 9, 10, 11, 12.



თი ახლობელია, — ამას გული კარნახობდა ქალიშვილს, — მერედა, როგორი ახლობელი. ნეტავ მძიმე ფიქრებით გაბრუნებული თავი მის მკერდზე მიმაყრდნობინა, თვალები დამახუჭინა და ცუდზე არაფერზე მაფიქრა. მაგრამ ესეც რომ არ შეიძლება? ამ სახლში გენადიც ისეთი მიუწვდომელი გახდა, თითქოს ის სადღაც მალაა, სულ მალა. მე კი ძირს დავარჩი. ვანა სიყვარულმა ასე იცის? ვაითუ, მხოლოდ ვებრალები და არ ვუყვარვარ. მაშინ რაღამ უნდა მანუგეშოს, რაღამ უნდა მაცოცხლოს ამ ქვეყანაზე?“

უმძიმს ვარიას, დარდი გულს უღრღნის. თავს მიინც ძალას ატანს, ითმენს, ხმას არ იღებს. გენადის კი ჰგონია, ყველაფერი რიგზეაო. მაგრამ ერთხელ, საუზმობისას, გენადიც კი შეაშფოთა ვარიას განწყობილებამ.

— შენ ისევ ცუდად ჰამ, ვარია, — სთქვა ანტონინა მირონოვნამ, — ნამდვილად არ მომწონს, კარგად უნდა იკვებო, თორემ ისე ვერ მომაგრდები. იანვარში რომელიმე ინსტიტუტში მოგაწყობ. ამბობენ, დაცხრილავენ იმათო... აი, სამუშაო სტაჟით რომ მიუღიათ.

— იანვარში მე გენადისთან წავალ, — შეეპასუხა ვარია.

ანტონინა მირონოვნა წკიპზე შედგა: „ვითომ ხვდება რას ვუპირებ? არა მგონია, მაგდენი ჰკუა ვინ მისცა“.

— ნეტა რა გეჩქარება? ახლანდელ გოგონებს რომ ვუყურებ, ასე მგონია, ერთი სული აქვთ, სანამ გათხოვდებიან.

— თქვენი აზრით მეც ასეთი ვარ?

— დაწყნარდი, გენაცვალე, და ერთი რამე დაიმახსოვრე: ჩემს სუფრასთან დამსწრეებზე ცუდად არასდროს ლაპარაკობენ. მე საერთოდ ახლანდელ ქალიშვილებზე ვლაპარაკობ და არა ერთ რომელიმე მათგანზე. ჩემის აზრით, ქალიშვილებმა პირველ რიგში განათლებაზე უნდა იფიქრონ და არა გათხოვებაზე. ჩვენს დროში უსწავლელად ნორმალური ადამიანური ცხოვრება შეუძლებელია. ვერც პირად ბედნიერებას მოიპოვებ განათლების გარეშე.

— მოიპოვებ! — ვარიას ხმა ისე მკვე-

თრად და გამომწვევად გაისმა, თითქოს ამ დიდებულ, ტრადიციულ სუფრანზე ხელიდან რაღაც გაუფარდათო. ვარია! — შეშინდა გენადი.

დედამ ღიმილით შეხედა ვაქიშვილს. თითქოს ეუბნებოდა, ნუ სწუხარ, ნერვებს ნუ იშლი, ყველაფერს მე მოვუვლიო.

— არა, ნაწილობრივ მართალი ხარ. ჩემო კარგო. შეიძლება, რა თქმა უნდა, შეიძლება, კაცი უსწავლელადაც ბედნიერი იყოს. უსწავლელი მწყემსიც თავისებურად ბედნიერია. ეს ხომ ძალზე ბუნებრივია, ზოგს პატარა, პროვინციული, შემწანაღრი ბედნიერება მოსწონს, ზოგს კი... ასეა თუ ისე, მე მინდა შენ ერთი რამ ვიგო, ვარია. გენადი დიდხანს არ იცხოვრებს კავკასიის რომელიღაც მივარდნილ კუთხეში. მომავალ წელს აღარ გადააცილებს. აკადემიაში შევა. ეს გადაწყვეტილია, გენადიმ უნდა ისწავლოს.

— მაშინ მეც ვისწავლი. — სთქვა ვარიამ.

ანტონინა მირონოვნამ არ იკადრა ამ უქკუო, პროვინციელი გოგონასათვის თავი გაეყადრებინა. არც არაფერს აწყენინებს. უწინ იტყოდნენ — ვინც ობოლს დაჩაგრავს, ღმერთი დასჯისო. ანტონინამ სხვა თემაზე ჩამოაგდო საუბარი:

— მითხარი, გენაცვალე, თქვენთან კავკასიაში რძის პროლუტს ჰამენ? — რაც შეიძლება უწყინარ კილოზე ჰკითხა ქალიშვილს.

— დიახ, ჰამენ, — ღრმად ამოისუნთქა და ისე უპასუხა ვარიამ.

— მაშ, რატომ არ სვამ რძეს? კაი ხანია, რაც დაგისხი, ნუ იჭმუნენები, გენაცვალე, რძე საწამლავი არ გეგონოს, — ეს უკვე მკაცრად იყო ნათქვამი, როგორც სუფრის უფროს წევრს, ოჯახის დიასახლისს შეეფერება.

„ყველაფერი რიგზეა. ტყუილად არ შეგშფოთდი ვარიას გამო? ვარია ჩვენთან თავს კარგად გრძნობს. დედაც ღვიძლი შვილივით ექცევა“.

გენადის გულწრფელად სჯეროდა, რომ ვარიასთვის რაც შეიძლებოდა, ყვე-

ლაფერი გააკეთა. უკეთესს რაღას მოიფიქრებდა. ახლა კი შეუძლია მშვიდად გაემგზავროს. სიმართლე რომ ვთქვათ, გული უკვე პოლკისაკენ მიუწევდა. არ ვარგა, როცა ახლად დანიშნული ოფიცერი ქვეგანაყოფს დიდი ხნით მიატოვებს. ხელქვეითები ეს-ეს არის გეჩვევონ, შენც ჯერ თავი არ გამოგიჩენია როგორც წესი და რიგია. ერთი სიტყვით, გინდა თუ არ გინდა, ავია თუ კარგი, ამ საღამოს უნდა გაემგზავროს. როცა ეს ამბავი გადაწყდა და მატარებლის ბილეთიც აიღო, გენადის ისევ შემოაწევა ვარიანზე დარდი. ანტონინა შვილს ფხიზლად აღევნებდა თვალყურს.

„შეყვარებულია? არც ისე. ეს უფრო ახალგაზრდული გატაცებაა და არა სიყვარული. ცოტა ხნის შემდეგ ამ გრძობისაგან კვალიც კი აღარ დარჩება. კარგია რომ მიემგზავრება. პოლკში უფრო მალე გაუცივდება გული. გოგონა კი... გოგონას არაფერს არ ვაწყენინებ. არაფერს არ ვაწყენინებ. ის კია შეყვარებული, რა თქმა უნდა, ესღა აკლია გენადის. ჩემი ვაჟიშვილი ჭაბუკი ღმერთივით მშვენიერია. თითქოს ქალების კერპად და სალოცავადაა შექმნილი. მარტო იმიტომ კი არა, რომ ლამაზია. იმიტომ, რომ გენადი გრომოვია. ეს კი არ მომწონს, ახლა რომ დანაღვლიანდა, ნამდვილად რაღაც აწუხებს.“

— გენა, როგორ ფიქრობ, კარგია ეს? — მტკიცედ უთხრა შვილს ანტონინა მირონოვნამ, — თუმცა შეყვარებული ხარ, მაგრამ...  
— დედა!

— კარგი, კარგი. აი. რას გეტყვი: არ ვარგა კაცე, ქალს რომ ერთ ნაბიჯზე არ მოშორდებ, თითქოს მის კალთაზე გამობმულიო, მართალს არ ვამბობ, ვარა? —

— არ ვიცი.  
— არ იცი? მოვა დრო და თვითონ მიხვდები, აღდგომა და ხვალაო, ხომ გავიგონია. შენ კი, გენა, არ გეპატიება, მთელი კვირა მოსკოვში იყო და არავინ არ ინახულო.

გენადიმ გაკვირვებით ასწია წარბები. ნეტა ვინ ჰყავს მოსანახულებელი?  
— სახლში ისე გამომწყვედეულხარ, თითქოს ძეხორციელი ნაცნობი არ გყავდეს.

მართლა კი ღირდა დაფიქრება, ჰყავს თუ არა გენადის მოსკოვში მეგობრები. სამხედრო სასწავლებლის ამხანაგები მინისტრის ბრძანებამ მთელ ქვეყანაში დაქსაქსა. სკოლის ამხანაგებიდან რომლის ნახვას ისურვებდა ახლა? იური კრასილნიკოვს კიდევ ნახავდა კაცი.

„მანც რაზე ვისაუბრებთ მე და იური? ის ცხენის ოყნაზე ლაპარაკით გამომიჰყდავს ყურებს, მე კი... დიდი უცნაური კაცი კია იური... მანც რამ შეიყვანა საბეთლოზე?“

— კრასილნიკოვებს ხვდები? — შეეკითხა დედას გენადი.

ანტონინა მირონოვნამ ტუჩები მოკუმამა: „ნეტა რომელ კრასილნიკოვებზე მელაპარაკება?“ მაგრამ მაშინვე მოეგო გონს:

— იურიმ ერთი ორჯერ გიკითხა.  
— წამო, ვარია, ერთი საათით შევირბინოთ. იური კარგი ბიჭია, მოგეწონება. მისი დაც შენი კბილა.  
— თავი მტკივა, — უბასუხა ვარიამ, — მარტო შენ წალი.

უცნაური პასუხია. ვითომც და მისი ნებართვის გარეშე წასვლა არ შეეძლოს. წავა იურისთან, აბა რას იზამს.

— ჰო, ჰო, — დაფაცურდა ანტონინა მირონოვნა, — წალი, გენა. შენ კი, ვარია, ტყუილად არ გინდა წასვლა, ნამდვილად კარგი ოჯახია. გენა, არ დაგავიწყდეს, იურის მშობლები მომიკითხე, მაშენკას ჩემს მაგივრად ლოყაზე აკოცე.

სამწუხაროდ, იური სახლში არ დახვდა. კრასილნიკოვი-უმცროსი ინსტიტუტის დელეგაციასთან ერთად მონღოლეთს გამგზავრებულიყო ცხენის რაღაც ახალი დავადების შესასწავლად. სამაგიეროდ გენადის ოჯახის ახალი წევრი გააცნეს (ლეონიდ

ემანუილ ფეიგინი  
ჯარისკაცი, შვილი ჯარისკაცისა

სემიონოვიჩმა სწორედ ასე წარუდგინა მას — ოჯახის ახალი წევრიო), მამას საქმრო სლავა ბაღეიკინი, ქიმიური ტექნოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი.

— მომილოცავს, მამა, ბედნიერი იყავი, — უთხრა გენადიმ. — ჰო, მართლა, დედამ დამავალა, მამას ჩემს მაგივრად ორივე ლოყაზე აკოცეო.

მამა შეცბა. გენადის ლოყა მიუშვირა, მაგრამ ყურში ჩაჩურჩულება მაინც მოასწრო — იცოდე, სლავა ეჭვიანიო.

შუბი ხალთაში არ დაიმალებო, ნათქვამია. ისედაც სჩანდა, რომ სლავას დიდად არ განარებია ლეიტენანტ გრომოვის სტუმრობა.

„ვიცი, რა შეილებიც ბრძანდებით. გვიანხავს თქვენისთანა სიყრმის მეგობრები“.

კოცნამ ხომ სულ მთლად გადარია ეჭვიანი ბიჭი.

„რას მიბრიალებს თვალებს, ნეტა დანას არ გამოყრიდეს, თორემ ამას ვინ ჩივის“, — ფიქრობდა გენადი და სიცილს ძლივს იკავებდა.

ოჯახის უფროსმა ლუდი ქიქებში ჩამოასხა.

— აბა, მოდით, ბიჭებო. გენადი, ეს შენ ვაგიმარჯოს. ამ ზაფხულს ხშირად გიგონებდით. ალბათ ძნელია საზღვარზე სამსახური. იოლი ზაფხული არ გექნებოდა.

— მართალი ბრძანდებით, თავის მოსაფხანნი დროც კი არა გექონდა, — დაუდასტურა გენადიმ, — როცა იმპერიალისტები ლიბანსა და იორდანიისში შეძრნენ, ისეთი გრძნობა დაგვეუფლა, თითქოს მშვიდობის საქმე ბეწვზე ჰკილიდა და საცაა ომი ატყდებაო. ჩვენც არ დაგვიხანებია. მტრის დასახვედრად ყველაფერი მზად იყო. მტერს ფერი ეცვალა, მიხვდა, ცეცხლთან თამაში არ გამომადგებაო.

— ნეტა თქვენ რა შუაში ხართ, — უხეშად შეაწყვეტინა სლავამ. ეჭვიან ყმაწვილს უნდოდა გენადიზე ჯავრი ეყარა, — ამ ზაფხულის არეულ-დარეული საქმეები ჩვენმა დიპლომატებმა მოაკვარახჭინეს. თქვენ ამ დიპლომატიურ თამაშში მხოლოდ მუშტის მა-

გივრობას ეწეოდით... თუ ლიბანის დროს დასჭირდებოდათ მუშტის მაგიდაზე დაბრახუნება, დააბრახუნებდნენ კიდევ.

— ეე, თქვენ რალაც გემუბათ, — მშვიდად მიუგო გენადიმ, — მაგიდაზე დაბრახუნება იქნება საჭირო, დარტყმა თუ რალაც ამგვარი, ეს უკვე ჩვენი, არმიის საქმეა... დააბრახუნებდნენო, რომ ამბობთ, ვითომ რისი თქმა გინდათ? ჩვენ რა, პაიკები ხომ არ გგონივართ?

— ნუ გამინაწყენდები, ამხანაგო ლეიტენანტო, მაგრამ რა ვქნა. ფილოლოგიური თვალსაზრისით თუ მივეუდგებით, ეს ორი სიტყვა — პაიკები და ფეხოსნები ერთი ძირიდან მოდის. რას იზამთ, ძალა აღმართსა ხნავს. ისე, კაცმა რომ სთქვას, ჩვენს დროში რას წარმოადგენს ფეხოსანი არმია? ვაღმონაშთია და მეტი არაფერი. მაინც რისთვისაა საჭირო ფეხოსანი არმია? ალბათ მხოლოდ სამხედრო პარადებზე გამოსაკვანად თუ გამოდგებიან. ერთი მითხარით, ახლა ვიღას უძგერებს გულს ეს მოძველებული სინახობა? არავეს. „ცივი ომის“ დროს ფეხოსანი არმიას კიდევ აქვს რალაც მნიშვნელობა. ხომ იცით, თამაშში რაც მეტი პაიკია ჩაბმული, მით უკეთესია. „ცხელ ომში“ კი რა მოგახსენოთ, ჩემო პატივცემულო ფეხოსანო ოფიცერო, თქვენ იქ აღარაფერი გესაქმებათ. პატარა ღილაკებს ინჟინრებიც იოლად დააჭერენ ხელს და რაკეტები თავის საქმეს გააკეთებენ.

— ყოველ შემთხვევაში ღილს მაინც ადამიანი დედაჭერენ ხელს, ხომ?

— კი, ადამიანები.

— აგაშენა ღმერთმა, ამაზეც დიდი მადლობა. მე მეგონა, იტყოდით, ეს ინჟინრებიც რობოტები იქნებიანო.

გენადის შინგამომცხვარი სტრატეგების ატანა არ შეეძლო.

„ერთი ამათი თავი მომცა ოცეულში! სიქას რომ გავაცლი, მამინ ნახავენ რა არის სტრატეგია“.

ბაღეიკინის აგდებულ სიტყვები გულზე მოხვდა. არა, გულს თავის თავზე კი არ დაწყვეტია, თავისი მებრძოლები დანანა. გაახსენდა მათთან



ერთად მთებში გატარებული დღეები და ღამეები.

„მერედა, რა ბიჭები არიან, ჯერ მარტო ერთი — ბრაჟნიკოვი რადა ღირს, კაცი მეომრადაა დაბადებული. ცოტა გულგოროზი კია. არა უშავს რა, მოთვინიერდება“.

გენადის უნდოდა თავისი ოცეულის სხვა მეომრებზე გაეხსენებინა, მაგრამ ისინი რატომღაც ბრაჟნიკოვის ყალიბით გამოყვანილებს ჰგავდნენ. თვალტანადობითაც და მხედრული თავდაჭერილობითაც ბრაჟნიკოვის ჩამოჰგავდნენ. ის უნიათო საფონოვი და კაჟკაჟივით ენაჭარტალა კატანჩიკიც კი ბრაჟნიკოვის თარგით იყვნენ მოჭრილნი.

„რა ვუყოთ მერე, ზოგი ნაკლებად დამამახსოვრდა, ზოგი მეტად. ვიშახტრებ მათთან, გავა დრო და ყველა სამუდამოდ ჩამრჩება გულში. ერთი რამეც უნდა ითქვას: კაცი როცა შორსა ხარ, ყველა წვრილმანი როდი გავონდება, ერთი მთლიანი სურათი გახსოვს. ამ მთლიანსა და საერთოს ჯარისკაცი, ამრია ჰქვია. ჰოდა, ეს არის ერთადერთი რამ, რაც ლეიტენანტ გრომოვს თავს ურჩევნია, სულითა და გულით უყვარს. მის გაბიაბრუებას კი არასდროს და არაფის არ გააბედვინებს, მით უმეტეს, ამ ბადეიკინს, სიყვარულისა და ექვიანობის ნიადაგზე გამოთავყვანებულ მამლაყინწას.“

„გამომივიდა რა ესეც სამხედრო გენია. ერთი წერაქვი დაგაჭერინა ხელში და კლდეს გარტყმივინა! ხელი რომ გადაგეყვლიფება, მერე მიხვდები, ვინ ყოფილან ფეხოსანი მეომრები“.

გენადიმ გადაწყვიტა ნაფიქრალი ბადეიკინისათვის პირდაპირ პირში მიეხალა. არა, მთლად ასე მკვახიდ კი არა, მაგრამ ისე, რომ იმ ბიჭობუას კარგად შეეშვა გოგრაში, რას ნიშნავდა ფეხოსანი არმია. მაგრამ როცა სლავას შეხედა, მიხვდა, მასთან კამათი წყლის ნაცვა იქნებოდა.

„შეაყარე კედელს ცერცვი. მაშაც გვერდით მიუჯდა და ახლა მათა შიგან ნებინებ რამეს კაცი? ამ წუთში ფეხებზე არ ჰკიდია ყველა სტრატეგიული

პრობლემა? ან შენ ფეხოსან არმიას რას დაგიდევს, ან რაკეტები და დილაკები რაში ენადლევა. ახლა ამ ყოყლოზე ბიჭისთვის ქვეყანაზე მამას მეტი ადარაფერი არსებობს. მინც რა სასოებით მისჩერებია თავის გულისწორს, გეგონება მორწმუნე კათოლიკე მადონას შეღალადებსო. მამას მადონობამდე ბევრი უკლია. არა, ურიგო გოგო როდია, მაგრამ არც ღამაზი ეთქმის. ჩვეულებრივი გოგოა. თანაც კაი უნასიათოა. მე ხომ ვიცი მაგის ამბავი“.

გენადი მსგავს რამეს წიგნში რომ კითხულობდა, ან კინოში უყურებდა, მწერლების და რეჟისორების მიერ აღამიანების საამებლად გამოგონილ სასიყვარულო ამბად მიაჩნდა. ეს თურმე გამონაგონი კი არა, სიმართლე ყოფილა.

„ამაზე კარგ მაგალითს სად წავაწყდებოდი. ერთი რამ კი ვერ გამოვიგია — ასეთი სულელური ამბები რატომ მოსწონს ხალხს? სიყვარულისაგან ასე გადარევა და თავგზის აბნევა რას მიქვია!.. თუმცა ვინ იცის, იქნებ თავგზა რომ აგებნევა და სიყვარულს მთელი ძალით მიეცემა, ესაა ნამდვილი ბედნიერება? იქნებ... ვინ იცის, ჩემს თავს ვერაფერს ვამჩნევ და ვარიას მიც ისე შეეყურებ, როგორც ბადეიკინი შესჩერებია თავის სატრფოს? არა, არა მგონია. ყოველ შემთხვევაში თავგზა არასდროს არ მებნევა. ვარიას ნახვა კი ყოველთვის მინდა. აი, თუნდაც ახლა, ამ წუთში. ნიტა რა ეშმაკი შემოიჯდა, გამგზავრების წინ ჩემი საყვარელი გოგონა მარტო რომ მივატოვებ?“

გენადი დაფაცურდა.  
— დიდი მადლობა, ლოონიდ სემიონოვიჩ, მეტს ნყოარ დამისხამთ. წავალ. ჰო. დოჩი მივიმავარობი. ბილითი ჯიბეში მიდევს. იური რომ დაბრუნდება, მოკითხვა დადაიცით. ნახვამდის, ამხანაგო ბადეიკინ, ბედნიერად იყავით.

2

მაშა ლეიტენანტს კიბეზე დაეწია და მკლავზე ჩამოეკონწიალა.

ემანუილ ფეიკინი  
ჯარისკაცი, შვილი ჯარისკაცისა

— გაგაცილებ ცოტაზე, გენა.

— მერე შენი მეუღლისა არ გეშინია?

— როგორ არ გეშინია, — გამოტყდა ქალიშვილი, თუმცა ეტყობოდა, რომ თავისი ეჭვიანი შეყვარებულის შიშით გული არ უსკდება, — მამაჩემი და სლავა ჭადრაკს ჩაუჯდნენ. ახლა მას მთელი ორი საათი აღარ გავახსენდები. ღმერთმა ხელი მოუშარათოს. ცოტა ხომ უნდა დაისვენოს ჩემგან.

— იმან შენგან და შენ იმისგან, არა?

— გეტყობა, სლავა თვალში არ მოგივიდა. რატომ, გენა? იცი, სლავა რა ადამიანია? ახლა ასეთი ბიჭები სანთლით საქმებარია ქვეყანაზე.

— ჰო, სულ ორად ორი ბიჭი ყოფილა ასეთი. ერთი შენ შეგხვედრია და მეორეს კი ნიშნულად ინახავენ მომავალი თაობებისათვის, — გაეხუმრა გენადი.

— კარგი, თუ ძმა ხარ, ნუ დაგცინი. ახლა ჩვენი დაცინვა ცოლვად ჩაგეთვლება.

— კარგი, აწი კრინტს აღარ დავძვარე.

— კი, გეთანხმები, ეჭვიანობა საშიშვლებია... მაგრამ თუ ვუყვარვარ, უნდა ეჭვიანობდეს კიდეც. აბა, ისე როგორ შეიძლება! მეც კი ვარ ეჭვიანი. ხანდახან ისე გადავირევი ხოლმე...

— გიყვარს, არა?

— ძალიან, ძალიან, ძალიან! — სერიოზულად სთქვა მაშამ და გახუმლა, თითქოს უნდოდა ეჩვენებინა, რა უმწეო იყო სიტყვები იმ დიდი გრძობისა და სიყვარულის გამოსახატავად, რაც ახლა ქალიშვილს ასულდგმულედა.

გენადიმ სათქმელი ვერაფერი მოიფიქრა, უცებ საკუთარი თავი შეებრა. სულ ერთი წუთის წინ ეჩვენებოდა, რომ ამ ქვეყანაზე უმდიდრესი კაცი იყო. ახლა კი თავი ისე ღატაკად იგრძნო, თითქოს სანუკვარი მიზნისაკენ მიმავალი დიდი გზის დასაწყისშივე გაძარცვსო. თუ არ გაუძარცვავთ, გაატურეს მაინც. გენადი გრომოვი ცარიელ-ტარიელი დარჩა. საშა ბადეიკინს და მაშას კი ზღაპრული საუნჯე ერგოთ, აბა, თქვენ იცით. იხარით და ეხედნენ ერთო. ისინი ეჭვიანობისაგან უნდა იტანჯებოდნენ, სიყვარულით გაცის-

კროვენბულნი მეცხრე ცაზე უნდა დაერინავდნენ და მე... ვარიასთან ვიჯდნა მიხარია, ეჭვი კი ჩემს გულს მუდამ არ გაჰკარებია. გულიც კი არ შემტოვებია. რა ჯანდაბად მინდა ასეთი მშვიდი და ცივი გული? რას მერჩოდნენ, ასე რომ დამსაჯეს?

— შენ რა გიჭირს, მაშენკა, ბედნიერი ხარ.

მაშამ თავი უხმოდ დაუქნია და გენადის ნიდაყვზე ხელი მაგრად მოუჭირა.

— მე იმიტომ დაგეწიე, გენა... იცი, რა მინდა გკითხო? მხოლოდ არ გაგეცინოს. საზღვარზე მსახურობ და ჩვენზე უკეთ გეცოდინება. მითხარი, დაგვესსმიან თავს?

— გეშინია?

— არა, კი არ გეშინია. ვინც ბიჭებზე ნაკლებად იბრძოლოს, ღმერთმა შეარცხვინოს. ხომ გჯერა, მაგრამ ომი არ მინდა. წინათ ხომ არ მინდოდა? და არა, ახლა, სლავა რომ მყავს, ომის გაგონებაც კი არ მინდა, მეზიზღება. წარსულ კვირაში სლავამ წინადადება მომცა, მშობლებსაც უთხრა, მე და მაშა უნდა დავქორწინდეთო. მომკალი და ვერ გავისხენებ, ჰო ვუთხარი თუ არა. სლავამ კარგად იცის. მისი ცოლობა რომ მინდა. რა ვქნა, მინდა ჩემი ქმარი იყოს, სიკვდილამდე ერთად ვიყოთ, ცხოვრების ქაპანი ერთად ვწიოთ... მინდა სლავასთანა ლამაზი ბავშვები მყავდეს. ბედნიერება მწყურია, გენა. პოდა, ომი თუ ატყდა... მაშინ?..

— გამოტყდი, რომ გეშინია, მაშა.

— ოჰ, ნეტავი შენ... რა გაუგებარი ხარ. შიშით არაფრის არ გეშინია. ამ ქვეყანაზე; მხოლოდ სიცრუის გეშინია, მოტყუების გეშინია. შენც, იმიტომ გკითხე...

— იცი რა, მაშა, ეს რომ ჩვენზე იყოს დამოკიდებული, პირადად ჩემზე და ჩემს მებრძოლებზე...

— თქვენზე ბევრი რამაა დამოკიდებული. აბა, რისთვის დაგაყენეს იქ? — დარწმუნებით და მკაცრად სთქვა მაშამ.

„უყურე ერთი, როგორ მეღაპარაყებოდა, — ფიქრობდა შინისაკენ მიმავალი გენადი, — რას იზამ, აქვს კიდევ

ამის უფლება. განა ლეიტენანტი გრო-  
მოვი პასუხს არ აგებს ამ გასათხოვ-  
რად გამზადებულ გოგონას ბედნიერე-  
ბაზე? სამხედროებს ხომ ხშირად გვე-  
უხნებია: „თქვენ თქვენი ხალხის შე-  
მოქმედებითი შრომისა და ბედნიერების  
სადარაჯოზე დგახართო“. ცოტა ხნის  
წინ მეც ამას არ ვამბობდი პოლიტმეცა-  
დინეობაზე? ისიც კარგად მახსოვს,  
მეომრებს რომ ვუთხარი — ხალხის ბედ-  
ნიერება სამშობლო მიწის აყვავება და  
კომუნისმისათვის ბრძოლაში მოპოვე-  
ბული წარმატებებია-მეთქი. ტყუილი  
ვუთხარი თუ? ჰოდა, განა მაშა კრასილ-  
ნიკოვის პატარა ბედნიერება (თუმცა  
რატომას პატარა. მაშა თვითონაა პატა-  
რა, თორემ ბედნიერება დიდი ეკუთვ-  
ნის) საერთო სახალხო ბედნიერებისა-  
გან გამოყოფილია? მაშას ბედნიერება.  
ვარიასი კიდეც...

ვარია!

ვენადის მოულოდნელი აღმოჩენისა-  
გან სული შეუგუბდა. ამ სახელს უკვე  
გულის აუტყვებლად ვეღარ წარმო-  
თქვამს. ეს სახელი ახლა ზღაპრულ,  
ჯადოსნურ სიტყვასა ჰგავს. მოგაგონ-  
დება, იტყვი და თვალწინ რაღაც ახა-  
ლი, შეუტყობელი და მშვენიერი გადა-  
გემლება.

### 3

— ვარია! — ფეხიც არ ჰქონდა სახლ-  
ში შედგმული, ისე დაიძახა ვენადიმ.

— არაფერი ვალდებული არა ვარ.  
მის თავხედურ საქციელს გავუძლო.  
დიან, სწორედ არა ვარ... — შვილს ხმის  
ამოღებაც არ აცალა, ისე მედგრად  
დაიწყო ანტონინა მირონოვამ.

— ვარია სადაა?

— რა ვიცი, მე მისი დარაჯი კი არა  
ვარ.

— სადაა ვარია, მე შენ გეკითხები,  
ვარია სადაა?

— დედა შვილის ხმამ შეაშინა და შე-  
ტყვიდან ხოლად თავდაცვაზე გადავიდა.

— მე რას მერჩი. მე კი არ გამოვლია,  
თვითონ...

— სად წავიდა-მეთქი?

— გიოია ნამდვილი, ვიღაც მეგობარ-  
თან გაემგზავრა.

ანტონინა მირონოვა ცდილობდა,  
შვილისათვის რაღაც აეხსნა, მაგრამ  
ვენადის მისი ნალაპარაკებიდან სიტყვების  
არ მისწვდენია.

...გაემგზავრა. ესე იგი, მისთვის არა-  
ფერი არ ვყოფილვარ, არ ვყვარები-  
ვარ. მერე მე? აქამდე ჩემი თავი ვარიას  
მთარველ-ანგელოზად მიმაჩნდა, მისი  
სალოცავი ხატი ვიყავი მეგონა, თურმე  
ტყუილად. ამ ქალიშვილისთვის გროშა-  
დაც არ ვღირებულვარ, შესძლებია  
უჩემოდ ცხოვრება. მე კი... მე რომ  
ალარ შემიძლია...

ვენადი ფაცა-ფუცით იცვამდა, დე-  
დის ხმა თითქოს ძალიან შორიდან,  
ქვესკნელიდან ესმოდა. ძლივს მიხვდა,  
რომ დედა ვარიას წასვლის ამბავს  
უყვებოდა. ვენადის არც ერთი სიტყვა  
გონებამდე არ ჩასწვდენია. ნეტავ რა  
ალაპარაკებს? ახლა რა ფასი აქვს ამ  
სიტყვებს?

...ვენადიმ ქალიშვილის ძებნით ტყუი-  
ლად შეაჯერა მოსკოვის ყველა ვაგზა-  
ლი. ამაოდ დაშვრნენ რადიოკვანძები:  
„მოქალაქე ვარვარა კუზმინინა იგნა-  
ტოვა, გთხოვთ სადგურის მორიგესთან  
გამოცხადდეთ. გთხოვთ გამოცხად-  
დეთო...“ ვარია ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ,  
ვერაფერი გაიგო. დაავიანა ვენადიმ.  
ხელიდან გაუშვა თავისი ბედნიერება.

ლეიტენანტი სახლში შუადღისას  
დაბრუნდა. გასავათებულს არაფრის თა-  
ვი აღარა ჰქონდა. ერთი საათის შემდეგ  
მისი მატარებელი გადიოდა. ვენადის  
არც გაუხვდია, ისე დაიწყო ჩემოდნის  
ჩალაგება. ცდილობდა, დედის სახეს  
არ წაწყდომოდა: ორივენი დუმდნენ.  
მხოლოდ მაშინ, როცა ვენადი უკვე  
კართან იდგა, დედა შვილთან მიიჭრა,  
მკლავზე ჩამოებლაუჭა და აქეთიანდა:

— მაპატიე, ვენა. შენ მხოლოდ მისა-  
მართი მაცნობე მისი და მე თვითონ...  
ჩემი ფეხით წავალ და ჩამოვიყვან. მა-  
პატიე, შენი ჭირიმე, არ ვიცოდი, ასე  
თუ გიყვარდა.

ვენადის უნდოდა მკვანედ ეპასუხნა,

ემანუილ ფეიგინი  
ჯარისკაცი, შვილი ჯარისკაცისა



მაგრამ დედას რომ შეხედა, სახტად დარჩა. ამ რამდენიმე საათში საოცრად შეცვლილი ეჩვენა. მის წინ ახლა უბრალო, ხანში შესული ქალი იდგა. შიმნაკრავი, ნამტირალევი სახე მობერებული ჰქონდა. გენადიმ კარი უხმოდ გაიხურა.

ლეიტენანტი მთელი ღამე ვაგონის დერეფანში იდგა, პაპიროსს პაპიროსზე ეწეოდა. ალმურმოღებული შუბლი ფანჯრის გრილი მინისათვის მიეყრდნო და ვარიაზე ფიქრობდა. რაც უფრო მეტს ფიქრობდა, გული მით უფრო უძძიმდებოდა.

„ნეტავ ახლა ძმა ან მეგობარი მედგას გვერდში. რა ცუდია, რომ ამხანაგი საერთოდ არა მყავს, კაცი, რომელსაც ჭირსა და ლხინს გაუზიარებ, ვაგიგებს და დაგამშვიდებს.“

#### თავი მეთხუთმეტი

საუბარი, რომელიც ასე სწყუროდა გენადის, არ შემდგარა. ლაპარაკობდა მხოლოდ ბრაქენიკოვი. გენადის კი, მეტი რა ჩარა იყო, უნდა მოესმინა.

ლეიტენანტს მინცადამაინც არც აინტერესებდა და არც აღელვებდა ეს კრება, მანამდე, სანამ თავის სახელს არ მოჰყრა ყური. ახლაც არ იცის, ვინ დასახელა კომკავშირული ბიუროს წევრობის კანდიდატად.

გენადი მიხვდა, რომ ასეთ პატივზე ღირსეულად უნდა ეთქვა უარი. „მადლობელი ვარ, ამხანაგებო, მაგრამ თქვენს კოლექტივში მე ჯერ ახალი კაცი ვარ. ჯერ საშუალება მომიცით, თავი გამოვიჩინო“, — იტყოდა და საქმეც ამით გათავდებოდა. მაგრამ გენადის სულმა წასძლია.

„ჩემს თავს რა ვუთხრა, ასე რამ გამომატვინა, ნეტავ რისი იმედი მქონდა?“

მაგრამ ეს საღი აზრები თავში გვიან მოუვიდა, პირველად კი სიხარულისაგან თავბრუ დაეხვა.

„შემინუნეს, მაწინაურებენ. მერე რა,

ვერც დედას, ვერც მამასა და ბაბუას ვერ გაუმხეღდა ახლა გენადი, ვერც ნადევლს. აი, სერგეი ბრაქენიკოვის გაენდობოდა, როგორც სწორი სწორს, როგორც ღვიძლ ძმას, როგორც მეგობარსა და ამხანაგს. სერგეი შორიდან ჩანს ისეთი მკაცრი და უხეში, თორემ გენადის სულ არ უყუბრებს ქედმაღლურად. „ღარწმუნებული ვარ, კეთილი და გამგები იქნება. თუ მოვახერხებ, დავუმეგობრდები... და გულს გადავუშლი, ყველაფერს მოვუყვები, არაფერს არ დავუმალავ. უნდა ველაპარაკო, თორემ დარდისაგან გული გამისკდება. არა, არ იფიქროთ, სისუსტის გამო დასავოშმინებლად სუსტისაყენ მივიწვედე. ძალა ძალას უნდა შეუერთდეს, უფრო ძლიერი უნდა გახდეს.“

მათ იმედებს არ გავამართლებ თუ? მოკვდები და თავს არ შევირცხვენ.“

ხედავთ, თურმე ლეიტენანტი სავრასოვი გრომოვზე რა კარგი აზრისა ყოფილა. გენადის კანდიდატურას სულითა და გულით დაუჭირა მხარი. ისეთი კარგი, დამაჯერებელი სიტყვა წარმოთქვა, კაცი უკეთესს ვერ ინატრებდა.

— მეორე ოცეულიდან ვინმეს ხომ არ სურს სიტყვის თქმა? — იკითხა თავმჯდომარემ.

სიჩუმე არავის დაურღვევია.

— ვიმეორებ, იქნებ ამხანაგ გრომოვის ოცეულიდან ვინმეს უნდა გამოსვლა?

უცნაური სიჩუმე ჩამოვარდა. ეს უკეთური დუმილი კარგს არაფერს მოასწავებდა. თავმჯდომარის დაქინება ხომ სულ არ უჯდება გენადის ჭკუაში. ნეტავი რა უნდა? არც ერთი დასახელებული კანდიდატი არ გაუხდიათ საკამათოდ. რაღა ახლა მოუნდათ მინცადამაინც ალიაქოთის შექმნა. კრების თავმჯდომარეც ახლა დადგა პარლამენტალური დებატის ხასიათზე.

— აბა, რას ვიტყვით? — იკითხა თავ-  
მჯდომარემ.

— რა არის აქ გასაჰიანურებელი...  
ლეიტენანტი ნამდვილი არწივია, —  
დაიძახა ვევორქ კაზანჯიანმა ისე, რომ  
სკამიდან არც კი წამოწულა.

— სწორია, არწივია, — კვერი დაუ-  
კრა მიკეშინმა. იგი რატომღაც წამოდგა  
და ჩაახველა. ყველას ეგონა, ანდრეი  
მატვევიჩის სიტყვის თქმა უნდაო.

— აბა, ტრიბუნაზე, მიკეშინ! — დაუ-  
ძახა თავმჯდომარემ.

— არა, მე მოკლედ ვიტყვი, — უკან  
დაიხია მიკეშინმა. — არწივიაო, რომ  
სთქვეს, მართალია, არ ვეწინააღმდეგე-  
ბი. კარგია, რომ არწივია. მხოლოდ  
ცული ის არის, რომ ლეიტენანტს რაღაც  
ორი დღეა ვიცნობთ...

— მერე რა მოხდა? — ბოლო რიგე-  
ბიდან იკითხა ვილაცამ.

— რა და, ლეიტენანტს კარგად არ  
ვიცნობთ, — რატომღაც გაცხარდა მიკე-  
შინი, — მე მოვრჩი, — უთხრა თავმჯ-  
დომარეს და დაჯდა. დარბაზში სიცილ-  
მა გადაიბინა.

გენადიმ გაიფიქრა: „ჩავფლავდი.  
მინც რა უაზრობაა, საკმარისია ერთი  
მოუქნელი, გაუგებარი წინადადება და  
ყველაფერი წყალში იყრება. არა, ჯერ  
დასასრული არ დამდგარა, კიდევ არის  
რაღაც იმედი“.

სიტყვა სერგეი ბრაჟნიკოვმა ითხო-  
ვა. და აი, ის ტრიბუნისაკენ გაემართა,  
მშვიდი, თავდაპირველი. მის ვაჟკაცურ  
გამოხედვაში იმდენი სითბო და სიკეთე  
სჩანდა, რომ გენადი მაშინვე დამშვიდ-  
და. „ყველაფერი როგუ იქნება. გამოვა  
ახლა და ყველაფერს სამართლიანად  
იტყვის. ვიცი, საფონოვის გამო კია  
ჩემზე გაულისებული, მაგრამ ის შე-  
ჯახება გაუგებრობა იყო და მეტი არა-  
ფერი. რა მოხდა მერე, ვაჟკაცი კაცი  
არ დაწვრილმანდება. ამის გულისა-  
თვის უსამართლოდ არ მოიქცევა“.

ბრაჟნიკოვმა დინჯად დაიწყო:

— რა თქმა უნდა, მეც შემეძლო მი-  
კეშინივით მეთქვა, ლეიტენანტს კარ-  
გად არ ვიცნობთ-მეთქი. ეს თითქოს  
სწორია და რაც მთავარია, ხელსაყრე-

ლია — არც მწვადი იწვება და არც  
შამფური. მაგრამ მე სხვას ვიტყვით: მე,  
პირიქით, ისეთი გრძნობა მაქვს, ვერ  
ქოს ამხანაგ გრომოვს დიდი ხანია ვიც-  
ნობ, მგონი, რაც თავი მახსოვს, იქიდან...

რომელიღაც „ენამოსწრებულმა“ ვერ  
მოითმინა:

— აბა, კარგად დაფიქრი, შეიძლება  
ბაგაში გაიციანით ერთმანეთი, თქვენი  
ბავშვობის ვარიანტზე.

ხუმრობას არავინ აუბა მხარი. ყვე-  
ლაზე თავშეუთქავებელი ლაზღანდარე-  
ბიც კი მიხვდნენ, რომ ახლა სიცილის  
დრო არ იყო. ყველამ კარგად იცის,  
სერგეი ბრაჟნიკოვს თავის დროზე ხუმ-  
რობაც ემართებოდა და სიცილიც უყვარს.  
მხოლოდ ხანდახან, როცა შუბლს შეიჭ-  
მუნის, მაშინ სჯობია, სწორად გაუგო  
და სისულელეებით გული არ შეუწუხო,  
თორემ კისერს წაიტეხ.

აი, დღესაც, ეტყობოდა, ტრიბუნაზე  
სამხიარულო საქმისათვის არ იყო ასუ-  
ლი. სახე, ერთი შეხედვით, თითქოს  
მშვიდი ჰქონდა, მაგრამ კარგად თუ ჩაუ-  
კვირდებოდი, აღმოაჩენდი, რომ დაღ-  
ლილ სახეზე მღელვარების, სულიერი  
ბრძოლის და ასე გასინჯეთ, ნაღველის  
კვლიც კი ეტყობოდა. სწორედ ასეთი  
სახე აქვს კაცს, ვისაც მეტისმეტად არა-  
სასურველი, მეტისმეტად არასასიამოვნო  
მოვალეობის შესრულება დაეკის-  
რება ხოლმე.

— ამიტომ, თავს ნებას მივცემ რამ-  
დენიმე სიტყვა ვთქვა ამხანაგ გრომოვ-  
ზე, — აუჩქარებლად და ხმის აუმაღ-  
ლებლად გააგრძელა სერგეიმ. დარბა-  
ზიდან ნასროლი რეპლიკა აინუნშიაო  
არ ჩაუგდია. — არ მინდა თქვენი ყუ-  
რადლება ბოროტად გამოვიყენო. მოკ-  
ლედ ვიტყვი. აქ ამხანაგები არწივს  
ახსენებდნენ. მოდი, გავერკვეთ ერთი,  
რას წარმოადგენს არწივი. არწივი რომ  
მშვენიერი ფრინველია — ამაყი, მამა-  
ცი, ძლიერი — თქმა არ უნდა. ამბობენ,  
არწივი თავიდანვე ფრინველთა სამეფოს  
მბრძანებლად იბადებაო. შეიძლება ასეც

ემანუილ ფეიგინი

ჯარისკაცი, შვილი ჯარისკაცისა

იყოს, ვერაფერს ვიტყვი, რაც არ ვიცი, არ ვიცი. მაგრამ ადამიანი რომ მეთაურად არ იბადება, ეს კი ნამდვილად ვიცი, ამას წყალი არ გაუვა. აი, ამხანაგი გრომოვი კი სხვაგვარად ფიქრობს, ეს კი არ ვარგა...

თავმჯდომარემ წყლიან გრაფინს მიუცაკუნა:

— საქმეზე ილაპარაკე, ამხანაგო ბრაჟნიკოვ, ფაქტები გვითხარი, თორემ ვინ რას ფიქრობს, ეგ არც შენ იცი და არც ჩვენი.

— რატომაც არა? ძალიან კარგად ვიცი. ამხანაგმა გრომოვმა თავისი პირობით მითხრა, ჩემი მოვალეობაა განკარგულებები გაცე, სხვისი აღზრდა რა ჩემი საქმეაო. არ გეგონოთ, ამას საკამათოდ ვხდიდე. მეთაური განკარგულებებს უნდა იძლეოდეს, არამიაში უამისოდ სად გაგონილა, მაგრამ კომკავშირში მბრძანებლობის უფლება არავის არ აქვს — არც არწივეებს და არც სხვა ჯურის ჩიტებს — არავის. ჰოდა, ჩემი აზრით, არ ღირს გრომოვის არჩევა კომკავშირის ბიუროში. ჯერ ისევ რიგითი კომკავშირელი იყოს, მანამ, სანამ თავისი ამხანაგი — ჯარისკაცის პატივისცემას არ მიეჩვენება, სანამ არ გაიგებს, რომ მას, კომკავშირელ გრომოვს, მოქალაქე ჩააბარეს, ისეთი, როგორიც თვითონაა, საბჭოთა მოქალაქე, საბჭოთა ადამიანი და არა ბოსტნის საფრთხობელია. ამხანაგმა გრომოვმა კი ამ რამდენიმე ხნის წინ თავს უფლება მისცა ერთი ჩვენი კომკავშირელისათვის ასე ეწოდებინა.

ბრაჟნიკოვი გაჩუმდა.

— მოათავე? — შეეკითხა თავმჯდომარე.

ბრაჟნიკოვმა თავი დაუქნია და გიმნასტურის სწორებ-სწორებით თავისი სდგილისაკენ გაემართა. პირველ რიგში მჯდომი ნიკოლოზ მაკაროვი თითქოს თავის დანაშაულს მიხვდა, ბრაჟნიკოვს მხერა გააყოლა და ამოიხორა:

— დემეტო, რა შტერი ვყოფილვარ, — ნადვლიანად შემოლუწყრა საკუთარ თავს მაკაროვი, — ჩამივარდა კოვზი ნაცარში. ბრაჟნიკოვი სულ არ ყოფილა ისე-

თი, როგორიც ჩემს ნარკვევში დაგვხატე. მინდოდა თუ არ მინდოდა, იმ ბუნებრივ ცინიკოსის აირუმინის ქვეყნის მხრივ — თითქოს ბრმა ცხენი ბრმა მხედრის ალვირს მიჰყვებო. იმიტომაც არ გამოვიდა არაფერი. ან კი რა უნდა გამომსვლოდა“.

მაკაროვს ახლაც სირცხვილის აღმურო ასდის, რედაქტორთან ბრაჟნიკოვზე დაწერილ ნარკვევზე საუბარი რომ ავონდება. მაკაროვი მაშინ რედაქტორის კაბინეტში სახეგაბადრული შევიდა — დარწმუნებული იყო, შედეგრი შეგვემენიო. მაგრამ... რედაქტორმა ნარკვევი წაიკითხა, ფურცლებს ქინძისთავი აუჩქარებლად მოხსნა და კოლოფში ჩააგდო. შემდეგ ხელნაწერი ასევე აუჩქარებლად დაქმუქნა და კალათაში მშვიდად გადაუძახა.

— შენი ბრაჟნიკოვი კამფეტის შესახვევ ქალაღზე დახატულ სურათს უფრო ჰგავს, — სთქვა რედაქტორმა, — დამიჯერე, სჯობთა კალათაში გადავიგდო, ვიდრე გაზეთში მოვათავსო.

მაკაროვს ტუჩები შეუტოკდა.

„განიცდით, ხომ? — ჰკითხა რედაქტორმა. — არა უშავს, არაფერი გიჭირთ. ჩვენი ხელობა ასეთია, ყველაფერი უნდა განვიცადოთ. ამ კალათას კი ნუ მიჩერებინართ ასე გაბორბლებულად. სარედაქციო კალათა ყველაზე სამართლიანი მასწავლებელია, მხოლოდ ჰკვიანებისთვის. ჩვენს რედაქციაში კი, მე მგონია, სულელი არავინა გყავს.“

„შეიძლება წავიდე?“

„წაბრძანდით, — ნება დართო რედაქტორმა. — ბრაჟნიკოვს თავს ნუ დაანებებთ. მხოლოდ მის პორტრეტს მეტი სიცოცხლე მიეციოთ. ყალბი კი არა, ნამდვილი, მისი სულიდან და გონებიდან გამომდინარე. მაშინ კი, მერწმუნეთ, აუცილებლად გამოვივათ“.

„აი, ახლა მართლა გამოვივა, — გადასწყვიტა მაკაროვმა და ბრაჟნიკოვს კიდევ ერთხელ შეავლო თვალი, — ყველაფერს თავიდან დავიწყებ. სულ თავიდან — პირველი სიტყვიდან, პირველი ასოდან“.

სამხედრო გაზეთის კორესპონდენტს



ამ მწარე მოგონებამ გული ისევ ატკინა და ჩუმი ხმით ამოიოხრა. მის გვერდით მჯდომ ჯარისკაცსაც კი არ გაუგონია ეს ჩუმი ოხვრა, თავმჯდომარემ კი მაშინვე გრაფინს მიუკაკუნა.

— ყურადღება, — ისე სთქვა, თითქოს-და სიჩუმის დარღვევას ვინმე აპირებდა, — ამხანაგ გრომოვის კანდიდატურაზე შემოსულია ორი წინადადება, კენჭი ვყაროთ, ამხანაგებო! ვინ არის მომხრე, რომ...

„რატომ მტკივა ასე გული? — ფიქრობდა გენალი. — მე მგონი არავის გაუღანძღვიარ, არც შეურაცხყოფა მოუყენებია ვინმეს. გული კი მაინც მტკივა. ოღონდ ბრაქნიკოვი არ გამოსულიყო... და ამ სიტყვებს სხვისგან უფრო ავიტანდი. მე ხომ სულით და გულით მისი მეგობრობა მწყურია! სულით და გულით! ის კი...“

## 2

მიუხედავად იმისა, რომ გენალი დანარჩენებივით ყველაფერს კეთილსინდისიერად და გულწრფელად აკეთებდა (დანარჩენები კი, გენალის გულში რომ ცეცხლი ღვლდა, იმის მეთაურობით არ განიცდიდნენ. თავისუფლად, ძალდაუტანებლად აძლევდნენ ხმას ვინმეს სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ. ეს იმაზე იყო დამოკიდებული, თუ რა აზრისანი იყვნენ ბიუროს წევრობის კანდიდატებზე), ეჩვენებოდა, რომ ყველასაგან გაირიყა, თავი ეულად იგრძნო. მაშ, არ აირჩიეს, ნდობაზე უარი უთხრეს!

ამიტომაც იყო, რომ შესვენებაზე ბაპიროსის მოსაწევად საერთო ოთახში აღარ წასულა. კარი გააღო და ფოიეს ცივ ვერანდაზე გავიდა. სწორედ იქ მიაგნო ლეიტენანტმა გრიშინმა. გენალის კლუბის დროებითი უფროსი თვალში არ მოსდიოდა. ლეიტენანტ გრომოვის იგი მუქთახორა, მსუნაგ აღამიანად მიაჩნდა, არმიულ გემრიელ ქვაბს რომ ვერაფრის დიდებით ვერ მოგლეჯ. ასეთი კაცის დანახვაზე ხასიათი გიფუტდება, გული გერევა. დიდი ძალა უნდა მის გაძღვებას, მაგრამ მაინც

უძღვებ, ალბათ იმიტომ, რომ ფიქრობს სადაც ასი კაცი გაძღება, იქ ასე შეიძლება თუც შეიძლება გაძღესო. გულდამშვიდებულ აღამიანებს ჰგონიათ, თითქოს ასეთი კაცი არავის არ აწუხებს, არავის არაფერს უშევებს. სიმართლე თუ გინდათ, ყველას კარგად უნდა ახსოვდეს, რომ ასეთი კაცი მაინც პარაზიტია. ამაში გენალი მტკიცედ არის დარწმუნებული. მაგრამ რას იზამ, როცა კაცი ასე გულისამაჩუყებლად გიღიმის, თანაგრძნობას გიცხადებს, მოდი და, თუ ბიჭი ხარ, მიახალე პირში, მსუნავი და მუქთახორა ხართო.

— აქ რას იყინები, ლეიტენანტო? — შინაურულად გადახვია ხელი გრიშინმა. — სჯობია ჩემთან წავიდეთ, მუსიკა მოვისმინოთ, ჩაი დავლიოთ. თუ გინდა, ნერვების დასამშვიდებლად ას-ასი გრამიც გადავკრათ. თაღარიგინი კაცო ვარ, შემონახული მაქვს. წამო, წამო. შესვენება ჯერ კარგა ხანს არ ვათავლებ, აქ კი ისე ცივა, თავი სამხრეთ პოლუსზე გეგონება.

— გამაღობთ, მე აქ მოვწევ ბაპიროსს. — მტკიცედ სთქვა გრომოვმა და ცოტა არ იყოს, უხეშად მოიშორა გრიშინის მკლავები.

გრიშინს ეს არ სწყენია.

— გული გინდა გადააყოლო? — სიცილით ჰკითხა მან, — კარგი ერთი, თუ ძმა ხარ. შენ, როგორც გეტყობა, გულფიცხი ყმაწვილი ყოფილხარ. მაგაზე იკლავ თავს? შენგან არ მიკვირს?! მე ეგეთ ამბებზე გულისხმეთქვას დიდი ხანია შევეშვი და თავსაც მშვენივრად ვგრძნობ. შე რომ გამათახსირეს, შენი გაკრიტიკება იმასთან მონალონი იყო. გგონია, გული მეტკინა? ვერ მიართვებს. ფეხებზე არა მკილია! აინუნსიც არ ჩამიგლია. მე, ჩემო ძმაო, იმუნიტეტი მაქვს გამომუშავებული. სხვანაირად ჩვენს კრიტიკულ ეპოქაში ცხოვრება ძალიან ვაგვიკირდება.

გენალის ბუნდოვნად გაახსენდა, რომ კრებაზე გრიშინს მართლა გვარიანად

ემანუილ ფეიგინი  
ჯარისკაცი, შვილი ჯარისკაცისა

მოსცხეს. რატომღაც არავის არ მოსწონს კლუბის მუშაობა. გრიშინის მისამართით გენდიმაც ისროლა გესლიანი რეპლიკა. მაგრამ, ღმერთო, გენადის ამ წუთში ეს რაღაც შორეული ამბავივით აგონდება...

— რაო, რა სთქვით, კრიტიკული ეპოქაო? — ჩაიცინა გენადიმ.

— ტყუილად გეცინება, ლეიტენანტო, — თავი გაიქნია გრიშინმა. — ჩვენი ეპოქა ყოველ მხრივ კრიტიკულია. მენდღე, მართალს გეუბნები. ამ შემთხვევაში მხოლოდ კრიტიკა და მოკრიტიკეები მყავს მხედველობაში. სწორედ მოკრიტიკეები და დემაგოგები. შენი არ ვიცი, ლეიტენანტო და მე კი ნამდვილად ვფიქრობ, რომ არმიაში აღარ გაიძლება, თავს დროზე უნდა უშველო, თორემ დემაგოგები ძვლებიანად შეგსანსლავენ. ნახვდ თუ არა, აგერ შენ და აგერ მე. აბა, მითხარი ერთი, რას გერჩოდნენ? მოწინავე ოფიცერი ხარ, მეცადინეობაზე მარგალიტივით გამოირჩეოდი. ბოდიში, ბატონო, ვიღაც გამოშტერებულ ჯარისკაცს როგორ გაუბედვ, ბოსტნის საფრთხობელა ხარო. რამოდენა ცოდვაა! ერთი მიბრძანეთ, ასეთ გამოლენჩებულ კაცს, აბა, რა უნდა უწოდო, აპოლონ ბელვედერელს ხომ არ დაუძახებდი? მანამდე არ აუდგათ გვერდები! ის ბრაჟნიკოვიც კაი მეტიჩარა ვინმეა, ძალიან მოაქვს თავი... ხედავ, თურმე მეშახტის მგრძნობიარე ყური ვერ იტანს ლანძღვა-გინებას. მისმა მზემ! არმიაში ამისთანა მეტიჩრებს ლოლიავი თუ დაეუწყეთ, კარგად იქნება ჩვენი საქმე. ყოველ ნაბიჯზე ერთი და იგივეს ლაქლაქობენ: ადამიანური ღირსება, ადამიანური ღირსება, ადამიანური ღირსებაო. რა არის ეს ღირსება, თვითონაც ვერ გეტყვიან. კეთილი ინებონ და დამიმტკიცონ, რომ სასარგებლო საქმისათვის ჯარისკაცის გამოლანძღვა მისი ღირსების შელახვაა. ამ დროს კაცს შეიძლება დედაც შევაგინო. დიდი ამბავი! ვითომ ფრონტზე მეთაურები არ იგინებოდნენ. სწორს არ ვამბობ?

— თქვენ ნამყოფი ხართ ფრონტ-

ზე? — თანდათან სიკვებოდა გულზე გენადი.

— მე? საიდან? სულ სამი წლისაა, ვიქნები შენზე უფროსი. ერთი ფრონტზე ყოფილიყო ეს ამბავი, იმ შენს ბრაჟნიკოს...

გრომოვი მოთმინებიდან გამოვიდა:

— გეყოფათ! — შეჰყვირა ბრაზისაგან გაფითრებულმა ლეიტენანტმა, — როგორ არა გრცხვენიათ, ამხანაგო უფროსო ლეიტენანტო! თავი დაანებეთ ბრაჟნიკოს! ის თქვენი სახსენებელი არაა, გესმით? მეც დამანებეთ თავი. აღარ მინდა თქვენი მოსმენა.

გრიშინმა გაკვირვებისაგან თვალები დააქყიტა, მაგრამ მაშინვე დამშვიდდა, მხრები აიჩეჩა და გულკრილად წარმოთქვა:

— ვითომ რას გაგულისდი, ლეიტენანტო? მე შენსკენ, შენ კი ეშმაკებისკენ, — მერე გენადის დამცინავი სიცილით მიადევნა, — მაინც გირჩევ, ნერვებს მიხედო. ნევროპათოლოგთან შეიარე, თუ ვერ გიშველოს — ფსიქიატრიც იქვე იქნება. ნერვებს მოუფრთხილდი, ყმაწვილო, ნერვებს, გამოგადკება.

გენადიმ თავი დაიშოშმინა და გაიფიქრა:

„ეს მგონი სიმართლე წამოსცდა, ნერვებს მოფრთხილება უნდა, ასეთ უბრალო რამეზე გაგიყება როგორ შეიძლება. ნერვებმა კაცს სიკვდილამდე არ უნდა გიმტყუნოს.“

### 3

იმ დილას დაკვირვებულ კაცს არ გამოეპარებოდა, რომ მთელს ოცეულში მოუხსენებლობა იგრძნობოდა. რიგითი ჯარისკაცებიც, სერჟანტებიც, ლეიტენანტი გრომოვიც რაღაც აფორიაქებული ჩანდნენ, მით უმეტეს, რომ დღეს ყველაზე ჩვეულებრივი მეცადინეობა ელოდათ. პოლკოვნიკმა წარსული ტაქტიკური მეცადინეობა გაარჩია და ოცეულს სათანადო მითითება მისცა. ახლამათ მხოლოდ ეს მითითებანი უნდა გაეთვალისწინებინათ. ეს იყო და ეს. ოცეული შეტევაზე უნდა გადასულიყო.

ახლა მთავარ ამოცანას სწორედ შეტევის ოსტატურად ჩატარება წარმოადგენდა.

— შეტევაზე, წინ! — ბრძანებას გასცემს ლეიტენანტი.

იმ ღამეს გენადის დიდხანს არ მოუხუჭავს თვალი, ფიქრებზე აბეზარი ბუზებივით ეხვეოდა: „მაქვს კი ამიერიდან ამ სიტყვების წარმოთქმის უფლება?“ — ფიქრობდა გრომოვი.

ოცეული შეტევაზე გადავა, თავის მეთაურს დაემორჩილება. ერთს დაიძახებს, „მომყევით, ცეცხლშიო“ და ოცეული ბრძოლის ქარ-ცეცხლში გადაეშვება. მაგრამ, ერთი ეს მითხარით, გენადი გრომოვს თუ წაყვება ეს ხალხი? ლეიტენანტ გრომოვს კი არა, გენადი გრომოვს? აბა, როგორ უნდა წაყვენენ, თუკი პატივს არა სცემენ?“

უცებ გენადის გონება გაუნათდა:

„მე რომ ახლა დავდგე და ამ ხალხს ჩემი კაიბიჭობა ვუმტკიცო, სისულელე იქნება. ანდა რით შემძლია დავუმტკიცო? ახლა მთავარია, მათი პატივისცემა დავიმსახურო. დიახ, პატივისცემა და ყველაფერი მშვენივრად იქნება.“

გენადიმ ჯერ არ იცოდა, ამას როგორ მოახერხებდა, მაგრამ გულზე ისე მოეშვა, თითქოს უზარმაზარი ლოდი მოსწყდაო. დამშვიდდა, გახალისდა, მომავალს ისევ იმედის თვალით შეხედა, თორემ უკვე ფიქრობდა: „დავილუპე. არაფრად არ ვუქნივარ ღმერთს, ჩემს საოფიცრო კარიერას ბოლო მოელოო“. ასე გასინჯეთ, გეგმებსაც კი აწყობდა: ციმბირში წავალ, რაიმე ძნელ მშენებლობაზე მოვეწყობი. ცხოვრებას თავიდან, ახლებურად დავიწყებო. სულელს ის კი აღარ უფიქრია, რომ სადაც არ უნდა წასულიყო, ხალხს ვერსად გაექცეოდა, საქმე მაინც ადამიანებთან ექნებოდა, აგერ ოცეულში რომ ჰყავს, ისეთ ადამიანებთან. სად გინდა წახვიდე, რომ ხალხს არ გადაეყარო? კაცს მხოლოდ ისღა დაგრჩენია, ადამიანებთან ადამიანური ცხოვრება ისწავლო.

გენადი გრომოვი, იცოცხლე, კი მიხ-

ვდა, რომ თავისი ოცეულის სიყვარული და პატივისცემა უნდა დაემსახურებინა. იქნებ მითხარათ, მარტო მიხვდა, ძალიან კარგი და პატიოსანი, მაგრამ მარტო მიხვედრა საქმეს რას უშველისო. რას იზამ, სიმართლე თქვენს მხარეზე იქნება, საკუთარი დანაშაულის გაგება როდი კმარა. დანაშაული უნდა გამოასწორო. ამას კი დრო სჭირდება. ახლა კი... ახლა დილაა და მეცადინეობაზე უნდა წავიდეს. ეჰ, ერთი მისი ნება იყოს, გუშინდელი კრების შემდეგ აუცილებლად გადადებდა თავის ხელქვეითებთან შეხვედრას. რა ქნას, მტკიცე ბიჭი კია, მაგრამ ახალგაზრდულ სიმორცხვის მაინც ვერ დასძლია. საკუთარ თავსაც კი უმაღავდა — არა ვარ მორცხვიო. მერედა, რატომ? განა ამაში არის რაიმე ცული? ყმაწვილ-კაცობიდანვე ურცხვები მხოლოდ ხელიდან წასული არამხადები არიან. მათ ფეხებზე ჰკიდათ ყველაფერი. ეგლა აკლიათ, თავი სულიერი მღელვარებით აიტკივონ. ადამიანები პატივს არ მცემენო, იმაზე იღარდებენ სწორედ. ასეთ კაცს რომ სახეში მიაფურთხო, ერთი ძარღვი არ შეუტოკდება, არც მოიწმენდს, იტყვის — წვიმა მოდისო.

გენადი ხომ ასეთი კაცი არ არის. არც ოცეულში ჰყავს ურავო ბიჭები. ამიტომ იყო, ლეიტენანტის მოლოდინში ისინიც გვარიანად ლელავდნენ. სერგეი ბრაყნიკოვმა თავის ლეიტენანტზე იმდენი იფიქრა, სანამ მოსვენება საბოლოოდ არ დაკარგა. სულ ცოტა ხნის წინ კი საკუთარ თავს არწმუნებდა — ლეიტენანტი რა თავში ვიხლიო? ახლა კი დარდი ჭიასავით შეუჩნდა გულში. არა, თავის გამოსვლაზე სერგეი იოტის ოდენადაც არ ნანობდა. ის კი არა, გულწრფელად სჯეროდა, რომ თავისი ვალი მოიხადა. დიახ, სწორედ ვალდებული იყო, ასე ელაპარაკა. სერგეის თავის სიმართლისა სჯეროდა, მაგრამ ვერ იქნა და ვერ დაშოშმინდა. ბრაყნიკოვი მიჩვეული იყო თავისი საქციე-

ემანუილ ფიგინი  
ჯარისკაცი, შვილი ჯარისკაცისა



ლი აეწონ-დაეწონა, წინასწარ განეჭვ-  
რიტა, მის ნამოქმედარს რა სარგებ-  
ლობის მოტანა შეეძლო. მერე, გრომო-  
ვი რომ გააკრიტიკა, ვითომ აქედან გა-  
მოვა რამე სახიერო? ეჰ, უფალმა  
უწყის.

სერგეიმ კარგად იცის — კრიტიკას  
ყველა სხვადასხვანაირად იღებს. ერთნი  
გინდ გაგაკრიტიკებია და გინდ მგლის  
თავზე სახარება წავგიკითხავს, მეორენი  
კრიტიკას გვერდაუვალ ბოროტებად  
თვლიან და გულგრილად იტანენ კრი-  
ტიკით გამოწვეულ დარტყმებს და სიმ-  
წარეს; მესამენი კი კრიტიკას შეუტაცხ-  
ყოფად ლებულობენ და ბრაზობენ.  
მოგესხენებათ, გაგულსებთა ვერაფერი-  
შვილი მრჩეველი და ვერაფერი სამარ-  
თლიანი მსაჯულია; მეოთხენი ჯერ,  
იციოცხლე, აფუცხუნდებიან და მეგობ-  
რების კრიტიკას მწარედ განიცდიან,  
მაგრამ თანდათანობით იმასაც ეჩვევიან,  
ტყუილ თუ მართალ ცოდვას მოინანიე-  
ბენ, წინასწარ იციან, თავს რომ მოიკა-  
ტუნებ, შეცოდებას აღიარებ და ამხანა-  
გებს პირობას დაუდებ — გამოვსწო-  
რდებიო, თავს მიგანებებენ. ყველაფერი  
რომ მიწყნარდება, შენც აღგები და  
ისევ შენსას ვააჭენებ. ამისთანების  
კრიტიკა სერგეის წყლის ნაყვად მიაჩ-  
ნდა: გინდ რომის პაპის კომპაგშირული  
აღზრდა მოგინდომებია და გინდა ასეთი  
კაცის გამოსწორება — არაფერი არ  
გამოგივა. მაგრამ, მადლობა ღმერთს,  
ასეთი შუბლმაგარი ხალხი ბევრი არა  
გვყავს, უმრავლესობას, იციოცხლე, გაკ-  
რიტიკებისას კული ეწვოდეს. სერგეი  
იმას კი არ ფიქრობდა, რომ კრიტიკის  
გარეშე ცხოვრება შეუძლებელია, რომ  
ხანდახან კაცს კრიტიკა ჰაერივით სჭირ-  
დება. აბა, ერთი მითხარით, რატომ  
გაკრიტიკებ კაცს, ვისაც ნაკლი არა  
აქვს? სხვა საქმეა, რომ ყველა იმაზე  
მეტს ვცოდავთ, ვიდრე „ნორმოთაა“  
გათვალისწინებული. ჰოდა, შენს შეც-  
დომაზე ცხვირს რომ წაგატეხინებენ,  
არც უნდა გეწყინოს. შეცდომას თუ  
სჩადისხარ, კრიტიკაც უნდა აიტანო.  
სერგეის თავის თავზეც კარგად გამოუც-  
დია, რა გოლგოთის ტანჯუაცაა ამდენ

ხალხში რომ მოდგებდიან და ტყავს  
გაძრობენ: კაცს ძოლიც გაგიტყდებოდა,  
ნერვებიც გვარიანად აგეწეწებოდა,  
თავმოყვარობას მოერევი, სიჯიუტეს  
დაძლევ, სიბრმავესა და წყენას დათრ-  
გუნავ. სამაგიეროდ სენს მოიხდი და  
ისე გამოჯანმრთელდები, გევონება, ამ  
ქვეყანაზე მეორედ დავიბადეო. ამ ღი-  
დი სიხარულის შეგრძნება შეუძლია კი  
გრომოვს? ვინ იცის. ასე უცებ ვერ გაი-  
გებ. მეტი რა დაგრჩენია, ხომ გაგიგო-  
ნია, მოთმინებითა შენითაო... უნდა  
უცადო, სანამ აღამიანზე კრიტიკა იმოქ-  
მედებს. ერთიც ვნახოთ და, სულ არ  
იმოქმედოს? იქნებ გრომოვი შუბლმა-  
გართა მოდგმას ეკუთვნის? რას გაიგებ.  
რა გაეწყობა, აგერ ჩვენ და აგერ ის —  
ყველაფერი ვნახავთ. აი, გამოჩნდება  
ლეიტენანტი და ასე იქნება თუ ისე,  
რალაც ახალი აუცილებლად შეეტყობა.

„ოჰ, რა გააფთრებული მოვა დღეს  
ლეიტენანტი, — ფიქრობდა კატანჩი-  
კი, — იმის რისხვას ვინ ვადაურჩებდა. არ  
უნდა წამოეკრათ ხელი გუშინ. ეს ბრაჟ-  
ნიკოვიც კაი ხვითაა. რალაც ძალიან  
იქაჩება. თვითონ ატეხა ვაი-უშველე-  
ბელი და თვითონვე მოაგვაროს საქმე. რა  
ენაღვლება, მაგისმა ჩაოხრებულმა საქ-  
მემ მთელი ოცეულის ზურგზე გადაი-  
აროს. სიმართლე თუ გინდათ, მე არა-  
ფერ შუაში ვარ. კენჭის ყრაზეც კი  
თავი შევიკავე. მაგრამ ჩემი უბედური  
თავის ამბავი რომ ვიცი, ერთმანეთს  
ვინც არ უნდა დაეტაკოს, მე რომ  
შუაში არ გამოვეტნიო, არ იქნება“.

ფიქრებში გართულმა ვასიამ მორჩი-  
ლად ამოიოხრა: როცა კაცი უბედურ  
ვარსკვლავზე ხარ გაჩენილი, ვერაფერს  
გახდებიო. კატანჩიკს ვინ იცის, რამდენ-  
ჯერ უდანაშაულოს გადაამტკრიეს  
ზურგზე ჯოხი... თუმცა ისინი კაი კაცე-  
ბი არ ყოფილან. მართალია, ლეიტე-  
ნანტი ცუდ კაცს არა ჰგავს, მაგრამ არც  
ანგელოსი გახლავთ. კაცს აწყენინეს და  
თავს არ დაიცავს? აბა, როგორ ვინ-  
დათ?

„ტყუილად ვაწყენინეთ მეთაურს, —  
გული უქვდებოდა გევორქს. — იმას  
კი არა, საკუთარ თავს ვაწყენინეთ.

ამისთანა მეთაურით თავი უნდა მოგე-  
ქონდეს, ჩვენ კი... ფუ!...“

მიკეშინი ამ ამბავს თავისებურად  
უყურებდა. ანდრეი მატვევიჩის აზ-  
რით კრიტიკა საჭირო საქმეა. თუ სა-  
ჭირო გახდება, თვითონაც შეუძლია  
გაკრიტიკება. განა ანდრეის არ მოხ-  
ვედრია? კოლმეურნეობაშიც, აქაც.  
მერე რა — კი არ მომკვდარა. კრიტი-  
კისაგან მკვდარი კაცი ჯერ არავის უხა-  
ვავს. ჭკვიან კაცს კრიტიკა რალაცაში  
წაადგება, სულელს კი რა უნდა მოჰ-  
კითხო. მაგრამ მეთაურის გაკრიტიკება  
მინც არ იყო საჭირო. წესრიგია მერე  
ეს? მართალია, მეთაური ბავშვი აღა-  
რაა, თვითონ უნდა ესმოდეს, რომ  
ჯარისკაცს ბოსტინის საფრთხობელა არ  
უნდა უწოდო. უნდა იცოდეს, კაცს  
ასეთი რამ აუცილებლად ეწყინება,  
მაგრამ მეთაურზე ხელისწამოკვრა მინც  
არაა წესი. იმ დალოცვილ სერგეის თუ  
ენა ეფხანებოდა, კატანჩიკი აგერ არ  
იყო? მის ადგილას ისე მივცხებდი, სულ  
ვაი დედას ვაძახებინებდი, არ ეკადრე-  
ბოდა თუ რა?! ან სხვა რომელიმე ჯა-  
რისკაცს გავაძრობდი ტყავს, მეთაურს  
კი ხელი არ უნდა ახლო. უფროსი უფ-  
როსია, როგორიცაა ისეთს უნდა შეე-  
გუო და დამორჩილო. ასე თუ მივეყე-  
ვით, ან ოჯახში რა ხერი იქნება, ან  
სამუშაოზე, მით უმეტეს, არმიაში. არა,  
ჩემო ძმაო, უფროსებს უნდა შევეშვათ,  
თორემ აშენებას ვინდა ჩივის, აშენე-  
ბულსაც დავანგრევთ.

ასე ფიქრობდა მიკეშინი. არტემოვს  
კი ალბათ სულ სხვა შეხედულება  
ჰქონდა ამ საქმეზე. ასაკით არტემოვი  
ოცეულში ყველაზე უფროსი იყო. ორი  
წლით გაწვევის ვადა გადაწეული ჰქონ-  
და. რა გასაკვირია, რომ ცხოვრებაში  
თავის ამხანაგებზე მეტად იყო გამოც-  
დილი. არმიაში გაწვევამდე სოფლის  
სკოლაში ასწავლიდა. პირველკლასე-  
ლებსაც კი თქვიანობით მიმართავდა  
ხოლმე. ზოგ მასწავლებელს სასაცი-  
ლოდ არ ყოფნიდა მისი ასეთი გადა-  
ჭარბებული თავაზიანობა, ახალბედაა,  
და ეპატიებო, მარამ არტემოვი გაც-  
ხარებული ამტკიცებდა — სასაცილო

არაფერია, მოსწავლეები პატარაობი-  
დანვე უნდა შეეჩვიონ თავისი და სხვი-  
სი ადამიანური ღირსების დაფასებულსა  
ჩვენი არმია ძალზე მოსწონდა არტე-  
მოვს. ყველაფერს რომ თავი დავანე-  
ბოთ, ერთ რამედა ღირს რომ თავაზი-  
ანობა, ადამიანისადმი პატივისცემა აქ  
კანონდაა ქცეული. ჰოდა, რა გასა-  
კვირია, რომ „ბოსტინის საფრთხობელა“  
სერგეიზე ნაკლებად არ მოხვედრია  
გულზე.

ერთი სიტყვით, ამ დილას ოცეულში  
ლეიტენანტ გრომოვზე ყველა სხვადა-  
სხვანაირად ფიქრობდა, მის გამოჩენა-  
საც სხვადასხვანაირად მოელოდნენ.  
და აი...

— ოცეულო, სმენა, სწორება მარჯვ-  
ნივ! ამხანაგო ლეიტენანტო... — სერჟან-  
ტის ხმა მუქარედ ჟღერდა, ლეიტე-  
ნანტს კი უძილობისაგან ხმა შეცვლო-  
და, ძველებური რიხი დაჰკარგოდა,  
მოღლილობა შეჰპარგოდა, თითქოს ამ  
რამდენიმე საათში წელი მოემატაო.

— გამარჯობათ, ამხანაგებო!

— ჯანმრთელობას გისურვებთ, ამხა-  
ნაგო ლეიტენანტო!

გენადი შეკრთა. ჯერ არ ახსოვს,  
ოცეულს მის საღამზე ასე მეგობრუ-  
ლად და გარკვევით ეპასუხოს. ასე  
გულმხურვალედ არასოდეს არ უსურ-  
ვებიათ ჯანმრთელობა.

„რას ნიშნავს ეს? ვითომ დამცინიან?“  
ამაზე ფიქრის დრო აღარ იყო —  
არმიული განრიგის დაჰიმიული ზამბარა  
გაშლას იწყებდა... ბრძანება ბრძანებას  
მოსდევდა და ბოლოს დადგა წუთი,  
რომელსაც რატომღაც ყველაზე მეტად  
უფრთხოდა ლეიტენანტი გრომოვი.

— შეტევაზე — წიხ!

როგორც ერთი, ისე წამოიშალა ოცე-  
ული. ჯარისკაცებს ცეცხლი არ შეუწყ-  
ვეტიათ, ისე გაქანდნენ „მოწინააღ-  
მდეგის“ წინა ხაზისაკენ. ადვილი არ  
გეგონოთ დამცველი ტანსაცმლითა და  
ნიღბებით სირბილი, მაგრამ რას იზამ,  
თავს ზემოთ ძალა არ არის. შეტევა

ემანუილ ფეიგინი  
ჯარისკაცი, შვილი ჯარისკაცისა

„ატომური აფეთქების“ შემდეგ ხდებოდა და მოგეხსენებათ, ამ დროს მიღამო რადიაციითა მოწამლული. თანაც, ეგონათ, მტერი საბოლოოდ დავძლიეთო, მაგრამ მოწინააღმდეგის საცეცხლე წერტილები ამოქმედდნენ!..

— ჩაწეით!

ჯარისკაცები დამცველ საბნებს სწრაფად შლიან, წვებიან, შემდეგ ისევ წინ მიჰქრიან. შეტევა მხოლოდ წინსვლას ნიშნავს. ცოტა შეფერხება, ბრძოლაში წაფორხილება და მამაზეციერიც ვეღარ გიშველის, აღსასრულიც კარს მოგადგება.

„რა ლამაზად მოქმედებენ! რა ყოჩაღები არიან!“ — სხვა სიტყვებს ვერ პოულობს ლეიტენანტი. გული ბავშვური სიხარულით ეგებოდა. ეს იყო დიდი, აღმაფრთოვანებელი სიხარული, გრომოვს სულ ცოტა ხნის წინ რომ ეგონა, ეს სიხარული სამუდამოდ დავკარგეო. ახლა კი ისეთმა გრძნობამ შეიპყრო, თითქოს რაღაც უხილავი და ძვირფასი საუნჯე დაუბრუნეს.

„ახლა კი, მგონი, კარგად მივდივართ“, — გაიფიქრა სერგეიმ. სუსხიანი ქარი ჰქროდა, თვითონაც ერთავად გალუმპული იყო, მაინც სცხელოდა, რეზინის ნიღბის ქვეშ ხომ შეიძლება სული აღმოხდეს კაცს. მაინც სიტყვა „კარგია“ საუკეთესოდ გამოხატავდა სერგეის განწყობილებას.

კარგ გუნებაზე ვართ იმიტომ, რომ კარგად ვმუშაობთ. ლეიტენანტსაც სიამოვნებს. ეს სიამოვნება შრომითა აქვს დამსახურებული. მაგრამ, ნურას უკაცრავად, არ ეგონოს, ტყავიდან იმიტომ ვძვრებით, რომ გენადი გრომოვს გვინდა ვასიამოვნოთ. ვერ მიართვის! ჩვენ მისთვის კი არა, მასთან ერთად ვუტევთ „მტერს“.

...ლეიტენანტი გრომოვი თავისი ოცეულის მწყობრის წინ იღგა. მეცადინეობის დამთავრებისას გენადის ხმა გაუკაქდა.

— გმადლობთ, ამხანაგებო!

— ვემსახურებით საბჭოთა კავშირს!

„ი, ვის ვემსახურებით, — ფიქრებით ესაუბრებოდა ლეიტენანტს სერგეი ბრა-

უნციოვი. — ეს უნდა შეიგნო, ჩემო ძმაო. როცა ამას ნამდვილად გაიგებ, მთელი არსებით შეიგნებ და შეგნებულ ხორცებს, მაშინ შენც მოგეშვება გულზე, შენ თვითონ გავიადვილდება ამ ქვეყანაზე ცხოვრება“.

...ოცეული ერთ მწკრივად დაწყობილი. ლეიტენანტი გრომოვი მწყობრის გასწვრივ ნელა მიაბიჯებს, თითქოს თავის ხელქვეითებს პირველად ხედავსო. რა კარგი, რა ვაჟკაცური სახეებია! ასეთი ბიჭები რომ გეყოლება, ამაზე მეტი ბედნიერება რა გინდა კაცს. გენადი მიხვდა, მის გულში რაღაც ახალი გრძნობა იღვიძებდა. ბიჭებს იგი ახლა სხვა თვალით უყურებდა. თავისი შეუგნებლობის გამო აქამდე ხომ მათ პიროვნებებად კი არა, მხოლოდ ნაჩვევი, მართალია მოხერხებულები, მაგრამ მაინც ფორმალური სიტყვით — ოცეულად ცნობდა.

მაგრამ ლეიტენანტი გრომოვის ამ გრძნობაზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია. სხვა რამეზე ლაპარაკი კი... ზემდეგ პეტროვს უკვე დაგვიანებულად მიაჩნია წინასწარ მოფიქრებული და დაგვიანილი საუბრის წამოწყება.

„რა დიდი შეტყობა უნდა — კაცი აღრენილია, ახლა მას ასე ადვილად ვერაფერს შეასმენ, მაგრამ განა კაცის გულისაყენ მიმავალი გზები დაილია, იოლ გზას რომ არ გამოეცილო?“

ზემდეგი პოლკის შტაბისაკენ მიმავალ გრომოვს ბილიკზე წამოეწია.

— უჰ, არ გავწყდი კაცი წელში?! — სიტყვა ზემდეგმა. — ერთ ნახევარ წელიწადს კიდევ ვიჩალიჩებ აქ და მერე კი ავიკრავ გულა-ნაბლს და სხვა ოლქში გადავბარგდები. ამ კლდე-ღრეში პორტყილის თავი აღარა მაქვს.

— თქვენ დიდი ხანია მსახურობთ? — ჰკითხა გენადიმ და ნაბიჯი შეანელა, ზემდეგს სულის მოთქმა აცალა.

— აქ, ამიერკავკასიაში, თუ საერთოდ? მე რომ მიყურებ, ოცდათექვსმეტ წელში გამიწვიეს ჯარში. თავდაპირველად კავალერიაში დავიწყე სამსახური. მასხოვს, ჩვენს ცხენოსან პოლკს ერთი ნამდვილი ბუდიონელი



მეთაურობდა — ვასილი გრომოვი. მართლაც რომ დიდი ვაჟკაცი იყო, ცხენი თავს ერჩია. ახლა იგი საბჭოთა კავშირის გმირია. სულ მინდა გკითხოთ, ამხანაგო ლეიტენანტო, შემთხვევით, რაიმე ნათესავი ხომ არაა თქვენი?

— ჩემი ბაბუაა.

— მართალი გითხრათ, მეც ასე ვიფიქრე, სახითაც ჰგავხართ და წარმოსადგეობითაც. კი ლამაზი კაციცაა ბაბუა-თქვენი. მასხოვს, თავისი ბედაურით პოლკს რომ ჩამოუფლდოდ, მისი ყურებით ვერ გაძლებოდი. ჩეხვას ან ჯირითს რომ გვაჩვენებდა, მაშინ ხომ ნულარ იტყვი, ალტაცებისაგან ენა მუცელში გვივარდებოდა. აგერ, დავბერდი კაცი და მისი ბადალი ცხენოსანი აღარ შემხვედრია. ნეტავ ერთხელ კიდევ მანახა! ახლა სად ცხოვრობს, ვერ მეტყვით? ასე ახლოს?! შევბუღებას რომ ავიღებ, აუცილებლად ვინახულებ. ისე, ჯანზე როგორაა? რა ლაპარაკი უნდა, კაჟივით იქნება. ბაბუათქვენი მაგარი ვაჟკაცი იყო, წლები რას დააკლებდა.

გენადის ბაბუაზე მზე და მთვარე ამოსდიოდა. სხვა დროს, იცოცხლე, მისი სიმამაცის ამბავს სიამოვნებით მოისმენდა, მაგრამ დღეს გენადი ზემდეგს მოკლედ, მშრალად პასუხობდა, თავაზიანობისათვის არა სცხელოდა. ახლა გენადი საკუთარი ფიქრებით იყო გართული. მის სულში რაღაც განსაკუთრებული ხდებოდა, რაღაც ახალი ჯერ შეუცნობელი ტანჯვითა და ტკივილით იზადებოდა. სულიერ მღელვარებას ხომ ნულარ იკითხავთ. ეს ზემდეგიც რაღა ახლა აეტორღილა.

„ნეტავი რას გადამეკიდა? ნუთუ ვერ ხედავს, რომ მისთვის არა მცხელა. კაცს რომ შეგნება არ ექნება, მოდი და იმას რამე მოჰკითხე. ანდა რა უნდა მოსთხოვო უვადო სამსახურის ზემდეგს.“

ლეიტენანტი გრომოვი უვადო სამსახურის ხალხს დიდ პატივს როდი სცემდა. კი, ისინი საჭირონი არიან არმიასი, მაგრამ არმიასი, ლეიტენანტ გრომოს რომ ჰკითხო, ბურთი და მოედანი ნიჭიერი ხალხის ხელშია.

ნიჭიერმა კაცმა არმიასი წინ რომ არ წაიწიოს, არ შეიძლება. ამ საღდათმა კი ოცდაორ წელიწადში ზემდეგს ძლივს მიაღწია და ბედნიერია. თანაც ომიც რომ გამოუვლია. ვინ იცის, ამდენ ხანში რამდენი ზემდეგი გახდა პოლკოვნიკი. ერთი მითხარით, რისთვის უნდა სცეთ პატივი ასეთ უღიმამო კაცს?

ერთი გრიგორ ივანოვიჩის სტოდნოდა, რას ფიქრობდა მასზე ეს ბიჭი! როგორ აღშფოთდებოდა ძველი მეომარი! კიდევ კარგი, ზემდეგ პეტროვის სხვისი აზრების წაკითხვის ძალა არ შესწევდა. მართალია, ჩვეულებრივ, ისეთი გამოცდილი კაცი, როგორიც ზემდეგია, კი მიხვდებოდა, რას ფიქრობდა მასზე ლეიტენანტი. მიხვდებოდა სახის გამომეტყველებაზე, ხმაზე, ზიზლით დამანტულ ტუჩებზე. მაგრამ ბაბუამისის გახსენებამ ზემდეგი ისე გაიტაცა, გულის აჩუყებას აღარაფერი უკლდა. ისედაც კეთილი გულის ზემდეგი ძვირფას მოგონებებში რომ ჩაეფლობოდა, შაქარით დნებოდა და ადამიანებს ცუდს ვედარაფერს ამჩნევდა. ახლა მაინც არ გაემტყუნება, ყოველდღე კი არ წააწყდება ასეთ სასიამოვნო ამბავს. ერთი იფიქრეთ: ვასილი გრომოვის შვილიშვილი ყოფილა (მერედა, რა ბიჭია), კვიცი გვარზე ხტისო, ხომ გაგიგონიათ. ახლავე ეტყობა, ბაბუამისის სისხლი უღულს.

უცნაურია, მაგრამ ფაქტია, გრიგორი ივანოვიჩის სულ გადაავიწყდა ლეიტენანტ გრომოვის ყველა ნაკლი, რაზედაც ეს-ესაა სერიოზულ მოლაპარაკებას აპირებდა. ბაბუამისის მთელი სიკეთე შვილიშვილზე გადაიტანა.

„კი, ზედგამოჭრილი ბაბუაა. სახეც გრომოვისეული აქვს, თვალებიც...“

— ბოდიშს ვიხდი, ზემდეგო, მაგრამ ძალიან მეჩქარება. თქვენ კი მგონი, საშური არაფერი გაქვთ. მერე აღმართიც ციცაბოა, სწრაფად ვერ აივლით... ზემდეგი უცებ ვერ მიხვდა, ლეიტე-

ემანუილ ფიგინი  
ჯარისკაცი, შვილი ჯარისკაცისა

ნანტი რას ეუბნებოდა. როცა მიხვდა, მაშინ კი აელანდა სახე.

„ეგ ვერაფერი შვილი ხუმრობაა, ამხანაგო ლეიტენანტო. ამისთანა აღმართს კიდევ ავივლი, არც თქვენზე უარესად, რომ იცოდეთ. ისე კი, არავის ავეკიდები. სადაც გინდათ და როგორც გენებოთ, ისე მიბრძანდით, ჩიხის კალთას არ დაგაგლეჯთ. ვასილ გრომოვის შვილიშვილი კი ბრძანდებით, მაგრამ მისი რომ არაფერი გცხიათ? მეც რამ ამაცუნდრუქა. სად თქვენ და სად ის.“

## თავი მეთექვსმეტი

### I

გრიგორი ივანოვიჩი თავის ძველ მეტოქეს ჯერ კიდევ რამდენიმე დღით ადრე შეუთანხმდა, ქალაქობანა ვითამაშოთო. კაპიტან ანდროსოვს კვირას გადააწყვეტ და ამ სეზონში ალბათ უკანასკნელ ბრძოლაში უნდა შეხვედროდა. მაგრამ იმ დღეს კაპიტანი ამაოდ უცდიდა ზემდეგს.

„ვითომ დაავიწყდა, სკლეროზი ხომ არ დაეწყო ნეტავ?“ — გაიფიქრა განაწყენებულმა ანდროსოვმა და ვილაც ახალბედებს უგულოდ შეება.

გრიგორი ივანოვიჩს კი მართლა დაავიწყდა, ანდროსოვს რომ უნდა შეხვედროდა. იმ დღეს ქალაქში წასასვლელად გამზადებული რამდენიმე ჯარისკაცი და სერჟანტი გააცილა. მერე კი ვასილ გრომოვისათვის გასაგზავნ წერილი ჩაუჯდა. ამ წერილის დაწერა თუ ასე გაუჭირდებოდა, რას წარმოიდგენდა.

ჯერ იყო და თავი ვერ მოაბა. „თავს გახსენებთ თქვენი ყოფილი თანამოსამსახურეო...“ — დაწერა, მაგრამ... — „ჰმ, ერთბაშად არ გავახსენდე! ჩიხისთან თანამოსამსახურეები ამდინ ხანში დასტობით ეყოლებოდა. მაშინაც, ცხენოსან პოლკში, ცოტანი კი არ ვიყავით. ერთი მიბრძანით, პირველი ესკადრონის ყოფილი წითელარმიელი გრიგორი პეტროვი რითი გამოვიჩიროდი, რომ ამდენი წლის შემდეგ გენერალ-

ბაბუათქვენი რიგითი წითელარმიელი თვის სულს არ დაიშურებდა. თქვენ ღირსი ყოფილხართ, გუშინ რომცაა კავშირებმა გაგაშავეს. არა, გენაცვალე, ბაბუამდე თქვენ ხელი არ მიგიწვდებათ. არაფერი მისი არ გამოგყოლიათ“.

ეჰ, რა ადვილია გაიფიქრო და კაცს პირშიც მიახალო, სახელოვანი წინაპრებისა არაფერი გამოგყოლიათო, სინამდვილეში კი ამაზე საწყენი და გულსატკენი, აბა, რა უნდა იყოს.

მა გრომოვა მომიგონოს? ნამდვილად არაფრით! იცოცხლე, მაშინ ჩვენს პოლკში აღმასივით ბიჭები იყვნენ. კაცის თვალი უკეთესს ვერაფერს ნახავდა. ყოჩაღებიც იყვნენ და წინაც წაიწიეს. პოლკის მესაყვირე სემიონ იუხნო რესპუბლიკის სახალხო არტისტი გახდა, ოპერაში მღერის, გაზეთებში ხშირად იხსენიებენ; ჯაფარ გაჯიევი რომ იყო, მეორე ესკადრონის მეჯინიბე, ახლა რომელიღაც დიდი ქარხნის დირექტორია, დეპუტატიც ისაა და ლაურეატიც. მოკლედ, დიდება და სახელი არ აკლია. მეტყვიამფრქვევე ივანე ზაიცევი პოლკოვნიკი გახლავთ, კაცი საბჭოთა კავშირის გმირია, აღმოსავლეთში დივიზიის შტაბი აბარია. რომელი ერთი ჩამოვთვალო. ისინი კი ემახსოვრება გენერალ გრომოვი. გრიგორი პეტროვი კი... პატარა კაცია. მაშინ რომ ზემდეგი გახდა, მის მერე ამ თანამდებობას არ გასცილებია. თავის სიცოცხლის ბოლომდე ზემდეგად უნდა იჩაიღოს...“

გრიგორი ივანოვიჩმა ხელისგულით მკერდი მოისრისა, გულმა რაღაც უხეიროდ გაიფართქალა. მძიმედ ამოიოხრა. განა იმართომ, რომ იღბლიანი ამხანაგებისა შურდა, ან თავის ბედზე სწყუდებოდა გული (მან იმდენი ძალა. ე. ი. იმდენი სითბო ჩაალია თავის სამუშაოს, განა შეიძლებოდა თავისი თანამდებობა არ ჰყვარებოდა, თავისი საქ-

მით არ ეამაყა?), არა, გრიგორი ივანოვიჩის ისევ აეკვიტა აზრი, რომ მალე იძულებული გახდებოდა გულანაბადი აეკრა. არმია დღით-დღე ახალგაზრდავდება, პოლკებსა და დივიზიებს უკვე ჰაბუეები მეთაურობენ, ასეულებსა და ბატალიონებში აკადემიის რომბებით მუნდირდამშვენებული ბიჭები მოდიან. ვინ იცის, დიდხანს აიტანენ ბებრუხუნა ზემდეგს?

კი მაგრამ, რას არგებს ახლა ეს ფიქრები? „ახლა მე... ვითომ, აუცილებელია მიწერა? შვილიშვილზე ცუდ ამბავს რომ მიეწერ, გაეხარდება ძველ მეომარს თუ რა? ტყუილად გული უნდა ვატკინო. ალბათ, ეს ბიჭი თავს ურჩევნია. აბა, რა იქნება! ერთი მე მკითხეთ, ჩემი ვანიუშას ფასი ამ ქვეყანაზე რა გამაჩნია! ვინმემ რომ მითხრას, მისი გულისთვის უნდა მოკვდეთ, თვალს არ დავახამხამებ, ისე მოკვდები. იქნებ ჯობდეს არაფერიც არ მიეწერო მოხუც გენერალს, ა? არა, რამეს ხომ არ ვიგონებ, არც არაფერს ვაზვიადებ. წმინდა წყლის სიმართლეს ვწერ. მერე რა, ბერიკაცო, სიმართლეს ყოველთვის როდი მოაქვს სიკეთე. სიმართლე ხანდახან ტყვიასავით მოგხვდება კაცს გულზე“.

ზემდეგმა შუბლი შეიკმუხნა, თვლები მოჭუტა და ღრმა ფიქრებს მიეცა. ერთი წამით წერილი სისულელედაც მოეჩვენა. ის კი არა, ასეთი სამწუხარო სიმართლის მიწერა თითქოს უღმობელობაც იყო მისი მხრივ.

„სულ ერთი და იგივე ამბავი როგორ უნდა ტრიალებდეს კაცის თავზე. ვინ გეხვეწება, ცხვირს რომ ჰყოფ სხვის საქმეებში? რას გადაეკიდე ამ ყმაწვილ ლეიტენანტს? შენი საქმე დაგვლია, თუ რა? არამკითხე მიაბებო, ხომ გავიგონია. ისე მოგივა შენც“.

საკუთარ თავს კიდევ კარგა ხანს ეკამათებოდა მოხუცი ზემდეგი, თუმცა მშვენივრად იცოდა, ამ კამათს არავითარი ფასი არ ჰქონდა. აბა, რა გული გაუძლებდა, გენერლისათვის შვილიშვილის ამბავი არ მიეწერა. დიახაც მისწერს, იმიტომ რომ... იმიტომ რომ,

ასეთი ყაიდის კაცია გრიგორი პეტროვი.



„არა, ერთი მიბრძანეთ, ამ ჰიქრებში მა ბიჭმა როდემდის უნდა აგვიბზუოს ცხვირი? იქნებ, ვინმემ სთქვას, გიყი მიუშვი ნებასაო. არა, ძმობილო, ასე იოლად ვერ დაგვისხტები ხელიდან. იცოცხლე, მოგვიწვევს ერთმანეთთან შეტაკება. აბა, მე რა შუაში ვარ, შენს თავს დააბრალებ. ხომ გავიგონია, რაც მოგივა დავითაო...“

ლეიტენანტ გრომოვისათვის სიკეთე უნდა გრიგორი პეტროვიჩის, ამაში ნურვის შეეპარება ეჭვი. ზემდეგს კი ხშირად ჰქონია შემთხვევა, როცა მის კეთილ სურვილებს და მამაშვილურ დარიგებას ხალხი გაუნაწყენებია. ბევრი მოგვიანებით იგებდა ზემდეგის კიკაცობას. ზოგს პეტროვი სულაც არ ახსენდება. რა ვუყოთ მერე, გრიგორი ივანოვიჩი თავისი კეთილი საქმიანობის საფასურად ჩინ-მედლებს როდი ელოდა. მაღლობას, აბა, რა თავში იხლიდა. კაცს თუ პატარა ხელს უბიძგებდა და სწორ გზაზე დადგომაში შეეშველებოდა, ამაზე უკეთეს ჯილდოს, აბა, რას ინატრებდა.

2

...თითქმის ნახევარი დღე შეალია გრიგორი ივანოვიჩმა თავისი ყოფილი მეთაურისადმი მისაწერ წერილს. ბოლოს კონვერტზე მისამართიც წააწერა და მხოლოდ მაშინ გაიმართა წელში. ახლა არსად წასვლის თავი არ ჰქონდა.

„ერთი წამოაწვინა და თვალი მოატყუებინა!“

დაიღალა ზემდეგი. მაგრამ ვანიასთვის გასაგზავნი ვაშლი პარასკევიდან რომ უღევს სახლში?

„დღეს აუცილებლად უნდა გავაგზავნო. ხვალ ფოსტაში ვეღარ წავეჩანჩალდები. წერილიც გასაგზავნი მაქვს. რახან დაწვერე, გავუგზავნი კიდევ“.

— ძალიან კი ანებოვრებს თავის შვილიშვილს, — უთხრა მედლეურმა

ემანუილ ფეიგინი  
ჯარისკაცი, შვილი ჯარისკაცისა



ასეულის მორიგეს, ილიაში ყუთამო-  
ჩრილი ზემდეგი რომ დაინახა.

— ფოსტის ხალხიც დააღადა, — გაე-  
ცინა მორიგეს. — ჩვენი ზემდეგის ხარჯ-  
ზე გეგმას გადაჭარბებით ასრულებენ.

სამხედრო ცხოვრება ისეა მოწყობი-  
ლი, რომ ჯარისკაცებმა თავიანთ მეთა-  
ურებზე და უფროსებზე ყველაფერი  
იციან, მათი არც კარგი გამოეპარებათ  
და არც ცუდი. ამისთანა უახლოეს უფ-  
როსებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.  
მეთაური ასწავლის ჯარისკაცს: „გააკე-  
თე ისე, როგორც მე ვაკეთებ!“ —

იოლად როდი აღწევს მეთაური ამას,  
მაგრამ უფრო ძნელია ჯარისკაცს უთხ-  
რა, ჩემსავით იცხოვრეო. მართალია,  
ამას ასე პირდაპირ არ ამბობენ, მაგრამ  
გულისხმობენ კი. ერთი რამ უდავოა,  
თუ ამის უფლება არა გვაქვს, ფიქრ-  
შიაც ნუ გაივლებ, ვინმეს მოუწოდო —  
ჩემსავით იცხოვრეო. ხალხს იოტისო-  
დენა სიცრუესაც ვერ გამოაპარებ. მო-  
ვალე ხარ ისე იცხოვრო, რომ სხვისი  
თვალეებში შეხედვა არ შეგრცხვეს. სხვას  
კი შენი ნახვა არ ეთაკილებოდეს. რაც  
შეეხება ზემდეგ პეტროვს, იმას არა-  
ფერი აქვს დასამალი, სამარცხვინო ხომ,  
მით უმეტეს. მისი სისუსტე ისეთი ადა-  
მიანურია, ამაზე მხოლოდ პატივისცე-  
მით სავსე ღიმილით შეგიძლია ილაპა-  
რაკო. მართალია, ახალგაზრდებს, ცოტა  
არ იყოს, სასაცილოდ ეჩვენებათ და  
მთლად კარგად არც ესმით ზემდეგისა,  
მაგრამ რას იზამ. გავა დრო და თვითონ  
გახდებით ბაბუები, მაშინ კი, იცოც-  
ხლე, გაიგებთ შვილიშვილის ფასს.  
გრიგორი ივანოვიჩმა, რაც ვანიუშკა  
გაჩნდა, მოსვენება დაკარგა, სულ ეჩ-  
ვენება, რომ ახალგაზრდა, გამოუცდე-  
ლი მშობლები ბავშვის აღზრდას თავს  
ვერ გაართმევენ, ყველაფრით ვერ უზ-  
რუნველჰყოფენ. ჰოდა, გრიგორი ივანო-  
ვიჩიც ყოველკვირა გზავნის ამანათებს.  
რა გინდა სულო და გულო, ამანათებ-  
ში რომ არ იყოს: შაქარი თუ ბურღუ-  
ლი, ერბო თუ შოკოლადი. სათამაშო-  
ებს, ფანელს, ტრიკოტაჟის კოსტიუ-  
მებს ხომ ნულარ იკითხავთ. მოსიყვარ-  
ულე ბაბუას შესქელებული რძეც არ

ავიწყდებოდა. ალიოშამ ერთხელ კი  
მოსწერა მამამისს, თუ ღმერთი გწამს,  
ფოსტას ნულარ აწვალე ტყუილბრე-  
ლოდო, მაგრამ გაგიგონიათ?! ზემდეგმა  
სწორედ აქაურ ფოსტის მოხელეებთან  
გააჩაღა მეგობრობა. სწორედ მათგან  
იგრძნო თანაგრძნობა და მხარდაჭერა.  
ისინი ბავშვის კვებისა და ჩაცმის საქ-  
მეში გამოცდილები არიან. იმათ როდი  
გაეციენებათ, სიტყვა რომ ბურღულზე  
ჩამოაგდო. აი, დღესაც გრიგორი ივანო-  
ვიჩმა ფოსტის გამგეს, ორი შვილიშვი-  
ლის ბებიას, დაწერილებით მოუყვა, თუ  
რა იყო ამანათში.

ფოსტის გამგემ ზემდეგს ამანათი  
მოუწონა და დააიშვია, ვაშლები სა-  
ლად ჩააღწევს, მაგან არ დაგაფიქრო-  
თო. მერე ისიც დაუმატა — ბავშვის-  
თვის ვაშლი მისწრებაა, ვიტამინებიც  
ბევრია შიგ და რკინაცო.

— ეგ მართალია, — დაეთანხმა გრი-  
გორი ივანოვიჩი, — სხვა არ ვიცი და,  
სანამ სამხრეთში ვმსახურობ, ვანიუშას  
ვაშლებს არ მოვაკლებ.

— ეჰ, გრიგორი ივანოვიჩ, გიყურებთ  
და ვფიქრობ, ნეტავ ყველა სამხედრო  
თქვენი სთანა იყოს...

— რაო, ვინმემ გაწყენინათ თუ?

— არა, ისეთი კი არაფერი მომხდა-  
რა. თქვენზე წინ ერთმა ჯარისკაცმა  
შემოიარა. ისეთი მთვრალი იყო, ენას  
ვერ აბრუნებდა...

— ალბათ აურზაური ატეხა, ხომ?

— არა. ასე სთქვა, კავშირგაბმულობის  
მინისტრს საჩივარი უნდა მივწეროთ.  
ვეკითხები, რა გაქვთ საჩიველელი, წე-  
რილი არ მოგიტანეს დროზე თუ ფუ-  
ლი დაგიგვიანეს-მეთქი. ის კი დამძიმე-  
ბულ თავს აქნევს. „აბა, რითი ხართ  
უკმაყოფილო-მეთქი“, ვეკითხები. არა-  
ვინ არ მწერს წერილს: ამაზე მინდა  
ვიჩივლოო. ჰოდა, გინდა დაიჯერეთ,  
გრიგორი ივანოვიჩ, გინდა არა, ატირდა  
კაცი, ცერის სიმსხო ცრემლები წამო-  
ყარა. ვხედავდი, კაცი სიმთვრალისაგან  
ფეხზე ველარ იდგა, ღვინო ატირებდა  
და ალაპარაკებდა. რატომღაც ისე შემე-  
ცოდა, კინაღამ მეც ავღრიალდი. აი,  
ისიც...

გრიგორი ივანოვიჩი შემობრუნდა. მაშინვე იცნო თავისი ასეულის ჯარისკაცი ვასია კატანიჩი.

ნეტავ ფოსტაში რატომ მობრუნდა? კატანიჩმა ზემდეგს ისე ჩაუარა, არც შეუშინებია. გრიგორი ივანოვიჩმა მწარედ ამოიოხრა.

კატანიჩმა დამძიმებული თავი ძლივს მოატრიალა და ზემდეგს დანისლული, გამოშტერებული თვალებით შეხედა.

— ჯარისკაცო კატანიჩი! — ზმას აუწია ზემდეგმა.

ერთი წამით კატანიჩის თვალებში აზრმა გაიელვა. შეეცადა გასწორებულყო და ზემდეგისათვის ხელი აეღო, მაგრამ განზრახვა მაშინვე დაავიწყდა და ხელი მოღლილი, უიმედო კაცივით ჩაიქნია.

### 3

ერთ უქმე დღეს კულტურის სასახლის თამბაქოს მოსაწევი ოთახი კომბინატში მომუშავე ბიჭეობა და ჯარისკაცებით იყო სავსე. ვერავინ ვერ გეტყვით რატომ, მაგრამ მოსაწევი ოთახი ისეთ ადგილად ითვლება, სადაც კაი მაგარ-მაგარ სიტყვებზე არ წითლდებიან. რაც არ უნდა ტყუილი დაახეტქოს ვინმემ, სტყუიხარო, არ ეტყვიან. დიდი ამბავი, ცოტა ტყუილი თუ გამოუტრია კაცმა, ჭეყანა არ დაიქცევა. ამ ოთახში ესეც ნებადართულია. ამას რა ბევრი ლაილაი უნდა, კატანიჩი ასეთ ადგილას თავს ისე გრძნობდა, როგორც თევზი წყალში.

სერგეი ბრაუნეიკოვი კაზნაჯიანს ეძებდა და ფოიეში იმიტომ შემოიხედა. მესახტეების თამბაქოს მოსაწევი ოთახიც არ იყო ედემის ბალი, მაგრამ აქ ისეთი შეხუთული ჰაერი იდგა, კაცი იფიქრებდა, „მახრჩობელა კამერაში“ მოგხვდით.

— მიკვირს, როგორ არ იხრჩობით, ბიჭებო, — სთქვა სერგეიმ, — კაცს თქვენი დანახვა შეეშინდება, სახეები ისე გაგმწვანებიათ, წყალში დამხრჩვლენს ჰვავხარო.

კატანიჩმა კი, მოგესხენებათ, თუ აიწყვიტა, მერე მშვიდობით, ყოველი სიტყვა სიცილისა და ხუმრობის საბაზად ექცევა ხოლმე.

— სთქვა, მარა რა სთქვა, დამხრჩვლებიო, — გადაიხარხარა კატანიჩმა, — სწორი კია, შენ ნუ გეძინებ კვდები... მეც მიფიქრია, აკვარიუმში ჩასაშლვებს ვგავართ-მეთქი. სიფათებზე ზაფრანის ფერი გვადევს და დავცურავთ ამ კვამლში, — კატანიჩს სიცილისაგან ფერღები ასკდებოდა, თან ამხანაგებს ხელებით აჩვენებდა, აი, ასე ვცურავთო, — ხა, ხა, ხა, დამხრჩვლები ვართ ხომ? შარვლიანი ჭინკები ვართ სწორედ...

კატანიჩმა მთლად აიწყვიტა. ამას თვითონაც გრძნობდა, მაგრამ შეჩერება აღარ შეეძლო. და უცებ, სულ რომ არაფერ შუაში იყო, სასახლის მშვენიერი დიასახლისების მისამართით ისეთი უწმაწური და ბინძური რალაც წამოაყრანტალა, ზიზღისაგან კინლამ თვითონაც გული აერია. მაშინვე ინანა, მაგრამ რალა დროს, გვიანდა იყო თითზე კბენანი. „მწუთხე“ ანეგლოტებსა და ოხუნჯობას ნაჩვევი ბიჭებიც კი, თამბაქოს მოსაწევი ოთახში რომ იყვნენ, უსიამოვნოდ შეიკმუნნენ. „გადაამალა ბიჭმა!“ მართალია, ვილაცამ წაიფხუკუნა, ვილაცამ ვენებინად ჩაიციანა, ზოგმა წაუყრუა, არაფერი არ გამოგონიო (თამბაქოს მოსაწევი ოთახში ჭრელი ხალხი იკრიბებოდა), მაგრამ კატანიჩს ტანმა უგრძნო — უჩხუბრად ვერ გადარჩებოდა.

— მე კი კაცი მეგონე, — მუქარაშერეული სიმშვიდით სთქვა სერგეიმ, — თურმე შევმცდარვარ. აბა, ახლა აქედან აიბარგე და შენი ფეხი აღარ ვნახო სასახლეში, თორემ...

— რა, დამარტყამ? — ჰკითხა კატანიჩმა. იგი უტერად ისეთმა გრძნობამ შეიპყრო, თითქოს მისთვის ყველაფერი სულ ერთი იყო.

— არც იგი გამიჭირდება, ხელები მექაეება, მინდა სიფათში ჩავაფარო. მაგრამ რა გამოევა მერე! შენ ცემა არ მოგაკლდებოდა. მაგრამ კუზიანს მარტო სამარე გაასწორებსო, გამოგონია. არა, ძმობილო, შენ სხვანაირად მოგივილი.

---

ემანუელ ფეიგინი  
ჯარისკაცი, შვილი ჯარისკაცისა

ჩავაგლებ ახლა ქეჩოში ხელს, გაგიყვან დარბაზში და ვიტყვი: „გოგოებო, შეხედეთ ამ ვიგინდარას. თქვენ ამას სახლში უშვებთ და ეს კი დედ-მამის სულს გიტრიალებთ-მეთქი“. იცოცხლე, შენ მოგხვდეს, კატანიკო. აქაური გოგოები მხალეები არ გეგონოს. შეურაცხყოფისათვის ცხვირიდან ძმარს გადენენ.

კატანიკი ხმას არ იღებდა.

— აბა, გადაწყვიტე! — სერგეი კატანიკის ცხვირწინ აეტუხა.

— გამიშვი, წავალ, — ძლივს გასაგონად სთქვა კატანიკიმა.

ქუჩაში თამბაქოს მოსაწევი ოთახის ერთ-ერთი მუდმივი სტუმარი წამოეწია. კატანიკმა მხოლოდ ის იცოდა, რომ ამ ყმაწვილს იგორს ეძახდნენ. ისიც გავეგონა, რომ თვითმცლელის მძლოლად მუშაობდა ქალაქის ერთ-ერთ მშენებლობაზე.

იგორმა კატანიკის ხელი გამოსდო.

— „ახლა ამან თუ თანაგრძნობა გამომიცხადა, დედას ვუტირებ. ფეხებზე არ მკიდია მაგის თანაგრძნობა?!“ — გაიფიქრა კატანიკიმა, მაგრამ იგორს თანაგრძნობისათვის საღ ეცალა.

— წამო, თითო-თითო გადაეკრათ.

— არ შემიძლია.

— წამო, მე ვაბატიყებ.

— თუ ძმა ხარ, მომიშვი, აღთქმა მაქვს დაღებული.

იგორმა თვალი დამცინავად მოკუტა.

— სულ ერთია, შენგან ბერი მიინც არ გამოვა. კარგად იყავი.

მომდევნო უქმე დღეს კატანიკიმა აღთქმა დაარღვია და კარგა ლახათიანად გამოთვრა. ღვინოში უნდოდა ჩაეკლა „დაკარგულ სამოთხეზე“ დარღი (კატანიკი ახლა ასე ეძახდა კულტურის სასახლეს).

„მე თვითონ გამოვიპანდურე თავი და ახია ჩემზე. ახლა ჩემთვის სამუდამოდ დახშულია სასახლის კარები“.

გალეშილი კატანიკი ფოსტაში წაბარბაცდა. რატომღაც აიკვიტა, კავშირგაბმულობის მინისტრს საჩივარს მივწერო. უნდოდა მინისტრისთვის თავისი გამწარებული სვე-ბედი, თავის

მარტობა შეეჩვილა. ჰოდა, <sup>გარბი-</sup>ზონის ჰაუტტეხტში კი ამოკყო თავი.

„სულელო ჩემო თავო, წაიტყუე ჩემი კისერი! ჯერ სადა ხარ, კისრის წატეხა შენ აწი ნახე. ჰაუტტეხტში ჯდომა რა ბედენაა, ამისგან მკვლარი კაცი ჯერ არავის უნახავს. შენ ეს მითხარი, ოცეულს როგორღა შეხვდები, ასეულს თვალს როგორ გაუწორობ. მიწა რომ გასკდეს და შიგ ჩაგიტანოს, ის არ ვირჩევნია?“

კატანიკი ჰაუტტეხტიდან რომ დაბრუნდა ყაზარმაში, არავინ არ დახვედრია. ასეულის მორიგე საღდაც წასულიყო, მედლეურს კი კატანიკის დაბრუნება აინუნშიაც არ ჩაუგდია. მიესალმა და მორჩა — ეს იყო ყველაფერი.

„სიძულვილს დუმილით მიცხადებს. არა, კაცი რომ დაუფიქრდეს, რა უნდა მკითხოს, ჰაუტტეხტში როგორ მოისვენეთ, დიდად პატივცემულო კატანიკო? შენი არ მიკვირს? ნეტა რაში გენაღვლება, არ გირჩევნია, ჩუმიად იყოს?“ კატანიკიმა თავისი ტუმბოდან წიგნი აიღო და ყაზარმიდან გამოვიდა. ისიც კარგი იყო, კიდევ ცოტა ხანს რომ ამხანაგებს არ შეხვდებოდა.

ყაზარმის ბაღში კატანიკის ერთი წყნარი კუნჭული ეგულებოდა, საღაც უფროსების თვალი ვერ მისწვდებოდა. სანამ ოცეულე მეცადინეობიდან დაბრუნდებოდა, შეეძლო წიგნი მშვიდად ეკითხა. მერე... კატანიკიმა მძიმედ ამოიოხრა...

„მერე, რაც მოსავალია, უნდა მოხდეს, ვერსად წაუხვალ“.

კატანიკიმა შემოდგომის ფოთლებით მოფენილ სკამზე მოიკალათა და წიგნი გაშალა. ეს წიგნი მისწავლად დაპატიმრებამდე წამოიღო ბიბლიოთეკიდან. მაშინ ძალიან საინტერესოდ ეჩვენა. ახლა კი თხუთმეტობედ გვერდიც არ წაეკითხა და იგრძნო, რომ წიგნი სულ არ იზიდავდა. ნეტა რა თავში იხლიდა.

ერთი საათის შემდეგ ამხანაგების წინაშე უნდა წარსდგეს. ეშინოდა და რცხვენოდა კიდევ.

„ცუდი საქმე არ ჩავიდინე, თუ რა!.. ოცეული დავალაატე. ჩემი დაპატიმ-



რება გვარიანად დასწევდათ უკან. ახლა, მამა გვიცხონდება, დაგვიხატავენ პირველობას. ამას მაპატიებენ ბიჭები?”

კატანჩიკმა წიგნი დახურა. რა ეშმაკად უნდა გამოგონილი ცხოვრება, როცა საკუთარი ცხოვრება ასე უაზროდ მიექანება ძირს.

საათს მოუთმენლად დაჰყურებდა.

„მალე მაინც დაბრუნდნენ ეს ოჯახ-ქორები. მალე გადაწყდეს, რაც გადასაწყვეტია. ან ასე, ან ისე. მხოლოდ ამ მარტოობას მოელოს ბოლო და არაფერს ვჩივი. მარტოობაში ვინ იცის, რას არ გაივლებ კაცი გულში“.

კატანჩიკმა ისევ შეიარა ყაზარმაში და ამჯერად ნამდვილად დასწყდა გული, ამხანაგები რომ კიდევ არ დახვდნენ.

„ერთი იმათთვის შემახედა და მერე თუ გინდა მომკლა... მხოლოდ შემახედა. გულზე მაინც მომეშვება. ვაი შენ ჩემო თავო, რას მოესწარი? თურმე რას ნიშნავს, ათი დღე და ღამე

რომ მარტოდმარტო იყურებულე მოკეტულში. ბიჭებს, ვინ იცის, ჩემი გახსენებაც აღარ უნდათ, მე კი...  
ზე ფიქრით დავილიე კაცი. გიკვირო, თუ რა? ჩვენი ბიჭების მეტი ვინ მყავს ამ ქვეყანაზე“, — კატანჩიკმა ცხვირი ჩამოუშვა.

„სად არიან ამდენ ხანს?“

უცებ კედლის გაზეთის ახალ ნომერში თავის კარიკატურას მოჰკრა თვალი. მაინც როგორ დაუხატიათ. საცოდავ ტუსადს მოკლე თმა ყალყზე ედგა, სახე გაუპარსავი ჰქონდა, ქამარი შეხსნილი...

— ოჰ, თქვენი, ჩამხატეთ ხომ? — ხმამალა წარმოთქვა კატანჩიკმა. კაცი ვერ გაიგებდა, კარიკატურა მოსწონდა თუ ბრაზობდა, რადგან ხმაში მხიარული კილო შეეპარა: „გახსოვართ ხომ, თქვე ეშმაკის მათრახებო! მაშ, არ დაგვიწყებიათ ვასია კატანჩიკი, ხომ?“

ყველაზე უფრო მარტოობის რომ ემინია, ასეთ კაცს მეტი რაღა უნდა.

## თავი მხარვეზობა

### 1

მესაზღვრეებთან სპორტული პაექრობა კვირას იყო დანიშნული. შაბათს რაღაც-რაღაცეების დაზუსტება და შეთანხმება მაინც გახდა საჭირო და მსროლელთა პოლიციდან სასაზღვრო საგულშაგომში პატარა დელეგაცია გაგზავნეს. დელეგაციაში სამი კაცი შედიოდა: ფეხბურთელთა გუნდის კაპიტანი სერჟანტი გლაზკოვი, ფრენბურთელთა კაპიტანი ლეიტენანტი გრომოვი და ძალოსანთა გუნდის წარმომადგენელი რიგითი ჯარისკაცი ბრაჟნიკოვი.

საგულშაგო შორს არ იყო და გენადიმ სთქვა ფეხით წავიდეთო. პოლკოვნიკმა მის სიტყვებს ყური მოჰკრა და გაიხუმრა, მეტოქეებს ფეხით რომ მიადგეთ, პოლკის სპორტულ ღირსებას დასცემთო. დელეგატებისათვის მსუბუქი მანქანის გამოყვანა ბრძანა.

— ეს კი სწორია. ამხანაგო პოლკოვნიკო, — ჩამოართვა ხუმრობა გლაზ-

კოვმა, — მოწინააღმდეგის ფსიქოლოგიაზე ყოველგვარი საშუალებით უნდა ვიმოქმედოთ. წინასწარ, სპორტული ბრძოლის დაწყებამდე უნდა განიმსჯვალონ ჩვენდამი პატივისცემით, მოწიწებით და შიშით. ძრწოლა უნდა ჩაუდგეთ გულში, ძრწოლა!..

მაგრამ მესაზღვრეებს არც შიშის ხარი დასცემიათ და არც არაფერი. აბა, რისი მესაზღვრეები იყვნენ. სამაგიეროდ სტუმრებს გულწრფელი პატივისცემით შეეგებნენ. სათქმელი და დასადგენი მოკლედ მოაგვარეს. საგულშაგოს უფროსმა, მაიორმა, რომელიც თავისი ოცდაათექვსმეტი წლის მიუსიდავად ბრაჟნიკოვის ყველაზე საშიში მეტოქე იყო, სტუმრები გულდიად მიიპატიჟა.

ემანუელ ფეიგინი  
ჯარისკაცი, შვილი ჯარისკაცისა

— გაგვიმასპინძლდებით, ამხანაგო მამიორო? — ეშმაკურმა ნაპერწყალმა გაუღელვა გლაზკოვს თვალებში.

— სწორედ მაგისტვის გეპატიყებით...

გლაზკოვს გულიანად გაეცინა:

— ვიცით, ვიცით, მესაზღვრეების ეშმაკობის ამბავი. „მიირთვით, ძვირფასო სტუმრებო, ნუ გერიდებათ, ერთი მათლფა უხა კიდევ, ერთი კიდევ და ასე... მოკლედ, ისე დანაყრდით, რომ ხვალ კამეჩებოვით განძრევაც გეზარებოდეთო“, — არა?

— სამაგისო არაფერი გეჭირს, — ფეხბურთელის ხუმრობას მხარი არ აუბა მამიორმა, — ისედაც აგადენთ ბლღვირს. ასე რომ, ნუ გეშინიათ, პურმარილს კი ვერ დამიწუნებთ...

ყველანი აივანზე გავიდნენ. მამიორმა ჰაერი შეისუნთქა და შეიჭმუნხა:

— კიდევ ააქოთეს აქაურობა. მაინც რა მაგარი თამბაქო აქეთ ამერიკელებს!

— ნადავლია? მწვერავეებს ხომ არ აართვით? — შეეკითხა გრომოვი.

— არა. შტერები კი არ არიან, თავიანთი თამბაქოთი შემოგვეპარონ. გლმა ამერიკელები ეწევიან და აქეთ ქარს მოაქვს სუნე...

— როგორ მაინტერესებს იმათი დანახვა. შეიძლება? — შეეკითხა გრომოვი.

„ნეტავ რა არის საინტერესო, — უნდოდა ეთქვა მამიორს, — მე უკვე ყელში მყვანან ამოსულებიო...“ მაგრამ საგულშაგოს უფროსი სტუმართმოყვარე კაცი გახლდათ. სტუმრებს ამაზე გულს როგორ დასწყევტდა.

— კი ბატონო, — სთქვა მამიორმა, — მდინარესთან ჩავიდეთ. აქვეა ყურისძირში.

## 2

საქვეყნოდ ცნობილი სასაზღვრო მდინარე წყნარად, უჩუმრად მოედინებოდა. წყალდიდობისას კი რა მოგახსენოთ, მთელ რიყეს მოიდება ხოლმე, ათფუთიან ლოდებს კენჭებივით მოაგორებს და პირზე ქაფმორეული მოგროვუნებს. ახლა კი მდინარე დამშვიდე-

ბული და დაპატარავებული იყო. მამიორმა ნაპირს ხელს მიაწვდინდა კაცი. თუმცა უკაცრავად, ხელს როგორც მიაწვდინდა, ხელმწიფო საზღვარი გახლავთ.

— აი, ის ჯგუფი, უფრო მეტნი რომ არიან, ამერიკელი ჯარისკაცებია, — სთქვა მამიორმა. — მძლოლები და სხვა სპეციალისტები. მათი სპეციალობა ჩვენთვის საიდუმლო არაა. აქვე ბაზა აქვთ „ატლანტიკის“ დროშით დამშვენებული... ეგეც კარგად მოგვეხსენება, რაც არის. ის სამი მათი უფროსებია.

იმათ რომ ხანში შესული კაცი თავს დაფოფინებს, ჩვენი მეზობელი ქვეყნის ოფიცერია. პირდაპირ მიკვირს მაგისი საქმე. ხარისხითაც არაა პატარა კაცი და ერთი შეხედვით, ფეხქვეშ როგორ ეგება ოკეანისგადაღმელ ლეიტენანტებს. მის მაგივრად სირცხვილით მე ვიწვი, რაც არ უნდა იყოს, მაინც მეზობელია...

— სერგეი, შენ რაღაც გაფაციცებული მისჩერებხიარ ამ ამერიკელებს, ნაცნობებს ხომ არ ეძებ? — წაიოხუნჯა გლაზკოვმა.

სერგეიმ უარის ნიშნად თავი გაიქნია. ამერიკელი ნაცნობები საიდან ეყოლება? დიპლომატი კი არ არის, მეშახტეა. ახლად გაშენებული დაბა, სადაც არმიასი გაწვევამდე სერგეი ცხოვრობდა, ჯერ რუკაზეც არ არის აღნიშნული და საზღვარგარეთელი სტუმრები არცერთხელ არ სწვევია. ახლა, ამერიკელ ჯარისკაცებს რომ უყურებდა, სერგეი ერთ რამეს ფიქრობდა:

„ნეტავ, რას დაყრილან აქ? აბა, მე რომ მკითხოს კაცმა, კარგად ვიცი, აქ რატომცა ვარ — ეს ჩემი ქვეყნის საზღვარია და მე ჩემს ნაპირზე ვდგავარ. ამათ კი რა შავი ქვა უნდათ. ცხრა მთას იქიდან რომ მოთრეულან? სიძულვილიმა მოიყვანა, შიშმა თუ გაჭირვებამ?“

მაგრამ ასე რას გაიგებ ამოდენა ამბავს? როცა კაცის თვალებს ვერა ხედავ და მისი ლაპარაკიც ყურს არ წვდება, ასე იოლად გაუგებ რამეს?

— რაო, დატკბით ყურებით? — იკითხა მამიორმა, — მაშინ წავიდეთ, ამხანაგებო.

მაიორის ბინაში თერთმეტობედ წლის შუბლგამობურცული, დიდსათვალიანი ბიჭი წიგნს კითხულობდა. მაიორმა წიგნი გამოართვა, გადაფურცლა, ყდაზე დახედა და თავი უკმაყოფილოდ გაიქინა.

— ისევ ჯაშუშებზე კითხულობ, ხომ? — შეეკითხა ბიჭუნას და სტუმრებს შესჩივლა. — ა, ბატონო, ნახეთ, რითია ჩემი ბიჭი გატაცებული. ამისთანა სისულელეს, უკაცრიელ კუნძულზე რომ მოვხვდე, იქ არ წავიკითხავ. სულ იმას ჩავჩიჩინებ: „ვიტია, ასეთ ლიტერატურაზე დროს რატომ ფლანგავ-მეთქი“. ეს კი რას მეუბნება, ხომ იცით: „მეო, მამაჩემო, ამას საქმისათვის ვკითხულობ, საბჭოთა მზვერავი მინდა გავხდეთ“. რა უნდა მეთქვა. ქალაქში რომ მოვხვდი, ტურგენევის თხზულებათა სრული კრებული წამოვიძღვანიე. ვიტას წინ დავუდე და ვუთხარი: „ა, შვილო, საბჭოთა მზვერავი თუ გინდა გახდე, ეს იკითხემეთქი“. მაგრამ გაგიგონიათ? თქვენც ხედავთ, რომ არ დამიჯერა. ვილაც ჯარისკაცთან შოულობს ამ მაკულატურას. როგორც ვხედავ, აწი სხვანაირად უნდა მოგელაპარაკო, ვიქტორ. ახლა წადი, დედას დამიძახე.

მაიორის ცოლი სტუმრებს შინაური ნამცხვრითა და შინდის მურაბით გაუმასპინძლდა, მაგრამ მაიორს ისინი შინ მარტო ამისათვის არ მოუყვანია. დროდადრო ეშმაკურად ჩაიცინებდა და გადაკრული სიტყვებით სტუმრებს რაღაც განსაკუთრებულს ჰპირდებოდა. როცა სუფრა აალაგეს, მასპინძელი წამოდგა, ჩაის ძლის დროს შესხნილი გიმნასტურა შეიკრა და სთქვა: კარგი, მეტს აღარ დაგტანჯავთო, პატარა ტუმბო გააღო, იქიდან დიდი, ცელოფანის კონვერტში ჩადებული ფირფიტა ამოიღო და საზეიმოდ გამოაცხადა:

— ჩაიკოვსკის პირველი კონცერტი. ასრულებს ვან კლიბერნი, საბჭოთა კავშირის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის თანხლებით. დირიჟორობს

კონდრაშინი... — მერე რბილად დაუმატა, — დედაჩემი მოსკოვში ცხოვრობს. სამოცდაათი წლის ქალი და სალამომდე მდგარა ამ ფირფიტის რიგში. მე რომ მკითხოთ, ასეთი მუსიკისათვის ფეხით ჩავალ მოსკოვში. რა სიხარულია, აბა, ერთი ყური დაუგდეო.

სერგეი, საერთოდ მიღებული თვალსაზრისით თუ მიუღდეგბით, ვერ იტყოდით მუსიკალური ყმაწვილით. სიმფონიური კონცერტი თავის სიცოცხლეში ორჯერ-სამჯერ თუ მოუსმენია. მუსიკალური ნაწარმოების ღირსება-ნაკლოვანებებზე, რა თქმა უნდა, საზოგადოებაში ხმას ვერ ამოიღებდა. მუსიკალურ მესხიერებაზეც, ცოტა არ იყოს, მწყურაღად ვახლდათ... მაგრამ აი, ფირფიტა დატრიალდა. ჩაიკოვსკის პირველი კონცერტი. უკრავს ვან კლიბერნი. და თითქოს სერიაჟა ბრაუნეიკოვს სულში სითბო ჩაედგარა.

„გმადლობ, მშვენიერო მუსიკოსო, ვან კლიბერნ. რა კარგია, რომ ამ რუსულ სახლში რუსული მუსიკით შემოაბიჯე, სუფთა სულით გვეწვიე, მეგობრობისა და სიკეთისათვის გულგახსნილი, — ფიქრობდა მუსიკით აღელვებული და გულაჩუყებული სერგეი. — როგორც ადამიანი ადამიანთან, კაცი კაცთან, ისე მოხვედი, ამერიკელო ვან კლიბერნ! — სერგეიმ ოხვრა გულში ჩაიკლა და ტუჩი მტკივნეულად ჩაიკვინტა. — ის შენი თანამემამულეები კი, სასაზღვრო მდინარის გაღმა რომ დგანან, „ატლანტიკური“ ბაზის ჯარისკაცები და ოფიცრები? ისინი რითღა მოვიდნენ ჩემი სამშობლოს საზღვართან? რა მოიტანეს თან?“

...უკრავს ვან კლიბერნი. სიმები რაღაც ძალიან სუფთა და სასიხარულო გრანობაზე მღერიან, მაგრამ სერგეის სახეზე ჩრდილმა გადაურბინა. სერგეის უნდა და ძალაც შესწევს უსაზღვროდ კეთილი იყოს. ღონიერ და მამაც ღონბასელ ჭაბუკს, სერგეი ბრაუნეიკოვს დი-

ემანუილ ფეიგინი  
ჯარისკაცი, შვილი ჯარისკაცისა





ახაც უნდოდა ამ ქვეყანაზე ყველა ჰყვარებოდა...

„მაგრამ ოკეანის გადაღმიდან მაინც რისთვის მოშავდით ჩემი ქვეყნის საზღვრებთან, შორეული ამერიკის ჯარისკაცებო? რისთვის?“...

— აი, ეს გახლავთ ჩაიკოვსკის პირველი კონცერტი ვან კლიბერნის შესრულებით, — დაფიქრებულმა ჩაილაპარაკა მაიორმა და ფირფიტას ხავერდი გადაუსვა.

— ერთი რამ მაინტერესებს, — სთქვა გლახკოვმა, — გაღმელ ამერიკელებს თუ მოუსმენიათ, მათი ბიჭი როგორ უკრავს ჩვენებურ მუსიკას?

— არ ვიცი, — უპასუხა მაიორმა. — შეიძლება, მოუსმენიათ. ახლა დღე და ღამე აქ იტეხავენ კისერს. ერთი ჩემი ნება რომ იყოს, კი ვიცი, რასაც ვეტყოდი მაგ ვაქებატონებს: „ჩვენი ცხოვრების ნახვა გინდათ? კეთილი და პატიოსანი. მობრძანდით სადარბაზო კარებიდან, როგორც სტუმრებს ეკადრება, ისე. აქ კი ნუ მოძვრებით-მეთქი. პირდაპირ გულზე ვსკდები კაცი...“

— საძაგლობაა პირდაპირ, ასე რომ გვიჭვრიტინებენ, — სთქვა სერგეიმ. — ღობე-ღობე დაძვრებიან, ჭუჭრუტანიდან გვითვალთვალბენ. ნუაუ თვითონ არ ეზიზღებათ თავიანთი საქციელი?

გრომოვმა მხრები აიჩჩია.

— გულუბრყვილო კაცი ხართ, ბრაჟნიკოვ.

— გმადლობთ, ამხანაგო ლეიტენანტო.

— მძღობა რა შუაშია.

— აი იმიტომ, მოულოდნელად კაცად რომ ჩამთვალეთ.

მესაზღვრე მაიორმა გაოცებით, გლახკოვმა კი შეშფოთებით შეხედა ორივეს. გლახკოვი დიდ გამჭირაობასა და გულთაღობას ვერ დაიკვეხნიდა, მაგ-

რამ მაშინვე მიხვდა, ეს კინკლაობა უმტკივნეულოდ არ დამთავრდებოდა.

— იცით, რას გეტყვით, ბრაჟნიკოვ, — წყნარად სთქვა გენადიმ. იგრძნო, ტუჩები აღარ ემორჩილებოდა. გენადის ტუჩები ყოველთვის უშრებოდა, როცა გული ეტკინებოდა ან დაუოკებელი ბრაზი მოაწვებოდა. მაგრამ თავი მაინც შეიკავა. ის კი არა, შემარიგებლადაც გაიღიმა. ანდა რა უნდა ექნა. ამ კაცისაკენ გული ისე მიუწევდა, რომ წამიერი გაბოროტება ამ გრძნობას ვერაფერს დააკლებდა.

„თითქოს ჯიბრზე, არ უნდა რომ გამივოს. მაგრამ მე მოთმინების ძალა შემწევს. ჩემსას მაინც მივაღწევ.“

— არ მესმის, რითი ტრაბახობთ, ბრაჟნიკოვ, — რბილად სთქვა გენადიმ. ძალუწებურად ხმას მეგობრული კილო მისცა, — თქვენც კაცი ხართ და მეც. მერე? განსხვავება მხოლოდ ერთ რამეშია, მე სამხედრო ვარ, გესმით, ბრაჟნიკოვ, მთელი სიცოცხლე არმიში უნდა გვატარო. თქვენ კი დროებითა ხართ ჯარში გაწვეული. მოათავებთ ვადას და ისევ თქვენს შახტს მიაშურებთ... ამიტომ ვლაპარაკობთ ხშირად სხვადასხვა ენაზე. მაგრამ მე მინდა, მერწმუნეთ, მინდა, რომ...

გენადიმ სათქმელი არ მოათავა, სერგეის მკაცრი და პირქუში სახე ახლა ასეთი საუბრის საშუალებას არ იძლეოდა.

„ნეტა რას მიედ-მოედება, რა სხვადასხვა ენაზე აბაჰს ლაპარაკს?.. მოიგონა, რა... ასე ბოდილით მზიან დღეშიაც აებნევა გზა-კვალი: ქარბუქი რომ ატყდეს, მაშინ ხომ...“ — ისე აულნაკულად გაიფიქრა სერგეიმ, თითქოსდა, გენადი გრომოვის ბელზე ვილაცის წინაშე პირადად უნდა ეგო პასუხი.

თარგმნა დალი კოკაიამ

დასასრული იქნება



# სიკეცის სიკეცის პოეზია

სიკეცის სიკეცის

როგორ ველოდი  
ამ ყოვლისშემძლე, ბრწყინვალე სიტყვას!  
ველოდი დიღხანს, იმ წუთებიდან,  
როცა შევიტყვე მე არსებობა  
სიკეცის სიკეცისა.  
სიტყვავ, ამაღლი და გაიმართე!  
გასწორდით, ვისაც სურს გაიაროს  
ჟველაზე მეტად დამცირებელი,  
ჟველაზე მეტად დაკნინებელი,  
ჟველაზე მეტად ნალაღატივი  
და მაინც მუდამ წმინდა, ელვარე  
სიტყვის წინაშე!

ხაწოლში ნუკი დაეძებთ, იგი  
ხადლაც ახლოა, ახლოა და შორს.  
ეძიეთ მხოლოდ ადამიანში,  
რომელსაც ძალუძს  
აკიფოს ეს სიტყვა მზისებრ.  
როდის არიან კაცთაშვილები  
მშვენიერები?  
აი, მე ვხედავ.  
როგორ მიხობავს დათოვლილ ველზე  
ადამიანი — წერტილი რუხი,  
მიხობავს, რათა მტრის ტყვიამურქვევე  
დადუმდეს უცებ.  
მიხობავს, რათა ძმათა სიკეცხლეს  
საკუთარ მკერდით გადაფაროს.

გაგრძელება იხ. „ციკარი“, № 12.

არსად, არასდროს ეს წმინდა სიტყვა  
არ წარმოუთქვამს,  
სიტყვა, რომელიც გავაიფეთ  
ყოველდღიური წამოძახებით.  
თავისი თავი სტყორცნა უშიშრად  
(რადგან ეს სიტყვა იყო თვითონვე!)  
სიძულვის, მტრობის და მტრის ძღმინიწურს...  
ხომ არ მინახავს იგი ყმაწვილი,  
და მაინც ძაღმძის, რომ დაეფიცო:  
სიკეცხლესაც ლამაზი იყო,  
ლამაზი დარჩა სიკეცდლის მერეც.

— რა ბანალური რამეა! მამცნეთ,  
სადღა გულის დიალექტიკა? —  
იტყვის ჭაბუკი, თავისი თავი  
რომ მიაჩნია მცოდნედ ყოვლისა.

სიტყვა შეიქმნა, რომ იმუშაოს;  
როცა მუშაობს, ის იფურჩქნება.  
მე მნიშვნელობას როდი ვანიჭებ,  
როგორ წარმოთქვი სიტყვა „მიყვარხარ“.  
მაგრამ მუშაობს იმ წუთებიდან  
სიტყვა, რომელიც შენა უკვე;  
სიტყვა — გუთანი,  
რომლითაც ხნული  
გაგვყავს შენივე გულის არეში...  
დედამიწაზე  
მეორე სიტყვა თუ არის ქვეყნად,  
უფრო მძლავრი და საყოველთაო,



რაც ყოველივეს შეაერთებდა  
და ძლევამოსილ რომლის ძახილსაც  
გაუხდებოდნენ მინა-მორჩილი  
ბალახიც, კაციც და პლანეტებიც?  
ასე მგონია, ზოგჯერ სამყარო  
სიყვარულითა არსებობს ქვეყნად,  
ხისტიკმა მთელი ვარსკვლავებისა  
ამავე სიტყვას ეყრდნობა მხოლოდ.  
რომ დედამიწას მზე არ უყვარდეს,  
როგორ შესძლებდა  
შეუსვენებლივ  
მის ირგვლივ ბრუნვას და მოძრაობას.  
დედაო მიწავ, ჩვენი შეგვასწავლე  
ერთგულებაც და სიყვარულიც,  
განა ერთი დღით და ერთი ღამით,  
მილიონი წლით, უფრო მეტი ხნით!

და კიდევ, კიდევ მინდოდა მეთქვა,  
რომ სიყვარული არის შეცნობა.  
შეიცნო — ნიშნავს გძულდეს, ან კიდევ  
გიყვარდეს ძლიერ.  
ვიდრე სიცოცხლე არსებობს ქვეყნად,  
არ გააჩნია შეცნობას ზღვარი.  
აი, ამიტომ ნუ ავჩქარდებით  
და ნუ გადავწყვეტთ ასე: მძულს... მიყვარს...  
თავიდან ვცადოთ ყოვლის ძეცნობა  
გრძნობით, გონებით და ამის შემდეგ  
იმავე გრძნობით და იმავე გონებით  
გვძულდეს, გვიყვარდეს.

მე ყველაფერი მიყვარს ძალიან,  
რასაც კი ვხედავ და რასაც ვიცნობ;  
ბალხი, რომელიც მეგობრობს ჩემთან,  
და ჩემი თავიც. ხალხს რომ მეგობრობს;  
ბალახი, რადგან მწვანეა იგი;  
ქვაც კი, რადგანაც მაგარი არის;  
წიმი ბები, მცირე ბუჩქები,  
წვიმა, რადგანაც სჭირდება ხორბალს,  
ხესა და ბალახს;  
ატომი, როცა კეთილი არის,  
დიდი და მცირე სავანი, ყველა,  
მიყვარს ერთნაირ, რადგანაც მათში  
გულისძეგრაა ადამიანთა.  
მე მიყვარს შრომაც და დასვენებაც,  
რადგანაც ვიცო,  
მზე რომ ყოველდღე ამოდის, ჩადის.  
ქალი, რომელსაც ვუყვარვარ.

მიყვარს

სულ უფრო ძლიერ,  
რადგან ყოველდღე, ღოველ საათში,  
უფრო და უფრო უკეთ ვეცნობი.  
მე საკუთარი სხეულიც მიყვარს,  
რადგანაც მასში ვცხოვრობ და ვსუნთქავ.  
მერწმუნეთ, სხვათა სხეულიც მიყვარს —  
თეთრი, ყვითელი, შავი, —  
რადგანაც  
მათში ვცხოვრობდი ოდესღაც თურმე,  
ვცხოვრობ და, მგონი, ვიცხოვრებ კიდევ.  
ერთნაირ მიყვარს სიტყვა ყოველი,

ხოთაც საკუთარ თავს გამოვხატავთ,  
გარდა ერთისა,  
რომელსაც ქვეყნად ჰქვია „სიკვდილი“  
მე მძულს სიკვდილი,  
რადგანაც იგი რაა, არ ვიცი.  
სამაგიეროდ, მშვენივრად ვიცი,  
ცოცხლობდე, ნიშნავს, გიყვარდეს ძლიერ.  
საუკეთესოს რასაც ვაკეთებთ,  
სიყვარულისთვის ვაკეთებთ მუდამ.  
და სიღრმეს ჩვენი სიყვარულისას.  
ვამოწმებთ საქმის, ჩვენივე საქმის  
სიღიადით და არარაობით.  
ჩვენ უკვე გვედიძავს სიყვარულისთვის  
და ძეგლს აუვლებთ სიყვარულს იმგვარს,  
რომ დედამიწა იქნება მისი  
უპირველესი კვარცხლბეკი მხოლოდ.

თვითონ არ ვიცი, თუ რას ვაკეთებ,  
როცა არ მიყვარს.  
მძულს უსათუოდ.  
მძულს ყველაფერი, რაც კი სიყვარულს  
არ იმსახურებს.  
სიძულვილია ჩემი ხანმოკლე  
რამ დასვენება,  
სიცოცხლის წყაროს მომნიჭებელი,  
რასაც ვეყრდნობი  
ჩემს ყოველდღიურ ძნელ სიყვარულში.

ბედნიერი ვარ, რომ შემიძლია,  
მთლიანად გავცე ჩემივე თავი,  
ჩემთვის ავიღო იმდენი რამე,  
რამდენიც მსურს და ანუ მჭირდება.  
ხელმეგავწვდილი  
აზრსაც და გულსაც  
ვადებ, ვით სარკმელს, და მიხარია,  
„შორს, შორს გავრბივარ,  
ხმაყალა ვყვირი  
ამ სამყაროთი გაბრუნებულ  
და აღარ ვიცი,  
სად მზეა და სად დედამიწა!  
ბოლოს და ბოლოს, ვგრძნობ:  
ყოველივე.

რასაც ვეხვევი გაშლილი ხელით,  
უკებ იქცევა სიმღერად ჩემად.  
ვიტყევი იმად, რაცა ვარ თვითონ.  
კიდევ ვგრძნობ: ვხდები მე ყველაფერი  
და ყოველივე, რასაც ვეხვევი.  
აი, ამიტომ,  
თუ სიყვარულის ძალა მეყოფა,  
გადავაბიჯებ საქმულველ სიტყვას,  
რომელსაც ჰქვია „სიკვდილი“.  
ვიართო ერთად.

ხალხს მივკავთუნოთ  
ჩვენი არსების ყველა უჯრედი  
და არაფერი არ დავტოვოთ  
იმ საზოზღარ და საქმულველ სიტყვას.  
რადგანაც ამით და მხოლოდ ამით  
შევძლებთ თამამად დავეცინოთ სიკვდილს!



სამშობლო! ეს შენ მომეც ხელები,  
რომ მოგვეფიო. შენ მოგვეფიო!  
სამშობლო!

ეს შენ მაჩუქე გული,

რომ შენ მიყვარდე.

მიყვარდე მუდამ!

ამ ქვეყანაზე ჩემს გაჩენამდეც,

შენში ვიყავი.

მიყვარდა შენი მოკეთებები

და შენი მტრები მძულდა მაშინაც.

ჯერ არც კი მქონდა გული, რომ უკვე

ათასჯერ იყო დამიზნებელი

ამ გულზე შეგი მახვილი მტრისა!

თუმცა არ მქონდა ხელები იმ დროს,

ათასჯერ იყო გამომოშილი

რკინის ხუნდები

ჩემი ხელების დასაბორკავად.

დამატარებდი საშოთი ფრთხილად

და რომ გტკიოდა, მეც ვგრძნობდი ტკივილს.

გამომეცა ყველა ნაჭრილობევი,

რაც კი გატყუა და გაჩნევია.

კოლხზე ვწუავდი მტრებს მუხანათებს,

რადგან ისინი გვაგადებდნენ ცეცხლში.

სიკვდილს უხმე და მკაცრად მიბრძანე,

რომ ჩაბეჭედა მისთვის თვალგმში, —

ვუშვებდი, ვიდრე დამტოვა შიშმა.

მერე მირჩიე, ერთად ბეჭამა

გული მტრედის და გული შევარდნის.

და მხოლოდ ამის შემდეგ მითხარი:

— წადი, იარე!

წადი, შენი დრო წარიღე თანა,

დროს იმდენს გაძლეე. რაცა გჰირდება

არც მეტს არც ნაკლებს.

როცა ვიგეშე დრო, მაშინ ვიგრძენ,

მე რომ ვარსებობ.

ეს დრო გამოსჰქერ იმ მარაგიდან,

რაც გაგაჩნია.

ალბათ ვიღაცას დააკლ იგი,

რომ ბედნიერი მე გავეხადე.

იქნებ ამიტომ.

ვისაც არ ერგო წილად იგი დრო,

ყველგან, ყოველთვის, როგორც ჩრდილები,

თან დამყვებიან

წამთვლემს თუ არა, თავსასთუმალთან,

იკრიბებიან უსხეულონი

და დაჭინებით,

და გაჯავრებით მიმეორებენ:

— აი, ვისა აქვს დროც და სისხლ-ხორციც.

ძილს როგორ ბედავს!

თიხს კი, რაც ასე უხვად დაფუთმეთ, —

უმიზნოდ გადის.

ფერსა და სისხლ-ხორცს რაც ვუწილადეთ,

სიკვდილი ელის.

ძილს როგორ ბედავს...

სამშობლო,

მხოლოდ ახლად მიხვდი;

რომ შენ გეკუთვნი მთელი არსებით,

ყველაფრით, რაც მაქვს.

და მე ვარსებობ მხოლოდ იმიტომ,

რომ ასე გნებავს.

შენ მონეე ის დრო, რაიც ჯერ კიდევ

თვითონ არ გქონდა, —

დრო ულამაზეს ოცნებებისა

და უნაპირო გაქანებისა.

ამდენ სიმდიდრით მიბზრუს თავი.

ხანდახან, როცა თითქოს მშვიდია

სინდისი ჩემი

და სხეული კი დაქანცულია

უმიმის შრომით, —

ჩემს თავს ვუსურებ და შენა გხედავ.

გხედავ მთლიანად,

სამშობლო ჩემო!

ვინ გაგიბედას და ვინ გიწოდოს

ქვეყანა მცირე, უწინ, ღარიბი?

მართლაც პატარა რომ იყო, მაშინ

ჩვენ გავხდებოდით ასე ღიდები?

ან ულამაზო რომ იყო მართლა,

ასეთი შურით ვინ უგებდებდა?

ან რომ ნამდვილად იყო ღარიბი,

განა შესძლებდი სხვათა და სხვათა

ასე გულუხვად დასაჩუქრებას?

დღევნის დღეები მისდევნენ სრაოლით

და ღამეები დღეებსა ჰკვანან.

დღეები! აბა რას შეადარებ

ანთებულს შრომით, ცეცხლით, ფოლადით.

იყო დრო-ჟამი, როცა მგოსნები

სახეს გიმკობდნენ.

რომ იმ სახეზე არ დაენახათ

დარდი, ტკივილი.

ახლა სხვაგვარი გვაქვს მასშტაბები

სიყვარულისა.

ძლივს გამოვხატავთ ამ დიად გრძნობას

ელსადგურებით და რაკეტებით,

ღიდი ქარხნებით და ფაბრიკებით,

რომელთაც მიაქვთ შენი სახელი

სხვა, შორეული პლანეტებისკენ.

ბედნიერი ვართ, რადგან გვიყვარხარ

იმნაირ, როგორც არავის დღემდე.

ბედნიერი ვართ, ამგვარი ტრფობა

რომ შეგვიძლია.

ო, არაფერი ჰქრება ზეკალოდ

დღედამიწაზე.

თუ თქვენ გგონიათ, მოკვდებით ერთ დროს,

სცდებით სასტიკად. —

გადაიქცევით სინათლედ მზისა

და დაიდვებით კეთილ სხივებად

სამშობლოს მთებსა და ველ-მინდვრებზე.

ამ ჩვენს სოფლებში და ქალაქებში.

მოეფერებით

ახალამოსულ ღორთქო ბალახებს,

ახალ შენობებს,

რტონაყარ ხეებს გაზაფხულისას

და თოთო ბავშვებს

ახალშობილებს.

მე ვთქვი თუ არა, საიდანა ვართ?  
 გირჩევთ სიღრმე, ძირი და ფესვი?  
 ვართ დაძაბული და თითო-თითოდ  
 ვალაგებთ ფენებს ხუთწლედებისას.  
 მალაროების დაუსრულებელ არტერიებით,  
 რომლებშიც ჩუმი მშვიდობის ოქრო  
 მიედინება უწყვეტ ნაჟადად;  
 ჭკვიან ფოლადით, რომელიც ბორგავს  
 ვეებერთელა ბრძმედების მზეში;  
 ნავთის კოშკებით,  
 რომლებიც იქით მიიბიჯებენ,  
 სადაც დულს მიწა —  
 ყველაზე უფრო უხვი დონორი —  
 და აქაფებულ თავის სისხლს გვაწვდის:  
 ელსადგურებით, რომელთა შუქიც  
 მიაქვთ მავთულებს;

ჩვენი ქარხნების და ფაბრიკების  
 სიამაყით და გონიერებით;  
 რეაქტორების საიდუმლოთი;  
 რაკეტების გზით, რომელიც სადაც,  
 სხვა სამყაროთა მიღმა, შორეთში,  
 უნდა დასრულდეს.  
 გრძნობთ ამ ფენების მთელ სიღიადეს  
 და ისტორიის სიმძიმეს? მოდით,  
 ახლა კი ფრთხილად და მოწინააღმდეგეობით,  
 კვლავ ერთი ფენაც ავწვიოთ დროის,  
 ვით სისხლიანი სახვევი ძველი,  
 სხეულს მიკრული,

და პატივი ვცემ მცირე დემილით  
 წმინდა ჭრილობას...  
 შეხედეთ კარგად და თქვენ იხილავთ:  
 ცეცხლში გახვეულ ქალაქებს ჩვენსას,  
 აფეთქებისგან დაფლეთილ პაერს,  
 სანგრებით დათხრილ-დასერილ მიწას,  
 პურის ყანებსაც,

შეურაცხყოფილს, განადგურებულს,  
 დაუმწიფებელს;  
 ტივილს მკვდარებისას და ცოცხლებისას;  
 გამარჯვებულ ცას შეხედეთ კიდევ,  
 იმ ვარსკვლავებსაც,  
 დედამიწაზე რომ ჩამოსულან  
 და ნათელს ჰფენენ

ძმთა საფლავებს და ობელისკებს.  
 შეხედეთ, უკეთ შეხედეთ-მეთქი,  
 და თქვენ ყველაფერს იხილავთ, რადგან  
 არც არაფერი ქრება ამქვეყნად,  
 არც იკარგება!

ო, ყოველივე მშობელ მიწაში

ჩადის მარცვლებად და ასაზრდოებს,  
 ვინც არის ახლა დედამიწაზე  
 და ყველას, ვინც კი იცნება შემდეგ-  
 დროა ავწვიოთ ახალი ფენა.

მას ეყრდნობიან ქვეყნებები  
 კომსოპოლისკის და დენპროპსისა —

ეს ბედნიერი ქვეყნებები,  
 რომელთაც ახსოვთ ლენინი.  
 დიახ,

იმ დიად დღეთა კვალს უნდა გაჰყვეთ  
 და დეკრეტები უპირველესი, —  
 შესახებ მიწის და მშვიდობისა,  
 დაიხეპიროთ.

მხოლოდ მაშინდა, ფესვთა ძენისას,  
 ჩვენ შევალთ ცეცხლში.

აქ არის ჩვენი დასაწყისი და დედაარსი.

ცეცხლო, დიადო, დამბადებელო  
 ადამიანთა და... ლითონების!

შენ ხარ უკვდავი  
 ჩვენში — ჩვენს სულში და ჩვენს დროშაზე.  
 და, უპირველეს ყოვლისა, ვცოცხლობთ,  
 რადგანაც ვიწვიოთ.

აი, ყოველდღე და ყოველ საათს,  
 ერთად შევდივართ შუაგულ ცეცხლში,  
 ერთად გბრუნდებით, გამბიდრებულნი  
 მარადისობის უკვდავი გრძნობით,  
 ძარღვებავსილნი ლითონის ლავით  
 და ცეცხლის ალით გულანთებულნი.  
 მე მუდამ მიკვირს,  
 და მეჩვენება ჭამიკამ ისიც,  
 თითქოს არაფერს ვაკეთებ ქვეყნად  
 და მხოლოდ მიკვირს.

მაოცებს, რასაც აშკარად ვხედავ,  
 რასაც ვგრძნობ, რისი ახსნაც მწყურია.  
 და, აი, როცა შევედით ცეცხლში,

რომლის წიაღშიც დაფარულია  
 საწყისი ჩვენი და დედაარსი,  
 მგონია, მივხვდით:  
 რეგოლუცია

არის ის ცეცხლი, მიწას რომ კურნავს  
 სირცხვილისა და წამებისაგან,  
 ყველაზე სრულად რომ გამოხატავს  
 წყურვილს მიწისას —

პატიოსანი და წმინდა იყოს,  
 ახლა მე ვიცო: ჩირაღდნები ვართ  
 და ჩვენ უფლება არა გვაქვს, ჩავქრეთ

თარგმანი ხუტა ბერულავამ

დასასრული იქნება



პეპი ბეჩაძე

## ინტელექტუალური რევანტიზმის წინააღმდეგ

ადამიანის სულიერმა სამყარომ მნიშვნელოვანი ცვლილებანი განიცადა, რაც განაპირობა დიდმა სოციალურმა ძვრებმა, თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის სწრაფმა განვითარებამ. მოხდა ისე, რომ უდიდესი რომანტიკული ოცნებაც კი თანდათანობით ადამიანის ყოველდღიურ საქმიანობად გადაიქცა. მართალია, პოეტები გვარწმუნებენ, რომ კოსმოსის მოგზაურები იასამანის რტოსაც თან ატარებენო, ე. ი. არც პოეზიას იფიქვებენო, რომ ტექნიკურ პროგრესს პოეზიის როლი არ დაუმცივრებია და არც დღევანდელ ადამიანს დაჩლუნგებიაო პოეზიის გრძნობა. ამ ჭეშმარიტი აზრის წინააღმდეგ საკამათო არა გვაქვს, მაგრამ პოეზიაც არის და პოეზიაც. სწორედ პოეზიის ხარისხობრივ და შინაარსობრივ ცვლილებას უნდა გაეწიოს ანგარიში და იგი (პოეზია) დღევანდელი უნდა გახდეს. შეიძლება ადამიანის სულიერ მოთხოვნილებათა შიკვლის ქართულ პოეზიაში ჯერჯერობით მკვეთრად და ნათლად ჩამოყალიბებული სახე არ მიუღია, მაგრამ სრულიად გარკვეულია, რომ პოეზიით აღძრული,

დღემდე დამაკმაყოფილებელი განწყობილება და ემოციური ტკბობა ახლა საკმარისი არ არის. ადამიანის სულიერ სამყაროში მომხდარმა ცვლილებებმა პოეზიაშიც უნდა გამოიწვიოს ძვრები, რაკი პოეზიის ფიქრის, განაჯის, ასახვისა და გამოხატვის საგანი ადამიანის სულია.

როგორც უკვე ითქვა, ადამიანის სულიერ მოთხოვნილებებზე დიდი გავლენა მოახდინა მეცნიერების და ტექნიკის დღევანდელმა მიღწევებმა. ამიტომ არასდროს პოეზიას ისე არ ესაჭიროებოდა მეცნიერებისა და ტექნიკის ღრმაცოდნა, როგორც დღეს და არც არასოდეს ყოფილა მათ შორის მტკიცე და ახლო კავშირი ეგზომ აუცილებელი. აქ ლაპარაკია არა კონკრეტული ფაქტების ან თეორიების ცოდნაზე, არამედ ამ ცოდნიდან გამომდინარე ფილოსოფიურ დასკვნებზე. პოეზიის ხარისხს ყოველდროში აზროვნების სიღრმე განაპირობებდა. ყოველნაირად უნდა გაექცე საშიშროებას — იყო ზერელი აზრებსა და გრძნობებში. — სწერდა ალბერტ აინშტაინი მასწავლებელს სიუზან მარკვალ-



დერს. მართლაც ასეა: ჭეშმარიტი პოეზია ყოველთვის ერიდება გრძნობებისა და აზროვნების ზერელობას. მაგრამ ახლა თუ ეს საკითხი წამოვეჭერთ, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ, ჩვენი ფიქრით, დღევანდელი ქართული პოეზიის ერთი ნაწილის უმთავრესი ნაკლთაგანი სწორედ აზროვნების ზერელობაა, რაც ინტელექტუალურ ინფანტილიზმში გამოიხატება.

ამ სუფთა ჰაერს  
სურნელი არა აქვს, —  
არც ჰაერს ზღვისას,  
არც ჰაერს მთისას,  
სურნელი შექმნეს „წმინდათა მამათ“  
გუნდრუქისა და ნელსაცხებლისა,  
სუფთა ჰაერი,  
წმინდა ჰაერი,  
არ შეუქმნიათ ადამიანებს.  
უჰაეროდ კი პურის თაველი,  
ზვარში ვენახი  
ვერ იზრიალებს.  
ადამიანო, ადამიანო,  
შენ დედამიწის  
პატრონი გქვია, —  
ატომის ბომბით,  
წყალბადის ბომბით  
ნულარ მოვწამლავთ  
ზღვის და მთის ნიავეს,  
რომლითაც ვსუნთქავთ,  
რომლითაც ვცოცხლობთ,  
ურომლისოდაც არ შეგვიძლია.

#### ამირან აბშილავა

სხვათა შორის, ზოგჯერ სამაგალითოდ ამა თუ იმ ლექსს მთლიანად მოვიტანთ, რომ ტენდენციური ციტირება არ დაგვბრალდეს.

ახლა კი ამ ლექსის ლოგიკურ ანალიზს შევედგეთ. ლექსი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი 12 სტრიქონი გვაცნობს ავტორის აზრს სუფთა ჰაერისა და მისი მნიშვნელობის შესახებ, მომდევნო 10 სტრიქონი კი მიმართვა — ლოზუნგია: არ მოწამლოთ ჰაერი! მართალია, ლექსის პირველი ნაწილით ავტორს სურს ემოციურად შეგვაყვაროს სუფთა ჰაერი, რომ მისი მოწამელის პერსპექტივამ შეგვაძრწუნოს და ავგამხედროს ასეთი შესაძლებლობის წინააღმდეგ, მაგრამ პოეტის დებულებანი, რომელთაც უნდა დაძაბონ მკითხველის აზ-

რი და ემოცია — მეტისმეტად პრიმიტიული და უინტერესოა. ჯერ ერთი, ავტორი ცდება, როცა გვიმტკიცებს ზღვისა და მთის ჰაერს სურნელად აქვსო; მეორეც, ვთქვათ ასეა, მაგრამ აქ რა შუაშია გუნდრუქისა და ნელსაცხებლის სურნელი? რით არის ცუდი მათი სურნელი? ორივეს მეტისმეტად საამო სუნეი აქვს და არა მგონია, ამ სურნელებათა ყნოსვისათვის ავტორს როდისმე თავი აერიდებინოს. მაშინ რამ გამოიწვია მისი ირონია? თუ იგი ფიქრობს, რომ რელიგიასაც გაჰკრა კრიტიკის კბილი — ღრმად ცდება. გუნდრუქი ტროპიკული ხის გამონაყონი ფისია, რომელიც საკმევლად იხმარება (ამის ამოკითხვა შეიძლებოდა „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“) და მის შექმნაში „წმიდა მამებს“ არავითარი როლი არ მიუძღვით.

ავტორი ზემოხსენებულ „დებულებებს“ არ სჯერდება და კიდევ ერთ „აღმოჩენას“ გვთავაზობს:

სუფთა ჰაერი,  
წმინდა ჰაერი  
არ შეუქმნიათ ადამიანებს.

ციტირებული სტრიქონები ავტორს იმიტომ სჭირდება, რომ დაასკვნას: რაკი ჰაერი ადამიანს არ შეუქმნია, არც მისი მოწამლვის უფლება აქვსო („ატომის ბომბით, წყალბადის ბომბით, ნულარ მოვწამლავთ ზღვის და მთის ნიავეს“). მიუხედავად დებულების თითქოსდა მოჩვენებითი სიმართლისა, უფლება-მოვალეობათა ასეთი განაწილება ვერ აღძრავს ადამიანის სულში პროტესტს ატომურ და წყალბადის ბომბის წინააღმდეგ, უმთავრესად ორი მიზეზის გამო: ჯერ ერთი, პოეტის მოწოდება არ ცილდება პლაკატურ შინაარსსა და ემოციურობას და მეორეც, პოეტმა ყველასათვის ცნობილი და ელემენტარულად ნათელი აზრი გაიმეორა და იგი არაფრით არ გაამდიდრა, პოეზიის ხარისხი ვერ მიანიჭა.

თუ რომელიმე ხელოვანი ხედავს, რომ კაცობრიობის ცხოვრების რომელიღაც ეტაპზე ბნელი ძაღვი ისტორიის პროგრესს ემუქრება, მაშინ პოეტმა საშიშ-

როების მხატვრულ-ემოციური სახე უნდა შექმნას. სხვანაირად მკითხველში არ დიზაღდება არც წინააღმდეგობის სურვილი და არც ბრძოლის პათოსი. ავტორს კი მოწამლვის შედეგი მოცემული აქვს გულგრილად, ფაქტის კონსტატაციის სახით, რომელსაც ამაღლებებელი ემოციური მუხტი გამოცლილი აქვს. ერთი სიტყვით, არაა ის, რასაც ალ. პუშკინი მოითხოვდა: „Глаголом жгит сердца людей“. უამისოდ პოეზია იქცევა გართმულ პუბლიცისტიკად. ამის ნათელ მაგალითად გამოდგება ლექსი „ციმბირული ჩანაწერები“:

არა ბეწვში,  
არა ქურქში,  
სიფრიფანა სარაფანით, ხილთან...  
— დღეს პირველად ჩამოხვედით  
თქვენ ირკუტსკში?  
მკითხა.  
გაზეზღე და გავცანი.  
მზერა ჰქონდა ანგარაზე წმინდა...  
დამეკარგა.  
განა მართლა გავეცალე?  
წვიმდა.  
წვიმის წვეთებს  
(რაც კი ჰქონდათ)  
ძირს ვით ხურდას ყრიდნენ მავთულები...  
და ანგარა მოლიოდა და მოჰქონდა  
სანაპიროს ანთებული ნათურები.

#### ბიძინა მინდაძე

ეს არის მხოლოდ წუთიერი შთაბეჭდილების სურათი, რომელიც სავსეა ალოგიზმით. ჯერ ალოგიკურობის შესახებ: ლექსის ავტორის თუ ლირიკული გმირის გაოცება ირკუტსკში პირველად ჩასვლისას გამოუწვევია ქალს, რომელსაც ქურქის ნაცვლად ლურჯი სარაფანი ეცვა. რატომ მოელოდა პოეტი, რომ ქალს აუცილებლად ქურქი უნდა სცმოდა, გაუგებარია, რადგან ლექსის ავტორმა მისი ირკუტსკში ჩასვლის დრო არ განსაზღვრა. როგორც ჩანს, პოეტმა იფიქრა: რაკი ირკუტსკი ვახსენე, სიცივის ასოციაციაც აღძმარით. ასეთი პრიმიტიული წარმოდგენები ქმნიან სწორედ ინტელექტუალური ინფანტილიზმის ნიშნებს. მართალია, იყო დრო, როცა ციმბირის ან ირკუტსკის ზსენებას შეეძლო გამოეწვია სი-

ცივის ასოციაცია, მაგრამ იგი (ასოციაცია) გაპირობებული იყო უმეცრებით. ხოლო როცა ცოდნის არე გაფართოვდა და ციმბირის ნამდვილი სახე შევიცნინით, გაქრა პრიმიტიული ასოციაციებიც. ამას პოეტი ანგარიშს არ უწევს და თავს იყენებს უხერხულ მდგომარეობაში.

პოეტი ავრძელებს ამბავის თხრობას და გვაუწყებს, რომ ეს სარაფანიანი ქალი გავიცანით. კეთილი და პატიოსანი. მაგრამ რატომ იყო ამ ქალის გაცნობა გაზეზდვის საგანი — ისევ აუხსენელია მკითხველისათვის. იქნება ქალს გარეგნობა ან საქციელი ჰქონდა ისეთი, რომ მამაკაცში იწვევდა მორიდების გრძობას? მაგრამ, სამწუხაროდ, ქალის შესახებ არაფერი ვიცით, გარდა იმისა, რომ სარაფანი ეცვა და „მზერა ჰქონდა ანგარაზე წმინდა“ (აქვე უნდა მოგახსენოთ, რომ „ანგარაზე წმინდა მზერა“ მეტისმეტად მოძველებული პოეტური სახეა), რაც ოდნავადაც კი ვერ ქმნის ლექსის გმირზე მკითხველის წარმოდგენას.

იქნება ვინმემ გვისაყვედუროს და გვითხრას, რომ სკრუპულოზური ლოგიკური ანალიზით ყოველი ლექსის დაყვანა შეიძლება აბსურდამდე, მაგრამ საყვედურის მთქმელი მწარედ შეცდება: ჭეშმარიტი პოეზია ლოგიკური აზროვნების კლასიკურ ნიმუშს იძლევა. ყოველი ნამდვილი ლექსი ლოგიკურია თუნდაც იმიტომ, რომ პოეტის გარკვეული აზრის გამოხატვა-გადმოცემას ემსახურება. ალოგიკურობა კი არღვევს აზრს და სათქმელს მკითხველი ვერ იგებს. პოეტი მაშინ წერს ალოგიკურად, როცა არაფერი აქვს სათქმელი. ერთი სიტყვით, ალოგიკურობა ინტელექტუალური სიღარიბის პირმშოა. ასეთი სიღარიბის იშვიათი ნიმუშია ლექსი „მიწა, კაცი და მთვარე“.

#### აკაკი ბაქრაძე

ინტელექტუალური ინფანტილიზმის წინააღმდეგ

ცაში დაფრინავს ბურთი —  
ჭრელი, უფრო კი მწვანე,  
მის გოლიათურ მკერდზე  
მთები და ზღვები წვიანან...  
პირველად იყო სიტყვა —  
მერე მოვედით ჩვენ  
და მოგვეყვა სიყვარული —  
ეს საოცარი ჩვევა...

### მარი გველეხიანი

ეს ლექსი გაცემბთ სიტყვის უდიერო გამოყენებით, თითქმის არც ერთი სიტყვა აზრს ზუსტად და ნათლად არ გამოხატავს. თავი რომ დავანებოთ დედამიწისადმი მეტისმეტად ფამილიარულ დამოკიდებულებას („ცაში დაფრინავს ბურთი“), ავტორს ვერ განუსაზღვრავს დედამიწის ფერი — ჭრელია იგი თუ მწვანე. პოეტური სახის ნათელი წარმოდგენისათვის (საერთოდ კი პოეტური აზროვნებისათვის) აუცილებელია მაქსიმალური სიზუსტე და არა ორჭოფული განცხადებანი, რა პოეტური თავისუფლებითაც არ უნდა იყოს იგი ნათქვამი. არა მარტო ამ ლექსის, არამედ სხვა ლექსების დაბნეულმა და არაზუსტმა პოეტურმა მეტყველებამ გამახსენა ერთი ამბავი: 1833 წლის 30 აპრილს ა. ფეტმა ლ. ტოლსტოის გაუგზავნა ლექსი „В дымке — невидимке“, რომელშიც იყო ასეთი სტროფი:

Истерзался песней  
Соловей у розы,  
Плачет старый камень  
В пруд роняя слёзы.

საპასუხო წერილში ლ. ტოლსტოიმ ლექსი შეაქო, მაგრამ ზემოთ მოტანილი სტროფის გამო უსაყვედურა ავტორს — დრო გაქვსო არეული: „СОЛОВЕЙ У РОЗЫ“ შეა გაზაფხულს, აპრილს გულისხმობს, ხოლო სტრიქონები „плачет старый камень в пруд роняя слезы“ — გაზაფხულის დასასრულს, მაისის თვესო. ამ წერილის შემდეგ ა. ფეტმა სტრიქონი „СОЛОВЕЙ У РОЗЫ“ შეცვალა „СОЛОВЕЙ БЕЗ РОЗЫ“-ით.

ამ პატარა ამბავში ნათლად ჩანს, თუ რა დიდ ყურადღებას აქცევდა ორივე მწერალი პოეტური მეტყველების სიზუსტეს.

მივუბრუნდეთ ისევ ლექსს „მინა კაცი და მთვარე“. როცა საუბრობ ბუნდოვანი ფრაზები არ ეყოფი იგი ბიბლიას დაესესხა:

პირველად იყო სიტყვა —  
მერე მოვედით ჩვენ.

დაევშავთ, რომ ავტორმა დაიჯერა ბიბლიური დებულება, მაგრამ აბსოლუტურად გაუგებარია, რად სჭირდება იგი ამ კონკრეტულ ლექსს, რისი თქმუნდა ამით ან რა აზრობრივი კავშირია უკვე ნახსენებ სტრიქონებსა და მომდევნო ორ სტრიქონს შორის:

და მოგვეყვა სიყვარული —  
ეს საოცარი ჩვევა.

თუმცა აზრობრივი კავშირი როგორ უნდა გაიგოს მკითხველმა, როცა თავად კონკრეტული წინადადებების აზრი ბნელითაა მოცული: საიდან მოვედით. საიდან მოგვეყვა სიყვარული ან რატომ არის სიყვარული ჩვევა? ამ კითხვებზე პასუხის გაცემა თავად ავტორსაც არ შეუძლია. მთელ ლექსს აშკარად ეტყობა (განსაკუთრებით კი ციტირებულ სტრიქონებს), რომ იგი იწერებოდა არა ავტორის სულსა და გონებაში მომწიფებული აზრის გადმოსაცემად, არამედ მედიტაციური ლირიკის ნიმუშის შექმნის დაუსაბუთებელი სურვილის დასაკმაყოფილებლად. დააკვირდით, თუ გნებავთ, ლექსის სათაურს — „მინა, კაცი და მთვარე“. ხედავთ, რა პრეტენზიულია? თუკი სათაური ლექსის არსის გახსნაში ეხმარება მკითხველს, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ავტორს მიზნად ჰქონია დასახული აღამიანის, დედამიწის, მთვარის შესახებ ელაპარაკა, მათი ურთიერთდამოკიდებულებაზე დაკვირვების შედეგად გამოტანილი ფილოსოფიური დასკვნები პოეზიის ენით მკითხველისათვის გაეზიარებია, მაგრამ ლექსის სახელწოდების წაკითხვისთანავე იგრძნობა ავტორის ზერელე და არასერიოზული დამოკიდებულება აზრისადმი, რადგან სათაურში გაცხადებული თემატიკა ლექსების მთელ ციკლს მოითხოვს, სადაც გამომქლავნებული იქნება ცხოვრების ღრმა ცოდნა.





ფილოსოფიური აზროვნების უნარი და პოეტური მეტყველების მაღალი დონე. ამათ ნაცვლად ხელთ შეგვრჩა რამდენიმე ბუნდოვანი სტრიქონი, რომელთა აზრიც მეტისმეტად ბნელია. ეს შედეგია სწორედ იმ სენისა, რომელსაც ინტელექტუალური ინფანტილიზმი ჰქვია. სწორედ მოუმწიფებელი ინტელექტი ეტანება დაუსაბუთებლად საგნებს, რომელთა ფილოსოფიური არსის ამოხსნა მას არ შეუძლია.

ინტელექტუალურ ინფანტილიზმს კიდევ ერთი თვისება აქვს: ჩვეულებრივსა და უბრალოს წარმოგვიდგენს პრეტენციოზულად, გაბერილი სახით, განსაკუთრებულის შარავანდედით მოხილს. მაგალითად, ერთი პოეტი ამბობს:

მე შემიძლია ვაზებთან ვიდეგ,  
მწიფე მარცვალს არ შევხბო ტუჩი,  
კალთა ავივსო მკვახე აღუჩით  
და მჟავე ტყემლით დავიჭრა კბილი.

ადამიანის ცხოვრებაში არის აღტაცების წუთები, როცა ყოველდღიური, უბრალო და ყოფითი გინდა არაჩვეულებრივის ასპექტით დაინახო და იქნება ხიდავდე კიდევ. მაგრამ ასეთი განწყობილების გამოხატვისას პოეტს არ უნდა შეეშალოს გამოხატვის ინტონაცია. არის ერთი ხალხური ლექსი — „აქეთ გორასა წიხლსა ვკრავ, იქეთ გორასა ძვრას ვუზამ“, რომელშიც პოეტის კვენა მეტისმეტად ჰიპერბოლირებულია, მაგრამ მთელი ლექსი გასხივოსნებულია შინაგანი ირონიული დამოკიდებულებით. ეს ფარული ირონია — ღიმილი გვაგრძნობინებს სწორედ ამ ხალხური ლექსის ავტორის გონების სიმწიფესა და ძალას. ეს ხდება იმიტომ, რომ გამოხატვის ინტონაციას ავტორი არ არღვევს.

ზემოთ ციტირებული სტროფის („მე შემიძლია...“) ავტორი კი ვერ ახერხებს ინტონაციით გვაგრძნობინოს, რომ იგი ხუმრობს. ამის გამო პოეტის შემდგომი განცხადება, რომ მჟავე ტყემლის ჰამის გარდა შეუძლია

„აღარ გეჯერა, რადგან ინფანტილურიც და ვაჟკაცურიც ერთნაირად აქვს გამოხატული, ერთნაირი დამოკიდებულებით, ერთნაირი განწყობილებით, ავტორს ტყუილად ჰგონია, რომ მკვახე აღუჩით კალთის ავსება და სხვისი ტყვილის გულით ტარება ლექსის ღირიკული გმირის ბუნების დიაბაზონს გამოხატავს. შეუძლებელია ერთმანეთის გვერდით დააყენო, თანაბარი მნიშვნელობა მიანიჭო სხვადასხვა ღირებულებისა და სხვადასხვა წონის მოვლენებს—მჟავე ტყემლით კბილის მოკვეთას და სხვისი იარის საკუთარ ტყვილად გადაქცევას. აუცილებელი იყო დამოკიდებულებათა და განწყობილებათა ცვლა აღმავალი ხაზით — ირონიულიდან სერიოზულისაკენ. მხოლოდ მაშინ შეეძლო ავტორს ეჩვენებინა ღირიკული გმირის ბუნება. თორემ შეუძლებელია ემოციურად შეიყვარო ან დაუჯერო ადამიანს, რომელსაც ყველაფრის მიმართ ერთნაირი დამოკიდებულება აქვს. ასეთ ადამიანს წართმეული აქვს განსჯის უნარი. სამწუხაროდ, ისევ ინტელექტუალური ინფანტილიზმის სენით შეპყრობილი ლექსი შეგვრჩა ხელთ, მიუხედავად იმისა, რომ ავტორის ჩანაფიქრი და განზრახვა სწორედ საპირისპიროს გულისხმობდა.

როცა ზემოთ ამა თუ იმ მოვლენისა ან საგნისადმი ერთნაირ დამოკიდებულებაზე ვლაპარაკობდით, სრულიად არ გვინდოდა იმისი თქმა, რომ თითქოს ჰეშმარიტ პოეტს არ შეეძლოს უბრალოსა და ჩვეულებრივში ღრმა ფილოსოფიური აზრი ამოიკითხოს. ეს დამოკიდებულება იმაზე, თუ ვინ როგორ უყუარებს ცხოვრებას, ან ხედვისა და აზროვნების რა უნარი აქვს. ვინ იცის, რამდენჯერ ჩამოვარდნილა ვაშლი ნიუტონამდე ან მის შემდეგ, მაგრამ მიზი-

აკაკი ბაქრაძე

ინტელექტუალური ინფანტილიზმის წინააღმდეგ

სხვისი ტყვილიც ვატარო გულთან,  
ჩემად მივიღო სხვისი იარა.

დულობის კანონი მხოლოდ დიდმა ინგლისელმა აღმოაჩინა. ცხადია, მნიშვნელობა ნიუტონის გონების ძალასა აქვს და არა ვაშლის ჩამოვარდნას. ამიტომაც, როცა გვინდა უბრალო და ჩვეულებრივი ამბავი პოეტური შემოქმედების თემად გავხადოთ, საკუთარი აზროვნების სიღრმე და უნარი უნდა გავითვალისწინოთ, თორემ შეიძლება ლექსი მხოლოდ გარითმული ან გაუარიტავი სიტყვების გროვად გვექცეს.

მე ვუმღერ

იმ ბიჭს, რომელმაც მერცხალი აიყვანა ხელში,

მერცხალი გაუფრინდა,

და დაუტოვა ჭორფლი

იმ ბიჭს, რომელმაც მერცხალი აიყვანა ხელში.

თაფლისფერი ჩრდილები,  
ხშირი რომ არის მარმარილოს მთებში,

თაფლისფერი ჩრდილები,

ხშირი რომ არის მზისგან,

იმ ბიჭს, რომელმაც მერცხალი აიყვანა ხელში,

დარჩა თაფლისფერი ჩრდილები,

ხშირი რომაა მზისგან.

ლია ჭავჭავაძე

(სხვათა შორის ასეთ ქართულზე იტყოდა ილია ჭავჭავაძე — ხელი გავიქნიე ფეხიო). აღამიანს მრავალგვარი სურ-

ვილი შეიძლება დაეხადოს, მაგრამ სიმღერისა და პოეზიის საგნად ის მხოლოდ მაშინ გახდება, როცა ინდივიდუალურისა და კონკრეტულის საზღვარს გადალახავს და ზოგადისა და საერთოს რანგში ამალდება. მერცხლის ხელში აყვანა რის გამოვლენაა — ვაჟკაცობის, სიკეთის, სილამაზის. თუ სინარჯის? დატოვებული ჭორფლი მშვენიერების რა სახეობაა? გულთმისანიც რომ იყოთ, ავტორის აზრს ვერ ამოიცნობთ. მართალია, პოეზია ფილოსოფიური ტრაქტატი არაა, მაგრამ იგი არც უაზრობაა, რადგან უაზრობა შეუძლებელია ემოციური იყოს. თავის მხრივ კი არაემოციურობა პოეზიის სიკვდილია. ასე რომ, აზრსა და ემოციას შორის უშუალო და მჭიდრო კავშირია დამყარებული. შეიძლება ყოველი გონიერი და აზრიანი ემოციური არ იყოს, მაგრამ ყოველი ემოციური აუცილებლად გონიერი და აზრიანი უნდა იყოს. პოეზიის უკვდავებაცა და ძალაც გონიერისა და ემოციურის თანაბარ შერწყმაშია. ამიტომაც უნდა დავგმოდ და უქუევაგდოთ როგორც უაზრობა, ისე მისი ნაირსახეობა — ინტელექტუალური ინტანტილიზმი.



## „წყნარი ამერიკელის“ ქართული თარგმანი

გრემ გრინის რომანის — „წყნარი ამერიკელის“ თარგმნა რთული და მთარგმნელისათვის მრავალმხრივ საინტერესო ამოცანაა. გრინის წერის მანერა, სტილი და თვით ლექსიკაც კი უაღრესად თავისებურია. ღრმა ფილოსოფიური განზოგადებების შემცველი, მაგრამ თავისი ფორმით ჟურნალისტური თხრობა, რომელიც გრინს საერთოდ ახასიათებს, ამ რომანში განსაკუთრებით შემჩნევა. გარდა ამისა, გრემ გრინის ამ რომანში დიდი ადგილი უჭირავს მორალურ-ეთიკურ პრობლემატიკას, რომელზედაც ავტორი ფილოსოფიისა და რელიგიიდან ნასესხები ცნებებით მსჯელობს. ფორმა, რომლითაც ავტორი თავის აზრსა და განწყობილებას გამოხატავს, ამ შემთხვევაში რელიგიურად მოაზროვნე კაცის აღსარებას მოგვაგონებს; ისეთ ენაზე, რომელსაც დიდი სასულიერო კულტურის ტრადიცია არ ჰქონია წარსულში, გრინის ამ მსჯელობათა გადმოცემა ძალიან გაჭირდება. ქართველი მთარგმნელი, რომელსაც ჩვენი ლიტერატურული ენის მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია უმაგრებს ზურგს, ამ მხრივ უკეთეს მდგომარეობაშია, რაც მთარგმნელის პასუხისმგებლობას კიდევ უფრო ზრდის.

„წყნარი ამერიკელის“ ა. გახოქიძის მიერ შესრულებული თარგმანი ამ ცოტა ხნის წინათ გამოვიდა. სამწუხაროდ, ჯერჯერობით თითებზე ჩამოსათვლელია ქართველი მთარგმნელები, რომელნიც თავიანთ ყურადღებას თანამედროვე უცხოური ლიტერატურის მაღალხარისხოვან და დიდი სოციალური დიპაზონის მქონე ნაწარმოებებს უთმობენ (რად ღირს თუნდაც ის ფაქტი, რომ ქართულად ჩვენ დღემდე არ გვაქვს თარგმანი ჰაქსლისა და თომას მანის ნაწარმოებებისა).

ამ საერთოდ კარგ თარგმანს ახასიათებს ზოგი ხარვეზი, რომელიც მთარგმნელობითი მუშაობის ზოგად სირთულესთან ერთად „წყნარი ამერიკელის“ თარგმნის ზემოაღნიშნული სპეციფიკითაც არის გაპირობებული.

თარგმანის, პირველი შეხედვით უმნიშვნელო, მაგრამ ნამდვილად კი არსებითი ხარვეზი უთუოდ ის არის, რომ მთარგმნელმა ნაკლები ყურადღება დაუთმო რომანის გმირთა მეტყველებების ლაკონიზმსა და უბრალოებას — რომა-



ნის თითქმის ყველა დიალოგის უპირველესი თვისება, რომელიც ახასიათებს როგორც გრინის თხრობის მანერას, ისე მის აზროვნებას ზოგადად. მაღალფარდოვნება, სენტიმენტალიზმი, გაუმართლებელი ფამილარობა — ყოველივე ეს უცხოა გრინისათვის. თარგმანში კი ამ „შეცოდებებს“, სამწუხაროდ, საკმაოდ ვხვდებით.

„შენ რომ მიმატოვე, კიდევ კარგი, შვება ოპიუმში ვპოვე“, — ეუბნება ცინიკოსი ფაულერი ფლონგს (გვ. 9). ამგვარ მაღალფარდოვან გამოთქმებს ფაულერი არასდროს არ ხმარობს სხვაგვარად, თუ არ ირონიით. მით უმეტეს, არ იხმარს იგი ასეთ გამოთქმას ფლონგთან საუბრისას. ორიგინალშია: „კიდევ კარგი, ოპიუმი მაინც დამჩა“ (It's lucky I had this to fall back on).

თარგმანში ზოგჯერ უმართებულო სენტიმენტალიზმს ვხვდებით. „ბოდლერის ლექსი გამახსენდა: ჩემო პატარავ, ჩემო დაიკო... და მერე? ჩემად მიყვარდის და ისე მოგკვდევ შენს მსგავს მხარეში“. „დაიკო“ ბოდლერის ეროტიულ ლექსში შეუწყნარებელია! ლექსის განწყობილებაც, რომელსაც ამ სცენისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს, სულ სხვა არის: მიყვარდე (და არა „მიყვარდეს“ III პირში) თავდავიწყებამდე, მიყვარდე და მოვკვდე შენს მსგავს მხარეში. ამის მომდევნო ფრაზაც ბოდლერის ლირიკული სტრიქონის უმართებულო გაუბრალოებაა: „სანაპიროზე გემები გარინდულიყვენენ, რომლებიც მარად მოგზაურობდნენ“. ორიგინალში პოეტური სახეა გამოყენებული: „გემები — სულით მოხეტიალენი“ (dont l'humeur est vagabond).

ფამილარული ტონიც, ზედმეტის განდობა თუ გულახდილობა მკითხველთან, რასაც მთარგმნელი მიმართავს, ორიგინალის სულსა და არსს არ შეეფერება.

„ჩიბუხი რომ მოჰჩაჩე, თითქმის არას დაგიდევდით, დარჩება თუ არა იგი ჩემთან“ (გვ. 9). გრინის თხრობა თავდაპირველია და გარეგნულად ძუნწი. ამდაგვარი ფამილარული ტონი, როცა

საქმე მთავარი გმირის (მე-ს) განცდების გადმოცემას ეხება, აქ ყოველად შეუწყნარებელია. ორიგინალში <sup>მნიშვნელობა</sup> რალურადაა ნათქვამი: დარჩებოდა თუ არა, ამას დიდი მნიშვნელობა აღარ ჰქონდაო (her presence or absence mattered very little).

მთარგმნელს, როგორც ჩანს, საჭიროდ მიუჩნევია, რომ თავი აერიდებინა ბარბარიზმებისათვის, განურჩევლად იმისა, იქნებოდა ეს ისეთი სიტყვები, რომელთა შემცვლელი ბუნებრივი ქართული სიტყვები დღეს ჩვენ გვაქვს, თუ ისეთი სიტყვები, რომლებიც ჩვენს ენაში არ მოიპოვება. ასე, მაგალითად, ორიგინალშია: „პაილს გადაწყვეტილი ჰქონდა სიკეთე მოეტანა არა ინდიელულური პიროვნებისათვის, არამედ მთელი სახელმწიფოსათვის, მთელი კონტინენტისათვის (გრინი აქ გულისხმობს აზიას და არა ხმელეთს), მთელი მსოფლიოსათვის“ (გვ. 15). თარგმანში ვკითხულობთ: „სიკეთე მოეტანა ქვეყნისათვის! ხმელეთისათვის! სამყაროსათვის“ (განა „კონტინენტს“ ქართველები არ ვხმარობთ? სწორედ ამ საერთაშორისო სიტყვის „გადმოქართულებამ“ გამოიწვია აზრის დარღვევა).

ორიგინალშია: „შეუძლებელია სიყვარული ინტუიციის გარეშე (ეს ზოგადი დებულებაა). მთარგმნელს ბარბარიზმი „ინტუიცია“ არ მოსწონს: „ალო თუ არ გაქვს, ისე ვერავის შეიყვარებ“. სიტყვები „ალო“ და „ინტუიცია“ ამ კონტექსტში ერთმანეთს ვერ ცვლის. შეიძლება ადამიანს ალო არ ჰქონდეს და მაინც შეიყვაროს ვინმე, ხოლო რაც შეეხება იმას, რომ სიყვარულსა და ინტუიციას გარკვეული კავშირი აქვს, ეს უკვე სულ სხვა ხასიათის მსჯელობაა, თარგმანში აზრი ამ მხრივაც შეიცვალა, აქ ავტორს ინტუიციის შემცვლელი სხვა სიტყვა უნდა გამოეძებნა.

„ალობათ უნდა შემემჩნია მისი თვლების გახლებული გაელვარება“ (გვ. 23). „გახელებამდე“ პაილი რომანში არასად არ მიდის. ეს ამ ხასიათს მთლიანობას და თანამიმდევრობას წა-

ართმევდა. ორიგინალში ლაპარაკია თვალების „ფანტიკურ“ ელვარებაზე, რაც საფუძვლად ედება პაილის როგორც სოციალურ, ისე ფსიქოლოგიურ დანახიათებას. ბარბარისზმისაგან („ფანტიკურ“) განთავისუფლების სურვილს არა მარტო მხატვრული სახის სიზუსტე, არამედ აზრის სისწორეც შეეწირა.

„ჩემს ავციობას შეუღარა“ (გვ. 183). ორიგინალშია ცინიზმი, რაც ქართულში იმდენადვე კანონიერი სიტყვაა, როგორც ინგლისურში (სად ცინიზმი, სად უბრალო ავციობა).

„თქვენ ავყია კაცი ხართ, თომას“ (გვ. 181). ორიგინალში აქაც ცინიზმზეა ლაპარაკი, რაც ფაულერის მსოფლმხედველობის ნიშანია და არა მისი ზნისა თუ ზასიათისა.

ზოგჯერ (რა თქმა უნდა, არა ყოველთვის) მთარგმნელის ყურადღების გარეშე რჩება ორიგინალის ეთიკურ-მორალური კონცეფციის გადმოცემის სიზუსტე: ცნებები, რომელთა ზუსტი გადმოცემისათვის ქართულს ყოველი საშუალება მიუპოვება, თარგმანში ზოგჯერ მიახლოებითაა თარგმნილი, რაც ავტორის ფილოსოფიურ-მორალურ კონცეფციას აბუნდოვანებს. ასე მაგალითად, თარგმანში ვკითხულობთ: „ვერ ვეგუებო შიშსა და წუხილს. თავისუფლება იღვიძებს მაშინ, ხოლო ყველაზე სახიფათოა ხელის განძრევა“. ნამდვილად აქ ლაპარაკია არა „თავისუფლებაზე“ და „ხელის განძრევაზე“ (ეს ყოველდღიური მეტყველებიდან აღებული მეტაფორა აქ ყოვლად უადგილოა), არამედ „ნებაზე“ (will) და „მოქმედებაზე“ (action) — იმ მოქმედებაზე, რომლის შესაძლებლობა თუ სასურველობა „ჰამლეტიდან“ მოყოლებული ლიტერატურაში ფილოსოფიური რეფლექსიის საგანი გამხდარა.

„ღმერთო, მუდამ დაგვიფარე გულუბრყვილო და კეთილ ადამიანებისაგან“, — ვკითხულობთ თარგმანში. ძნელად თუ მიხვდებით, რომ ავტორი აქ რელიგიიდან ნაცნობი ეთიკური ცნებებით აზროვნებს და ამ გზით ქრისტიანულ ეთიკას თავისებურ პროტესტს

უცხადებს. ქართულად უნდა თქმულიყო: „დაგვიფარე უმანკოთა და მართალთაგან“ (the innocent and the good). სხვანაირად ჩვენ ვერ გავიგებთ, თუ რა აქვს ეთიკური ძიებით გართულ ფაულერს კეთილი ადამიანების საწინააღმდეგო. ორიგინალის ზუსტი ეთიკური ცნებების ამ „გაყოველღიურებას“ თარგმანში სისტემატური ხასიათი აქვს.

ორიგინალის მხატვრული ეფექტების გადმოცემას — გრინის მიერ უხვად და დიდი ოსტატობით გამოყენებული დეტალების შენარჩუნებას თარგმანში ჯეროვანი ყურადღება ეთმობა. მაგრამ ზოგჯერ მთარგმნელი აქაც სცოდავს. ბევრ მხატვრულ ეფექტს იგი სულ სტოვებს, ან დეტალებს ისე უცვლის სახეს, რომ მკითხველის წარმოსახვას საწინააღმდეგო მიმართულებით წარმართავს. „მას (პაილს) ხელთ ჰქონდა აურაცხელი სიმდიდრე, და საპატიო მდგომარეობა ეკავა“ (გვ. 64). სინამდვილეში პაილი საშუალოზე დაბალი შეძლებისა იყო და ამას ავტორის ჩანადიქრის გაგებისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს. აზრი აქ შემდეგშია: „პაილს უდიდესი უპირატესობა ჰქონდა: მას საპატიო მდგომარეობა ეკავა.“

„გენერალი ტუე კი ავაზაკია, რომელსაც სულ რამდენიმე ათასი დამქაში ჰყავს“ (გვ. 183). აქაც ორიგინალის აზრი დარღვეულია. დედანში ასეა — ტუე ჩვეულებრივი ავაზაკია, რომელიც მხოლოდ იმით განსხვავდება სხვა ავაზაკებისაგან, რომ დიდი ჯარი ჰყავს.

„იგი (თბილში) ნერვებს ამშვილებს და ვნებას აყუჩებს“ (გვ. 13). ორიგინალშია „გრძნობები“ (emotions) და არა ვნება“.

„ვიგოს თავდავიწყებით უყვარდა თავისი ცოლი — გაქნილი, გაიძვერა, ქერათმიანი ქალი, რომელიც არაფრად აგდებდა მას“ (გვ. 11). ორიგინალშია: „ვულგარული, გამომწვევი და თმაველებილი ქერა ქალი“ (flashy and false

მაია ნათაძე

„წყნარი ამერიკელის“ ქართული თარგმანი

blonde), თარგმანში false გაგებუ-  
ლია, როგორც გაიძვერა და გაქნი-  
ლი. ავტორი ამ ქალის მხოლოდ იმ  
თვისებებს აღნიშნავს, რომელიც ფაუ-  
ლერს საზოგადოებაში მასთან შეხვედ-  
რის დროს თვალში მოხვდა. რასაც იგი  
უშუალოდ ვერ ხედავს (ამ შემთხვევაში  
მის მორალურ თვისებებს — გაქნილო-  
ბასა თუ გაიძვერობას), ამაზე ავტორი  
არც გვესაუბრება — ეს მისი თხრობის  
მანერას საერთოდ ეწინააღმდეგება.

„თავხედსაც წაეახჩობ თუ მომესურ-  
ვება“ (გვ. 204). ნამდვილად აქ ლაპარა-  
კია კაცის გატანაზე და არა დახრჩო-  
ბაზე.

ვხვდებით ორიგინალის აზრის არა-  
სწორი გაგების შემთხვევებსაც. მაგა-  
ლითად, „საჯარო ვაჭრობაზე კი არ  
ხართ“ (გვ. 29). ორიგინალში: she is  
not for sale (იგი, ე. ი. ფუნონგი, ფულ-  
ზე არ იყიდება, იგი თავისი სიყვარუ-  
ლით არ ვაჭრობს).

„თითქოს ვიღაც კარნახობდა (პაილს)  
გარედან, როგორი სიტყვები ამოერჩია,  
რომ მე ვერაფერი მომეშიზეუბინა“  
(გვ. 207). აზრი მკითხველისათვის გაუ-  
გებარია. ორიგინალში: „სიტყვები ისე  
შეარჩია, რომ ჩემთვის გასამართლებე-  
ლი საბუთის მოძებნის ყოველი საშუა-  
ლება წაერთმია“.

„ბედს გაუწირავს,—სთქვა ლეიტენან-  
ტმა“ (გვ. 58). ფრანგული malchance  
(სიტყვა-სიტყვით: ცუდი ბედი) ნამდ-  
ვილად მხოლოდ „უბედურ შემთხვევას“  
ნიშნავს. თარგმანში გვხვდება შეცოდე-  
ბანი ქართული ენის მიმართაც. ასე

მაგალითად, „დიდი ბომბი „კონტინენ-  
ტალთან“ ველობომბების აფეთქებამდე  
უფრო ადრე აფეთქდა“. ან „როგორც  
აი თუნდაც, სკამსაც“ (გვ. 189). „იგი  
ბინას მთელი ავლადიდებით ჰყიდა,  
რომელთა შორის იყო უამრავი გრავი-  
ურა“ (გვ. 184). „პაილი... თითქოს ლა-  
მობდა გაიგოს“ (გვ. 183) და სხვა.

ჩამოთვლილ ხარვეზებს შორის ზოგი  
არსებითია, ზოგიც, როგორც მოყვანი-  
ლი მაგალითებიდან ჩანს, ნაკლებმნიშ-  
ნელოვანი და შემთხვევითი. მთავარი  
ამ ხარვეზთა შორის მაინც შემდეგია:  
„წყნარი ამერიკელის“ თარგმანში ნიუ-  
ანსები ერთგვარად მიჩქმალულია. გრი-  
ნის ნაწარმოებებში, ისევე როგორც  
ყველა კარგ ნაწარმოებში, დეტალებსა  
და ნახევარტონებს დიდი მხატვრული  
დანიშნულება აქვს. გრინის მიერ გამო-  
ყენებული მხატვრული საშუალებები  
(დეტალი, აზრის თავისებური განვითა-  
რება, პერსონაჟის მეტყველებითი და-  
ხასიათება) მეტად გამოკვეთილი მხატ-  
ვრული საშუალებებია. ჩვენ ყოველ-  
თვის უშეცდომოდ ვხედავთ, სად თავ-  
დება ერთი „ეფექტი“ და სად იწყება  
მეორე. მთარგმნელის მიერ დაშვებული  
მრავალი შეცდომის ტექსტიდან გამო-  
ყოფა და მათი გასწორება დიდ სიძნე-  
ლეს არ წარმოადგენს.

საქმის სიყვარული და ცოდნა, რომე-  
ლიც ამ თარგმანში ნათლად ჩანს, რმედს  
გვაძლევს, რომ შემდეგ გამოცემაში  
მთარგმნელი ამ შეცდომებს თავს აარი-  
ლებს.





### პავლე ინგოროყვას თხზულებათა პირველი ტომის გამოცემა

სარეცენზიო წიგნში შესულია ავტორის მიერ სხვადასხვა დროს დაწერილი ნაშრომები: რუსთველიანა, რუსთველიანას ეპილოგი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი.

აქ ჩამოთვლილ ნაწარმოებთაგან ჩვენ მხოლოდ პირველ ორს შევხებით.

როდესაც პავლე ინგოროყვას პირველ ტომს კითხულობთ, ძალაუნებურად გავგონდებთ XII საუკუნის სწავლულის, არსენი ამართლის სიტყვები: „დიდ არს ძალი სიყვარულისა რომელი მორჩილ ჰყოფს გონებასა შეკადრებად შეუკადრებელთაცა“ (ქრონიკები, II, გვ. 109).

მართლაც, თუ არა დიდი სიყვარული ქართული კულტურისადმი, შეუძლებელია ისეთი კოლოსალური მუშაობა, რომელიც პავლე ინგოროყვას ჩაუტარებია რუსთველოლოგიურ საკითხებზე, — ჭეშმარიტად ერთი კაცის ძალღონეს აღემატება.

როგორც ცნობილია, რუსთველოლოგია, როგორც მეცნიერება, XVIII საუკუნიდან (ვახტანგ VI) იწყება. ამიერიდან

რუსთველისა და მისი უკვდავი ქმნილების ვეფხისტყაოსანისადმი მეცნიერული ინტერესი სულ უფრო და უფრო იზრდება. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ რუსთველოლოგიაში ახალი პერიოდი დაიწყო.

თუ მანამდე რუსთაველზე წერდა ყველა, ვინც კი კალამს იმარჯვებდა, ამიერიდან ამ საკითხს პროფესიონალი მკვლევარი გაუჩნდა. რუსთველოლოგიამ მეცნიერული სახე მიიღო. რა თქმა უნდა, ნათქვამი სრულიადაც იმას არ ნიშნავს, რომ მანამდე ჩვენთვის საინტერესო საკითხზე არაფერი ვაკეთებულა. არა, ბევრი რამ იყო ვაკეთებული, მაგრამ, ვიმეორებთ, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროიდან რუსთაველისადმი ინტერესი კიდევ უფრო გაფართოვდა. დაძაბული კვლევითი მუშაობის შედეგად არაერთი დეტალი დადგინდა, არაერთი მცდარი შეხედულება გასწორდა, არაერთი სწორი მოსაზრება გამოითქვა.

უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სა-

ქართველოს კ. პ. ცენტრალური კომიტეტის 1934 წლის 20 აგვისტოს დადგენილებას შ. რუსთაველის უკვდავი ქმნილების — ვეფხისტყაოსნის მეცნიერული შესწავლის საქმეში. დადგენილებაში საგანგებოდ იყო აღნიშნული: „მიუხედავად იმისა, რომ ბნელეთის მოციქულები — ფეოდალ-ხუცეები. საუკუნეთა განმავლობაში სდევნიდნენ მას (ლაპარაკია ვეფხისტყაოსანზე — დ. გ.) და ცეცხლშიაც კი ნთქამდნენ, — ლახავს საუკუნეთა წყებას, ხდება ხალხის ნამდვილი კუთვნილება; უდიდეს გავლენას ახდენს მთელს შემდგომ ლიტერატურაზე და წარმოადგენს პოეტური შემოქმედების იმ ჯერ კიდევ მიუწვდომელ მწვერვალს, რომელზეც უნდა სწავლობდეს საქართველოს თანამედროვე საბჭოთა ლიტერატურაც“<sup>1</sup>.

ამ პარტიულ დოკუმენტში ნათლად გამოკვეთილი ის ადგილი, რომელიც შოთა რუსთაველს ეკუთვნის ქართული კულტურის ისტორიაში.

ცენტრალური კომიტეტის დადგენილება რუსთველოლოგებს მიმართულებას აძლევდა იმის შესახებ, თუ საით უნდა წარემართათ მათ თავიანთი შემდგომი კვლევა-ძიება.

თანამედროვე რუსთაველომცოდნეობაში მთელი არმია მოღვაწეობს. ერთ-ერთი მათგანია პავლე ინგოროყვა. პ. ინგოროყვა 1913 — 1922 წლებში წერს რუსთველოლოგიურ გამოკვლევას. ეს გამოკვლევა ქვეყნდებოდა ჟამთი-ჟამად და 1926 წელს გამოქვეყნდა ცალკე წიგნად „რუსთველიანას“ სახელდებით.

ჯერ კიდევ XII საუკუნეში ესმოდათ, რომ „ყოველი წერილი ძეგლი არის მტკუნელი გამომაჩინებელი აღმწერელისაჲ საუკუნოდ, რომელსაჲმ საქებულ ყოფად, ხოლო სხვა განქიქებად“ (ქრონიკები, II, გვ. 109).

პ. ინგოროყვას რუსთველიანას ცალკე წიგნად გამოსვლამ ცხოველი ინტერესი გამოიწვია. კრიტიკოსთა ერთმა ჯგუფ-

მა (კ. კეკელიძე) რუსთველიანა უარყოფითად შეაფასა. მან აღნიშნა ინგოროყვას ყველა დებულება, რაი, რადგან: „ეი დებულებანი ავტორის დაუმყარებელი ან შეცდომით წაკითხულსა და გაგებულს დოკუმენტებზე, ანდა თავისუფალი ფანტაზიის აღმადრენაზე. ვეფხისტყაოსნის ტექსტისა და მისი ავტორის ვინაობის პრობლემა ავტორმა, გაშუქების მაგიერ, — უფრო დააბნელა, შემდეგს მკვლევარს არამც თუ არ გაუადვილა მან გზა, პირიქით — გაუძნელა კიდევაც ამ გზაზედ უზვად მიმობნეული ქვითა და ეკალ-ნარით“ (ეტიუდები, IX, გვ. 230).

რუსთველიანას გამოეხმაურა პროფ. ს. კაკაბაძეც. მან, მართალია, არ გაიზიარა პ. ინგოროყვას ძირითადი დებულებანი, მაგრამ დადებითად შეაფასა შრომის გამოსვლა, რომელმაც არაერთი საინტერესო საკითხი აღძრაო.

პროფ. კ. კეკელიძის კრიტიკას ვრცელი პასუხი დაუწერა პ. ინგოროყვამ და მისი შენიშვნების უდიდესი ნაწილი არ გაიზიარა.

საკითხი შეეხებოდა საკვლევი ობიექტის ძირითად პრობლემას: ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული 1712 წლია გამოცემა რომელიმე ხელნაწერის გამოცემას წარმოადგენდა, თუ ის სხვადასხვა ხელნაწერთა რედაქციული, მაშასადამე, კრიტიკულად დადგენილი ტექსტია. პ. ინგოროყვა კატეგორიულად ამტკიცებდა და ახლაც იმ აზრისაა, რომ ვახტანგის გამოცემა რომელიღაც ხელნაწერის გამოცემა და იგი არ წარმოადგენს კრიტიკულად გადამუშავებულ სხვადასხვა ხელნაწერთა კრებულს. პ. ინგოროყვა წერს: „ტექსტის შესწავლიდან უცელობელად მტკიცდება, რომ ვახტანგს არავითარი შესწორება არ შეუტანია ვეფხისტყაოსნის დედანში და მას უცვლელად დაუბეჭდავს რომელიღაც ძველი ხელნაწერი“ (ტ. I, გვ. 17). თავისი ეს დებულება მკვლევარმა სცადა სათანადო ფაქტებით დაეხსებუთენინა.

რომ ვახტანგ VI მიერ 1712 წელს გამოცემული ვეფხისტყაოსანი ერთ-ერთ

<sup>1</sup> ლიტერატურული მემკვიდრეობა, წიგნი I, 1935, გვ. 3.

ძველი ხელნაწერის გამოცემას წარმოადგენს, ეს დებულება აკად. ივ. ჯავახიშვილმაც გაიზიარა. იგი წერს: „მე-18 საუკუნის დამდეგს ქართული კულტურის შერჩეული საგანძურის დარაჯმა და დიდმა მოღვაწემ ვახტანგ VI-მ გენიოსი შემოქმედის პოემის ყველა საუკეთესო ცნობილი ხელნაწერი შეაგროვა, მათგან სხვებზე უკეთესი და უძველესი რედაქციის გამორჩევა შესძლო და ამ რედაქციის ტექსტი პირველად სტამბური წესით დაბეჭდა“<sup>1</sup>.

განსვენებული აკად. ივ. ჯავახიშვილი განაგრძობს: „მეტალია, ზოგი ფიქრობს, თითქოს ეს გამოცემა თვით ვახტანგ VI-ის საკუთარი სარედაქციო მუშაობის ნაყოფი იყოს და მხოლოდ მისგან პირადად შექმნილ რედაქციას წარმოადგენს, მაგრამ ვისაც ვახტანგ VI-სა და მისი თაობის მუშაობის წესი და მეთოდები შესწავლილი აქვს, ის ასეთ მოსაზრებას ვერასგზით ვერ დაიჯერებს. ჩვენ ეხლა უკვე კარგად ვიცით, რომ არც საისტორიო და არც სამართლის ძეგლების შეგროვება-გადარჩენისა და გამოცემისათვის მუშაობის დროს, ტექსტის თვითნებური აღდგენა მას არ უცდია, არამედ დასახული მიზნის მიღწევას და განხორციელებას ყველგან და ყოველთვის საუკეთესო ხელნაწერის და უძველესის ტექსტის გამოყენებით ცდილობდა. ამის მოწმე და დამამტკიცებელია „ქართლის ცხოვრება“, ვახტანგის სამართლის წიგნის კოდიკო და „დასტურლამალი“ (იქვე, გვ. 8).

თუ ეს ასეა, მაშინ ვახტანგისეულ ვეფხისტყაოსნის ტექსტს დოკუმენტური წყაროს მნიშვნელობა ეძლევა. მაგრამ ეს სრულიადაც იმას არ ნიშნავს, რომ ვახტანგის გამოცემა ავტორისეული დედანია, პირიქით, როგორც პ. ინგოროყვა ამტკიცებს, არც ეს გამოცემა დაზოგვილი დამატებებისაა.

სარეცენზიო წიგნში მრავალი საკითხია წამოჭრილი. მათგან მეტი წილი

ისტორიული მეცნიერების სფეროს ეხება და მე, როგორც ისტორიკოსი, მხოლოდ იმ საკითხებზე შევაჩერებ ვეფხისტყაოსნის ყურადღებას, რომელიც ისტორიის საკითხებს ეხება.

3. ინგოროყვას უდიდეს დამასხურებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მან ერთ-ერთმა პირველმა დაარღვია გაბატონებული შეხედულება ვეფხისტყაოსნის სპარსული საფუძველის შესახებ და ამ უკვდავი ქმნილების სიუჟეტის წყაროდ ქართული ნაციონალური კულტურა მიიჩნია. მანვე დამაჯერებლად დაგვანახა, რომ ვეფხისტყაოსნის დაწერის ეპოქა XII—XIII საუკუნეთა მიჯნაა. გაითვალისწინა რა საერთაშორისო ისტორიული სიტუაციები, მკვლევარი მივიდა მართებულ დასკვნამდე, რომ ვეფხისტყაოსანში აისახა ეპოქისათვის დამახასიათებელი მოვლენები. რა თქმა უნდა, ვეფხისტყაოსანი ისტორიული ტრაქტატი არ არის, მაგრამ იგი მხატვრული ასახვაა იმ სოციალურ-ეკონომიური, კულტურულ და პოლიტიკურ მდგომარეობისა, რომელიც დამახასიათებელი იყო მაშინ ჩვენი ქვეყნისათვის.

ნიკოფსიით დარუბანდამდის გაჭიმული ქართული ფეოდალური მონარქია თავის სიტყვას ამბობდა წინააზიის ასპარეზზე, საქართველო კავკასიის ხალხთა კონსოლიდაციისათვის იბრძოდა. ამ ეკთილშობილ სახეომწიფოებრივ საქმიანობის ხელშემწყობ როლს ასრულებდა ისტორია, პოლიტიკური აზროვნება, მხატვრული ლიტერატურა. სხვა ერის კულტურული მემკვიდრეობისადმი პატივისცემა, ადამიანის ღირსების წინააღმდეგობა, ჰუმანიზმი, ზოგადსაკაცობრიო იდეალებას პრობაგანდა დამახასიათებელი იყო მაშინდელი ქართული საზოგადოებრივი აზროვნებისათვის.

„თუ პოლიტიკურს ცხოვრებაში საქართველო სხვადასხვა მამპალიანთა სამთავროებს და სპარსეთს ებრძოდა, პოეზია და კულტურა ქართველ-სპარსთა

დავით გვრიტიშვილი  
პავლე ინგოროყვას თხზულებების  
პირველი ტომის გამო

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, შოთა რუსთაველის 750 წლისთავის ზეიმის გამო, ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, 1956, გვ. 7-8.



სულიერს ერთობას ჰქმნიდა და მტრობის მაგიერ სიყვარულს სთესავდა“ (ივ. ჯავახიშვილი, ქ. ე. ინსტ. II, გვ. 306).

„ქართველების მაშინდელ მთელს სიძლიერეს ის შეადგენდა, რომ სამხედრო ძლევამოსილების გარდა, მათ თავიანთ სახელმწიფოში სხვა ერისათვის ისეთი ხელშემწყობი პირობები შექმნეს, რომ ისინიც, როგორც მაგ. სომხები, ოსები, თვით მაჰმადიანიც, ქართველთა მეთაურობით საქართველოს სახელმწიფოს გაძლიერებისათვის და კეთილდღეობისათვის ქართველებთან ერთად თავგამოდებით იღწოდნენ“.

საქართველოს ძლიერების ხანის საზოგადოებრივი აზრი ერთნაირად აფასებდა და პატივს სცემდა ყოველივე დადებითსა და კარგს, რაც კი მაშინ არსებობდა. დამოუკიდებლად იმისა, თუ რომელ სამყაროში — ქრისტიანულ ბიზანტიაში, მაჰმადიანურ არაბეთსა ან სპარსეთში, წარმართულ საბერძნეთსა თუ რომში — წარმოიქმნა ესა თუ ის კულტურის საუნჯე, ქართველ სწავლულში სიმბათიას იმსახურებდა.

პლატონითა და არისტოტელეთი მაშინ საქართველოში უფრო გატაცებული იყვნენ, ვიდრე ევროპასა და საბერძნეთში, ხოლო „შაჰნამე“, „ვისრამიანი“, „ქილილა და დამანა“, „ლეილ მეჯნუნიანი“ და სხვა მრავალი საქართველოში ზეპირად იცოდნენ. ასე რომ, XII—XIII საუკუნისათვის ქართველმა ხალხმა შემოქმედებითად აითვისა და გადაამუშავა ყოველივე უკეთესი, რაც კი მანამდე შექმნა კაცობრიობის საუკეთესო გენიამ.

ქართული კულტურის ცხოველყოფილობა იმაში მდგომარეობს, რომ ის არასოდეს არ ყოფილა ჩაკეტილი ვიწრო ეროვნულ ნაჭუჭში, რომ მისთვის უცხო არასოდეს არ ყოფილა საკაცობრიო კულტურის მიღწევები. მაგრამ ნათქვამი სრულიადაც იმას არ ნიშნავს, რომ ქართული კულტურა დასავლეთისა და აღმოსავლეთის კულტურის მექანიკური შერწყმაა, როგორც ზოგიერთ ჩვენს კალმოსანს ეგონა, არამედ ის

უაღრესად ინდივიდუალური და ეროვნულია. ქართული კულტურა სწორედ იმიტომ არის დიდი, რომ მას ქართული ინდივიდუალობა ზოგადსაკაცობრიო ბამდე აძლევს, ოღონც იმ გაგებით, რომ ამ კონკრეტულს ეროვნულს თავის სახეს აძლევს და დამოუკიდებლობას უნარჩუნებს, თავის ადგილს მიუჩნევს საკაცობრიო კულტურის დიდ საგანძურში.

ბუნებრივია, რომ ვეფხისტყაოსანი აქ დახასიათებული ეპოქის ქმნილებაა და თუმცა ახლა მკვლევართა უმრავლესობა ამ აზრს იზიარებს, პ. ინგოროყვას ადრე გამოთქმული მოსაზრება, რომ „ვეფხისტყაოსანი არის ძეგლი ისეთი ეპოქისა, რომელსაც ახასიათებს თავისუფალი საერო სული და ჰუმანიტარული იდეალები“ (გვ. 60), რუსთველოლოგიაში გაბედული და ახალი თქმაცაა.

როგორც აღვნიშნეთ, პ. ინგოროყვას რუსთველიანას ეპილოგი საკითხთა ფართო წრეს მოიცავს. აქ საუბარია რუსთაველის ვინაობაზე, ზოემის დაწერის თარიღზე, საქართველოს სახელმწიფოს საზღვრებზე, ამა თუ იმ ფეოდალური საგვარეულოს გენეალოგიაზე, საქართველოს სახელმწიფოს მართვამგებობის სისტემაზე, ქართული კულტურის კერებზე და სხვა მრავალზე. საკითხთა ამ ფართო წრის მიმოხილვისას ავტორს მაინც ერთი მთავარი მიზანი აქვს: გაარკვიოს, ვინ იყო შოთა რუსთაველი.

ქართველთმცოდნეობაში შოთა რუსთაველის ვინაობის გამო აზრთა დიდი სხვადასხვაობაა. ნ. მარი შოთა რუსთაველად ჩახატუხადეს ასახელებდა. მ. ჯანაშვილი ვეფხისტყაოსნის ავტორად თვლიდა შოთა ართავაჩოსძეს, 1177 წ. აჯანყების მონაწილეს. კ. კეკელიძე ვეფხისტყაოსნის ავტორად მიიჩნევდა სარგის თმოგველს, თუმცა შემდეგში მან ეს შეხედულება უარყო.

პ. ინგოროყვასათვის ვეფხისტყაოსნის დამწერი არის შოთა კუპრი, ჰერეთის ერისთავი, ბაგრატიონთა შთამომავალი. ალექსანდრე ხახანაშვილი და ნათენაძე

ვეფხისტყაოსნის ავტორად თვლიდნენ ზარზმის რესტავრატორის ხურსიდის მამას შიოს, შოთა ყოფილს.

ს. კაკაბაძის აზრით ვეფხისტყაოსნის დამწერია ქინვანის დაწერილში მოხსენებული შოთა. ვეფხისტყაოსნის დაწერის ისტორია ს. კაკაბაძეს ასე აქვს გადმოცემული: ჩახრუხაძეს ჰყავდა ძმა, რომელიც თამარის მამიდა რუსუდანი მიერ იყო გაზრდილი. მას თამარის ქება დაუწერია სპარსულად, მოთხრობამ ჰპოვა მოწონება და ის გადათარგმნილი იქნა ქართულად სარგის თმოგველის მიერ 1180 წლის ახლო. 1188 წელს შოთას უნახავს ეს, უჩვენებია ზაქარია მხარგრძელისათვის, შემდეგ დაუწერია ვალექსვა 1189—1196 წ. შორის.

როგორც ვხედავთ, თუ სადმე შოთა დაინახეს, მას ვეფხისტყაოსნის დამწერ შოთა რუსთაველად ასახელებდნენ. ამასთან, შოთას ბიოგრაფიას ისე დაწერილებით მოგვითხრობენ, რომ მკითხველს ეგონება, შოთას ცხოვრების დღიურება ჰქონდაო მკვლევარს ხელთ. მაგ. პროფ. ს. კაკაბაძემ 1961 წელს საბჭოთა ხელოვნებაში (№ 1) გამოაქვეყნა წერილი სათაურით — შოთა რუსთაველის ბიოგრაფიიდან. მისი აზრით, შოთა დაიბადა 1162—1165 წლებს შუა. წარმოშობით ის იყო მესხი, მცირე სიფლის რუსთავის მფლობელი, სამცხეში. შოთა იყო საშუალო ან მცირე შეძლების აზნაური, ადრე დაობლდა და მას ზრდიდა აგარის (სამცხეშია) საშუალო მონასტრის წინამძღოლი, მისივე ბიძა. დედა შემდეგ გათხოვდა ტრაპიზონელ მშენებელ ხეთოთმოძღვარზე, რომელმაც თან წაიყვანა თავისი ახალი ცოლის შვილები, მათ შორის შოთაც. ტრაპიზონში შოთამ მიიღო კარგი განათლება ბერძნულ ენაზე. მან იცოდა არაბული, სპარსული და შესაძლებელია სალაპარაკო თურქულიც.

შემდეგ შოთა წინაურდება, 1192 წელს თამარს იგი ვაუგზავნია იერუსალიმში და მისი სურათიც მაშინ იქნებოდა დახატული. ს. კაკაბაძე დაასკვნის: „ამგვარად, შოთა იერუსალიმში ყოფილა ორჯერ — პირველად 1192 წელს, და

შემდეგ კი უკვე მოხუცებულობაში ღროს ის საბოლოოდ წავიდა იქ. ს. კაკაბაძე აქ არ ჩერდება და ნაგრძობს: 1192—1212 წლებში შოთა შესაძლებელია გადავარდნილიყო საზღვარგარეთ ცოლის დაღატის გამო. 1212—1215 წ. შოთა ვახდა მეჭურჭლეთუხუცესი. ამის შემდეგ მან მიატოვა ლექსების წერა, მხოლოდ 1220—1222 წლებს ახლო შოთამ დაწერა თამარის მეორე მატიაწე და გადასინჯა თვით ვეფხისტყაოსნის ენა (შეიქმნა ვეფხისტყაოსნის ტექსტის მეორე ვარიანტი).

1229—1230 წლებს ახლო წავიდა იერუსალიმში და 1235 წ. ახლო გარდაიცვალა. 1192 წელს მაქსიმე აღმსარებლისა და იოანე დამასკელის ფრესკულ სურათებს შორის (რომელიც შესაძლებელია 1192 წლის ახლო იყენებდნენ შესრულებული) ახლა მოათავსა თავისი საკუთარი სურათი, რომელიც შეიძლება იყოს ავტოპორტრეტიც. პავლე ინგოროყვამ შოთას ბიოგრაფია სრულიად სხვანაირად წარმოგვიდგინა. მისი აზრით შოთა ჰერეთის ბაგრატიონთა შთამომავალია. იგი დაიბადა 1166 წელს. თამარის კარზე მიიღეს 1191 წელს, რუსთველობა მიიღო 1196 წლის ახლო ხანებში, ჰერეთის ერისთავობა — მე-13 საუკუნის ათეული-ოცეული წლებიდან. ახლო მონაწილეობას იღებდა სახელმწიფო საქმეებში თამარის ასულის რუსულან მეფის ღროს და მის მომდევნო უმეფობის ხანაში, მე-13 საუკუნის მეორე მეოთხედში, 40-იან წლებამდე. წარგზავნილი იყო ელჩად მონგოლებთან. თან გაჰყვავა რუსუდანი ძეს ნარინ დავითს, სხვა ქართველ დიდებულებთან ერთად, მონგოლთა ურდოში, საქართველოს სამეფო ტახტზე დასამტკიცებლად.

მონაწილეობა მიიღო კოხტასთავის შეთქმულებაში მონგოლთა წინააღმდეგ. უკანასკნელად მოიხსენება 1245 წელს (გვ. 116).

დავით გვრიტიშვილი  
პავლე ინგოროყვას თხზულებების  
პირველი ტომის გამო

რომელია მართალი, ს. კაკაბაძე თუ პ. ინგოროყვა? შეიძლება არც ერთი და არც მეორე. მათ შორის განსხვავება ის არის, რომ პავლე ინგოროყვა წყაროებს ეყრდნობა, სარგის კაკაბაძე კი ვარაუდობს. პავლე ინგოროყვა იმ შემთხვევაში იქნება სწორი, თუ ვაღიარებთ, რომ შოთა კუპრი არის შოთა რუსთაველი.

არც ვეფხისტყაოსნის დაწერის თარიღზეა შეთანხმებული აზრი. პროფ. ს. კაკაბაძის აზრით ვეფხისტყაოსანი დაწერილია 1189-1196 წლებს შორის, პავლე ინგოროყვას აზრით—1196-1207 წლებს შორის, პროფ. კ. ქეკელიძის აზრით — მე-13 საუკუნის პირველ ნახევარში, პროფ. შ. ამირანაშვილის აზრით — 1189-1193 წლებს შორის.

რომელი მათგანია მართალი?

იერუსალიმის ექსპედიციამ (ი. აბაშიძე, ა. შანიძე, გ. წერეთელი) საყურადღებო მასალა ჩამოიტანა. ბევრი რამ გაირკვა შოთა რუსთაველის შესახებ. დადგინდა, რომ შოთას სურათი დახატულია XIII საუკუნის პირველ ნახევარში. ისიც გაირკვა, რომ შოთა რუსთაველი დიდი თანამდებობის პირი ყოფილა. ბევრმა გამოთქვა მოსაზრება, რომ შოთა სიბერის ეპოს იერუსალიმში უნდა წასულიყო და იქვე გარდაიცვალა. პროფ. შ. ამირანაშვილის აზრით, ამის ცხოვრების მიწურულში ჯვარის მონასტრის სავანეში დიდი პოეტი პოულობს განსვენების ადგილს“ (ქართული ხელოვნების ისტორია, 1961, გვ. 379).

ამ აზრისაა პროფ. ს. კაკაბაძეც. პავლე ინგოროყვა საწინააღმდეგო მოსაზრებისაა. მას სჯერა, რომ შოთა იერუსალიმში არ წასულა, იგი საქართველოში გარდაიცვალა და რუსთაველი არის დასაფლავებული.

როგორც ვხედავთ, შოთა რუსთაველის ვინაობის საკითხი კვლავ კამათს იწვევს. ტრადიციული შეხედულება, რომ ვეფხისტყაოსნის ავტორი შოთა რუსთაველი იყო, თითქოს ხორცშესხმული აღმოჩნდა იერუსალიმის ექსპედიციის მასალებით. ისიც დამაჯერებლად სჩანს, რომ შოთა იყო დიდი

ვეზირი — მეჭურჭლეთუხუცესი, მაგრამ რომელი შოთა?

პ. ინგოროყვა დაბეჯითებით ამტკიცებს, ეს შოთა — შოთა კუპრი არისო. თავის ამ დებულების დასამტკიცებლად მკვლევარი მასალებს იშველიებს. ვინ არის შოთა კუპრი? ჩვენ მას მხოლოდ ქამთააღმწერლით ვიცნობთ. ქამთააღმწერელი მას ოთხჯერ იხსენიებს. როდესაც მონღოლებმა აღმოსავლეთ საქართველო დაიკავეს, რუსუდანის მეტაფრობით სამეფო კარი დასავლეთ საქართველოში გადავიდა. რუსუდანმა სცადა დასავლეთ ევროპა, რომის პაპი გამოეყენებინა მდგომარეობის გამოსასწორებლად და ელჩები გაგზავნა რომს. როცა ამ ელჩობიდან არაფერი გამოვიდა, სხვა გზა არ იყო და მონღოლ დამპყრობლებთან მორიგების გზას დაადგა. აღმოსავლეთ საქართველოში მყოფ მონღოლ სარდლებთან გაიგზავნა დელეგაცია. დელეგაციაში შედიოდნენ: შანშე და ავგ მხარგრძელები, ვარამ გაგელი და „პერეთის ერისთავი შოთაი, რომელსა მანისა ფერობისათჳს კუპრობით უქმობდეს“ (II, გვ. 192).

ამ დელეგაციას დავალებული ჰქონდა მოლაპარაკება ეწარმოებინა მონღოლთა სარდლებთან რუსუდანის შერიგების შესახებ. რუსუდანი თანახმა იყო, „რათა წარმოავლინოს ძე თჳსი დავით და მონანდოს თათართა, და აიღოს სიმტიცე უვნებლობისა“ (იქვე). მანამ რუსუდანი პასუხს მიიღებდა, მონღოლებმა ბრძოლები აწარმოეს რუმის სასულთანოს წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში ქართველებიც იღებდნენ მონაწილეობას. მათ შორის რუსუდანის მოციქულებიც. მონღოლ-ქართველთა ლაშქარმა რუმის დიდი ლაშქარი, 400 000 კაცისაგან შემდგარი, სასტიკად დაამარცხა, რუმის სასულთანო მოხარკედ გაიხნა, დიდი ნადავლით უკან დაბრუნდა და საზაფხულო ადგილებში, გელაქუნსა და არარატის მთებში დაბანაკდა. აი, ამის შემდეგ მონღოლებმა „წარუვლინეს მოციქული მეფესა რუსუდანს, რათა ზავი იქმნას მათ შორის და მოსცეს ძე მისი დავით, და მისცენ მე-



ფობა; ტფილისი და ყოველი საქართველო“ (გვ. 195). რუსულად მიენდო მონლოლებს. „გარდმოვიდა თვთ მეფე და წარმოგზავნა ძე თვისი დავით, რომელთა წინა მიეგებნეს შანშე და ავაგ, რომელი თათართა დიდად პატივითა შეეწყინარა, არართა ნიჭთა და ზნეთა სამამაკაცოთა მქონებელი შოთა კუპრი, გაგელი ვარამ, ქართლის ერისთავი სურამელი გრიგოლ, სამცხის სპასალარი და მეჭურჭლეთუხუცესი ყუარყუარე ციხის ჯუარელი. თორელნი, თმოგველნი, შავშ-კლარჯნი და ტაოელნი, და წარიყვანეს მეფე ძე რუსულადანი, დავით“ (გვ. 195). რუსულადანი ლახთიმერეთიდან იქაური თავკაცებითურთ თბილისში ჩამოვიდა. თბილისიდან დავითი წაიყვანეს ბარდავს და იქ მყოფ მონღოლთა ნოინებს წარუდგინეს“. (გვ. 195.) შოთა კუპრი მესამედ მოიხსენება კონსტანტინის შეთქმულთა შორის (გვ. 215), ხოლო მეოთხედ შოთა კუპრი მოიხსენება დავით ლაშასძია საბერძნეთიდან დაბრუნების დროს დავითთან შემხვედრ ფეოდალთა შორის (გვ. 219). აი ყველაფერი ის, რაც ჩვენ შოთა კუპრის შესახებ ვიცით. სხვა რამ არც პ. ინგოროყვას გააჩნია. ამ ცნობათა ინტერპეტაციის შედეგად შოთა კუპრი პატივცემულ მკვლევარს წარმოუდგენია, როგორც დიდი სახელმწიფო მოღვაწე. იგი წერს: „შოთა არის იმ დიდ ქართველ მოღვაწეთა პლეადაში, რომლებიც ღირსეულად ხელმძღვანელობენ ქვეყანას ძნელბედობის ამ ხანაში“ (ლაპარაკია მონღოლთა ბატონობის ხანაზე, — დ. გ. გვ. 666).

თუ დავეთანხმებით მკვლევარს, რომ შოთა კუპრი არის რუსთაველი, მაშინ მართლაც შოთა კუპრი აქტიური მონაწილეა მე-13 საუკუნის 40-იანი წლების საქართველოს პოლიტიკური ამბებისა, მაგრამ ჟამთააღმწერლის შოთა კუპრი ისეთად მაინც არ წარმოგვიდგება, როგორადაც პ. ინგოროყვას წარმოუდგენია. ჟამთააღმწერლის შოთა კუპრი არის „არართა ნიჭთა და ზნეთა სამამაკაცოთა მქონებელი“ (ქ. ც. II, გვ. 195). ასეთი შოთა ვეფხისტყაოსნის დამწერი ვერ იქნებოდა. ჟამთააღმწერლის ამ

აზრს პ. ინგოროყვა არ იზიარებს და დასძენს: ჟამთააღმწერელი შოთა კუპრი (ე. ი. შოთა რუსთაველს) აუგადად იმითა ნებს იმიტომ, რომ ვეფხისტყაოსანი, როგორც უდიდესი გამომსახველი ამ საერო კულტურისა, რომელიც მას ქრისტიანობიდან გადადგომად მიაჩნდა, ეწინააღმდეგებოდა ჟამთააღმწერლის მსოფლმხედველობას. ამ საერო კულტურას იგი საქართველოს დაღუპვის მიზეზად თვლიდა. თავის ამ დებულებას 127-ე გვერდზე თვითონვე უარყოფს და წერს: „ჩვეულებრივ ფიქრობენ, რომ შოთას პოემის გარშემო შექმნილი ოპოზიცია იმით იყო გამოწვეული, რომ ეს პოემა საერო ხასიათის ნაწარმოებია, წარმოადგენს. მაგრამ ასეთი აზრსა, რასაკვირველია, მოკლებულია საფუძველს“. ამის გარდა „კლერიკალურ წრეების განსაკუთრებულ სიძულვილს შოთას მიმართ სხვა საფუძველიც ჰქონია: შოთა ორთოდოქსალური ქრისტიანობიდან განდგომილად მიაჩნდათ; შოთას თვლიდნენ მიმდევრად მანის ფილოსოფიურ რელიგიური მოძღვრებისა“ (გვ. 124).

რომ ჟამთააღმწერელი (როგორც პროფ. კ. გრიგოლიამ გამოარკვია, ის მაწყვერელი იყო ჯაყელთა საგვარეულოდან) აუგად მოიხსენიებდა სასულიერო დოგმების დამრღვევთ, ამაში ეჭვი არავის ეპარებოდა. საამისოდ მისი დამოკიდებულება ლაშას მოღვაწეობისადმიც ემარა. სხვათა შორის, ამ საკითხზე სხვადასხვა გზით და დამოუკიდებლად პ. ინგოროყვა და მე ერთ დასკვნამდე მივედით. მაგრამ რატომ დასჭირდა ჟამთააღმწერელს შოთა კუპრი დაეხასიათებინა ისეთ პირად, რომელიც „არართა ნიჭთა და ზნეთა სამამაკაცოთა მქონებელია?“ თუ მან იცოდა, რომ შოთა კუპრი იგივე შოთა რუსთაველი იყო, თუ მას წაკითხული ჰქონდა ვეფხისტყაოსანი, ნუთუ ასეთი ეპითეტებით შეამკობდა მას? მაგალითად, ჟამთააღმწერელი ლა-

დავით გვრიტიშვილი  
პავლე ინგოროყვას თხზულებების  
პირველი ტომის გამო

შას მიწასთან ასწორებს, მაგრამ მაინც აღნიშნავს, რომ იგი „იყო ყოველთა მეფეთა უმეტეს უხვ და არავისთვის მოშურნე, ტანითაი ძლიერი, მკნედ მოისარი“.

ანტონ პირველი ხომ მტრულად იყო განწყობილი ვეფხისტყაოსნისადმი, მაგრამ ის არ მალავდა, რომ „შოთა ბრძენ იყო, სიბრძნის მოყუარე ფრიად, ფილოსოფოსი, მეტყუელი სპარსთა ენისა. თუ რამ სწავლდა, ღვთის მეტყუელიცა მაღალი, უცხო, საკვირველ პიტიკოს მესტიხე“.

ნუთუ ჟამთააღმწერელი იმდენად ჩამორჩენილი იყო, რომ შოთა კუპრს, თუ შას ნამდვილად ვეფხისტყაოსნის დამწერი შოთა კუპრი ეგონა, ასე დაახასიათებდა?

შოთა კუპრის მოღვაწეობის სხვა მხარის პ. ინგოროყვასეული დახასიათებაც იწვევს შენიშვნებს. პ. ინგოროყვას აზრით „შოთამ, სხვა ქართველ დიდებულებთან ერთად, წაიყვანა მონგოლთა ურდოში საქართველოს უფლისწული დავით რუსუდანის ძე სამეფო ტახტზე დასამტკიცებლად“ (გვ. 120).

ავტორის ეს მოსაზრება არ არის მართალი. შოთა კუპრი არ წასულა მონღოლთა ურდოში. მონღოლთა ურდო ყარაყუჩუმს მდებარეობდა და როცა დავით ნარინი იქ გაგზავნეს დასამტკიცებლად, მას იქ გაჰყვა ქართლის ერისთავის გრიგოლის შვილი ბეგა, გურკელი მახუჯაგის ძე ამირჯიბი ბეშქენ (ქ. ც. II, გვ. 206).

რაც შეეხება შოთა კუპრს, ის მართლაც ერთ-ერთი მონაწილე იყო რუსუდანის მიერ გაგზავნილ მოციქულთა ჯგუფისა (შანშე მხარგრძელი, ავაკ მხარგრძელი, ვარამ გაგელი, შოთა კუპრი), მაგრამ ეს ჯგუფი მონღოლთა ურდოში კი არ მიდიოდა, არამედ აღმოსავლეთ საქართველოში მყოფ მონღოლთა ჯარების მთავარსარდლობასთან. ამ მოციქულებს დავალება ჰქონდათ მიცემული, რომ მოლაპარაკება ეწარმოებინათ უგნებლობის ფიცის აღების შესახებ. უკეთუ მონღოლები სიმტკიცის ფიცს მისცემდნენ, მაშინ რუსუდანი

თავის შვილს დავითს წარგზავნიდა მონღოლეთში (გვ. 192. ქ. ც. II). რუსუდანმა სხვა ზომებიც მიიღო, მან უშუალოდ ბათოსთანაც გააგზავნა დელეგაცია არსენ მწიგნობართუხუცეს-ჰყონდიდელის მეთაურობით. სანამ ასეთი ელჩობა შედეგს გამოიღებდა, დავით რუსუდანის ძე დედასთან იმყოფებოდა და არც შოთა კუპრსა და არც არსენს ის არ გაჰყოლია. ჯერ მოლაპარაკების შედეგი არავინ იცოდა, როცა მონღოლებმა ომი წამოიწყეს რუმის სასულთანოს წინააღმდეგ. ამ ომის წარმატების შემდეგ გასცეს პასუხი მონღოლებმა რუსუდანს. მათ „წარუვლინეს მოციქული მეფესა რუსუდანს, რათა ზავი იქმნას მათ შორის, და მოსცენ ძე მისი დავით და მისცენ მეფობა, ტფილისი და ყოველი საქართველო“ (ქ. ც. II, გვ. 195).

ამის შემდეგ რუსუდანი, დავით რუსუდანის ძე და სხვა ფეოდალები აღმ. საქართველოში გადმოდნენ. მათ შეხვედრას უწყობენ აღმოსავლეთ საქართველოს ფეოდალები, მათ შორის შოთა კუპრიც. ყველა ესენი თბილისში მოვიდნენ. ჟამთააღმწერელი გვარწმუნებს, რომ თბილისიდან ქართველები წავიდნენ „ბარდავს, სადა დაებანაკათ ნოინთა, მიიყვანეს დავით დიდითა პატივითა და ლაშქართა“ (გვ. 195).

ჟამთააღმწერელის ამ ცნობას პ. ინგოროყვა ასეთ კომენტარს უკეთებს: „შოთამ და სხვა ქართველმა დიდებულებმა წაიყვანეს მონგოლთა ურდოში საქართველოს მემკვიდრე დავითი, რუსუდანი მეფის ძე (დავით-ნარინი), რათა გამოეთხოვათ მონგოლებისაგან დავითის საქართველოს მეფედ დამტკიცება“ (ტ. I, გვ. 121).

თუ მკვლევარი მონღოლთა ურდოს ბარდავში მონღოლთა სარდლების ბანაკს გულისხმობს, რაც არ არის სწორი, მაშინ საიდან ჩანს, რომ შოთა კუპრიც წაჰყვა ქართველებს, ჟამთააღმწერელი ამაზე ხომ პირდაპირ არ მიუთითებს. თუ მონღოლთა ურდოს იქ გულისხმობს, სადაც ნამდვილად იყო, ე. ი. ყარაყუჩუმს, სადაც მონღოლთა მთავარი მბრძანებელი იჯდა და რომლის გარე-

შე ქართველ მეფეს ვერავინ დაამტკიცებდა, მაშინ, როგორც ზემოთ მივუთითეთ, შოთა კუპრი დავით რუსულანის ძეს იქ არ გაჰყოლია.

შოთა რუსთაველის ვინაობაზე მსჯელობისას კამათობენ კიდევ ერთ საკითხზე. დღეს ყველას სჯერა, რომ შოთა რუსთაველს ყავა მეჭურჭლეთუხუცესის თანამდებობა. მაგრამ რომელ წლებში? პავლე ინგოროყვას თეორიის თანახმად შოთა რუსთაველი მეჭურჭლეთუხუცესი იყო 1245—1250 წლებს შორის (გვ. 666), შ. ამირანაშვილის აზრით შოთა მეჭურჭლეთუხუცესი იყო 1192 წ. ახლო ხანებში (ქართ. ხელ. ისტორ. გვ. 375), ს. კაკაბაძის აზრით შოთა რუსთაველი მეჭურჭლეთუხუცესად იჯდა 1212—1215 წლებიდან (საბჭ. ხელოვნება, 1961, გვ. 47). მარტო ეს ფაქტიც კი ადასტურებს იმას, რომ შოთას ბიოგრაფიიდან ჩვენ ბევრი რამ არ ვიცით.

პ. ინგოროყვა თავის მოსაზრებითა შესამარგებლად აკეთებს ექსკურსს, მას მოაქვს ქრონოლოგიური სია წლების განმავლობაში, თუ ვინ იყვნენ მეჭურჭლეთუხუცესები და 1245—1250 წ. მონაკვეთში ათავსებს შოთას მეჭურჭლეთუხუცესობას. ამასთან, მკვლევარი ყურადღებას აქცევს შოთას იერუსალიმურ პორტრეტს (იგი იქ გამოიყურება როგორც საკმაოდ ხანდაზმული). დავუშვათ, რომ მკვლევარი მართალია და მართლაც შოთა კუპრი იგივე შოთა რუსთაველია. მაგრამ რა ვუყოთ იმ ფაქტს, რომ შოთა კუპრი 1245 წლის შემდეგ აღარსად არ მოიხსენება? ანდა 1245—1248 წლებში რომ საქართველოში უმეფობის ხანაა? უმეფობის ხანაში კი, როგორც ცნობილია, მონღოლებმა საქართველოში მმართველობის მონღოლური სისტემა დამყარეს, ქვეყანა დუმენებდა დაჰყვეს. რანაირად შეიძლება ასეთ პირობებში მეჭურჭლეთუხუცესის ხელის არსებობა?

თუ ყველაფერს ამას ანგარიშს გავუწევთ, მაშინ გადაჭარბებული ხომ არ მოგვიჩვენება პ. ინგოროყვას თავისთავად მომხიბლავი ეს განცხადება: „ვიბრ-

ფასო მკითხველო, თქვენ, და თქვენთან ერთად მეც, გვქონდა ბედნიერება და ვენახა ქართველი ერის დიდ მნათობან შორის ნათელი სახე თვით შოთასი.“

ამიერიდან შოთა — თავისი ბიოგრაფიით ისევე ნაცნობი ხდება ჩვენთვის, როგორც ილია და აკაკი, ნიკოლოზ ბართაშვილი და ვაჟა“ (გვ. 856).

როგორც დავინახეთ, შოთა რუსთაველის შესახებ მრავალი აზრი გამოითქვა, აზრთა უმრავლესობა ურთიერთსაწინააღმდეგოა. ამასთან, მკვლევართა უმრავლესობა დამოუკიდებლობას იჩენს და ანგარიშს არ უწევს სხვების კვლევის შედეგს. ყველა ორიგინალობას იჩენს, ზოგმა პერეფის ბაგრატიონად მიაჩნია (პ. ინგოროყვა), ზოგმა მესხად (ს. კაკაბაძე), ზოგმა ხელი ჩაიქნია და მისი სადაურობის საკითხი მემრისს უანდერძა (კ. კეკელიძე).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პ. ინგოროყვამ სარეცენზიო ნაშრომში არაერთი პრობლემა განიხილა საქართველოს ისტორიის სხვადასხვა სფეროდან. როგორ გაართვა თავი მკვლევარმა ამ საკითხებს?

1. მკვლევარი ვრცლად მიმოიხილავს საქართველოს სახელმწიფოს სტრუქტურის, ქვეყნის მართვა-გამგეობის სისტემას. თავისთავად ეს კარგია, მაგრამ საჭირო იყო მკვლევარს შეეჯამებინა, სათანადო შეფასება მიეცა იმისათვის, რაც აქამდე ამ მხრივ გაკეთებულა. ქართულს ისტორიოგრაფიაში პ. ინგოროყვასათვის საინტერესო პრობლემაზე მრავალი გამოკვლევა არსებობს. ყველა ის სახელმწიფოებრივი ინსტიტუტი, რომელზეც პ. ინგოროყვა ჩერდება, შესწავლილი აქვს განსვენებულ აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილს. არაერთი საინტერესო მოსაზრება აქვთ წამოყენებული აკად. ნ. ბერძენიშვილს, პროფ. ი. სურგულაძეს და სხვ. ამ მეცნიერთა დეაწლი უნდა წარმოეჩინა პ. ინგოროყ-

დავით გვრიტიშვილი

პავლე ინგოროყვას თხზულებების ბირველი ტომის გამო



ვას, ასეთი რამ მას არა მარტო არ დაამ-  
ცირებდა, პირიქით ამაღლებდა.

2. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ პ. ინ-  
გოროყვა ერთ-ერთი იმათაგანია, რო-  
მელმაც ასე დიდი მუშაობა ჩაატარა  
რუსთველოლოგიურ პრობლემის შეს-  
წავლაზე. კარგი იქნებოდა, რომ მას თა-  
ვის უკანასკნელ შრომაში — რუსთვე-  
ლიანის ეპილოგში შეეჯამებია ყველა-  
ფერი ის, რაც ამ დარგში გაკეთდა. სამ-  
წუხაროდ, ასეთი რამ არ მოგვცა.

3. რიგი საკითხების მიმართ ჩვენ ვი-  
ზიარებთ პ. ინგოროყვას მოსაზრებას,  
მისი კამათი მაგ. ერემიანის მიმართ სწო-  
რი და დასაბუთებულია. ხომ შეეძლო  
ასეთივე დამოკიდებულება ეჩვენებია  
სხვების მიმართაც? მაგ. ყუთლუ არსლა-  
ნის გამოსვლაზე საკითხის ლიტერატურ-  
ას ასახელებს და დაძინს, რომ ამ სა-  
განზე ბევრი მცდარი შეხედულება იყო  
წამოყენებული; საჭირო იყო დაწერი-  
ლებით ეჩვენებინა ამა თუ იმ მკვლევარ-  
ის მოსაზრება და შემდეგ მოეცა თავი-  
სი შეხედულება (გვ. 597).

4. პ. ინგოროყვა საეკავოდ ვრცლად  
მიმოიხილავს რუსთავის საერისთავოს,  
არაერთგან მსჯელობს რუსთავის საე-  
რისთავოში შემავალ პროვინციებზე,  
აღგენს ამ საერისთავოს საზღვრებს,  
ემოწმება სათანადო წყაროებს და გვარ-  
წმუნებს, რომ გავაზი და ლოწობანი  
რუსთავის საერისთავოში შედიოდნენ  
(გვ. 101—102).

ავტორის აზრით, „გავაზი მდებარეობ-  
და თბილისის სამხრეთ-აღმოსავლეთით  
და რუსთავის ჩრდილოეთით, ლოწო-ბა-  
ნის (ლოჭინის) უბნის ზონაში (გვ. 102).  
ამ მოსაზრების დასამტკიცებლად იმოწ-  
მებს სხვა წყაროებთან ერთად „ძეგლი  
ერისთავთას“. ნამდვილად კი არავითარი  
ამის მსგავსი არ იყო. გავაზი და ლოწო-  
ბანი არასოდეს რუსთავის საერისთავო-  
ში არ შედიოდა. ეს გეოგრაფიული პუნ-  
ქტები ქსნის ხეობაში არსებობდნენ და  
დღესაც არსებობენ. მკვლევარი გვარწ-  
მუნებს, რომ „მე-14 საუკუნეში გავაზი  
შედიოდა „აბაზასძეთა მამულში“, რომ-  
ლის ფარგლებში მოქცეული იყო: ძაგ-  
ნაკორანი (საგურამოს თემი), დილუამი,

მტკვრის მარცხენა მხარეს, <sup>გავაზი</sup>  
(მტკვრის მარჯვენა მხარეს <sup>ლოჭინის</sup>  
ხეობაში) და ლოწობანი (ციხე <sup>ლოჭინის</sup>  
ხეობაში). გვ. 102). ამ მოსაზრების დასა-  
მტკიცებლად ავტორი მიუთითებს ძვე-  
ლი ერისთავთაზე. ნამდვილად ეს ასე არ  
იყო. ცნობილია, რომ ქსნის ერისთა-  
ვიანთ პირველი რეზიდენცია ლარგვის-  
ში მდებარეობდა. XIV საუკუნეში ერი-  
თავებმა ქსნის ხეობის ბარის სოფლე-  
ბიც შეიერთეს, მათ შორის გავაზი და  
აბაზასძის მამულიც. ასე რომ, აბაზასძის  
მამულში შედიოდა გავაზი, ძაგნაკორა-  
ნი, ყანჩავეთი, დილუამი და ლოწობანი.  
გიორგი ბრწყინვალეს დროს „აბაზასძე  
ნავროზ წარვიდა სპარსეთად. მაშინ, მე-  
ფემან უბრძანა შალვას (ლაპარაკია შალ-  
ვა ქვენიფენველზე — ქსნის ერისთავ-  
ზე) მოდგომად ციხესა ლოწობანისასა.  
მაშინ შალვა მოადგა ლოწობანს და  
პბრძოდა სასტიკად ოთხ დღე და მეხუ-  
თესა დღესა აღიღო იგი“ (ძეგლი ერის-  
თავთა, გვ. 348).

აქ მოტანილი ამონაწერი ნათელს  
ჰყოფს, რომ ლოწობანის ციხე ქსნის  
ხეობაში, სოფ. იკოთში დღესაც რომ  
არის, იმაზე მიუთითებს და არა რაღაც  
ლოჭინის ხეობაში არარსებულზე.

გავაზი რომ ქსნის ხეობაშია, ეს ჩანს  
სამთავნელის სარგოს 1459 წლის წიგ-  
ნიდანაც (ქვები, II, გვ. 274).

ლოწობანს ვახუშტიც ასახელებს,  
მაგრამ მას ეს ციხე ბახტრიონთან ეგუ-  
ლება, თუმცა დაეკვებით (აღწერა,  
გვ. 101).

როგორც ჩანს, პ. ინგოროყვა შეც-  
დომაში შეიყვანა „მატიანე ქართლი-  
საჲს“ ცნობამ, რომ ფადლა კვიციკეს  
ქემ „აღაგო ციხე ლოწობანთა“ (ქ. ც. 1,  
გვ. 265).

საქმე იმაშია, რომ ამ დროს ქსნის ხე-  
ობის ის ზოლი, სადაც ლოწობანი და  
გავაზი მდებარეობს, კახეთის საქორი-  
კოხოს ჰქონდა მიმძღავრებული.

5. პ. ინგოროყვა გვიმტკიცებს, რომ  
1192—1193 წლიდან XIV საუკუნემდე  
ჰერეთის ერისთავები არიან ჰერეთელი  
ბაგრატიონებიო, შოთა კუპრი — შოთა  
რუსთაველი 1250 წელს გარდაიცვა-



ლაო, შოთას შემდეგ კი არც ერთი რუსთაველი ამ მხარის ერისთავად არ ჩანს. როგორ ავხსნათ ეს? (605).

6. გამრეკელი და ორბელი, ეს ორი დამოუკიდებელი გვარი ერთად შეაერთა და გამრეკელი საკუთარ სახელად გამოაცხადა, ხოლო ორბელი გვარად (გვ. 235).

7. XII — XIII საუკუნის ქართველ მოღვაწეებზე საკმაოდ დაწვრილებით ჩერდება, დავით სოსლანი კი ერთხელაც არ აქვს მოხსენებულო.

8. ივანე მხარგრძელი ათაბაგი გახდა არა 1211, არამედ 1212 წელს (გვ. 569).

9. მსახურთუხუცესი სევაზიროში შეიყვანა თამარმა კი არა, რუსუდანმა (569). რუსუდანი გარდაიცვალა არა 1242, არამედ 1245 წელს.

10. 3. ინგოროყვას აზრით, „მე-14 საუკუნის მეორე ნახევარში სამცხე-საათაბაგო (მესხეთი) დამოუკიდებელ სამთავროს წარმოადგენდა“ (37). ეს მოსაზრება მართალი არ არის. პირიქით, გიორგი ბრწყინვალემ სამცხე-საათაბაგო, რომელიც 1265 წლიდან დამოუკიდებელი იყო, კვლავ გაერთიანებულ საქართველოს შეუერთა.

11. ეჭვი არავის ეპარება, რომ შოთას ვეფხისტყაოსანს გარდა, სხვა ნაწარმოებშიც ჰქონდა, მაგრამ სახელდობრ რომელი, ამჟამად სხვადასხვა მოსაზრებები არსებობს. პროფ. ს. კაკაბაძის აზრით შოთას დაუწერია თამარის მეორე ისტორია, ხოლო დოც. ივანე ლოლაშვილმა „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთა-ნის“ ავტორად შოთა მიაჩნია. რადგან 3. ინგოროყვამ ეპილოგში შოთას შესახებ მასალები ასე ვრცლად მიმოიხილა, საჭირო იყო თავისი დამოკიდებულება ეჩვენებია ამ მკვლევართა მოსაზრებების მიმართ.

12. აქა-იქ შეიმჩნევა წყაროთა უწყობილობის უსწორობანი. მაგ. 3. ინგოროყვა წერს: ჯუანშერის მატიანეში მოთხრობილია, რომ არჩილ მეფემ მისცა „სამკვდროდ“ ადარნასე ბაგრატიონს — „რუსთავი, შულავერი და არტანი“ (გვ. 639), ჯუანშერთან რუსთავზე არ არის საუბარი, იქ ნათქვამია, რომ „მისცა შულავერი და არტანი“ (ქ. ც. I, 1955, გვ. 243).

13. წიგნი დაზღვეული არ არის ტექნიკური შეცდომებისაგან. ქართლის ცხოვრების პირველი ტომი მითითებულია, როგორც მეორე ტომი (გვ. 639, 637, 638 და ა. შ.).

ჩემს ეგზეგზლარს მთელი ერთი ფორმა აკლია, 656 გვერდიდან გადადის 817 გვერდზე. 817—832 გვერდამდე, ხოლო შემდეგ 673 გვერდიდან გრძელდება. 817—832 გვერდი ორჯერ არის დაბეჭდილი.

ასეთია ჩვენი ზოგიერთი შენიშვნა, რომლის მიწოდება ავტორისათვის სასურველად დავინახეთ. იმით უნდა დავამთავროთ, რითაც დავიწყეთ — პატივცემულ პაველ ინგოროყვას კოლოსალური შრომა ჩაუტარებია. დამოუკიდებლად იმისა, რომ მის ზოგ მოსაზრებას შეიძლება არ დაეთანხმო, ზოგი მისი დებულება ნაკლებ დასაბუთებულად გეჩვენოს, ერთი რამ აუცილებელია აღინიშნოს: მან მრავალი საკითხი დააყენა რუსთველოლოგიური კვლევა-ძიების სფეროში და რუსთველოლოგიურ პრობლემემატიკაში საკუთარი სიტყვა სთქვა.

დავით გვრიტიშვილი  
პაველ ინგოროყვას თხზულებების  
პირველი ტომის გამო



## ბურთი, მოედანი და მაყურობა

### შესავალი

ამ მოთხრობაში მე მხოლოდ ფეხბურთზე და ფეხბურთის მოყვარულებზე მექნება საუბარი. უფეხბურთოდ დედამიწაზე ნორმალური ცხოვრება წარმოუდგენელია. სადაც კი ადამიანი გაივლის, ყველგან ბურთს წამოჰკრავს ფეხს. ბურთი ისე ჰირდება კაცს, როგორც ჰაერი, რითაც ბურთია გაბერილი. დედამიწას ხუთი კონტინენტი აქვს და ხუთივეზე ბურთს თამაშობენ. ანტარქტიკაში, მართალია, ადამიანები არ ცხოვრობენ, მაგრამ იქ თოვლის ბურთს პინგინები დასდევენ. აქედან გავრცელ-

და გამოთქმა „პინგინი“, რაც ფეხბურთის ენაზე უნიჭოს ნიშნავს.

ადამიანის გონებამ ბურთს ბევრი ხატოვანი გამოთქმა დაუკავშირა. ასე, მაგალითად, მზე ცეცხლოვანი ბურთია, მთვარე კი — სპილენძისა. ასევე, კაცი შეიძლება იყოს ბურთივით მრგვალი, თავის ნაცვლად ბურთი ჰქონდეს და საბურთალოზე ცხოვრობდეს. ერთი სიტყვით, ბურთი ადამიანს სისხლში აქვს გამჯდარი, სისხლი კი, მოგეხსენებათ, წითელი და თეთრი ბურთულები-საგან შედგება.

### როგორ შემოვიდა ფეხბურთი საქართველოში

როგორ შემოვიდა ფეხბურთი საქართველოში?

ძნელია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. ალბათ არავისთვის არ უკითხავს, დაადო თავი და შემოვიდა. მე შენ ვეტიყვი, ვინმე დააკავებდა!

დღეს, როცა ფეხბურთით მეცნიერებიც კი დაინტერესდნენ, ეს ერთი შეხედვით მარტივი კითხვა თანდათან გაურკვეველობის ბურუსით იფარება.

არის საბუთების ქექვა და ფაქტების ძიება: როგორ შემოვიდა, ვინ შემოიტანა, ან იქნებ სულ არ შემოსულა და ადგილზევე იყო.

ადვილი შესაძლებელია, მომავალში არქეოლოგებმა რომელიმე უძველეს სამარხში სტადიონის ბილითი და მსაჯის სასტვენიც იპოვნონ, მაგრამ სანამ ეს მოხდებოდეს, მოდი, ასალო ხუციშვილს მოვუსმინოთ.



ასალო თუ არ გინახავთ, ორიოდ სიტყვით გაგაცნობთ: ჭარმაგი ბერეკაცია, თვითონაც უკვირს, ოთხმოცი წლის რომ არის. უყვარს კარგი ჭამა-სმა და ძველი ამბების თხრობა. ერთხელ ჭალაში ბურთს ვთამაშობდით. ასალომ რომ დაგვინახა, გაჩერდა, გაიყურა, გვიყურა და მერე ხმამაღლა ჩაახველა. მივხვდით, რალაც არ მოეწონა.

— რას შერებთ, თუ იცით? — გადმოგვძახა მადლიდან.

— რა უნდა ვქნათ, ასალო ბაბუა, ბურთს ვთამაშობთ, — ავუსხსენი მე.

— ჩოხას რომ არ კერავთ, მეც ვხვდავ. ეგაა თქვენი თამაში? ასე გინდათ ქვემოუბნელებს მოუგოთ? — იყვირა ასალომ, — შენ, რევან, ტყუილად გაქვს ერთი ქცევა თავი, ამხელაზე რომ დააცილე ბურთს?

— რა მოხდა მერე, ვვარჯიშობთ. ნამდვილი შეხვედრა ხომ არაა!

— ვარჯიშობთ კი არა, ახლანდელმა ყმაწვილებმა თამაში არ იცით, აბა, „ლელოს“ მეც ვკითხვლობ, ეს რომ საქმეს შველოდეს. ჰაი გიდი, ჩვენ დროს რომ ხალხი იყო!

ბურთი მივატოვეთ და ასალოს შემოვხვებოთ; იგი თოხის ტარზე ჩამოჯდა და დაიწყო:

— ფეხბურთით, თქვენ რომ ახლა ეძახით, ბიძებო, მაგ თამაში პირველად ჩვენ დაიწყოთ ფოთში. ბათუმი და სოხუმიც ძალიან მიყვარს, მაგრამ ამ საქმეში პირველობა ფოთს ეკუთვნის.

ფოთის ნავსადგურში მამის, ჩემო ბატონო, ინგლისის გემები იდგა. ინგლისელებს საქართველოდან შავი ქვა მიჰქონდათ. ჩვენ მთელი დღე ვმუშაობდით. შიმშილით კუჭი გვიხმებოდა, მაგრამ საღამოს ლელო რომ არ გვეთამაშა, არ იქნებოდა. ვეჯიბრებოდით ერთმანეთს გურულები და მეგრელები — ზემოუბნელები და ქვემოუბნელები, ცოლიანები და უცოლოები. ერთ დღეს, შენ ხარ ჩემი ბატონი, შუა თამაშში რომ ვართ, გავიხედეთ და რას ვხედავთ: გადმოსულან ინგლისელები გემიდან, თავს დაგვდგომიან და გვიყურებენ, როგორ გავაქვს ლელო.

ვიფიქრეთ, რაშია საქმეო და შეგვივითეთ თამაში. მეზღვაურებმა უცაყოფილოდ გააქნიეს თავი, ნონ, დაგვიჩვენეს გვიძახეს, ესე იგი, მაგას ნუ გვძვინო, შეგვეხვეწნენ. თითო ღერი ინგლისური ყველამ ვიცოდით, მაგრამ არ გვეყო. მივყოლეთ რუსულიც, ქართულიც, ხელიც, ფეხიც და ბოლოს მოხვდით, ინგლისელებს ჩვენი ლელო მოსწონებოდათ და თამაში გვასწავლეთო, გვთხოვდნენ. ჩვენს შორის ერთი ყველაზე ხნეირი და გამოცდილი კაცი იყო, ბონდო ფიფია. ჭკუით ვიყოთ, ბიჭებო, არ აჩქარდეთო, დაგვარიგა. გვასწავლეთ, გვასწავლეთო, — არ მოგვეშენენ ინგლისელები.

ჩვენ რომ ლელო გასწავლოთ, — უთხრა ფიფიამ, — წახვალთ ინგლისში და ჩვენ რა მერეო. ასე არ გამოვა, სამაგიერო გვინდა რალაცაო.

თქვენ თუ ლელოს გვასწავლით, ჩვენ „ფუტბოლს“ ვასწავლითო, — გვითხრეს ინგლისელებმა.

— „ფუტბოლი“ რალააო? — გავიკვირვეთ ჩვენ.

ინგლისელებმა ტანთ სწრაფად გაიძვრეს და გვიჩვენეს, რაც იყო „ფუტბოლი“. რაც ძალი და ღონე ჰქონდათ ურტყამდნენ ბურთს ფეხს. სადაც ფეხით ვერ მისწვდებოდნენ, იქ თავს ახმარდნენ. შევხედე ბიჭებს და შევატყვე, მოეწონათ თამაში, მაგრამ არ იმჩინებდნენ, ვითომც არაფერიყო.

— მაგი „ფუტბოლი“ კი არა, ფეხბურთი ყოფილა, — უთხრა ფიფიამ, — მართალია, ჩვენს ლელოს ვერ შეედრება, მარა, თუ ძალიან გულით გინდათ, არ გაწყენინებთ, გავცვალოთ.

ვასწავლეთ ერთმანეთს თამაში. ჩვენ შეჩვეული ვიყავით და არ გაგვიკვირებია, ინგლისელებიც ძალიან კმაყოფილი დარჩნენ.

მეორედ რომ ჩამოვიდნენ, შივიჯიბრეთ და მოუვეთ. ასე გვითხრეს, ეს თამაში სწორედ თქვენი საქმე ყოფილა და ალალი იყოსო. მას აქეთაა, შეგვიყო-

---

ალექსანდრე სამსონია

ბურთი, მოედანი და მაცურებელი

ვარდა ფეხბურთი, ინგლისელებიც შეეწყვნენ ლელოს, გაზეთში წავეკითხე, რეგები დაურქმევიათ თურმე. ასე იყო,

ბიძიებო, გინდა დაიჯერეთ, გინდა ასე შემოვიდა საქართველოში ფეხბურთი და ასე გადარია ქვეყანა.

## ერთ კვირა დღეს

იმ სოფელს, სადაც მე, ასალო ხუციშვილი და ჩემი მოთხრობის სხვა გმირები ვცხოვრობთ, ზემოუბანი ჰქვია, ჩვენს ქვემოთ ქვემოუბანია. ამ ორ უბანს შუაზე მდინარე ჰყოფს. ფეხბურთი ორივე უბნელებს უყვართ, უყვართ კი არა, გაგიყებულნი არიან.

ჩემი სიტყვები ზერეღედ რომ არ ჩათვალოთ, ფაქტებს მოვიშველრებ და დაწვრილებით მოგიყვებით, რა მოხდა ზაფხულის ერთ კვირა დღეს.

უბრალოდ რომ ვთქვათ, ნანატრი კვირა დღე გათენდა. მზემ მთის მწვერვალს მორცხვად გადმოხედა და პირველი სხივი ზემოუბნის კოლმეურნეობის თავმჯდომარის ფანჯრებს სტყორცნა.

ახლა რომ გითხრათ, თავმჯდომარემ მზეს დაასწრო ადგომა და უთენიდა პლანტაციებში ტრიალებდათ, — ტყუილი გამომივა. მას რიგით კოლმეურნესავით ეძინა. როცა მზემ შეაწუხა, თვალი გაახილა და მაშინვე გაახსენდა, რომ ყველაზე მძიმე დღე გაუთენდა. თუ ძალიან დაინტერესდით, რაში იყო საქმე, თქვენს ცნობისმოყვარეობას დავაკმაყოფილებ და კლუბის კედელზე გაკრულ აფიშას წაგაკითხებთ:

„ყურადღება! კვირას ზემოუბნის სტადიონზე გაიმართება მატჩ-რევანში ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდებიან ქვემოუბნის „შუქტრა“ და ზემოუბნის „აპოკექტორი“. თამაში დაიწყება ჩაის ჩაბარების შემდეგ. შესვლა საკუთარი სკამებით.“

კოლმეურნეობის გამგეობის კანტონაში საგანგებო სხდომაა მოწვეული. დღის წისრლიში მხოლოდ ერთი საკითხია — რევანში.

სიტყვას იღებს კოლმეურნეობის თავმჯდომარე:

— ზუსტად ორი კვირა გავადა, ზემოუბნელებს თავი რომ მოგვეჭრა და გარეთ გამოსაჩენი პირი არა გვაქვს,—

დაიწყო მან. — ყველაფერში ვჯობნით ქვემოუბნელებს, — ჩაი და ციტრუსი მაგათზე მეტი მოგვყავს, ცეკვა და თამაში უკეთესი ვიცით. ჰოდა, ფეხბურთი რა გახდა ასეთი! მაგ დაფეხვებლებთან რატომ უნდა წააგოთ, სისქით თქვენ ვერ ვჯობნიან და სიმაღლით. იქნებ ბუცები აქვთ თქვენზე უკეთესი? გვითხარით, ბატონო, და გიყიდით!

— არ წავაგებდით, მსაჯი რომ არ მიმხრობოდა, — გაბედა ვილაცამ.

— მსაჯსაც მოვისყიდით, ბატონო. ჰო, იმას ვამბობდი, დღეს თუ არ მოგივიათ, ჯობია, სამარე გითხარით. ქვემოუბნელები რომ დაუმარცხებელი გავუშვათ აქედან, არც ერთი არ დამენახოთ კოლექტივში. ლადიკო ბურკულაძე, შენ თუ კაპიტანი ხარ, მაიორ კაცს უნდა დამიჯერო. თავს რომ პიკანტურებს, გაიგე რაც გითხარი, თუ კიდევ გაგიმეორო?

— გავიგე, ნესტორ ბატონო.

— დანარჩენები რას იტყვიან?

— ყველამ გავიგეთ, ყველამ! — ახმაურდნენ ფეხბურთელები.

— ჰოდა, თუ გაიგეთ, წადით ახლაცანაში. მუშაობით დღეს თავს ნუ მოიკლავთ, წინ იყურეთ, თოხს ღეხი არ შეაპრათ. ცოტა რომ წამოგრილდება, გამოგივლით და სტადიონზე წაგიყვანთ.

ფეხბურთელები დაიშალნენ. ოთახში თავმჯდომარე და ბულალტერი დარჩნენ.

— ხომ იცი, კირილე. ასპროცენტიანი მოგება უნდა გვქონდეს, ამიტომ მსაჯის ამბავს შენ გაბარებ, ან ის მოისყიდე, ანდა შენ შეიკერე შევები, — ბრძანა თავმჯდომარემ.

სათქმელად ადვილია, მსაჯი მოისყიდეო, მაგრამ სხვა რაღა გზა იყო.

მსაჯი, როგორც წესი, თამაშის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე მო-

დის, და ეს დრო კირილემ კარგად გამოიყენა. დიდი ამბით გაეცნო. ისიც კი უთხრა, ჩემი შორეული ნათესავის კარგი მეგობარი ყოფილხარო. მერე სხვათა შორის ჰკითხა, ქვემოთბანში ვინმე ნაცნობი ხომ არ გყავსო, და როცა იმ კაცმა სასტიკად იუარა, განხრებულმა კირილემ შინ მიიპატიჟა.

მსაჯმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. ბოლოს ბულატერმა იმდენი იძალა, სასაძლოში მინც შეიყვანა. ბევრი ეხვეწა, ჰამე რაც გავიხარდებო, მაგრამ მსაჯს კატლეტის მეტი არაფერი მოუთხოვია, ღვინოსაც არ გაეკარა, მხოლოდ ღვინოსატი მოსვა. ბულატერმა ხმას დაუწია და შორიდან დაიწყო:

— ის რა ქვეყანაა, ძამიკო, ხალხი ღვინის მაგიერ ყავას რომ სვამს და მისი დღე და მოსწრება ბურთს თამაშობს?

— ბრაზილია, — მიხვდა მსაჯი.

— ჰოდა, ის როგორ იყო, მაგ ბრაზილიაში მსაჯმა პენალტი რომ არ დაწინა და ბაწარში გააყოფინეს თავი?

— მასეთი რამ არ გამოიგონია, — წამოდგა შეშინებული სტუმარი.

— დაჯექი. თუ არ გავიგონია, ახლა მოგიყვები. ცოლ-შვილი თუ გყავს?

— მყავს.

— იმ მსაჯსაც ჰყოლია... ჰოდა, სანამ დასახრობად წაიყვანდნენ. ჯერ ცოლ-შვილი მიუყვანეს გაბაწრული და უჩრჩის, მიეცი თუ კაცი ხარ მაგ პენალტი, შენც გადარჩები და ჩვენც გადაგვარჩინეო. ცოცხალი თავით ამას არ ვიზამო, იყვირა თურმე. კაი აბა, რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო, უთხრეს და ჩააბეს ბაწარი. მაშინ კი იყვირა, ცოლიც მიყვარს, შვილიც მიყვარს, თავი ყველას მიჩრჩენიაო, გამიშვით და რამდენიც გავიხარობათ, იმდენ პენალტს დაგარტყმევენებთო. მართლაც შეასრულა სიტყვა... წაიყვანეს თამაშის შემდეგ სასაძლოში, შავი ყავა დაალევირეს, აწი ჰკუთით იყავიო, უთხრეს და გაუშვეს სახლში. რა მაგის პასუხია და, შენც ხომ გინდა შინ დაბრუნება?

— აუცილებლად.

— ჰოდა, შენც ჰკუთით უნდა იყო რასაც უფროსი გეტყვის, უნდა დაუჯერო.

დარიგებით კი დაარიგა კირილემ, მაგრამ ვერ გაიგო, რამდენად იყო ნოსყიდული ის კაცი და ამიტომ გულასფანცქალით ელოდა თამაშის დაწყებას.

მზე როგორც კი გადაიხარა, ხალხმა სტადიონისაკენ იწყო დენა. თათქის შავი ჰირი დაერიო, მთელმა სოფელმა გამოეკეტა კარი. ამოდ ბლოდა ჰიშკართან საქონელი, ამოდ აქიციანდნენ კუდს დაბმული ძაღლები, ჩვენც ფეხბურთზე წავეყვანეთო. დიდი და პატარა სტადიონზე გაიკრია.

პირველი გულშემატკივარი და სპეციალისტი, ასალო ხუციშვილი, ამჟამად მწოლიარე ავადმყოფი, ბადიშებმა საკაცით მოიყვანეს. თუ სასიკვდილო ვარ, ამაზე უკეთეს ადგილას სად მოვკვდებო, უთქვამს. სტადიონი ხალხით გაიქცა. ზოგი დადგა, ზოგი დაჯდა, ზოგიც გაწვა. ნელ-ნელა, იჩოჩეს, იჩოჩეს და მოედნის ხაზს მიადგნენ. ჩაის პუნქტის გამგეს, ყარამან თალაკვაძეს, შეთავსებით სტადიონის დირექტორიც რომ არის, საქმე გაუჩნდა.

— აბა, უკან დავიწიოთ! — დატრიალა ჯოხი ყარამანმა, — როგორ, ბურთს აღარ უშვებთ აუტში თუ რაშია საქმე? რამდენჯერ გითხარით, მოხაზულს იქით გადასვლა არ შეიძლება-მეთქი. ბენია კუნჭუხიძე, მაგ თავი რომ გაგსიყვებია, გამოაქანებენ ბურთს და შენს თავს ვინ დაექებს, კამერა გასკდება...

ამასობაში ქვემოთბუნელებიც მოვიდნენ. მოსვლა მოსვლას გააჩნია: სტადიონზე დროშებითა და ღოზუნგებით მორთული ოთხი სატვირთო მანქანა შემოგორიალდა. წინა მანქანაზე სასულე ორკესტრი კლასიკურ რეპერტუარს ასრულებდა. უკანაზე მეფანდურეები ისხდნენ. წინა მანქანა რომ „ტოუნი“ დაამთავრებდა, უკანა „სიმონა დოლოძეს“ იწყებდა. მანქანებმა ტრიბუნის წინ ნელა ჩაიარეს.

აღექსანდრე სამსონია

ბურთი, მოედანი და მაცურებელი



— კაი გამარჯობა, მეზობლებო, —  
მიესალმნენ სტუმრები, — როგორ ხართ?

— მაგას, თამაში რომ დამთავრდება,  
მამინ ვნახავთ, — ვალში არ დარჩნენ  
მასპინძლებიც.

გუნდები სავარჯიშოდ გამოვიდნენ.  
„შუქურას“ ფეხბურთელებს წითელი  
მისურები აცვიათ, „პროექტორისას“  
კი ლურჯი. ყარამან თალაკვამ რუპო-  
რი აიღო და გუნდების შემადგენლობას  
გამოცხადებას შეუდგა:

— ზემოუბნის „პროექტორი“: მე-  
კარე — შეწირული ვარდენა, — ხმას  
აუწვია ყარამანმა და როცა ტაში დაკ-  
ხრა, მიაღუქსა, — მაგას ბურთი ხელი-  
დან არ უვარდება... მარჯვენა დამცვე-  
ლი — ჰიჭიკო ხურციძე.

მარჯვენა დამცველს ცენტრალური  
მიპყვა, შემდეგ მარცხენა. ტაშისცემით  
ცა კინალამ ჩამოინგრა, როცა ყარამანმა  
გამოაცხადა, ცენტრალური თავდასხმე-  
ლი და გუნდის კაპიტანი ლადიკო ბურ-  
ჭულაძეაო.

ჯერი სტუმრების გუნდზე მიდვა.

— მეკარე კოსტა იაშვილი, იაშინის  
არაფერი სცხია მაგას.

ქვემოუბნელთა ორკესტრმა ვერ და-  
ფარა ზემოუბნელების ხარხარი.

— მარცხენა დამცველი გორდეს  
ცეცხლადე, — ფეხებში უღლიანი ლო-  
რი გაუძვრება და ბურთს როგორღა  
დააკავებს!

ქვემოუბნელებმა ვედარ მოითმინეს:

— ცოტა მოიცა; ყარამანა თალაკვა-  
ძე, და ჩავივარდება ენა! — დაიძახა ვი-  
დაცამ გაღმა ტრიბუნიდან.

გამოღმელებმა სტვენითა და სიცი-  
ლით უპასუხეს. შემადგენლობის გამოც-  
ხადება დამთავრდა.

ამასობაში გუნდებიც გამოჩნდნენ.

ტაში მაგარი იყო, მხოლოდ თააკუ-  
ლები არ მიურთმევიათ ერთმანეთისა-  
თვის. ყარეს წილი.

თამაშის დაწყება სტუმრებს ზედათ  
წილად, მოედნის არჩევა — მასპინძ-  
ლებს. ატყდა დიდი ბუობა, რომელი  
მხარე უკეთესიაო. გადამწყვეტი სიტყვა  
მანც ასალო ხუციშვილმა სიტყვა:

— სადაც ხართ, იქვე დარჩით.

მსაჯმა სასტვენს ჩაბერა და დაიწყო  
ისტორიული ორთაბრძოლა. მხელი  
იმის აღწერა, რა ხდებოდა მტრულ  
სტადიონზე: ტაში. სტვენა. ყვირილი.  
შეძახილები: „მოდი, ჰო!“ „დაეწიე!“  
„მისიკვდილე!“

მისიკვდილებულები ჯერჯერობით  
ზემოუბნელები იყვნენ. ტაიმი ისე დამ-  
თავრდა, ბურთი ვერ გაიტანეს.

— კაცო, არ გადამრიოთ და არ  
შემშალოთ, — თავზე დაადგა თავმჯ-  
დომარე ოფლში გახვითულ ბიჭებს. —  
თქვენ რომ ახლა არ მოიგოთ, ამ სტა-  
დიონს ერთიანად გადავხნავ და ზედ  
სიმინდს დავთესავ!..

ასალო ხუციშვილი გამოცდილი  
მწვრთნელივით არჩევს თამაშს.

— ბურთი რომ კარისაკენ წამოვი-  
დეს, ვარდენ, არ გაუშვა, მაგრად დახ-  
ვდი! ლადიკო, შეილო, სირბილი რომ  
კარგი იცოდო, დღეს არაფერი გიჭამია?  
ამასობაში პირველი ტაიმიც დამთავ-  
რდა, ზემოუბნელი მაცურებლები სა-  
გონებელში ჩავარდნენ — რევენს  
კარგი პირი არ უჩანდა. ქვემოუბნელები  
საუცხოო გუნდებზე იყვნენ. მეფან-  
დურეები საკოლმეურნეო შაირებს მღე-  
როდნენ.

— რა გახარებთ, თქვე უბედურე-  
ბო? — შეეკითხნენ გამოღმელები.

— რომ მოვიგებთ და გაამწვარებთ,  
ის გვახარებს, — უპასუხეს გაღმელებმა.

— მოსაგები რა გაქვთ, ვერ ნახეთ,  
პირველ ტაიმი რა გიყავით?

— მაგას ბოლოს ვნახავთ!

თამაში განახლდა. მასპინძლები მში-  
ერი მგლებივით ეძგერნენ სტუმრების  
კარს, „შუქურას“ საჯარო მოედანზე  
ქარიშხალი დატრიალდა.

— ცოტა კიდევ და გათავდა მაგათი  
საქმე! — ამხნევებენ ზემოუბნელები  
თავისიანებს.

იერიშით გართულმა მასპინძლებმა  
კარგად ვერც კი მოჰკრეს თვალი, რო-  
გორ გამოჩანდა მოწინააღმდეგის მარ-  
ცხენა გარემარბი მათს ნახევარზე, რო-  
გორ დაარტყა და...

გარკვევით მხოლოდ ის გამოჩნდა,  
ვარდენმა ბურთი ბადიდან რომ გამოი-

ტანა. გოლი ისე სუფთად ვაიტანეს, მსაჯმაც ვერაფერი სთქვა და ზემოუბნე-ლებსაც ენა ჩაუვარდათ. სამაგიეროდ სტუმრების მხარეს ცეკვა-თამაში გაჩაღ-და. თვალცრემლიანი უყურებდნენ ზე-მოუბნელები, როგორ დაფრინავდა ჰა-ერში ქვემოუბნელთა ქუდები, ხოლო მათმა ომახიანმა ყიფინამ ლამის ყურე-ბი გაუხვრიტათ.

— ჩვენია, ჩვენი, გამარჯვება!

მასპინძლები პასუხად მხოლოდ მუშ-ტებს იბაგუნებდნენ მკერდზე.

— მოთამაშე თუ არ გამოვცვალეთ, არაფერი გამოვა, — ბრძანა ასალომ.

ნახევარმცველი სარდიონ ცერაძე დაასვენეს და კარგადაც მოიქცნენ. ისე იყო დაღლილი, რომ ნაპირზე გამოგდებ-ბული თევზივით აღებდა პირს. მის მაგიერ მოედანზე ვარლამ ბერაძე გა-მოვიდა.

— დასვენებული კაცია, ისევ ეგ თუ გვიშველის, — ამბობენ მასპინძლები.

— მიდი, ჰო, მხარი არ გექცეს! — შეაწიეს ხმა. — მაქეთ აუტია, სად მი-დისხარ, პირი კარისაკენ ჰქენი!

ცენტრის ხაზს კი გადაცილდა ვარ-ლამი და ცხვირით მიწაზე დაუშვეს.

— პენალტი! — მოითხოვა ვილაც უტიფარმა.

ეს კი მეტისმიტი იყო და ისევ თა-ვისიანებმა დააწყნარეს.

ასალო ხუციშვილმა ძეწკვიანი საათი ამოიღო.

— ხუთი წუთი დაგვრჩა. მსაჯის გარდა, აწი ღმერთიც ვერ გვიშველის.

— კირილე ბულატერი სად დაქე-კარგა? — იყვირა თავმჯდომარემ.

მოიყვანეს ზაფრანასავით გაყვითლე-ბული კირილე.

— რა მიქენი, შე კაცო, ესაა, საქმე გავაკეთო?

— რაც შემეძლო, ხელი არ დამიკ-ლია, ბატონო.

— მაგი არ ვიცი, მე პენალტი მინდა!

— მეც კი მინდა, მარა ვინ გაძლევს?!

— გაახსენე ერთი მსაჯს, თავი ხომ არ მოგატლებიათქო?!

კირილემ კეფა მოიფხანა, უკან გაბ-რუნდა, დრო შეარჩია, აუტში გადმოგ-

დებული ბურთი მოედანზე შეიტანა და მსაჯს ჩუმად რაღაც ჩაულაპარაკა. ორი წუთი დარჩა. ბურთი „მუქტურას“ აჩვენა არ სცილდებოდა, მაგრამ არც ბაღე-ში გახვევას აპირებდა.

ოცდარიო კაცი ერთმანეთში ირეო-და და ღმერთმა უწყის, ვინ რას აკე-თებდა, ვინ ვის დასდევდა და ვინ ვის ურტყამდა. ვარდენა მეკარეც თავდას-ხმაზე იყო გადასული. მის მაგიერ კარში ათი კაცი მინც იდგა. დანარჩე-ნი მაყურებლები ცენტრამდე მისული-ყვნენ და როცა ბურთი მათ მხარეს მოხედებოდა, იმ წამსვე უკან აბრუნე-ბდნენ.

ამაო იყო ქვემოუბნელების პრო-ტესტი. ყარამან თალაკვაძეს ჯოხი ხმა-ლივით აღემართა და თუ თამაშის დაწ-ყებამდე მაყურებლებს აფრთხილებდა, მოხაზულს იჩით არ გაომოხვიდეთო, ახლა ქვემოუბნელებს ემუქრებოდა.

როცა ასალოს საათზე ისარმა უკა-ნასკენელი წუთი მოხაზა, კირილე ბუ-ლატერმა ლადიკოს მიაცვირა:

— წაიქეცი ახლა, თვარა დალუპუ-ლია ჩვენი საქმე!

ლადიკომაც იმწამსვე დალუნა თავი და ფორხილ-ფორხილით მოწინააღმდე-გის საჯარიმო მოედნისაკენ გაექანა. ქვემოუბნელები მიხვდნენ, რა უნდა მოყოლოდა ამ ტაქტიკურ ჩანაფიქრს.

— შიგ არ შეუშვათ, პენალტს მის-ცემენ.

მშვიერი მწიგერები რომ კურდღელს გამოეკიდებიან, ისე გამოუდგა მთელი გუნდი ლადიკოს დასაჭერად. ზედ სა-ჯარიმო ხაზზე დაწვივნენ, მაგრამ მან იმდენი მოახერხა, რომ წაქცივისას წიოქვიმით ხაზს აქეთ დარჩა, წელზე-მით კი იჩით.

სტადიონზე ქარიშხალი დატრიალდა.

— პენალტი! — იკრიალა ხალხმა.

მსაჯს რა გზა ჰქონდა, თერთმეტმეტ-რიანისაკენ მიუთითა. სიბრაზისაგან გათითობული ქვემოუბნელები ზემო-უბნელებს გადაუდგნენ.

აღექსანდრე სამსონია  
ბურთი, მოედანი და მაყურებელი

— ცოცხალი თავით არ დაგარტყმენებთ!

— ვითომ რატომ?

— რატომ და ხაზს გარეთ წაიქცა.

— თავი ხომ ჰქონდა ხაზს იქით?

— სამაგიეროდ ფეხები დარჩა გარეთ!

— ქვემოუბნელებს ჭკუა ფეხებში გაქვთ თუ თავში?

— მაგი არაა თქვენი საქმე!

— ჩვენი საქმე ისაა, ახლა ბურთს რომ გავიტანთ.

— აბა ვნახოთ ერთი, როგორ გაიტანთ. ბიჭებო, დაწეით!

ამ სიტყვებზე თერთმეტივე ფეხბურთელი ერთმანეთის მიყოლებით მოედანზე გაწვა.

ეს ისე მოულოდნელად მოხდა, რომ წამით ზემოუბნელებიც კი დაიბნენ.

— სამოსახლო ხომ არ გინდათ მოგიზომოთ, აღექით, დაგვარტყმევინეთ ეს ბურთი!

ქვემოუბნელები არც განძრეულან.

— სანამდე იქნებით ერთი, გიყურებთ, გაზეთები ხომ არ მოგიტანოთ?

ისევ ასალო ხუციშვილმა იმარჯვა, თავისიანებს რაღაც გადაულაპარაკა და თითქოს ბრძოლას ველიდან დაჭრილები გაჰყავთო, ოთხ-ოთხმა კაცმა სათითაოდ გაიყვანეს ქვემოუბნელები მოედნიდან. ამოდ უხმობდნენ თავისიანებს, მოგვეშველეთო, სიმცირის გამო მათ კონფლიქტში ჩარევა ვერ გახედეს.

„შუქურას“ მეკარემ თავისიანების ბედი გაიზიარა, სადაც თქვენ, მეც იქაო, და გვერდით მოუწვა ამხანაგებს. შეუტრეს ხელ-ფეხი და ისევ კარში მიიყვანეს, მაგრამ თავგატეხილივით მორთო ღრიალი, მომკალით თუ გინდათ, აქ გამჩერებელი არა ვარო.

— წავიდეს, — ბრძანა მსაჯმა, — ცარიელ კარში დაარტყით.

მასპინძლები კაპიტანს ამხნევებდნენ.

— რას უცდი, ლადიკო, დაარტყი!

მსაჯმა ნიშანი მისცა. ზემოუბნელთა ბომბარდირი გამოექანა, რაც ძალი დაღონე ჰქონდა ფეხი მოიქნია და... ბურთი ხუთი მეტრით ასცდა ზემოდან ცარიელ კარს და სადღაც მაყურებლებში დიკარგა.

წამით მთელი სტადიონი გაქვავდა. სამარისებური სიჩუმე ქალის კრვილში დაარღვია.

— შვილო, შვილო, დაგვლუმე ხომ? ხალხი გამოერკვა. ქვემოუბნელები სიცილით დაიხოცნენ.

— ხო, ხო, არ მოგვკლა სიცილით?!

— ერთი კიდევ დაარტყმევინეთ!

— ეს რა ვნახეთ, ხალხო?

— მაგის ბუცის ნომერი გეთხარით, სად ისწავლა ასეთი დარტყმა?

ორკესტრმა სამჯერ დააუგუნა ტუში. მეფანდურეებმა „გამარჯვებულთა საზეიმო“ შეასრულეს. გაოგნებული მასპინძლები ენას ვერ აბრუნებდნენ.

— მოისყიდეს მაგ ქვეყნის გლახა! — აყვირდა ასალო, — მოიყვანეთ აქ!

მაგრამ ლადიკო ბურჭულაძეს ჭკუა ეხმარა და ამ არეულობაში დროზე გაპარულიყო.

— არიქა, ბიჭებო, მთელი სოფელი გადააბრუნეთ და ეგ მოლაღატე ან ცოცხალი იპოვეთ, ან მკვდარი! — ბრძანა ასალომ.

— მოგიგეთ ხომ, ზემოუბნელებო, ჩავიქრათ „ოქექტორი“, — ქოქოლას აყრიდნენ სტუმრები სტადიონიდან მიმავალ მასპინძლებს.

ასალო ხუციშვილთან მალემსრბოლებმა მოიბინეს:

— ლადიკო ქვემოუბნელების პირველ მანქანაზე დამალული,

— ხომ გითხარით, მოისყიდეს-მეთქი, — ამოიგმინა ასალომ, — სად წავივა, აბა, მარჯვედ, ბიჭებო!

ქვემოუბნელებმა ზეიმით დატოვეს სტადიონი, მაგრამ მასპინძლებმა ზედსაზღვარზე, ხალთან შეაჩერეს ისინი.

შიშით გაოგნებულ ლადიკოს წინააღმდეგობის გაწევაც არც უცდია.

— თუ სასიკვდილოდ მიგყავართ. ცოლ-შვილი მაინც მანახვეთ, — ითხოვა საბრალომ.

— აი ამ კაცმა, — დასჭექა ასალომ, — ლადიკო ბურჭულაძე რომ ჰქვია, მთელი სოფელი შეარცხვინა და ჩვენც თავსლავი დაგვასხა.

— დავაშავე, მაგრამ მოლაღატე არა ვარ! — აყვირდა ლადიკო.



— არა, ასალო, სინიდის გეფიცებით, ჩვენგან ქრთამი არ აუღია, — თავი გამოიდგეს ქვემოუბნელებმაც.

— გაჩუმდით, ჩვენს საქმეს ჩვენვე მოვეუვლით, ხმა ღვთისა და ხმა ერისაო, ლადიკო ბურჭულაძე უნდა გავაძევოთ სოფლიდან!

— გავაძევოთ! — იქუხეს ზემოუბნელებმა.

— სანამდე გამოსწორდებოდეს და სანამ სოფელში დავაბრუნებდეთ, ვინც ლადიკო ბურჭულაძეს გამარჯობა უთხრას, ოჯახი დაექცეს!

— დაექცეს! — გაიმეორეს ზემოუბნელებმა.

— ვინც ლადიკო ბურჭულაძე მწყურვალე ნახოს და წყალი ასვას, პირი გაუშრეს!

— პირი გაუშრეს!

ასალო ხუციშვილი ხევისბერივით გრგვინავდა.

გაძევებული და შერცხვენილი ლადიკო ისევ ქვემოუბნელებმა შეიბრალეს.

— წამოდი, ბიძია, ჩვენთან, ბურთის თამაში არ შეგძლებია, მაგრამ იქნებ ყანაში მაინც ივარგო.

მთევარე ახალი ამოსული იყო, ლადიკო ბურჭულაძემ მშობლიური სოფელი რომ დატოვა.

### პირველი მოგონებები

ის, რაზეც ზემოთ ვილაპარაკეთ, მოგონილი არ გეგონოთ. ყველაფერი საკუთარი თვლით მინახავს და საკუთარ თავზე განმიცდია; ლადიკო ბურჭულაძე მე განლავართ. ზემოუბნელებმა მე გამაძევეს სოფლიდან. რამდენიმე ზნის შემდეგ შემიწყალეს და როგორ გამავასწორე ჩემი დანაშაული, ამას შემდეგ გაიმბობთ. ახლა კი ცოტა უკან დავიხიოთ და იმ ბედნიერ დროს დავუბრუნდეთ, როცა პატარები ვიყავით.

მაინც როგორია ჩემი ბავშვობის შთაბეჭდილებები, პირველი მოგონებები? გამიჭირდება თქმა. მახსოვს, მაგალითად, ჩვენი სკოლა, მასწავლებლები და მოსწავლეები. პირველი ორიანის მიღება არ, მახსოვს, მაგრამ ის არ დამავიწყდება, გლობუსი პირველად რომ ვნახე.

— რა არის ეს, ბავშვებო? — გვკითხა მასწავლებელმა.

ყველამ ხმა გაკმინდა. ბოლოს რევაზ ბურჭულაძემ გაბედა თითის აწევა:

— ეს დიდი ხაპია, — სთქვა მან.

მასწავლებელმა ხელი ჩაიქნია, უნიჭო ხარო და მე ამაყენა.

— აბა, ლადიკო ბურჭულაძე გვეტყვის, რა არის ეს.

ბევრი არ მიფიქრია, უცებ ვუპასუხე:

— ბურთია, მასწავლებლო!

რევაზმა შურით პირიც კი დაალო, რატომ მე ვერ მივხვდიო.

— არა, — სთქვა მასწავლებელმა, — ეს არის დედამიწა. დედამიწას ბურთის ფორმა აქვს.

მერე მასწავლებელმა გლობუსზე გვიჩვენა, სად მდებარეობდა ჩვენი სოფელი და ახლა მთელმა კლასმა დაალო პირი.

გაკვეთილების შემდეგ ჭალაში ბურთის სათამაშოდ რომ წავედი, ჩემი ეჭვი ბიჭებს გავუზიარე:

— თუ დედამიწა მრგვალია, ბურთი როგორღა გაჩერდება მოედანზე?

გამოსავალი ნოდარა გალოგრემ ნახა.

— შეიძლება მრგვალი იყოს, მაგრამ მასწავლებელს ალბათ შეეშალა, ჩვენი სოფელი სწორ ადგილზე იქნება.

ამ საბუთს წყალი არ გაუვიდოდა, ყველა დავეთანხმეთ.

კარგად მახსოვს აგრეთვე, მამაჩემმა პირველად რომ გამლახა. თუმცა ისიც მახსოვს, მანამდე ბაზრობაზე წითელი ფეხსაცმელი რომ მიყიდა.

— ა, შვილო, — მითხრა მან, — ხომ ხედავ, შენთვის ვცოდვილობ და შენთვის ვიკლავ თავს, აბა შენ იცი, რა ჭკვიანად

აღექსანდრე სამსონია  
ბურთი, მოედანი და მაყურებელი

იქნები და გამახარებ. ხომ იცი, ამიერიდან მეტიც მოგეთხოვება: გაისად სკოლაში უნდა წახვიდე, ჰოდა, ყოველ საღამოს ჭალაში სირბილი და ბურთის ხათქუნი აღარ გამოგადგება.

ახალი ფეხსაცმელი, მართალია, ცოტას მიჭერდა, მაგრამ სიხარულით მაინც ფეხზე აღარ ვიდექი. ერთი სული მქონდა, ჭალაში როდის ჩავიბრუნდები და ბიჭებს თავს მოვაწონებდი.

როგორც კი მზე გადაიწვერა და მოედანზე ბურთი ააგდეს, ყვირილით დავეწვი თავქვე და ბიჭებს მივხარე:

— რევახ, ნორად, ანზორ, გოგია შეხედეთ, შეხედეთ რა მიყიდა მამაჩემმა! ყველას მოეწონა. ანზორ შევარდნაძემ სთქვა, ეს ნამდვილი ბუცებია, თამაშიც რომ არ იცოდე, ჩაიცვი და გოლს თავისთავად გაიტანო.

ვთქვით არადანი და არჩევანი, ავაგდეთ ბურთი და დავიწყეთ თამაში. მე როგორც ბუცებიანი, დიდ პატივში ვიყავი, — ყველა საჯაროსა და კუთხურს მე მარტყმევენებდნენ, აუტი რომ აუტია, იმასაც მე ვაწოდებდი...

ერთი ტაიმი კი გაუძლო ჩემმა ფეხსაცმელმა ამდენ უბიძღურებას, მაგრამ მეორის დამთავრებამდე ვეღარ მიაწია, სწორედ იმ მომენტში, როცა მარტყენა ფრთიდან კუთხურს ვაწოდებდი და ფეხი მოვიქნიე, ფეხსაცმელმა ცოფიანი ძაღლივით დაალო პირი. დამცეცხლა, მაგრამ რას ვიზამდი. შინ ფეხშიშველი დავბრუნდი (ვითომ ამით ვუშველიდი რამეს) და დაგლეჯილი ფეხსაცმელი ლოგინქვეშ შევყარე. დამე მშვიდობიანად გამითენდა.

ღილით მამაჩემმა ფეხშიშველი რომ დამინახა, მითხრა:

— ბიჭო, ფეხსაცმელი იმიტომ გიყიდე, რომ ჩაიცვა და წესიერად იარო.

— მიჭერს და რა ვქნა ახლა, თავს

ხომ ვერ მოვიკლავ? — ისტიბარი გავიტყე მე.

— გიჭერს? კი მარა, გუშინ გიჭერდა? აბა, ერთი, ჩაიცვი!

— ცვარში რომ დამისველდეს?

— ჩაიცვი-მეთქი, — ხმას აუწია მამაჩემმა.

რა უნდა მექნა, ავდექი და ჩავიცვი.

— ამას რას ხედავს ჩემი თვალები? — შემოივრა თავში ხელი, — სად მიახიე, ბიჭო, ეგ ახალთახალი ფეხსაცმელი?

— სად მივახიე და, რომ მოვდიოდი, ტიშკართან ქვას წამოვყარი ფეხი.

— ქვას წამოყარი, ხომ?

— კი, დიდი ქვა იყო...

— გუშინ ჭალაში ბურთი ითამაშე?

უარის თქმა არ ეწყობოდა:

— კი ვითამაშე, მაგრამ ფეხშიშველი ვიყავი.

— მატყუებ არა? — ყურში ხელი ჩამავლო მამაჩემმა.

მე დასაკლავ მოზვერივით ავბლადვლდი. ყვირილზე დედაჩემი შემოვარდა:

— რას ერჩი, კაცო, მაგ ბავშვს, რას?

— რას ვერჩი და ნახე აგერ ამის ფეხსაცმელი.

— ღმერთო კი მომკალი, — არ ესიამოვნა დედაჩემსაც. მაგრამ იმწამსვე მოუბრუნდა გული, — რა მოხდა მერე, შე კაცო, ამისათვის უნდა შეაძულო თავი ერთადერთ შვილს? კარგი, დედა. ნუ ტირი ახლა, ოღონდ შენ კარგად იყავი და ფეხსაცმელს კიდევ გიყიდით.

რამდენიმე დღე მე და მამაჩემი უზრად ვიყავით, მაგრამ მეორე კვირას ახალი ფეხსაცმელი რომ მიყიდა, მაშინვე შევრიგდით.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. ფეხსაცმლის გარდა ვინ იცის, რამდენი რამ უყიღია მამაჩემს ჩემთვის, მაგრამ ის დღე, პირველად რომ გამოახა, მაინც ძაღლის ნაკბენივით მახსოვს და ალბათ არასოდეს დამავიწყდება.

„კოშა-კამარა“

ახლანდელი ბავშვები ბედნიერები არიან.

ახლანდელი-მეთქი, რომ ვამბობ, იმათ

ვგულისხმობ, დღეს ბურთს ქუჩაში რომ დასდევენ და ტრანსპორტის მოძრაობას აფერხებენ, მეზობლებს მყუდ-

როგბას ურღვევენ, ფანჯრის მინებს ამსხვრევენ, ერთმანეთს თავ-პირს ალწვენ, გაოფლიანებულები და დაღლილ-დაქანცულნი ბრუნდებიან შინ და მშობლების შემოტევას გმირულად იგერიებენ. რადგან მათაც ფეხბურთი უყვართ. ფეხბურთი კი თავის მხრივ მსხვერპლს მოითხოვს.

ბავშვობა ბავშვობაა, ფეხბურთი ფეხბურთია, მაგრამ როცა წარსულსა და აწმყოს ერთმანეთს ადარებ, თამამად შეგიძლია სთქვა, რომ ახლანდელი თაობა ჩვენთან შედარებით ბედნიერია. რასაკვირველია, ამაში ახალი არაფერია. ცხოვრება ხომ წინ მიდის. ეს ზოგადად. ფეხბურთის თვალსაზრისით კი ბედნიერების საზომი მხოლოდ და მხოლოდ ბურთია.

ღიახ, ახლანდელი ბავშვები ჩვენთან შედარებით იმიტომ არიან ბედნიერები, რომ ისინი ნამდვილი ბურთით ნამდვილ ფეხბურთს თამაშობენ.

ჩვენ კი... სხვისი არ ვიცი და მე, მაგალითად, მითამაშია ქაღალდის, ნაჭრის და მატყლის ბურთით, ღორის ბუშტი, ნაძვის გირით, კარტოფილით და ვინ მოსთვლის კიდევ რით.

ახალი წლის გათენება ორმაგად მიხაროდა: ერთი იმიტომ, რომ ახალი წელი იყო და მეორეც — საკალანდო ღორს დაკლავდნენ და ბუშტი მე დამრჩებოდა. გავახმობდი ცეცხლზე, შემდეგ გავბერავდი და ჰერი ბიჭო!

ნამდვილ ბურთს მხოლოდ წიგნებიდან ვიცნობდით, ერთი-ორჯერ კინოშიც ვნახეთ და კინოლამ გადავიკრიეთ.

— მაგისტანა ბურთი რომ მქონდეს, — მკერდზე მუშტი დაირტყა გოგი თავაძემ, — ვერც ერთი მეკარე ვერ გამიძღებდა. ერთ თამაშში მეტს თუ არა, ცხრა ბურთს მაინც გავიტანდი.

— შე ბაქია, თუ თამაში იცი, ნაჭრის ბურთითაც კარგად ითამაშებ.

— რაც მართალია, მართალია, ნამდვილი ბურთით თამაში მაინც სხვაა, — სთქვა თავისი ავტორიტეტული სიტყვა ჩვენმა კაპიტანმა ანზორ შევარდნაძემ. მას მეტსახელად პაიჭაძეს, ან შემოკლებით პაიჭას ვეძახდით.

ნატვრა მალე აგვისრულდა: ჩვენი ალფეხ ნაკაიძეს თბილისიდან სტუმრები ეწვივნენ — დედა და შვილი. ბიჭი ასე ჩვენი ხნისა იქნებოდა, მაგრამ სისქით ორი ჩვენოდნა მაინც იყო.

სწორედ სიმსუქნის გამო ავითვალწუნეთ იგი. აუფარ-ჩავუარდით, ის კი, ვითომც არაფერი, იჯდა თავისთვის.

ერთ საღამოს, ჩვეულებრივად, ჭალაში ვართ და ფეხბურთს ვთამაშობთ. გავიხედეთ და რას ვხედავთ: მოსულა შემუშინველა ჩვენი თბილისელი, ხელში დიდი ბურთი დაუჭერია, დროდადრო ჰაერში ააგდებს და დამცინავად შემოგვცქერის — რას ცოდვილობთ, თქვენც იტყვიეთ ახლა, ბურთს ვთამაშობთო!

ენა მუცელში ჩაგვივარდა. ჩვენი ნაჭრის ბურთი ვიღას ახსოვდა. შემოვეხვიეთ თბილისელს და პირდაღებულ მივაჩერდით.

— რა არის ეს? — ველარ მოითმინა გოგამ, თუმცა რა კითხვა უნდოდა, ყველანი ვხედავდით, რომ ბურთი იყო.

— ეს არის „კოჟა-კამერა“, — რიხინად სთქვა თბილისელმა.

— მაჩვენე ერთი შენი „კოჟა-კამერა“, — წინ გადაუდგა ჩვენი კაპიტანი.

— ა, ნახე. ოღონდ ფეხი არ გაჰკრა!

— ვითომ რატომ?

— გასკდება და იმიტომ!

— ნუ გეშინია, ეგ მართლა პაიჭაძე კი ნუ გგონია, ბურთი რომ გახეთქოს, — დაამშვიდა რევზა ბურძღლამ და მერე ანზორს მიუბრუნდა, — რას ათვალეირებ ამდენს, ახლა მეც მანახე!

— მეც მინდა!

— მეც! — ატყდა ერთი აურზაური. „კოჟა-კამერა“ სათითაოდ გავსინჯეთ. მართლაც ნამდვილი ბურთი იყო.

— მოდი, ახლა ამ ბურთით ვითამაშოთ, — წინადადება წამოვაცყენე მე...

— ვითამაშოთ! — ამყვინენ ბიჭები.

ქალაქელი ყოყმანობდა.

— რომ გასკდეს?

ალექსანდრე სამსონია  
ბურთი, მოედანი და მაცურებელი



— ნუ გეშინია, ფრთხილად ვითამაშებთ.

— კარგი, მაგრამ გუნდის კაპიტანი მე ვიქნები, — წამოგვიყენა ულტიმატუმში ქალაქელმა.

რა გაეწყობოდა, ბატონი ბრძანდებო, ვუთხარით. ვყარეთ წილი. მე თბილისელის გუნდში მოვხვდი. სანამ თამაშს დავიწყებდით, გაგვაფრთხილა: ყველა ბურთი მე მომაწოდეთ, ცხრა ნომერი ვარო.

ავადეთ ბურთი და დაიწყო თამაში. როგორც გაგვაფრთხილა, ბურთს თბილისელს ვაწოდებდით, მაგრამ მას მოთამაშისა არაფერი ეტყობოდა. სირბილი იმან არ იცოდა და კარში დარტყმა.

— პასი დროზე უნდა მომცეთ! ხომ ხედავთ, კართან გავდივარ, ბურთი დამიტოვეთ! ჩემს გარდა კარში არავინ დაარტყას! — არ გვასვენებდა იგი.

— სხვას რას უყვირი, შენ თვითონ არ გცოდნია თამაში, ბიძია. ახლა კარში ჩადექი და დაისვენე, — გაბრაზდა ანზორი.

ბიჭმა ქვა აავდო და თავი შეუშვირა, კარში არ ჩავდგებო!

— თუ არ ჩადგები, მაშინ მოედანი დატოვე! — უბრძანა ჩვენმა პაიჭამ.

— მოედანს თუ დავტოვებ, ბურთსაც თან წავიღებ, — დაგვეპუქრა იგი.

— აგერ შენი ბურთი! — გადაუდლო ანზორმა, — წაიღე და მოგვმორდი!

ოფლში გახვითქულ, დაბნეულ სტუდენტებს მარს რომ შევხედე, შემეცოდა.

— თავი დაანებე, იყოს, გიშვებავ?

ბიჭებმაც მხარი დამიჭირეს.

— შენ ბურთი სთქვი, პატრონი რაში გენაღვლება!

— რა მოხდა, აქამდე ნაჭრის ბურთით ვთამაშობდით და ახლაც არაფერი მოგვივა, — სთქვა ჩვენმა კაპიტანმა.

თამაში განვაგრძეთ. თბილისელი კი მოედნის ვარეთ იდგა და თვალცრემლიანი შემოგვეცქეროდა.

— ოღონდ მათამაშეთ და კარში ჩავდგები! — გეტხოვა ბოლოს.

ეს ისე საწყლად სთქვა, რომ ანზორის რკინის გულიც კი მოაღბო.

გახარებულს ფრთა გამოეხსა და კარში წისქვილის ბორბალივით დატრიალდა. მართალია, ბურთები გაუშვა, მაგრამ სსსკვედურად ერთი სიტყვაც არ გვითქვამს, რადგან კაცი პატიოსნად დვრიდა ოფლს.

ერთ თვეში მსუქანმა ბიჭმა იმდენი დაიკლო, კაციშვილს დაემსგავსა და თან მეკარეობაც ისწავლა.

თბილისში რომ მიდიოდა, თავისი „კოჟა-კამერა“ გვაჩუქა. იმ ზაფხულს გაგიძლო, ბოლოს ერთი მაგარი დარტყმის შემდეგ რევავ ბურძგლას მოხვდა თავში. რევავს, მართალია, არაფერი მოსვლია, მაგრამ ასე ნაწვალეზმა ბურთმა ვეღარ გაუძლო და გასცდა.

## უსახელო წერილი

„პატივცემულო რედაქცია.

ამ წერილს გწერთ სოფელ ზემო-უბნის ფეხბურთელები. თუმცა რა ფეხბურთელები ვართ — მოედანი ჩვენ არ გავაჩნია და ბურთი. ფეხები ქვებზე თამაშით დაგვემტვრა. ერთ დროს ჩვენი სოფლის პირობაზე გვარიანი სტადიონი გვქონდა. დღისით ღორები დარბოდნენ ზედ, საღამოს — ჩვენ. მაგრამ უკმაყოფილო მაინც არ ვიყავით. უკმაყოფილო თურმე ჩვენი თავმჯდომარე ბიძინა ჯაში ყოფილა. ის ისეთი კაცია, მისი სახელის ხსენებაზე გვაკანკალებს.

პოდა, მოეყვანა ერთ მშვენიერ დღეს ბიძინა ჯაშმა ტრაქტორი და გაუშვა ჩვენს მოედანზე, ფეხბურთი და დიპლიზიტო არ ვიცი მე, საყანედ უნდა გადავებრუნო. ჩვენს კოლმეურნეობას მიწა რომ არ აკლია, ეს მთელმა სოფელმა იცის, მაგრამ ძნელი გამოსარკვევი არ არის, ძაღლის თავი სად არის დამარხული. მთავარი ისაა, რომ ბიძინა ჯაშს ფეხბურთი არ უყვარს, არც ჩვენ ვუყვარვართ და ვართ ასე ცოდვინ დღეში. ბურთის თამაში რომ არ დაგ-



ვაიწყდეს, ქალაში ფეხშიშველი ვვარჯიშობთ რიყის ქვებზე.

თავს იმიტომ ვიკლავთ და იმიტომ ვცოდვილობთ, რომ არ გვინდა ქვემოუბნელებს ჩამოვრჩეთ, იმათ ბურთიც კარგი აქვთ და მოედანიც, არც თავმჯდომარე ჰყავთ ურიგო.

პატივცემულო რედაქციავ! ახლა ამ წერილს რომ დახედავთ, გავივირღებთ, სახელს და გვარს რომ არ ვწერთ. ბიძინა ჯაშის გვეშინია და იმიტომ. ეს ამბავი თუ გაგვიგო, ყველას შავ დღეს დაგვაყარის. არ ვგვგონოთ, ტყუილს გწერდით. თუ ჩვენი არ გჯერათ, ამოდით ფრთი ამოსვლა სოფელში და ყველადიერი საკუთარი თვალით შეამოწმეთ.“

ასე და ამ გვარად გავგზავნეთ წერილი თბილისში, კონვერტზე დავაწერეთ „სასწრაფოა“ და მეორე დღიდანვე პასუხს ველოდით.

ორმა კვირამ გაიარა, გათენდა მესამე სამშაბათი და გავარდა მეხი.

სკოლაში ვიყავით. ის-ის იყო, ქიმიის გაკვეთილი დამთავრდა, რომ ბეგლარა ფოსტალიონმა მოგვაცითხა:

— ლადიკო ბურჭულაძე თუ ესწრება გაკვეთილს? — კართან დაიძახა მან.

— აგერ ვარ, ველარ მიცანი? — წინ გადავუდექი მე.

— აბა, შენ თუ ლადიკო ბურჭულაძე ხარ, ამ ქალაღზე ხელი მომიწერე.

— რა ქალაღია?

— რა ქალაღია და მოწერილობა... გაკვეთილები რომ დამთავრდება. თავმჯდომარესთან მიხვალ კაბინეტში. ჰო, ჰო, კარგად მოაწერე ხელი, ლადიკო ბურ... ბურ... რავა სულ ბურთზე გაქვს, ბიჭო, ჭიპი მიჭრილი! მოიცათ, მოიცათ. ნოდარა გალოგრე, გოგია თავაძე, ანზორ შევარდნაძე და რევაზ ბურჭულაძე მომიწერს კიდევ ხილს და მერე მე ჩემთვის, თქვენ თქვენთვის.

მოწერით კი მოვუწერეთ ხელი, მაგრამ კაცის ფერი არც ერთს არ გვედო.

— ხომ ვითხარით, ნუ ვიზამთ მაგ საქმეს, ბიძინა თავმჯდომარეს გაუგებელი არაფერი დარჩებათქო, — გვითხრა რევაზმა.

— აი, შე გლახა, — თავში ანზორმა, აბა ახლა დაუჩოქე და ება სთხოვე.

— პატიება არა, მაგრამ გული მიგრძნობს, კარგი არაფერი დაგვემართება, — თავი მოიფხანა გოგია.

— თქვე ლაჩრებო, თქვენ! — იფეთქა კაბიტანმა, — დამეკარგეთ ყველა აქედან, მარტო წავალ და ვეტყვი, მე დავწერე-მეთქი! თქვენსავით კი არ მეშინია.

და უკან არც კი მოუხედავს, ისე წავიდა კოლმეურნეობის კანტორისაკენ. სხვა რაღა დაგვრჩენოდა, სირბლით მივყევით უკან ჩვენს კაბიტანს.

— ოო, მობრძანდით, დაბრძანდით, კაი სალაში და გამარჯობა! — დიდი ამბით მოგვესალმა ბიძინა, შემდეგ პაბიროსი ამოიღო და ყველანი სათათაოლ აგვათვალ-ჩაგვათვალაღიერა.

— ლადიკო ბურჭულაძე ორი ნაბიჯით წინ გამოვიდეს, — ბრძანა ბოლოს. ერთი ნაბიჯი კი გადაედგა, მაგრამ მეორეზე მუხლები ამიკანკალდა.

— ვინ დაწერა წერილი?

— რა წერილი? — გვაკვირე აე.

— ბიძიკო, — ხმას აუწია ბიძინამ, — ორი შენხელა შვილი მყავს და ჩემი მოტყუება არ გეკადრება, გეკითხები, უსახელო წერილი ვინ დაწერა-მეთქი?

— უსახელო წერილი რას ჰქვია? — გულწრფელად ვიკითხე მე.

— ესე იგი ხელმოუწერელი, ჯაშუშები და ხალხის მტრები რომ წერენ, ისეთი, მიხვლით ახლა? იცოდეთ, მილიციას დაუძძახებ და სათითაოდ დაგკითხავთ, მე გაუგებარი არაფერი დამრჩება.

— ლადიკო ბურჭულაძე, თუ პატიოსნად იტყვი ყველაფერს, სასჯელი შეგიმსუბუქდება. გეკითხები, შენ დაწერე წერილი?

მე უარის ნიშნად თავი გავიქნე.

— არც შენ დაგიწერია, გოგია, ხომ? არაო, იუარა გოგიაშაქ.

— მაშ იქნებ მე დაგწერე ჩემს თავზე და მივი გავაგზავნე?

კაბინეტში ჰაერი ისე შეიკრა და შეი-

ხუთა, როგორც კარგად გაბერილ ბურთში.

— ხუთ წუთს გაძლევთ მოსაფიქრებლად. უკანასკნელად გეკითხებით, ვინ დაწერა წერილი და ვინ მიჩვილა?

მოულოდნელად ანზორი შევარდნაძე წინ გამოვიდა.

— მე დავწერე და მე გიჩვილე, წადი ახლა და უთხარი მილიციას!

მთავარი თურმე პირველი ნაბიჯი ყოფილა. ანზორის გმირობის შემდეგ შიში იმ წუთშივე გაქრა.

ჩასაყვინთავად რომ კაცი მოემზადება, ისე შევისუსნთქე ჰაერი და რაც შემეძლო რიხიანად ვთქვი:

— მეც დავწერე!

— მეც დავწერე! — იყვირა ნოდარ გალოგრემ.

— მეც! — ხმა შეგვაწიეს გოგიამ და რევაზმა.

— მაგი არ გამოვა! — ხელები გაშალა ბიძინამ, — ყველა ნუ ყოფთ ცხვირს. ვინც დამნაშავეა, იმან სთქვას.

— დამნაშავე არავინაა. დაწერით კი ყველამ დავწერეთ! — უთხარა მე.

— კარგი, ბატონო, ყველამ თუ დავწერეთ, ყველას მიგაბრძანებთ მილიციაში და ნახეთ მერე!

— რატომ, სიმართლე არაა თუ? — იკითხა ანზორმა.

— სიცრუეა, ცილისწამებაა!..

— მოედანი რომ გადაახვენი ტორს. ეგ სიცრუეა?

— კოლმეურნეობას პირდებოდა იმიტომ გადაახვენი.

— ის ადგილი რომ საყანედ არ ვარგა, მთელმა სოფელმა იცის.

— ანზორი შევარდნაძეც, აბა შენ ყოფილხარ თავმჯდომარე და დაჯეტი ჩემს ადგილზე, — წაპოვდა ბიძინა. — მაგ ენა რომ წაიგრძელებიათ, რა გიქნათ ახლა, მითხარით?

— მოედანი გაგვიკეთ!

— რომ არ გაგიკეთოთ, რას იზამთ?

— კიდევ გიჩვილებთ და ახლა გვარებსაც მოვაწერთ!

არ ვიცი, ჩვენმა ერთსულოვნებანი იმოქმედა თუ ზემოდან ჰქონდა ნათქვამი, მეორე კვირას სოფელში შაბათობა გამოცხადდა. გავაკეთეთ ახალი მოედანი. დავასვეთ ძელები და ამის შემდეგ სტადიონზე არც ტრაქტორს გაუვლია და არც ავტომობილს.

ასე გამოცოცხლდა სიკვდილის პირას მიმდგარი ფეხბურთი ზემოუბანში.

ბიძინა ჯაში მეორე წელს მოხსნეს. ახია მასზე! მის შემდეგ რამდენი თავმჯდომარეც არ მოვიდა, ფეხბურთზე ცუდი არავის წამოცდენია. ასე რომ, უსახელო წერილის დაწერა აღარ დაგვიკირვებია.



მხატვრულ რედაქტორი ტიტე შეყილაძე

ტექნიკური რედაქტორი მელეა შონია

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლენანოვის პროსპ. № 91.

ბალუშონვაძი: რედაქტორის — 5-08-75, პ/მ მდივნის — 5-08-80, განყოფილებების: კრიტიკისა და პუბლიცისტების — 5-08-85, კომპოზიტორისა და პრესის — 5-08-85.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 26/XII-64 წ. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 13,7. შეკვ. 1310. უე 12842. ქალაქის ზომა 70×108. ტირაჟი 8 000.

ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.  
Комбинат печати. Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.





ეს იატი ღა სხვა ათასი



ან ბბლს ბიბიანეს ბუბუს...



ან ბბლს...

საქართველო  
სპორტისთვის



საბჭოთა კავშირის 1964 წლის ჩემპიონი ფეხბურთელები თბილისის „დინამო“



სიხაძელი სიხაძელის ვიღ



3367 60 333

8

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-  
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„ЦИСКАРИ“

ИЗДАТЕЛЬСТВО  
„ЛИТЕРАТУРА ДЯ ХЕЛОВНЕБЯ“

ИНДЕКС 76236